მარიამ მანჯგალაძე ხათუნა ჭანიშვილი

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პუბლიცისტური გააზრება და ენობრივი პოლიტიკის საკითხები

მარიამ მანჯგალაძე ხათუნა ჭანიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პუბლიცისტური გააზრება და ენობრივი პოლიტიკის საკითხები

(1918 -1921 წლების პერიოდულ გამოცემები „საქართველო“ და „ერთობა“)

კავკასიის უნივერსიტეტი

თბილისი 2021

რედაქტორები
ეკა ჩიკვაიძე
ჭაბუკი ქირია
გარეკანის დიზაინი
ქეთი თარგამაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
ქეთევან დათუკიშვილი

Mariam Manjgaladze, Khatuna Chanishvili - **Act of Independence from the publicistic point of view & language policy issues** *(Newspapers "Sakartvelo" and "Ertoba" of 1918-1921)*

წინათქმა

კვლევა დაფინანსებულია კავკასიის უნივერსიტეტის გრანტით. პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი **ქეთევან დათუკიშვილი**, მკვლევრები - პროფესორი **მარიამ მანჯგალაძე** და ასოცირებული პროფესორი **ხათუნა ჭანიშვილი**. ციფრული მასალის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა: **მარიამ გულისაშვილმა, ლალა ბიგვავამ და ლევან კაკლიანმა.**

ავტორთა კვლევა შემოიფარგლება ქართული პერიოდული გამოცემებით „საქართველო“ და „ერთობა“. როგორც ცნობილია, 1918-1921 წლებში ორი რადიკალურად განსხვავებული აზრი არსებობდა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ მომავალთან დაკავშირებით. ეს პოზიციები ყველაზე მკაფიოდ აისახა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემულ ბეჭდურ ორგანოში, გაზეთ ,,საქართველოსა" და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გამოცემულ ბეჭდურ ორგანოში, გაზეთ ,,ერთობაში”. მათი (შესაბამისად, საზოგადოების) პოლარიზებული აღქმა ადამიანის, მსოფლიო პოლიტიკური პროცესებისა და ერის იდენტობის დამდგენ პრიორიტეტებთან მიმართებით, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებისა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავარი პერიოდული გამოცემების ,,საქართველოსა" და „ერთობის'' ტენდენციების, პრიორიტეტების, პოლიტიკური, სოციოკულტურული, ენობრივი პოლიტიკის, საგანმანათლებლო, ეკონომიკური ხედვების ანალიზი და შეფასება დეტალური კვლევის საგანი კიდევ დიდხანს იქნება. წიგნის ავტორთა მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით შესაძლებელი ხდება ისტორიული თუ კულტურული მოვლენების გარდაუვლობის მიზეზების დადგენა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; იკვეთება მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს დამოუკიდებლობისა და გასაბჭოების ურთიერთგამომდინარეობის მექანიზმები ადეკვატურად აისახა გამოცემებში. ამ პუბლიკაციების ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს მომავლის ლოგიკური კონტურებიც.

ღირებული და მნიშვნელოვანი იყო კვლევა ენობრივი თვალსაზრისითაც, მაგალითად, როგორი იყო დასახელებულ გამოცემათა ენა, იყო თუ არა საგაზეთო ლექსიკა გარკვეულ წესებს/ნორმებს დაქვემდებარებული;

განიხილებოდა თუ არა ენობრივი პოლიტიკის საკითხები საჯაროდ და იყო თუ არა დაკავშირებული განათლების სისტემასთან; რა რუბრიკებს ენიჭებოდა უპირატესობა საკვლევ პერიოდულ გამოცემებში...

ვფიქრობთ, წიგნი ღირებული იქნება ქართული პერიოდიკის, ჟურნალისტიკის, პრესის ენის, ქართული სალიტერატურო ენის საკითხებითა და ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის; სათანადო დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

სარჩევი

საქართველოს დამოუკიდებლობის არსის პუბლიცისტური გააზრება (ხათუნა ჭანიშვილი) 6

თავისუფლების მოლოდინი 1918 წლის დასაწყისის პუბლიკაციებში 6

1918 წლის 26 მაისის მოვლენა ანალიტიკურ პუბლიკაციებში 29

თავისუფლების არსის პუბლიცისტური გააზრება 1919-1920 წლების საიუბილეო ნომრებში 62

დანართი I 87

I.I მიტროპოლიტ ლეონიდეს სიტყვა წარმოტქმული ტამარ მეფის ხსენების დღეს 87

I.II ეროვნულ - დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების პოეტური ანარეკლები; 90

ენობრივი პოლიტიკის საკითხები (მარიამ მანჯგალაძე) 118

„პარლამენტის ენა ქართული უნდა იყოს!“ 124

აბუჩად აგდებული ქართული ენა? 128

ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი 131

ქართული ენა - განახლებული სკოლის პრიორიტეტი 136

მასწავლებელთა ყრილობები /კრებები 140

ქართული უნივერსიტეტი 158

სახალხო უნივერსიტეტი 160

სტუდენტთა მხარდაჭერა 161

„ბალშევიკები“ და „მატყუარების შკოლა“ 162

პუბლიკაციების ენა 165

დანართი II 169

II.I გაზეთი „საქართველო“ 169

II.II გაზეთი „ერთობა“ 315

საქართველოს დამოუკიდებლობის არსის პუბლიცისტური გააზრება

თავისუფლების მოლოდინი 1918 წლის დასაწყისის პუბლიკაციებში

1921 წლის იანვრის პირველ დღეს გაზეთი ,,საქართველო“ ჯერ კიდევ ოთხგვერდიანი იყო. მეორე გვერდზე გიორგი გვაზავას[1] პუბლიკაციას ვკითხულობთ ,,ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა 1920 წელს“.

,,ჩვენი პოლიტიკა ყოველთვის იყო მერყევი, გამოურკვეველი და უილაჯო. ჩვენი პოლიტიკა არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა ინიციატივიანი, არც ერთ მომენტში ნამდვილი ფაქტორი ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისოდ მოწყობისა და გამტკიცებისა“...,, გამარჯვებული ვართ შინაურ ფრონტზე. ასე მთლიანი და ერთსულოვანი თავის თავისუფლების დაცვაში არასოდეს არ ყოფილა საქართველო, როგორც დღეს. სიცოცხლის მყოფელმა ეროვნულმა იდეამ აამოძრავა მთელი ერი და საქართველოს საზღვრებზე დააყენა შეიარაღებული უამრავი ჯარი. ასეთი ეროვნული ენთუზიაზმი უტყუარი საწინდარია საქართველოს გამარჯვებისა“ *(საქართველო, 2020, 1-ლი იანვარი)* 1921 წლის 25 თებერვლამდე 55 დღეა და რეალური საფრთხის წინაშე მყოფი ქართველი ერი, როგორც იქნა, გაერთიანდა საერთო იდეის ირგვლივ. საერთო იდეა კი საქართველოს ახალი ოკუპაციისგან დაცვაა. ასი წლის წინანდელი გაზეთის პირველივე ამონარიდი შეგვახსენებს, რომ საერთო იდეის ირგვლივ გაერთიანება მხოლოდ კარს მომდგარი რეალური

[1] გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე(20.IV.1869, სოფ. სუჯუნა, სენაკის მაზრ. - 20.I.1941, პარიზი) - პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

საფრთხის წინაშეა შესაძლებელი, შესაბამისად, ჩვენი მთავარი კითხვები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რატომ ვერ მოხერხდა საერთო ეროვნული იდეის ირგვლივ გაერთიანება? როგორ გამოჩნდა ამ პრობლემის არსებობის მიზეზები აზროვნების იმ მოდელში, რომლებმაც რადიკალურად გამიჯნა ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებები ქვეყანაში არსებული რეალობის მიმართ? ამ კითხვაზე პასუხების ძიება, ვფიქრობთ, საგაზეთო პუბლიკაციების იმ ნაწილის ანალიზითაა შესაძლებელი, სადაც ადამიანისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მიმართ მთავარი ღირებულებითი საკითხებია წარმოდგენილი.

ორი წამყვანი პოლიტიკური ძალის არსებითი სხვაობა რიგ ფუნდამენტურ საკითხებს შორის 1921 წლის 1-ლი იანვრის გაზეთ ,,ერთობის“ ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციის მთავარი გზავნილითაც ცხადია. ს. დევდარიანის[2] წლის შემაჯამებელი აზრი ასეთია: ,,საქართველო არ გაწითლდება, რადგან ამ სამი წლის განმავლობაში ის ინახავდა ნამდვილ სიწითლეს. მისი პოლიტიკა საშინაო და საგარეო კითხვებში იყო სოციალისტური. ის იდგა და დგას იმ წითელი დროშის ქვეშ, რომელიც პირველად აიმართა ევროპაში მარქსის და ენგელსის ხელით. ამ დროშით ემშვიდობება საქართველო გასულ წელს და გადადის ახალ წელში“ *(ერთობა, 1921, 1-ლი იანვარი)*. ამ ამონარიდში, ვფიქრობთ, აისახა 1921 წლის ბოლოს სოციალ-დემოკრატთა რეალობის აღქმის უნარი თუ უუნარობა, თუმცა გალაკტიონის განწყობა გაზეთის

[2] დევდარიანი სეით სარდიონის ძე (1879, თბილისი-1937-თბილისი) ქართველი ფილოსოფოსი, მარქსისტი, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი. სიკვდილით დასაჯეს სტალინური რეპრესიების დროს.

ამავე ნომერში დაბეჭდილ ლექსში სრულიად განსხვავებულია. ,,გადია“ ფინალური სტრიქონით დაასრულებს 1920-ის მთავარ განწყობას:

,,გაქრა გადია, ვარდები რგული, იმ ჩვენს ყვავილებს მოედო ცელი.

გადია, ქარმა წაიღო გული და ათას ცხრაას მეოცე წელი.“

პოეტის, თან გალაკტიონის, ინტუიცია უტყუარია და ქარწაღებული გული იხსენებს საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო, 1920 წელს. იანვრის შემდეგი ნომრების გადათვალიერება ცხადყოფს, რომ ქვეყანა საბრძოლო ეიფორიაშია. ტყვიამ იმსხვერპლა მარო მაყაშვილი, პატრიარქი ლეონიდე ამხნევებს ჯარს, ფრონტის სიახლეები ის არის, რომ კავალერიისა და გენერალი კვინიკაძის შესაძლებლობებსაა მინდობილი ქვეყანა. გაზეთი ორგვერდიანია და სულს ღაფავს. მანამდე კი იყო 1918 წელი.

1918 წელი, 3 იანვარი, გაზეთი ერთობა, ორგანო ამიერკავკასიის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა. საკმარისია გაზეთის პირველ ნომერს გადავხედოთ, ცხადი გახდება პარტიის პრიორიტეტები, ღირებულებები და გემოვნება. პირველ გვერდზე ინფორმაციაა ქართული უნივერსიტეტის იანვრის შუა რიცხვებში გახსნის შესახებ, ამავე გვერდზე შეხვდებით პუბლიკაციას ,,1917 წელი ჩვენში“, სადაც მუშათა პარტიისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმითა და სოლიდარობის ნიშნითაა გადმოცემული დემოკრატიის კოლექტიური შეგრძნების მნიშვნელობა. ,,დემოკრატია გაბატონდა ცხოვრებაში, პოლიტიკაში, რევოლუციაში, მთელი ერის სვე-ბედის გადაჭრაში...,,მისი აზრი და მისწრაფება გადაიქცა მთელი ერის აზრათ და მისწრაფებათ ყველა კლასებმა თუ წრეებმა ნებსით თუ იძულებით ქედი მოიხარეს მის წინაშე“ *(ერთობა,1918, 3 იანვარი).* გაზეთის პირველსავე გვერდზე პუბლიკაციაში ,,ნაციონალური თვითგამორკვევა“ ვკითხულობთ წინადადებას, რომელიც

ნათლად წარმოადგენს სოციალ-დემოკრატების პრინციპებსა და ხედვას. ,,რუსეთის საერთო ცხოვრებაში ამიერკავკასია გამონაკლისს შეადგენდა, აქ სამაგალითოდ იყო დაცული რევოლუციონური წესრიგი“ *(ერთობა,1918, 3 იანვარი)* თავად სიტყვათ შეთანხმება ,,რევოლუციონური წესრიგი“ ზუსტად ასახავს სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას რევოლუციის ფენომენის მიმართ, რაც არც დღესაა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის უცხო. 100 წლის შემდეგ პირველ რესპუბლიკაზე მსჯელობას რეფრენად გასდევს აზრი, რომ საქართველოს გასაბჭოების მიზეზი მხოლოდ რუსული ოკუპაციაა, იშვიათად დაისმის კითხვა იმ რეალობასთან დაკავშირებით, რა ინფორმაციის ამოკითხვაც ,,დროების“ პირველსავე ნომერშია გაცხადებული. კერძოდ, ის, რომ სოციალ-დემოკრატები ამიერკავკასიას რუსეთის ბუნებრივ ნაწილად მიიჩნევდნენ და, მათი აზრით, რევოლუციური წესრიგი ნებსით თუ იძულებით, ქართულ რეალობაში უნდა გადმოსულიყო. ბუნებრივია ასეთ დამოკიდებულებას იზიარებდა და არც მალავდა საქართველოს იმდროინდელი მთავრობა. სამართლიანობა მოითხოვს, გაზეთი ,,დროების“ 1918 წლის პირველი ნომრის გადახედვისას აღინიშნოს, რომ შინაგანი მზაობა და ბუნებრივი მოლოდინი დამოუკიდებლობის მიღებისა, რომელიც ოთხ თვეში 26 მაისს გამოცხადდება, ხელოვნური პროცესი იყო. ბუნებრივი კი ის არის, რომ ყველაფერი ხელოვნური უსიცოცხლოა და მალწარმავალი, ისევე როგორც დამოუკიდებლობის სამი წელი. მით უფრო, თუ გავიხსენებთ ცნობილ პოლემიკას ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას[3] შორის ქართული პრესის შესახებ, რომელიც წინ

[3] ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (ფსევდონიმები: ანი, ნარი, ნარიძე, კოსტროვი) (15.I.1868, ლანჩხუთი - 11.I.1953, პარიზი) - ქართული სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერი, პუბლიცისტი, თეორეტიკოსი, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

უძღოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას და პრეზიდენტი ილია ჭავჭავაძეს ადანაშაულებდა პრესის გარყვნაში(ჟორდანია,1900) თითქოს თავის ადგილზე დგება მოვლენები, ფაქტები. თითქოს ისტორია ლოგიკური განაცხადით წარმოდგება ქართველი საზოგადოების წინაშე. ჩვენი აზრით, ამ განაცხადს ადეკვატური წაკითხვა ესაჭიროება, თუნდაც იმ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მიზეზის გამო, რომ დღეს რეალურად აღქმული ფაქტების შეფასებამ, ხვალინდელი დღე ნაკლებად ამორფული გახადოს.

შეუძლებელია არ აღინიშნოს გაზეთის ამავე ნომრის პირველსავე გვერდზე დაბეჭდილი პუბლიკაცია ,,ნაციონალისტების თვითგამორკვევა“, სადაც უკიდურესად ნეგატიურადაა წარმოდგენილი შემდეგი იდეა: ,,ქართველებმა დამოუკიდებლად უნდა მოაწყონ საკუთარი საქმე თავის ტერიტორიაზე“ *(ერთობა, 1918, 3 იანვარი)* ეს დამოკიდებულება ქართველების ფუჭ ოცნებად და დემოკრატიის კრიზისადაა წარმოდგენილი. დასახელებული პუბლიკაციის მიხედვით, დემოკრატიის ახლებური დეფინიციაც შეგვიძლია ავაგოთ, ვინაიდან, მათი აზრით, დემოკრატია ინტერნაციონალური ფენომენია და თუ მას ნაციონალური ინტერესები კვეთს საფრთხის შემცველია. მეტიც, იმავე წერილში ამ საფრთხისგან თავის არიდების შემდეგი გამოსავალი არსებობს: ,,ჩვენი მოვალეობაა თავიდანვე აილაგმოს ნაციონალისტთა ეს აღვირახსნილი გამოსვლა“ *(ერთობა, 1918, 3 იანვარი).* ამ ერთი წინადადებითაც ცხადია, რომ ბეჭდვით ორგანოთა მიერ გამართულ დისკუსიაში ძნელად შეინიშნება მცდელობა მიზეზის დადგენის და ჩამოყალიბებისა, თუ რატომ არის ნაციონალური, ინდივიდუალური ქართული საქმე აღვირახსნილი, ან რატომ არის დემოკრატია მხოლოდ ინტერნაციონალური. გაუგებარია, რატომ აღიქმება დემოკრატიის

ღალატად და პროვოკატორობად მცდელობა, საქვეყნო საქმის დამოუკიდებლად წარმართვისა.

თუ პუბლიცისტური ტექსტის უცილობელ, შინაარსობრივი ელემენტების ფუნქციას გავიხსენებთ, შეუძლებელია გამოგვრჩეს აქტუალური თემის განხილვისას უმთავრესი საფუძველი, არგუმენტი, რომელსაც მთელი ტექსტი ეყრდნობა: არგუმენტი, ცხადად, ნათლად, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა საკუთარი პუბლიცისტიკით, დატვირთა ისინი რკინისებური, მყარი საბუთებით და შექმნა ქართულ ბეჭდურ მედიაისტორიაში ღირსეული არგუმენტირებული განსჯის ტრადიცია. თუმცა არსებობს სოციალ-დემოკრატების სტილიც. ამ განსხვავებულ ბალავართა გათვალისწინებით, მედიასივრცეში დღემდე არსებული უხილავი ხიდების აგებაა შესაძლებელი დღეს არსებული რეალობის გასააზრებლად და მომავლის პერსპექტივების გასათვალისწინებლადაც. აქ ჩვენს ქართულ პუბლიცისტურ მემკვიდრეობას დავყოფდით ილიამდე და ილიასშემდგომ პერიოდებად. ეს უკანასკნელი კი გაიმიჯნებოდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეტაპებად, რომლებსაც თავიანთი მკვეთრად განმასხვავებელი ნიშან-თვისებები გამოარჩევს, რაც თავის მხრივ, დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

ჩვენი დაკვირვებით, გაზეთის თითოეულ ნომერს მკაფიო შინაგანი რიტმი და სათქმელი გამოარჩევს, რომელიც გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და არ გაგვკვირვებია როდესაც ზემოთაღნიშნული პუბლიკაციის შემდეგ გაზეთის მეორე გვერდზე სათაურით ,,პრესა“

გერონტი ქიქოძის[4] მოსაზრებაა გაქილიკებული, რომელიც გაზეთ ,,საქართველოში“ გამოუთქვამს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამასთან დაკავშირებით. გერონტი ქიქოძე, როგორც მყარი სათქმელის პუბლიცისტი, მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს შეხებია. მას კითხვა დუსვამს, თუ რატომ არ დაუჭირა მოსახლეობის უმეტესობამ მხარი სოციალ-დემოკრატებს, როდესაც ისინი კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ გააზრებულ პროგრამას სთავაზობდნენ მოსახლეობას და თავადვე უპასუხია, რომ ამას გარდა საჭიროა ზნეობრივი ძალა, რომ ყოველ პარტიას აქვს იდეალი, რომლის მიხედვითაც ცხოვრების გარდაქნას ოცნებობსო. სწორედ ქიქოძისეული ჩივილი ზნეობრივი იდეალის არარსებობის შესახებ და მხოლოდ კერძო საკუთრების ერთგულება გამხდარა სოციალ-დემოკრატების კრიტიკის საგანი, ვინაიდან მათი აზრით, იდეა სწორედ საერთო სახლხო საკუთრებასა და მუშურ გულანთებულ მოძრაობაშია, იმ მუშათა, რომელთაც თუ ქიქოძის სიტყვებით აღვწერთ ,,არც ერთი მომხიბლავი სიზმარი არ უნახავთ თავის ცხოვრებაში“ *(ერთობა, 1918, 3 იანვარი).* მომხიბლავი, ინდივიდუალური სიზმრების ხილვა ხომ ინდივიდებს სჩვევიათ. ინდივიდი, დამოუკიდებელი აზრი და კერძოობა კი ანგრევს ,,დიად იდეას'', რომელიც მუშათა საერთო მოძრაობას ჩრდილს მიაყენებს. ამ ტიპის მასალის გაცნობისას თითქოს ერთგვარი დრამატურგიული ხაზი მუშაობს, რომელიც თავად გვკარნახობს განსახილველ საკითხთა თანმიმდევრობას. თითქოს საკვირველია, მაგრამ სიზმარი ერთობის პირველი ნომრის რეფრენს ჰგავს, რადგან მესამე გვერდზე ვხვდებით

[4] ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე (21.VIII.1885, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრა - 1.VIII.1960, თბილისი) - პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი.

პუბლიკაციას ,,ახალი წლის ღამე“, რომლის ავტორია ვინმე ირეთელი[5] სიზმარი, რომელსაც ახალი წლის ღამეს ნახულობს ქართველი ინტელიგენტი, მეტად სიმპტომურია და კარგად ასახავს გაზეთის მესვეურთა დამოკიდებულებას ჯერ სუსტი ინტელიგენტისა და შემდეგ - რუსებისა თუ ბოლშევიკების მიმართ. სიზმარი კი გახლავთ ისეთი, როგორიც, სოციალ-დემოკრატების აზრით, უნდა ნახოს ინტელიგენტმა, რომელიც ვლადიმერ პირველს დახვდება საქართველოში და აღტყინებულ მოქალაქეებთან შეხვედრისას მოთხოვნებს გააჟღერებს: ,,დაიხუროს, დავატუსაღოთ, ჩამოერთვას, ჩამოვახრჩოთ“; ე.წ. ვლადიმერის მოწოდებებისა და სახალხო მღელვარების შთაბეჭდილებით გათანგული ინტელიგენტი დაზაფრული გამოიღვიძებს და შეძრულია სიზმრის რეალური განცდით. თუ გერონტი ქიქოძე ადამიანის დახასიათებისას სიზმრის ესთეტიკას ანიჭებს მნიშვნელობას, ახალი წლის ღამით ნანახი სიზმარი, შესაძლოა ერთგვარ ინტუიტიურ ხედვადაც გავიაზროთ, რომელიც სულ რაღაც სამი წლის შემდეგ რეალობად გადაიქცევა. თუ ამასთან გავიხსენებთ რეალურისა და ირეალურის, ცხადისა და სიზმრისეული ჩვენების მეტაფორულ განაზრებანს, მაგალითად, ახალი დროის ხელოვნების დარგში, კინოში, მრავალი ანალოგის მოტანა შეიძლება, თუმცა ჩვენს მეხსიერებას არ ეთმობა, არ გაიხსენოს რენე კლერის[6] ფილმი ,,ღამის ლამაზმნები“. კინოში ჟერარ ფილიპის გმირისთვის ცხადი, რეალური უტყვი და უშინაარსოა, ხოლო სიზმარი, სადაც ნამდვილი ცხოვრება, სიყვარული და სილამაზეა, ამარცხებს უხეშ ყოველდღიურობას. მისთვის სიზმარი ნამდვილი

[5] ირეთელი პოლიო (პოლოვექტოს კალანდაძე ანტონის ძე) (9.I.1876, ოზურგეთი-10.IV.1931.თბილისი) მწერალი.

[6] კლერი რენე (რენე-ლუსიენ შომეტი) (11.III. 1898,პარიზი- 15.III. 1981-პარიზი) ფრანგი კინორეჟისორი.

სიცოცხლის სივრცედ გადაცეულა. სად იწყება და სად ყწდება ეს ჯაჭვი ადამიანურ სიცოცხლესა თუ უსიცოცხლობას შორის, ხელოვნებისთვისაც ჩვეულებრივი დილემაა. აქ, ჩვენი აზრით, მთავარი განცდის სიმძაფრეა, რომელიც აპრიორულ სიცხადეებს სთავაზობს ადამიანს და თუ ხელოვნება რეალობას აღწერს მეტაენით, მაშინ რეალობამაც შეიძლება გადმოიტანოს ირეალური და ჩაწეროს, ჩასვას ბუნების კანონში. ამ ხედვით სოციალ-დემოკრატების ავტორის ირეთელის, მართალია ფორმა თუ ესთეტიკანაკლული საგაზეთო ამბავი, შესაძლოა, იმ რეალობის ასახვა იყოს, საქართველოს გასაბჭოება რომ ჰქვია, სადაც ვლადიმერის სიზმრისეული მოწოდებები რეალურ მოწოდებებად გადაიქცა. ჩვენ კი საუკუნის შემდეგ შგვიძლია დრო, რეალობა და წარმოსხვა ერთ ჰორიზონტზე განვათავსოთ, სახელები დავარქვათ და ის მთავარი წერტილები მოვნიშნოთ, ისტორიული ჰორიზონტის გადახედვასა და გაცოცხლებაში რომ დაგვეხმარება. ამ აქტივობას კი შეუძლებელია ჩამოვაცილოთ გაზეთის ამავე, პირველ ნომერში მესამე გვერდზე გამოქვეყნებული პოეტური ტექსტი სათაურით ,,ლტოლვის სამოსი“, რომლის ავტორია გელა(უცნობი)

,,ოცნება იყო ოკეანე სრბოლა დიადი
ლტოლვის სამოსი სანეტარო ფერი ტრფობისა
გაშლილ მდელოზე მოციმციმე აზრი ფერადი
მარად ძახილში ფრთებს ისხამდა სიტყვა ძმობისა
და მოუხმობდა სიყვარული, ეგ ზღვა ყოფნისა“
(ერთობა,1918,3იანვარი).

პოეზია, საახალწლო მოთხრობა, უცხოეთის ქრონიკა, ნაციონალური თვითგამორკვევა, ინფორმაცია ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, გერონტი ქიქოძის აზრისა და ბოლშევიკთა ქმედებების

ნეგატიურ ჭრილში წარმოდგენა გახლავთ გაზეთ ,,დროების“ 1918 წლის პირველი ნომრის ძირითადი თემატიკა, რაც დღეს ისტორიაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევის თემა მოვლენების ისტორიულ კონტექსტში დანახვა არ გახლავთ, ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, მერაბ მამარდაშვილის[7] ერთი მოსაზრება გავიხსენოთ, რადგან თავად მამარდაშვილი, როგორც ჩვენი უახლესი დამოუკიდებელი ქვეყნის აზროვნების ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ხაზი, ვფიქრობთ, ცოცხლად იმუშავებს მოვლენების, ფაქტების დეფინიციებისას, ვინაიდან აზრი ქმედითი ხდება მაშინ, თუ მას საციცოცხლო თუ უსიცოცხლო ძალები დაეჭიდებიან. ამ ტიპის ბრძოლაში კი გაიმარჯვებს ის, საითაც ადამიანური ძალისხმევა დადგება. ალბათ ეს უსიცოცხლო, მორყეული თუ არარსებული ე.წ. საყრდენები იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საბედისწერო 1921 წლის 25 თებერვლის ჩამოდგომისა.

მოვუსმინოთ მეოცე საუკუნის ბოლოს ქართულ კულტურაში ამოსულ ცოცხალ ფილოსოფიურ აზრს: ,,ისტორია არის არა უბრალოდ ემპირიული ხდომილებებისა და შემთხვევითობების დროში მიმდინარე ნაკადი, არამედ ადამიანის ორგანოა, რომლითაც თვით ადამიანი ყალიბდება...ამავე დროს, ისტორია არის პიროვნებისა და მისი თავისუფლების დრამატული ასპარეზი. არავითარი სხვა აპრიორული მექანიზმები ისტორიას არ გააჩნია“ *(მამარდაშვილი, 2015, 202)*. გავაანალიზებთ, რომ ამ აზრის მიხედვით, ისტორიისა და ადამიანის ჩამოყალიბება ურთიერთგამომდინარე პროცესია და ზუსტად ისე აიგება ისტორია, როგორც ადამიანის შინაგანი ადამიანური სამყარო (ცოცხალი ან უსიცოცხლო), ე.ი. შესაბამისად, აზროვნების მოდელებია განმსაზღვრელი

[7] მამარდაშვილი მერაბ კონსტანტინეს ძე(15.IX.1930 — გორი, 25 XI. 1990-თბილისი) — ქართველი ფილოსოფოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ისტორიული ფენომენის ჩამოყალიბებისას. აზროვნების მოდელს კი საუკეთესოდ წარმოაჩენს ბეჭდვითი ორგანო ,,ერთობა“, რომლის პირველი ნომერი საგულისხმო გზავნილებს გვაწვდის წინა საუკუნიდან სწორედ ისტორიის წაკითხვის თვალსაზრისით. სამწლიანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამ კონტექსტით წაკითხვა მნიშვნელოვანი ინვესტიცია გვგონია საქართველოს გასაბჭოების უფრო ზუსტი წინაპირობების გასაგებად, ვიდრე მხოლოდ გარეთ არსებული აგრესიული პოლიტიკური პროცესებისა და ძალების მიზეზად დასახელებაა, რაც, მნიშვნელოვანი აღმოჩნდება მომავლის კონტურების გასააზრებლად, მით უფრო, თუკი ადამიანური ღირსებისა და სინდისის ცოცხალი ტრადიციის მოუშლელობაზე გადის ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხი და ხანგრძლივობა. ამ კონტექსტით მიმოვიხილოთ 1918 წლის გაზეთი ,,საქართველო“, პირველი ნომერი.

გაზეთ ,,საქართველოს“ პირველივე გვერდი სრულიად განსხვავებულია გაზეთი ,,ერთობისაგან“, ვინაიდან დაცულია საგამომცემლო კულტურა და მინიშნებულია რედაქტორის და რედაქციის წევრთა ვინაობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1918 წელს რედაქტორი გახლდათ გრიგოლ ვეშაპელი[8] პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნული იდეების ერთგული, რომელიც გასაბჭოების შემდგომ ემიგრაციიდანაც ცდილობდა სახელმწიფოებრივი საქმის აღსრულებას. რედაქტორისა და რედაქციის წევრთა ვინაობა არსად ჩანდა გაზეთ ,,ერთობაში“, ალბათ მათი მკითხველისთვის ისიც კმაროდა, რომ გაზეთი ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას წარმოადგენდა. პირველივე

[8] ვეშაპელი გრიგოლ გიორგის ძე (ვეშაპიძე) (1892, სოფ. საირხე, შორაპნის მაზრა - 10.VI.1926, პარიზი) - პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი

მნიშვნელოვანი განსხვავება მიუთითებს, რომ პიროვნების ვინაობა, ,,საქართველოს“ მკითხველისთვის უმნიშვნელო არ გახლდათ და კოლექტიური ცნობიერება, რომელიც მუშათა ორგანიზაციის სახელითაა ცნობილი, არაფერს ეუბნება განსხვავებული გემოვნებისა და ღირებულებითი სისტემის მკითხველს. ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო, მაგრამ რეალურად ფუნდამენტური სხვაობა მიუთითებს ღირებულებითი კატეგორიების პოლარიზებას, ამბიციური და უამბიციო, უხამსი თუ რაფინირებული გემოვნების ნიშნულებს. პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ იმ ავტორების გვარებსა და მათივე პუბლიკაციების სათაურებს, რომლებმაც ახალი ქართული კულტურა გააცოცხლა.

გაზეთი ,,საქართველო“ 1918 წლის პირველ იანვარს, ორშაბათს, ასეთ შინაარსს გვთავაზობს: გრიგოლ ვეშაპელი: ,,ახალ წელს“, ვალერიან გაფრინდაშვილი - ,,სურნელი, სარკე“, პაოლო იაშვილი - ,,სონეტი“, გრიგოლ რობაქიძე - ,,მელანქოლია“, ტიტე ტაბიძე - ,,ბალაგანის მელი“, სანდრო ყანჩელი - ,,შავკაბიანი“ , ლელი ჯაფარიძე - ,,ფოსტალიონი“, შალვა დადიანი - ,,მცინარე“ დავით კასრაძე - ,,იმ ბნელ ღამეში“, სიმონ ქვარიანი - ,,ზეციერ ასულს“ და ზ. ბუსურაშვილი - ,,მძლეთამძლეც დამარცხდა“ (იხ.დანართი) გაზეთის ბოლო გვერდზე განთავსებულია ცისფერყანწელთა შემოქმედება. ბუნებრივად ჩნდება აუცილებლობა, რომ მათ სიტყვას დაუგდო ყური და ამ სიტყვების ქვეტექსტებით წაიკითხო მთელი ნომერი. აქვე შესაძლებელია სავარაუდო მომავლის კონტურების მონიშვნა და თუ გავიხსენებთ ვალერიან გაფრინდაშვილის[9] პროზაულ ტექსტს ,,შენიშვნები ლირიკაზე“, მეტად დაზუსტდება კომუნიკაცია მკითხველსა და ავტორს, გნებავთ, ჩვენი დროის მკითხველსა და პოეტს

[9] გაფრინდაშვილი ვალერიან ივანეს ძე(2.I.1889, ქუთაისი - 31.I.1941, თბილისი) - პოეტი

შორის, ვინაიდან სიმბოლისტი გაფრინდაშვილი მიიჩნევს, რომ ლირიკა ავტოპორტრეტია, თეატრი თავისთვის და ლოცვა; რომ ლირიკას წარსულში პრეტენზიები არ ჰქონია, რომ იგი უპირისპირდება სამყაროს და უკან დასახევი გზა არსადაა. ვალერიან გაფრინდაშვილის შორეული ასოციაციით, ლირიკა ტრაგედიის მაგივრობას ასრულებს *(გაფრინდაშვილი, შენიშვნები ლირიკაზე, 1919).* თუ საგაზეთო პუბლიკაციების გვერდით გამოქვეყნებული ლირიკული ქმნილებების განხილვას შევუდგებით და ამ მთავრ თეზისად ლირიკას როგორც ჟანრის წარმომადგენელს ტრაგედიის ნაცნობ მოვლენად აღვიქვამთ, მაშინ პოეტურ ნააზრევს სრულიად განსხვავებული, საკრალური და ფუნდამენტური დატვირთვა ექნება, ვინაიდან ტრაგედიის დანიშნულება ადამიანის მრავალსახოვანი ბუნების ჩვენებაა და ამ მრავალსახოვნების შედეგად გაცხადებული რეალობის ამოხსნა, დროითი და სივრცითი კატეგორიების ბუნების გარკვევა, მცდარი, მოჩვენებითი, წყვეტილი მიზეზშედეგობრივი კავშირების დაშლა და ახლიდან აწყობა, არსებული რეალობის ტრაგიზმის მიზეზთა გარკვევა, ამოხსნაა, საკუთარ თავთან შემხვედრი გზების გაწმენდა და უსაფრთხო ბილიკების აღმოჩენაა, რაც ტრაგედიის მიზეზებსაც დაადგენს. სწორედ ამ ხერხით უნდა წავიკითხოთ გაზეთ ,,საქართველოს“ 1918 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი სიმბოლისტთა ლირიკული ნააზრევი, სადაც ჩვენი ინტერპრეტაცია ასე დალაგდა: ,,სარკისადმი განუკურნელი ტრფობა“ საკუთარი თავის დანახვის სურვილი, ,,საიდუმლო სურნელით შემკული ბროლის სერაბიმი“ კი ის ნამდვილი უცვლელი და წარუვალი ადამიანური წერტილი გვგონია, დაბადებისას რომ დაჰყვება კაცს, ღვთის შვილს და რომელსაც ყველაზე მეტად და დაუნდობლად იმეტებს გადასაკარგად, განსაშორებლად. ამ საბედისწერო დაშორებას მართლაც მოსდევს ,,ცის

შუშაბანდების დავიწყება“ და ბუნებრივად ,,სიბნელეში დამწვარი სარკეც“, ,,წამებული ლანდებიც“. აქ წამებულ ლანდებთანაა ტრაგედიის კულმინაცია, რომელსაც კათარზისი მოსდევს და ლექსშიც ისევე გამოიდარებს, როგორც ტრაგედიაგანცდილ სულში. მარადობის, ყმაწვილი გედებისა და ფიქრის ამოქმედება ახალი ჰორიზონტების გაშლას ლამობს, ფიქრისა, რომელიც ადამიანს აცოცხლებს:

,,მე ისევ ვეტრფი ორეულთა სასტიკ მყინვარებს,

რომ აჩრდილების მოვისმინო თეთრი ბრძანება.“

(ვ.გაფრინდაშვილი, საქართველო, 1918, 1იანვარი)

და ლექსის ბოლო სტრიქონები არის ლოგიკური დასასრული, რადგან ადამიანი მაინც აჩრდილების თეთრ ბრძანებასთან რჩება, მიუხედავად ტრაგედიის დეიფიკაციური ბუნებისა. ეს აჩრდილები კი არსად მიდიან, არსად ამ ცისქვეშეთში და ისიც საქმეა, თუ აჩრდილს აჩრდილი ჰქვია და ადამიანისთვის დაცლილია ნამდვილობისგან, თორემ სამყაროს შემოქმედმა კარგად უწყის, აჩრდილის აჩრდილობა. ამ მიმართებით ლექსი ლოგიკურად დასრულდება. საქართველოს პირველი ნომრის მეოთხე გვერდი, შეიძლება ითქვას, მცირე პოეტური ბროშურაა. ნომრის ასეთი დასასრული მიუთითებს იმ ძლიერ ინტელექტუალურ-ემოციურ ნაკადზე, ეროვნულ-დემოკრატებს რომ უმაგრებს ზურგს. მართალია, ნომრის განხილვის დასასრულს ჩვენ ვსაუბრობთ არა პუბლიცისტიკაზე, არამედ პოეზიაზე, მაგრამ გაზეთში დაბეჭდილი პოეტური ქმნილებები, შესაძლოა პუბლიცისტიკის ნაწილადაც გავიაზროთ, ვინაიდან შემთხვევით არც ერთი ლექსი მოხვდებოდა 1918

წლის პირველ ნომერში. გამოვარჩევდი გრიგოლ რობაქიძის[10] ,,მელანქოლიას“, რომელიც ჩვენთვის ერთგვარი გადაძახილია 21-ე საუკუნის დიდ ესთეტთან ლარს ფონ ტრიერთან[11] მის ,,მელანქოლიასთან“, სამყაროსეული ძრწოლის, ადამიანური ნების უსუსურობას რომ ატრაგიკულებს და აიძულებს მაყურებელს, სამყაროს კანონზომიერებას დაუგდოს ყური, მის ნებას დაჰყვეს, მოემზადოს დიდ დასასრულთან შესახვედრად, რაც ობივატელში გარდაუვალ სასოწარკვეთას ბადებს, ცოცხალ ადამიანს კი შეხვედრის გაბედულებას მიმადლებს. რობაქიძის ინტუიციაც იმავეს ამბობს, მისი ადამიანური, შინაგანი მზერა მიმართულია უეჭველი კატასტროფისკენ, რისთვისაც დედამიწის დიდი ნაწილი გაუაზრებლად ემზადება და რასაც ახალ საუკუნეში ხანმოკლე მეოცე საუკუნესაც დაარქმევენ. თუმცა ჯერ იქამდე სამი წელია. ჯერ საქართველოში 1918 წლის პირველი იანვარია.

თავისუფლების პირველი წლის ზოგადი განწყობისა და ღირებულებითი კატეგორიების გასააზრებლად მეორე და მესამე ნომრების გადახედვაც არსებითი ინფორმაციის შემცველია.

1918 წლის გაზეთი ,,ერთობის“ მეორე ნომრის პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ წერილს სათაურით ,,ნარევი ტაქტიკა“, სადაც სოციალ-დემოკრატების გულისტკივილია გამოთქმული იმის შესახებ, თუ როგორ გადააჭარბა ბოლშევიკების ანარქობლანკისტურმა ტაქტიკამ ყოველგვარ მოლოდინს, რომ ,,ხიშტოკრატია“ ლენინისა და ტროცკის ანტიმარქსისტული მოძრაობაა, რომ ყველა ტიპის სოციალისტური მიმდინარეობიდან, რასაც მარქსი და ენგელსი თითქმის ნახევარი საუკუნე

[10] რობაქიძეგრიგოლ ტიტეს ძე (28.X.1882, სოფ. სვირი - 19.XI. 1962, ჟენევა) - ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამედროვე ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი

[11] ლარს ფონ ტრიერი (30.IV.1956-კონგენს ლინგბი) დანიელი რეჟისორი სცენარისტი

ეწინააღმდეგებოდნენ, საბოლოოდ გამოვიდა მეცნიერული სოციალიზმი, კარლ მარქსის მსოფლმხედველობის საწინააღმდეგოდ. აღნიშნავენ, რომ ძალმომრეობა გადაქცეულა ბოლშევიკების მეთოდად *(ერთობა, 1918, 4 იანვარი.)* ამ პუბლიკაციას არ ჰყავს ავტორი. როგორც ჩანს, კოლექტიური გულისტკივილია გაცხადებული. ჩვენთვის კი ძალიან სიმპტომურია ის, რომ წერილი სრულდება შემდეგი ოპტიმისტური აზრით: ,,ბოლშევიკების ავანტურის დღეები ითვლება და მათ ბატონობასაც ბოლო ეღება“ *(ერთობა, 1918, 4 იანვარი).* საგულისხმო მინიშნებაა ეს დასასრული იმ დასკვნის გამოსატანად, რომ სოციალ-დემოკრატების კოლექტიური აზრი და ინტუიცია უუნაროა, როგორც ყველაფერი კოლექტიური. მათ არ ძალუძთ ახალი მსოფლიო წესრიგის, უფრო ზუსტად, უწესრიგობის განჭვრეტა, მაშინ როცა გაზეთ ,,საქართველოში“ გამოქვეყნებული ავტორები ქვეშეცნეულად თუ ცნობიერად, ლოგიკურად თუ ინტუიტურად, გრძნობენ საშიშ მომავალს. ამ ნიშნებს კი ყველგან ხედავენ სწორედ იმ მზერით, ვალერიან გაფრინდაშვილის ტრაგედიაგამოვლილ გმირს რომ ეხსნება პოეტური ტექსტით. მათი სააზროვნო ლაბირინთი საქართველოს ისტორიის ღრმა წარსულიდან არ ამოძირკულა, ამბიციურად უგემოვნო რევოლუციონერებივით ახალი დრო, ცივილიზაცია არ დაუწყიათ. მათ მემკვიდრეობითი ჯაჭვის მონოლითურობისგან არ ჩამოუჭრიათ თავი და ისტორიის დიდ შლეიფს თან დაატარებდნენ. ალბათ ამიტომაა მათი მზერა უფრო გამჭოლი და ინტუიტურად უტყუარი. მათ შორის რადიკალური სხვაობაა აზროვნების მანერაში, ღირებულებით აცდენებსა თუ სამყაროს მეტად გაქვავებული მატერიის აღქმაში. ამ ხედვას ამძაფრებს აღნიშნული სტატიის ერთი წინადადება: ,,კარლ მარქსი გვასწავლის, რომ მატერიალური ძალა მატერიალური ძალის საშუალებით უნდა დაემხოს, მაგრამ თეორიაც ისეთივე მატერიალური ძალაა, როცა იგი მასის

ხელმისაწვდომი გახდება და ფართო მასაში შეგნება-შემეცნებად იქცევა“ *(ერთობა, 1918, 4 იანვარი).* აქ სიმპტომური სიტყვები გვხვდება, ესაა - მატერიალური ძალა და დამხობა. მატერია ხდება ახალი დროის საზრისი. ახალ რევოლუციონერს არ აინტერესებს მატერიის მიღმა არსებული, მისთვის რეალურად მყოფობს ის, რაც ხილულია, იგი უძლურია დაინახოს სამყარო სხვა განზომილებაში, ჩასწვდეს ირაციონალურის მნიშვნელოვნებას, პროფანულის წარმავალობას. მისი ბუნება ატროფირებულია იმისთვის, რომ ეძიოს, განჭვრიტოს, ლოგიკურად იფიქროს და აღმოაჩინოს უცვალებლობა და სრულყოფილება. ახალი რევოლუციონერის ცხოვრებაში, რომელიც სოციალურ გარდაქმნებს აიდიალებს, არამატერიალურისადმი ინტერესი მკვდარია, წყვდიადია ჩამოწოლილი (როგორც პოსტმოდერნული, ბოლო თუ ახალი დროის ადამიანში, სავსე ყალბი პათოსით) მაგრამ მან, ერთი რამ ჩაძირული ინტუიციის წყალობით მაინც იცის, რომ ,,ხიშტოკრატია“ უკანასკნელ უბირთა თვითდამკვიდრების მეთოდია და მასთან თანაზიარობა არ სურს. თუმცა, მალე მათ შორის ზღვარი წაიშლება, დაკარგავს საკუთარ თავს და იმ არაავთენტური კულტურის ნაწილი გახდება, რომელზეც მ. მამარდაშვილი აღნიშნავს ვასილი როზანოვის[12] წიგნის ,,ამ საუკუნის აპოკალიფსის“ გახსენებისას, რომ რუსი არ სცემს საკუთარ თავს პატივს, რადგან მას არ უშრომია საკუთარი თავის შესაქმნელად, ,,არ დაუმუშავებია ნიადაგი საკუთარი სულისა საიმისოდ, რომ ღვთაებრივი შუქი შემოეშვა“ *(მ. მამარდაშვილი, 2015, 208)*, არ აუგია საკუთარი თავი, და მნიშვნელოვანში, დეტალში მთელი არ დაუნახავს. თუ დავსვამთ კითხვას: ადამიანი რაკიღა ვერ ცნობს საკუთარ თავს, როგორღა სცეს პატივი ჯერ

[12] *როზანოვი ვასილი* (20. IV.1856-ბეტლუგა, კოსტრომის გუბერნია, 5.II.1919.) რუსი ფილოსოფოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, პუბლიცისტი და მწერალი

თავს, შემდეგ სხვას? როგორ შეიძლება დაინახოს ნამდვილი საკუთარი თავი, შემდეგ ნამდვილად აღიქვას რეალობა, წარმოსახვას დაარქვას წარმოსახვა, მზეს მზე, ჩრდილს კი ჩრდილი, მივადგებით ჩვენთვის გადაულახავ წინააღმდეგობას, ვინაიდან აქ პასუხი რთულად მოსაძებნია. ამ პასუხის, უფრო ზუსტად, სავარაუდო პასუხის, ანუ ინტერპრეტაციისთვის გადავხედეთ ამავე ნომერს, გაზეთი ,,საქართველოს“ 1918 წლის 4 იანვარს. მეორე გვერდზე, ვფიქრობთ, სწორედ საპასუხო სტატია დაიბეჭდა სათაურით: ,,როგორი უნდა იყოს საქართველოს დემოკრატია“. ავტორი ხ. დარინი. პუბლიკაცია პირველივე სტრიქონებიდან იწვევს ინტერესს. ტექსტის კომპოზიცია ისეა აგებული, რომ მთავარ სათქმელთან მისასვლელად ავტორს საფეხურების ავლა დასჭირდა. რედაქციაც თვლის, რომ წარმოდგენილ ლოგიკას უნდა მიჰყვეს. ავტორი დასაწყისშივე მოიყვანს დებულებას, რომელიც საყოველთაოდ, კოლექტიურადაა მიღებული, რომ ,,ყოველი პარტია არსებული საქართველოში, რომელიც ეწინააღმდეგება მსოფლიო დემოკრატიას, უნდა იქნეს აღიარებული, როგორც არადემოკრატიული“ *(საქართველო, 1918, 4 იანვარი).* თითქოს აქ ყველაფერი რიგზეა, ფორმაც და შინაარსიც. სავარაუდოდ, არც ოპონენტი არ უნდა ჰყავდეს არსებულ დებულებას, მაგრამ არა იმ ავტორისთვის, რომელიც მიუჩვეველია კოლექტიური სურათ-ხატებისა და ნიშან-სიმბოლოების მიკერებას და სურს ინდივიდუალურად, ღრმა კულტურული გამოცდილების კვალდაკვალ გაიაზროს დემოკრატიის არსი, როგორც თავად აღნიშნავს: ,,სრული წარმოდგენა რომ გვქონდეს საქართველოს დემოკრატიის შინაარსზე, მის მიზნებსა და საშუალებებზე, ინდივიდუალური - იმ ჟამს და იმ ადგილას მყოფი...თვისება საქართველოს ცხოვრებისა, რომლის საზღვრებში განხორციელებული უნდა იქნეს დემოკრატიული წესი“

(საქართველო, 1918 4იანვარი). ლოგიკის ელემენტარული წესებით ხელმძღვანელობს ავტორი, როდესაც ქართულ და გერმანულ დემოკრატიას ადარებს და როგორც პატარა ერის და ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენელი, ქართული კულტურის ინდივიდუალურობას ჩრდილს არ აყენებს. ავტორი შემეცნების სფეროებს განიხილავს, სადაც შესაძლოა კოსმოპოლიტური დემოკრატია ავთენტურად ითვლებოდეს, რაც დიდ შეცდომად მიაჩნია და ფიქრობს, რომ ეროვნული დემოკრატია ერის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს. საგულისხმოა წერილის, ჩვენი აზრით, უმთავრესი დასკვნითი ნაწილი, სადაც დემოკრატიის მიზნად ავტორი ბედნიერების უფლებას განიხილავს. ბედნიერების დეფინიცია, ეროვნულ-დემოკრატისთვის ადამიანური სახის შენარჩუნებას, საკუთარი თავის შექმნა-დადგენა-განვითარებას გულისხმობს, ჭვრეტითი ცხოვრების უნარს და მოცალეობის შესაძლებლობას. გაზეთ ,,ერთობაში" კი ბედნიერების, დემოკრატიის ამგვარი დეფინიცია მკვდარია. იქ არსებობს მხოლოდ კოლექტივი, რომლის ბედნიერებაც საბოლოოდ რვასაათიანი სამუშაო დღით, შაბათ-კვირას დასვენებით შემოიფარგლება, სადაც სხეული უნდა მოდუნდეს, დატკბეს და ორშაბათიდან შეუდგეს გეგმის შესრულებას. როდის, როგორ საზოგადოებაშია შესაძლებელი ინდივიდუალური, ეროვნული დემოკრატია, ბედნიერების, სხვაგვარად საკუთარი თავის აგების იდეების შემქმნელი ადამიანი, რომელიც გადაწონის კოლექტივს? თუ დავამატებთ აქ და ახლა პრინციპის მნიშვნელოვნებასაც, რომელიც ყოველი სიცოცხლისუნარიანი პროცესისათვის თანმდევი და ხელოვნურობის მტერია, პასუხს შესაძლოა მივაგნოთ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ინტელექტუალთან, რომელმაც, ჩვენი აზრით, სწორედ იმ ღრმა კულტურული საზრისის

ძიების უწყვეტობა განაპირობა, რამაც ოცდამეერთე საუკუნეში ასევე ინტელექტუალთა ვიწრო წრეს გაბედულება შესძინა და შეაძლებინა ხმამაღლა ესაუბრა დემოკრატიის, პოლიტიკური რეჟიმებისა თუ ინსინუაციური იდეების სიმყიფეზე. ჩვენ კვლავ მამარდაშვილს მივაკითხეთ, რადგან მარტივი სქემების კოპირება დასავლური, საყოველთაო, უნივერსალური, კოსმოპოლიტური იდეების უღირსი მიმბაძველობა და პლაგიატი ჩვენი დროის უდიდეს პრობლემადაც გვეჩვენება, ვინაიდან ხშირად გაფეტიშებული, გაიდეალებულია ყველაფერი, რასაც სხვა, უცხო დაადგენს. ეროვნული იდეა და ღირსება ნებისმიერ მუშა ტრენდზე გაცვლადია. არ დაისმის კითხვა, სხვა უშვებს თუ არა შეცდომებს, იქნებ გადახედვა, გადასინჯვაა საჭირო, საკუთარ თავზე მორგება, როგორც სამოსელის, სამოსელი პირველის, საკუთარ თავში ღმერთის ანარეკლს რომ სცემს პატივს. ეს პროცესი კი თავისუფლების ცოდნისა და გამოცდილების გარეშე შეუძლებელია, რომელიც ბუნებრივად ცოცხლობს ადამიანში, ან არა. შესაბამისად, ან შესაძლებელია საუბარი დემოკრატიაზე ისე, როგორც გაზეთ ,,საქართველოს“ ავტორი ახერხებს, ან არჩევანი კოლექტივის სასარგებლოდ წყდება, როგორც გაზეთ ,,ერთობის“ იდეური მემკვიდრე. სწორედ ამ დროს აქტიურდება მოლოდინის რეჟიმი გარედან ნაკარნახევი ხმამაღალი, ზოგადი ფრაზებისა თუ მოწოდებების მიკერებისა. ამ დროს კარი ღიაა ნებისმიერი ქაოსური მომსვლელისთვის და ყალბ, ღიმილიან პათოსებს ადამიანების აჩრდილებში უხარიათ საკუთარი თავის გადაკარგვა. ეს სიხარული კი თავისად ისეთივე მძიმეა, როგორიც გალაკტიონის 1915 წელს დაწერილ ,,ლურჯა ცხენებში'' ჩარგული თითქოს წინასწართქმული სტრიქონი: ,,სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა“.

მაგრამ ეს სტრიქონი საუკუნოდ აედევნება იმ აჩრდილსაც, სიცოცხლის ნიშანწყალს რომ მაინც სულ დაატარებს.

ამ ორი წერილის განაზრებისას მთავარ განმასხვავებელ ნიშნად, რასაკვირველია, მოჩანს ფუნდამენტური ყოფნა-არყოფნის საკითხი. ერთგან მთავარი საყრდენი ჩაშლილია, სამყაროს შემოქმედი არ არსებობს და არც ინდივიდია პატივსაცემი, კოლექტივი მართავს და კოლექტივი ელის რეკომენდაციებს გარედან, რომელსაც მარტივად, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეასრულებს კიდეც.

1918 წელი მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიაში ცხელი წელი იყო: დამოუკიდებლობის გამოცხადება, ე.წ. დენიკინის თათბირი, ომი სომხეთთან და ამიერკავკასიის კონფერენცია. ჩვენ წავიკითხეთ პოლიტიკურად ცხელ მოვლენებში ჩაშლილი მთავარი პუბლიცისტური აზრი და შევეცადეთ დაგვედგინა სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან კონკრეტული ფაქტების განსხვავებულად აღქმის მიზეზები. რაც, სავარაუდოდ, 1921 წლის თებერვალის მოახლოების მთავარ მიზესსაც გვაპოვნინებს. მანამდე საქართველოში 1918 წლის 26 მაისი უნდა დადგეს. სამწლიანი თავისუფლების დასაწყისი.

საქართველოს დამოუკიდებლობის ფენომენის გააზრებისას ჩვენს მთავარ კითხვად კვლავ რჩება შემდეგი: იყო თუ არა ქართველი საზოგადოებისთვის დამოუკიდებლობა ბუნებრივი მოვლენა? რაზეც ნაწილობრივ ვუპასუხეთ კიდეც. თუმცა პასუხის შესავსებად რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ, სადაც ფაქტობრივი მასალაა გადმოცემული.

გერონტი ქიქოძის, სიმონ ქვარიანის[13], ვასილ წერეთლის[14], ტიტე მარგველაშვილის[15] და ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენელთა პროგრესული აზრი ვერ გაუმკლავდა ხალხის აკვიატებულ ინსინუაციებს და ვერც ხელისუფალთა ამბიციურ ზედაპირულობას. ისტორიას თუ მითად არ ვაქცევთ და ყველაფერს საკუთარ სახელს გამოვუძებნით, იქნებ განსჯის არე გაფართოვდეს კიდეც. თავად განსაჯეთ, რამდენიმე ამონარიდს გაგაცნობთ: „პირველსავე დღეს ვიღაცა ფანატიკოსმა აფხანიკმა (ამხანაგმა) ჩამოგლიჯა საბჭოს შენობის თხემზე მოფრიალე ეროვნული დროშა და აღმართა ისევ წითელი რუსული ბაირაღი წარწერით „გაუმარჯოს რუსეთის დამფუძნებელ კრებასო... ამას მზერს საქართველოს მთავრობა, ამას ითმენს ქართველი ერი“ *(საქართველო, 1918, 28 მაისი)*;

„არასდროს, როგორც ეს უკანასკნელ დროს, საქართველოს მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ასე ხელშემწყობი პირობები არ წარმოშობილა. მცირეოდენი ცდა და გარჯა კმაროდა, რომ მონობის მძიმე უღელი კისრიდან გადაგვეგდო და ჩვენი თავის პატრონობა, საკუთარი ბედის ქმნის უფლება ხელში ჩაგვვარდნოდა. იმავე დროს არასოდეს საქართველოს პოლიტიკურ მეთაურებს მარჯვე და მოხერხებული დრო ასე ცუდად არ მოუხმარიათ“ *(საქართველო, 1918, 28 მაისი).*

„ჩვენ ვდგავართ დიადი საფრთხის წინაშე, ჩვენ შეიძლება დავკარგოთ არა თუ ე. წ. დემოკრატიული ფრონტი, არამედ ყოველგვარი შესაძლებლობა ერის თავისუფალი განვითარებისა, ...ყველაფერი ის, რისი

---

[13] ს.ქვარიანი (დ13.IV.1868, ქუთაისი- 14.I.1946) — ქართველი ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი.

[14] წერეთელი ვასილ გიორგის ძე (18.I.1862, სოფ. ცხრუკვეთი, შორაპნის მაზრა - 23.X.1937, თბილისი) - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ექიმი, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი

[15] მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე (1891 - 1946) - ეროვნულ-დემოკრატი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე

იმედით სუნთქავდა რუსეთის მონობისა და უსაშინელეს ეროვნული დევნის დროს ერის საუკეთესო ნაწილი და ამის მთავარი მიზეზი იქნება ჩვენი საკუთარი უსუსურობა, პოლიტიკური აღზრდის უქონლობა და გასაოცარი სიბეცე, რომელიც ახასიათებდა ე.წ. რევოლუციის დემოკრატიის მესვეურთ, მართვა-გამგეობისა და ძალაუფლების მათ ხელში გადასვლისა“ *(საქართველო, 1920, 24 მაისი).*

„ცხადია, რომ თუ სახელმწიფოებრივი, ფინანსური და მილიტარული ორგანიზაცია ვერ მოვაწესრიგეთ, შეიძლება, რომელიმე მეზობელი ან უცხო სახელმწიფო დაგვეპატრონოს, მაგრამ ეს თქვენი ბრალი იქნება და არა ჩვენი. იმიტომ, რომ სახელმწიფოს დღეს თქვენ მეთაურობთ. ამ მხრივ ჩვენსა და თქვენს შორის მართლა მთელი უფსკრულია. თქვენ გგონიათ, რომ ხსნა წითელ გვარდიაშია“ *(საქართველო, ქიქოძე,1920, 28 მაისი).*

,,შუა ევროპის სახელმწიფოების გეგმას არ ეწინააღმდეგება ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი არსებობა... ამდენი მტკიცება არ დაგვჭირდებოდა, საზოგადოება და ხელმძღვანელი წრეები ოდნავად მაინც რომ იცნობდნენ ევროპულს, კერძოდ გერმანულ მეცნიერულსა და პუბლიცისტურ ლიტერატურას"... *(მარგველაშვილი,1918, 28 მაისი).*

,,საქართველოს სახელმწიფოს პერსპექტივა და ეკლესია" - ,,როგორ გადაწყდება ეკლესიის საკითხი საქართველოში, ეს მომავლის საქმეა, ყოველს შემთხვევაში ამას უნდა სერიოზული და ხანგრძლივი მუშაობა, რომელიც დაეყრდნობა არა მარტო პროგრამებსა და მზა ფორმულებს, არამედ უმეტესად პოლიტიკურ-ისტორიულსა და მეცნიერულ მოსაზრებებს" *(საქართველო,1918წ., 17 მაისი).*

უკანასკნელი თეზისიც ზუსტად ასახავს ეროვნულ-დემოკრატების საკითხთა გადაწყვეტის მანერას, მათ ინდივიდუალისტურ, კონტექსტუალურ ხედვას, ვინაიდან ეკლესიის ისტორიის უძველეს

ტრადიციასაც არ აქვს მზა ფორმულები და მხოლოდ ახალ დროზე ორიენტირებული უნდა გაცოცხლდეს ხელახლა.

მოცემული ამონარიდებიდან გამომდინარე, რთული გადასახედია ასი წლის წინანდელი თავისუფლებისა თუ ფსევდო-თავისუფლების გამოცდილება. ჩვენთვის მოვლენებისა და ფაქტების სახელდებაც რთულია, ვინაიდან სრულად ვემხრობით ეროვნულ-დემოკრატების დამოკიდებულებას, რომლნიც მოვლენების ფართო ხედით დანახვას ცდილობენ და ჩვენც იმავეს გვთავაზობენ ასი წლის შემდეგ. დიდი სურათის აღქმა კი მხოლოდ ადამიანური, ცოცხალი აზრის მოხელთების წვრთნითა და დაძაბული ძალისხმევითაა შესაძლებელი.

1918 წლის 26 მაისის მოვლენა ანალიტიკურ პუბლიკაციებში

გაზეთი ,,ერთობა“. პირველ გვერდზე გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით ,,იძულებითი ნაბიჯი“. ეს პუბლიკაცია ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენი აზრითაც ხელოვნური პროცესი იყო და არა გააზრებული ეროვნული იდეის განხორციელება. საქართველო სოციალ-დემოკრატების მიერ განიხილებოდა ჯერ რუსული რევოლუციის ნაწილად და შემდეგ ამიერკავკასიისა, მაგრამ ვინაიდან ერთმაც და მეორემაც კრახი განიცადა, სხვა გზა, გარდა დამოუკიდებლობის მიღებისა, არ არსებობდა. ამ დებულების ნათელსაყოფად ორ ამონარიდს მოვიტანთ. პირველი: ,,სანამ რუსეთის რევოლუცია ცოცხლობდა, ჩვენ მთელი რუსეთის საზომით ვეწეოდით მუშაობას, ხოლო როცა რუსეთი დაიშალა და დემოკრატიული მუშაობის გაერთიანება შეუძლებელი გახდა, ჩვენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას დავუჭირეთ მხარი“ *(ერთობა,1918, 25 მაისი)* და

მეორე: ,,თუ ჩვენ დღემდის თავგამოდებით ვიცავდით ამიერკავკასიის მთლიანობას, დღეს შეიძლება გარემოებამ გვაიძულოს ცალკე მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რადგან ამიერკავკასიის მთლიანობა უკვე დარღვეულია“ *(ერთობა, 1918, 25 მაისი)*. ამავე პუბლიკაციაში სამდურავია გამოთქმული ეროვნულ-დემოკრატების მიმართ, რომ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომხრენი იყვნენ და სოციალ-დემოკრატებს ადანაშაულებენ საქართველოს დაღუპვაში. აღნიშნული ტექსტი ჩვენთვის ერთობ სიმპტომური და მრავლისმთქმელია, ვინაიდან ცხადია, რომ ეროვნული, დამოუკიდებელი, ინდივიდუალური იდეის არსებობა და ამ იდეით გაერთიანება ინდივიდებისა და არა მასისა, მათთვის თითქმის წარმოუდგენელი იყო. საქართველო განიხილებოდა, როგორც ერთი მთელი, დიადი პროცესის შემადგენელი ნაწილი და არა დამოუკიდებელი კულტურული ერთეული, რომელსაც ძალუძს საკუთარი თავის აგებაც და გაცხადებაც. ამგვარი მიდგომა საკუთარი ქვეყნის მიმართ, ვფიქრობთ, ბუნებრივად გამოიწვევს და მოიზიდავს 1921 წლის 25 თებერვალს. ეს ჩვენთვის გაზეთ ,,ერთობის“ ტექსტებითა და ქვეტექსტებითაც ცხადია და ჩვენი მიზანიც სწორედ ამგვარი ნაკლოვან ფიქრთა თუ ქმედებათა წარმოდგენა და ანალიზია, ვინაიდან თანამედროვე საქართველოს ერთი ნაწილი კვლავ დიდი, ნათელი მომავლის, თავისუფალი ადამიანის შექმნის იდეითაა შეპყრობილი. იგი ვერ და არ ხედავს ინდივიდუალურ საზომს ერის ისტორიის, ღირსებისა თუ ინდივიდუალიზმისა, რომელიც მას მსოფლიო პროცესიდან არ მოწყვეტს და საკუთარ სახესაც შეუნარჩუნებს.

აღნიშნული პუბლიკაციის მიხედვით, რატომ ვერ აღიქვამს სოციალ-დემოკრატი თავს ინდივიდად, რატომ უჭირს საკუთარი იდენტობის აღქმა კოლექტივის გარეშე, ანუ რატომ არ არის ის მოქალაქე? ამ კითხვის პასუხი

შესაძლოა შემდეგი კითხვის პასუხსაც მოიცავდეს: როდის არის ადამიანი მოქალაქე? თუ ადამიანისთვის მოქალაქეობა, ამ სიტყვის ნამდვილი შინაარსით უცხო არაა, მაშინ მას შეუძლია ქმედებაში განახორციელოს მოქალაქეობრივი აუცილებლობა და ცხოვრების წესადაც დაამკვიდროს. მეტიც, სხვაგვარად ვერც მოიქცევა. აქ საქმე გვაქვს მაინც სამყაროს ხედვისა და აღქმის მანერასთან. როგორ ხედავს იგი, ღვთაებრივი ბუნების, შემოქმედებითი ინდივიდების სამყოფელს თუ კოლექტიური, თუნდაც სოციალური პაკეტებით დატვირთულ პოლიქრონიონნს. ამ დილემის გარჩევა, ცხადია, მოქალაქის გადასაწყვეტია და ხელოვნურად პროცესების წარმართვა შეცდომაც იქნება. ერთი კი უნდა ითქვას, სახელმწიფოებრიობის განცდას გადაჩვეული ქართველთა უმრავლესობისთვის მეტად მარტივი და კომფორტული ჩანდა კოლექტივის ნაწილად თავის წარმოდგენა, რადგან ისტორიულმა რეალობამ, რომელსაც გააზრებული თუ გაუაზრებელი შეცდომები ერთვოდა, მას მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის იდენტობის ასეთი განცდა ჩამოუყალიბა. თან რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ეროვნული ხმის გაქრობამ გააუცხოვა იგი დიდ დროსთან, უწყვეტ, ფაქიზი ორნამენტებით მორთულ თუ მორთმეულ კულტურულ ტრადიციასთან, რომელთანაც გარკვეული ბმა მაინც უნდა ჰქონოდა, როგორც ეს ეროვნულ-დემოკრატებს აღმოაჩნდათ. ჩვენს ამ მოსაზრებას ასაბუთებს 25 მაისის გაზეთი ,,საქართველო“, სადაც გვხვდება პირველივე პუბლიკაცია სათაურით ,,უგზო უკვლოდ“. ამ სათაურის ქვეშ წაიკითხავთ საყვედურს, რომ ქვეყნის ვითარება უფრო რთულდება, ვინაიდან რევოლუციურად განწყობილ ხელისუფლებასა და პარტიებს ვითარების წინასწარ განჭვრეტა არ ახასიათებდათ და ეს საყვედური, ვფიქრობთ, ბუნებრივიცაა, ვინაიდან მოვლენების მხოლოდ ახლო ხედით,

კონტექსტისა და ისტორიული წანამძღვრების გადაშლის გარეშე აღქმა, სახელმწიფოს გონების, ანუ ხელისუფლების მხრიდან მოვლენების წინასწარი, გონივრული განჭვრეტის შესაძლებლობას ბუნებრივად გამორიცხავს. ამავე ნომერში გაზეთის მესამე გვერდზე დაბეჭდილია ლექსი, რომელიც სრულად ასახავს სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულებას მოახლოებული თავისუფლების მიმართ

,,როგორც ნიანგი არწივის ფრთაზე
ცოდვით დამთვრალი და უძინარი
ნისლი ჩამოწვა სამშობლო მთაზე,
ბნელი, ყომრალი, გაუცინარი.
საშიში ელვა კრთის მის უფსკრულში,
საბედისწერო დასკვნილა მეხი,
და მიწურულა სულთქმა ჩვენს გულში,
რომ იქ სიკვდილმა ჩამოდგას ფეხი“
(ერთობა, 1918, 25 მაისი).

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე ასეთი ცხადი ნიშან-სიმბოლო გასააზრებელია, როგორც ახალი საბჭოთა რეალობის ლოგიკური, თან მისტიკური წინაპირობა, ვინაიდან საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობით დამწუხრებული პოლიტიკური ძალა, მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, მაინც მიადგება საბჭოთა, რუსული რევოლუციის კარიბჭეს და ეს გზა, ჩვენი ფიქრით, არ გახლავთ არც რუსული, არც გარედან ნაკარნახევი, არამედ ბუნებრივი მდგომარეობა სოციალ-დემოკრატიული ძალისა, რომელმაც დაუწერელი, მაგრამ უნივერსალური კანონების მიხედვით, შეუძლებელია, ფართო შარაგზაზე გაიყვანოს ქვეყანა, შეუძლებელია, განვითარებისთვის ბუნებრივი სახე შეუქმნას და შეუნარჩუნოს, მით უფრო, თუ საზოგადოების დიდი ნაწილი

ამ პოზიციასა და ხედვას ეკვრის. ერთ პოლიტიკურ ძალას მიანდობს საკუთარი რეალობისა და ცხოვრების წესის გაწერას.

დამოუკიდებლობის მიმართ თუნდაც პოეტურ ტექსტში სიმბოლურად გადმოცემული სამგლოვიარო განწყობა, ბუნებრივად წარმოშობს უცილობელ არჩევანს, გზას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ. ამ დროს რუსული ძალაც არ დააყოვნებს, ბუნებრივად, ლოგიკურად იმოქმედებს და, თუკი ქმედება იწვევს უკუქმედებას, შესაბამისად, აღწერილ მოცემულობაში თავისუფალი ნება საკუთარ თავს შეზღუდავს, შეავიწროებს და უსიცოცხლობას აირჩევს. ამ რეალობის შემქმნელ სახელმწიფოს საზღვარს უფრო გაშლილი და დარწმუნებული დამპყრობელი მოადგება, კარსაც მარტივად გახსნის, ოღონდ ბევრი საუკუნის შემდეგ არავინ დაწერს ,,გალობანი სინანულისანის“ და აზრადაც არ მოუვა დატოვოს პოეტურ სტრიქონად ქცეული გახმაურებული ანდერძის მსგავსი: ,,ფეხი დამადგით, გულზე დამადგით“ და ბუნებრივადაც მოიქცევა, ვინაიდან მათი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ხელისუფალთა ფიქრი იყო არა მრავალხმიანი, ქვეყნის შემოქმედთან მოდიალოგე, ქართულ პოლიფონიურ კულტურაზე აგებული, არამედ - ხისტად გადმოტანილი იმ რუსული რეალობიდან, მერაბ მამარდაშვილი რომ ასე ახასიათებს: ,,თითქოს ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ არ შეუძლიათ, არ უნდათ და ვერ იტანენ სიცოცხლის ფაქტს. მათ დამოკიდებულებაში სიცოცხლისადმი რაღაც ფუნდამენტურია დარღვეული. თითქოს ეშინიათ ამ ტკივილისა“ *(მამარდაშვილი, 1992, 130)*. ამ საკითხზე საუბრისას, უნდა

გავიხსენოთ ამონარიდი მიტროპოლიტ ლეონიდეს[16] *(მიმართვის სრული ტექსტი იხილეთ დანართი N2)* სიტყვიდან, რომელიც 1918 წლის 17 მაისს, თამარ მეფის ხსენების დღეს წარმოთქვა: ,,გახსენით ქართველის გული და მის სადაფის კედლებს შორის იპოვით მხოლოდ თამარის სახეს. თუ რამე საღმრთო იდუმალება უტარებია და ატარებს ქართველის გული, ესაა ნატვრა და სურვილი, რომ კვლავ დაგვიდგეს წმინდა თამარის დრო, კვლავ აფრიალდეს ჩვენს შორის თამარის სვიანი დროშა, კვლავ გვირგვინად დაგვედგას თამარის დროის პოლიტიკური თავისუფლება. და, აი, საყვარელნო, კიდეც ითქვა ამიერკავკასიის თავისუფლება. ჩვენმა ახალმა მთავრობამ სცნო და გამოაცხადა ამიერკავკასია თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ *(საქართველო, 1918, 17 მაისი).*

გაზეთ საქართველოს 25 მაისი. მე-100 ნომერში პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ წერილს სათაურით ,,კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა“, რომელიც ასახავს სოც-დემოკრატების მიერ ეროვნულ-დემოკრატების მიმართ გამოთქმულ საყვედურს იმ მხრივ, რომ მათ საკუთარი პრეროგატივა ჰგონიათ ხალხის სახელით წერა და ,,ჰგონიათ, რომ ამის სამუდამო პატენტი აქვს აღებული“ (საქართველო, 1918, 25 მაისი). საქმე ეხება გლეხების მდგომარეობას სოფლად, მათი ჩივილის გაზეთის ფურცლებზე გადმოტანას, რის გამოც ,,ერთობის“ მესვეურთ გამოუთქვამთ უარყოფითი დამოკიდებულება, ვინაიდან ხალხის ხმის გამომხატავ ერთადერთ ძალად მიაჩნდათ თავი. ჩვენთვის ამ წერილში ყურადსაღებია ის აზრი, რომელიც ე.წ. თანამედროვე მეინსტრიმ მედიისთვისაც ორგანულია, რადგან ავტორი სწორედ იმას ჩივის, რომ

[16] ლეონიდე(ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე; (15.II.1861 დისევი-24.VI.19210 დ. სასულიერო და საზოგადო მოღვაწე,სრულიად საქართველოს_კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავრეპისკოპოსი 1919–1921 წლებში

აზრების უკონტექსტოდ, უპასუხისმგებლოდ, სათავისოდ წარმოჩენა სჩვევიათ, სადაც რევოლუცია კონტრრევოლუციად შეიძლება წარმოადგინო და, - პირიქით. ეს მათ უღირს, ადამიანისათვის შეუფერებელ, არაადეკვატურ ქმედებად მიაჩნიათ და აღნიშნავენ ჩვენთვისაც უმთავრესს, რომ ,,მოწინააღმდეგის აზრს თავიდან ბოლომდე უნდა მოსმენა, მთლიანად აწონ-დაწონვა, ერთიანად გათვალისწინება და შეფასება“ *(საქართველო, 1918, 25 მაისი).* ურთიერთობისა და პოლემიკის სტანდარტს, რომელსაც ამ წერილით სთავაზობს ეროვნულ-დემოკრატიული ძალა სოციალ-დემოკრატებს, გახლავთ უმაღლესი სააზროვნო მოდელის, ღირსეულ ფიქრსა და ადამიანის პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის გამოხატულება, რაც პიროვნების სიცოცხლის უნარიანობასაც განაპირობებს და მოსწყვეტს მას მექანიკურ არსებობას. ამ ტიპის კომუნიკაცია, რასაკვირველია, ურთიერთობის აწყობის, უკონფლიქტო, შედეგიანი, შეთანხმებითი, თანამშრომლობითი, საპატიო აწმყოსა და მომავლის მოწესრიგების საუკეთესო შესაძლებლობაა, რომლის გამოყენებასაც წვრთნა, მუშაობა ესაჭიროება და არა თვითტკბობა ან ჭეშმარიტების ცოდნის თუ უეჭველობის განცდის გამომხატავი კომიკური მდგომარეობა, რომელსაც ტრაგიკულ ფინალამდე მიჰყავს ქვეყანაც და საკუთარი თავიც. ეს გახლავთ თვითგანადგურების ერთგვარი უეჭველი ინსტრუქცია, რომელიც ჩვენი ფიქრით, ნებსით თუ უნებლიედ, შეასრულეს სოციალ-დემოკრატებმა, ხელისუფლებამ და რომელსაც აქტიურად იყენებს დღესაც პოლიტიკური ძალისა თუ მედიის რეალობას მოწყვეტილი ნაწილი. საკუთარი თავისა და რეალობის მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას ბუნებრივად მოჰყვებოდა მტრის გააქტიურება, რომელიც ყოველთვის ახლოს იყო და ჩვენგან მისთვის შესაფერისად კეთილმოწყობილ სივრცეს ელოდა. ასე ამზადებდა 1921 წლის 25

თებერვალს სტიქიური, აწეწილი, უკონტექსტო, გახლეჩილი, დამახინჯებული, მშრალ რეკომენდაციებზე აწყობილი ყოველდღიურობა.

თუ ,,საქართველოს“ 1918 წლის 26 მაისის ნომერს ჩავხედავთ, ცხადად ჩანს, რომ რედაქციისა და შესაბამისად ეროვნულ-დემოკრატების ფიქრები კონკრეტული და ქმედითუნარიანია. ნომერი დაცლილია ხმაურიანი, ემოციური ტექსტებისაგან და პუბლიკაციები ძირითადად ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გადააზრებას ეთმობა. ამას სათაურებიც მოწმობს: ,,საქართველოს მდგომარეობა“, ,,საქართველო დამოუკიდებლობის წინაშე“, ,,საზავო მოლაპარაკება“, ,,უკანასკნელი ამბები პეტროგრადიდან“, ,,წითელი ლაშქარი“, ,,უცხოეთი“ და ა. შ.

ამავე ნომერში ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოსაზრება იყო გამოთქმული ორ პუბლიკაციაში ,,საქართველო დამოუკიდებლობის წინაშე“ და ,,ახალი გზით“. ავტორები, ს. იმერი და რ. ინგილო[17] ეხებიან იმ ფუნდამენტურ საკითხს, რასაც ეროვნულ და საგარეო ინტერესთა თანხვედრა ჰქვია და რომელიც საუკუნის შემდეგ, 21-ე საუკუნის ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერებისთვისაც აქტუალურ, დღემდე გადაუჭრელ საკითხად რჩება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 26 მაისს, გაზეთ საქართველოში ვკითხულობთ: ,,ჩვენმა ერმა სოციალ-დემოკრატიის სახით, ვერ გაართო თავი თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მიერ წამოყენებულ საკითხებს და ისტორიული სტიქიონის სათამაშოდ გახადა. და, აი, ახლაც, როდესაც წამოყენებულია საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების შესახებ, ეს ხდება

[17] ივანიცკი (ინგილო) რაფიელ ალექსანდრეს ძე (23.VII. 1887, სოფელი კახი, ზაქათალის ოლქი - 27.VI.1966, პარიზი) - იურისტი, მთარგმნელი, სასულიერო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრი.

არა თვით ჩვენი საკუთარი მისწრაფებით და ნებისყოფით, არამედ ამ გარეშე, ჩვენგან დამოუკიდებელი სტიქიონის მეოხებით, რომელიც იძულებულს ჰყოფს ჩვენთვის ამ ახალ გზაზე დადგომას. ამ გარემოებამ არ შეიძლება არ დააფიქროს ყველა შეგნებული პოლიტიკურად მოაზროვნე ქართველი, რომელსაც ჰსურს იხილოს თავისი ერი თავისუფალი არა მარტო ქაღალდზე, არამედ ფაქტიურად, ძლიერი სულიერად და თავისი აზროვნების სიმტკიცით *(საქართველო, 1918, 26 მაისი).* აზროვნების სიმტკიცის დეფიციტი, რთული სათქმელია, შეივსო თუ არა, ვინაიდან ტექნოლოგიების ეპოქაში ახალი ტერმინებით გამოხატულია ქმედებანი, ქმედებათა ასლები, ასლების ასლები, მათი ასლები; ამიტომ დაისმის კიდევ ერთი კითხვა, ქართულ კულტურულ რეალობაში, სხვა, უფრო დიდი კულტურული რეალობის სააზროვნო-სამოქმედო მოდელის ზუსტად, უპირობოდ გადმოტანამ ისევ ხომ არ შექმნა ჩრდილებით სავსე უსიცოცხლო და უსაზრისო გარემო ახლა უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში? პასუხების გაცემა, ცხადია, მხოლოდ ფაქტების მოხმობის შედეგად არის შესაძლებელი, რაც ჩვენი კვლევის ფარგლებს სცდება, თუმცა ფიქრისთვის სივრცეს კი იტოვებს.

ახლა ყური მივუგდოთ რ. ინგილოს და მის მთავარ თეზისს, ასი წლის შემდეგ, ჩვენი საუკუნის დასაწყისს, საზოგადოების ერთი ნაწილის ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებას რომ მიესადაგება და ახლაც ბუნებრივად ისმის: ,,ეროვნული იდეების უარყოფითი შთაგონებით ქართველი ხალხი საკმაო ხანია იკვებება. ეროვნულ ნიადაგზე მუშაობა საქართველოში იმთავითვე ცუდ ტონად ითვლებოდა. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთა ძალ-ღონე სულ სხვა სფეროში ილეოდა, ქართველი ხალხის და, უმთავრესად, მისი დემოკრატიის სოციალ-პოლიტიკურ ზრახვათა დაკმაყოფილებას ლამობდნენ ქართველობაში

ნაციონალური იდეალების აღმოფხვრით“ *(საქართველო,* 1918წ, 26 მაისი*).* როგორც ჩანს, დამოუკიდებლობის მიღებასთან ერთად, ეროვნულ-დემოკრატთა ძირითადი წუხილი მაინც ეხებოდა არაეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული საზოგადოების გაურკვეველ ნაწილს, რომელთათვისაც სხვა ყოველთვის უპირატესი იყო და ხელისუფლებაც საქართველოს პოლიტიკური საჭის ამ მიმართულებით მართვას ცდილობდა, ვინაიდან მართლაც რუსული პროპაგანდისტული მანქანის შედეგად ატროფირებული ეროვნული ღირსების შემქმნელი მძლავრი მოდელი რეალურად არც არსებობდა. ამიტომ მმართველი ძალის მოჩვენებითი აქტივობები ქვეყნის სასიცოცხლო ენერგიის ამოქმედების ძალისხმევისთვის, გარკვეუწილად იყო იმიტაცია სახელმწიფოებრიობის, ეროვნულობის და მტკიცე სააზროვნო მანერისა.

ყურადღებამისაქცევია პირველივე აბზაცი რ. ინგილოს საოცდაექვსმაისო პუბლიკაციისა ,,ახალი გზით“. ავტორს სახელმწიფოებრიობასთან დამშვიდობების ხანგრძლივი პაუზისა და კვლავ შეხვედრისას საკუთარი ისტორიისა და კულტურის რეტროსპექტული ხედვის შემდეგ ასეთი დასაწყისი გადაუწყვეტია, რაც დღესაც მნიშვნელოვან თეზისად ჩანს: ,,ქართველ ერს ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში წილად ჰხდომია განსაცდელში ჩავარდნა და ეროვნულ ღირსებისა და თავმოყვარეობის დაკნინებაში ყოფნა, მაგრამ სული ერისა არასოდეს დაცემულა და არ მისცემია სასოწარკვეთილებას. ურიცხვი მტრების წინაშე ლაჩრულად ქედი არ მოუხრია ქართველობას და არც სჩვევია გამარჯვებულისაგან მოწყალების მიღება“ *(რ. ინგილო, საქართველო, 26 მაისი)* ავტორისთვის განსაცდელი და ეროვნული ღირსება თითქოს არ თანხვდება სულის თვისებას. სული მისთვის ის უეჭველი და ერთადერთი რეალობაა, ქართველს ნამდვილ დროით

კატეგორიას რომ არ მოწყვეტს და მის სიცოცხლისუნარიანობასაც განაპირობებს. ეს ერთგვარი რელიგიური საზრისთან წილნაყარი თემის პუბლიცისტიკაში გაცხადება, ერთი შეხედვით ჩვეული, უბრალო ხერხით, ჩვენთვის მარტოდ ყოფნის ასი წლის გამართლება და საქართველოს საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა რეალობაში ყოფნის მთავარი მიზეზის დეფინიციაცაა, რომელიც ბევრი სკივრის გასაღებს გვჩუქნის და დაძველებულ, მიმალულ, მაგრამ მტვერწაუყრელ საგანძურთან მიგვიყვანს. ვფიქრობთ, სწორედ ეს საგანძურია ჩვენი ისტორიაში მყოფობის უეჭველი მიზეზი. სული, რომელიც ჩვენთვის ცოცხლდება მაშინ, როცა მასთან მიახლება, ჭვრეტა და კვლავგანცდა შეგვიძლია, მაგრამ ამ საციცოცხლო ეროვნული გამოღვიძებისა და რიტუალის ჩასატარებლად ერთი საკითხია გადასაჭრელი, საკითხი, რომელიც ამ პუბლიკაციის მეორე აბზაცშია გათქმული. ,,ეროვნულ შეგნებას მოკლებული ხალხი ვერ ივარგებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის, უმეტესად ის ხალხი, რომლის აზროვნებაც უკიდურესად გაჟღენთილია ინტერნაციონალიზმით და ინტერპოლიტიზმით“ *(საქართველო, 1918, 16 მაისი).* წერილის შინაარსი გვკარნახობს, რომ შეუძლებელია საკუთარი თავის დაკარგვისა და სხვასთან მიკუთვნებულობის შედეგად გაცოცხლდეს რეალობა, რეალობა, სადაც მყარი ლოგიკით მოაზროვნე ხალხი ან ხელისუფალი მოქმედებს. რ.ინგილო რუსეთისთვისაც ყურადსაღებ რეკომენდაციას აყალიბებს და განმარტავს, რომ რუსეთის დაცემა მაშინ დაიწყო, როდესაც მუშათა და გლეხთა საბჭომ დაძმობილების პროკლამაციით მიმართა გერმანელ პროლეტარიატსო. ამ აზრს მოჰყვება თეზისთა წყება, რომელიც საერთო თეორიის მიღების საფუძველია და 1918 წლის 26 მაისის ისტორიისთვის 1921 წლის თებერვლის გამომთხოვნიც. ავტორი ერთი წინადადებით განმარტავს

,,ბათომის პათოლოგიურ“ მარცხს, აღნიშნავს, რომ უკუგდებულიყო ქართველი მეომრის ბუნებრივი ნიჭი და უნარი. რომ რუსეთთან მიკედლებულობის დარღვევით და ორიენტაციის შეცვლითაა შესაძლებელი საკუთარ თავთან დაბრუნება, რაც მთავრობისთვის წარმოუდგენელი იყო და არც ესმოდათ, რომ ერის ფიზიკურ არსებობას უქმნიდნენ საფრთხეს. ამ პუბლიკაციის მიხედვით, თუ მოვლენების არსს დავაკვირდებით, ცხადად დავინახავთ, რომ ქართული სახელმწიფოს ახალგაზრდა ხელისუფლებას ვერც გაეაზრებინა და ვერც წარმოედგინა ეროვნული იდენტობის საფუძველზე ნამდვილი, რეალური სახელმწიფოებრიობის აგება, ამგვარი დამოკიდებულების ლეგიტიმურობა კი ხალხისგან მოდიოდა. შესაბამისად, რეალობაში არსებობდა არა თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეა, არამედ რუსეთსმიკრული და მისგან გაუმიჯნავი, რასაც, ჩვენი ფიქრით, ბუნებრივად მოჰყვა 1921 წლის თებერვალი, მაგრამ ჩვენთვის აქ დაისმის ახალი კითხვა: სად იმუშავა და სად გამოიღო ნაყოფი ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ძალისხმევამ, მათმა ადამიანური, ღირებულებითი კატეგორიების ერთგულებამ. შეუძლებელია მათ ძალისხმევას უკვალოდ ჩაევლო და ჩვენივე სავარაუდო პასუხი ამ კითხვაზე გახლავთ შემდეგი: იქნებ ისინი წერდნენ ჩვენთვის. მარტოობის ასწელგამოვლილი ადამიანებისთვის, იმ იდეის მომხელთებლის და იმ სასიცოცხლო რეცეპტის გადაწერისთვის, რომელიც საკუთარი ეროვნული იდენტობის გააზრება და შესაბამისად, ღირსების შენარჩუნებაა. აზროვნების ამ აქტის განხორციელების შემდეგ უფროა შესაძლებელი დიდი და ჩვენივე ეროვნული ღირსებისათვისვე მისაღებ პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობა. ეს მცირე კვლევის მცდელობაც საბოლოოდ აღნიშნული მოსაზრების გააქტიურებას ემსახურება და ერთ-

ერთ უმნიშვნელო მოკარნახედ წარმოგვიდგენია ნამდვილი და არა იმიტირებული რეალობის სარკმელთან მომდგარი, საკუთარ თავთან რთული შეხვედრისთვის მზადმყოფი 21-ე საუკუნის პირველი მეოთხედის დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქისთვის.

გაზეთი ერთობა კი 26 მაისის ნომერში პირველსავე გვერდზე აქვეყნებს პუბლიკაციას ,,ჩვენი ბედი", სადაც საქართველოს პოლიტიკურ სახეს განიხილავს ყველა იმ მეზობლის ფონზე, ვინც გარს გვაკრავს და მეტ-ნაკლებად საკუთარ ინტერესს ავლენს. ეს პუბლიკაცია სრულად ასახავს არა მხოლოდ იმდროინდელ, არამედ თანამედროვე კონტექსტსაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ,,ერთობის" მკითხველმაც კარგად იცოდა და არავის უკვირდა რედაქციის მხრიდან იმ პოზიციის გაჟღერება, რომ ყველა პოლიტიკურ მოკავშირეს ამოძრავებს საკუთარი მერკანტილური ინტერესი და არა ალტრუისტული იდეა თუ საქართველოს უპირობო სიყვარული (რაც, ვფიქრობთ, დღესაც არ გაუაზრებია საზოგადოების ნაწილს). რომ პოლიტიკურ ველზე მეგობრობას საერთო ინტერესები განაპირობებს. ,,რუსეთი მხოლოდ ბოლშევიკურ მუქარას გვიგზავნის, ოსმალეთი მხოლოდ ჩვენს დაპყრობაზე ოცნებობს, გერმანია თავის ინტერესებს იცავს, ე.ი. ინგლისთან ომზე ფიქრობს. და აი ამ სამ ძალებს შორის იჭყლიტება პატარა კუთხე ჩვენი ქვეყანა" *(ერთობა, 1918, 26 მაისი)*. ეს რეალისტური ხედვა, ერთი მხრივ, დადებით მოვლენად გვეჩვენება, მაგრამ, მეორე მხრივ, ამავე პუბლიკაციაში იკითხება ისეთი მოსაზრება, რომ ,,ხსნის ძალა ჩვენს ხელთ არაა, იგი უცხო ელემენტებს უჭირავს" *(ერთობა, 1918,26 მაისი)*.. ჩვენი აზრით, ეს ის წინადადებაა, პირველი რესპუბლიკის მთავარი ალგორითმის უმნიშვნელოვანეს ცვლადად რომ შეიძლება გადაიქცეს და ლოგიკურ წანამძღვრადაც გამოდგეს შემდგომდროინდელი მოვლენების

გასააზრებლად 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე. ამ წერილში როგორც გმირი და ანტიგმირი ისე ხვდება რეალობა და ირეალობა ერთმანეთს. რამდენადაც ადეკვატურია განცდა პოლიტიკური ინტერესებისა, იმდენად ილუზორულია წარმოდგენა საკუთარი შესაძლებლობებისა და ძალისხმევის შესახებ, რომ ,,ხსნის ძალა ჩვენს ხელთ არაა". ეს ფრაზა, გარკვეული აზრით ეგზისტენციალურია. საზრისის თუ უსაზრისობის გარკვევის გასაღებიცაა. გამქრალი პასუხისმგებლობის, მოვლენების არაადეკვატური აღქმის, საკუთარი თავის ან სამშობლოს მიმართ დამოკიდებულების ყველაზე მცდარი გამოვლინებაა. ნებისმიერი მყარი სტრუქტურა ხომ შინაგან მონოლითურ საყრდენზე შენდება და არა გარედან მოსხმულ მეორად კონსტრუქციაზე როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების შექმნისა და განვითარების პროცესში. თუ შინაგანი სიმყარე, ანუ საკუთარი თავის მიმართ მაქსიმალისტური მოთხოვნები გაფერმკრთალებულია, აგარედან აგებული კონსტრუქციაც, შესაბამისად, მოირღვევა.

დიდი ისტორიული პაუზის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, 1918 წლის 26 მაისს მთავარი ბეჭდვითი ორგანო ,,ერთობა", რომლის დამფუძნებლებიც ხელისუფლების სათავეში იყვნენ, პირველ გვერდზე სათაურით ,,ჩვენი ბედი" ასეთ ფრაზას აქვეყნებს: ,,ხსნის ძალა ჩვენს ხელთ არაა". ეს ერთგვარი რეფრენი საკუთარი თავის, კულტურის, წარსულის, რეალობისა თუ სავარაუდო მომავლის განსასაზღვრად გაჩნდა, რომელიც სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას არ გვიტოვებს, გარდა იმისა, რომ 1921 წლის 25 თებერვალი საქართველოში აუცილებლად დადგებოდა. ამას ერთვის პუბლიკაციის სიმბოლური სათაურიც ,,ჩვენი ბედი", საიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს აღნიშნული რეფრენი. აქ გვახსენდება ტექსტის გაგების

მერაბ მამარდაშვილის ერთი მეთოდი, რომელიც ზუსტად იჭერს ტექსტის ჩადებულ შინაარსებს. იგი ამბობს, რომ ტექსტს უნდა გადავაფაროთ გამჭვირვალე ქაღალდი, კალკი და წავიკითხოთ ის, რაც ტექსტში არ არის, მაგრამ უეჭველად მყოფობს თავისი არსებობის ძალით *(მამარდაშვილი, 2013)*. შეერთება ტექსტისა კი კალკის ქვემოდან და ზემოდან ქმნის გაგების ახალ აქტს, რომელიც თავისთავად სიცოცხლის მეტაფორაა, ერთი შეხედვით უსულო არსების, რომელიც ცოცხალ ფენომენად მხოლოდ მაშინ გადაიქცევა, თუ აღვიქვამთ როგორც ცოცხალი აზრის, პულსის ადგილს და არა როგორც სწავლულობის მკვდარ ტვირთს. სწორედ ამ მეთოდით გადაიქცა ჩვენთვის ფრაზა ,,ხსნის გზა ჩვენს ხელთ არაა", საუკუნოვანი შორეთისა და ჩვენი ამბიციური, თან პრიმიტიული დროის რეფრენად.

თანამედროვე პოლიტიკის აქტუალურ თემებზე დაკვირვება ჩვენი კვლევის თემა არ გახლავთ, მაგრამ მეინსტრიმმედიის მიერ შექმნილ ხელოვნურ ე.წ. რეალობას თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ხსნა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის დღესაც გარე ძალებზე, მათ პოლიტიკურ ნებასა თუ გემოვნებაზეა დამოკიდებული. საზოგადოების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ გარედან წამოსულ ინსტრუქციებსა და რეკომენდაციებზე უნდა ააგოს საკუთარი ცხოვრების წესები, რაც თავისთავად გამორიცხავს თავის გაგების, კულტურული შრეების ამოკითხვის, განახლების ცოცხალ პროცესს. ე. წ. დიდ კულტურულ ტრადიციას, რომელიც ცხოვრების, მყარად ჩამოყალიბებული სააზროვნო მოდელია და არა დარგობრივი ცოდნა ან დისციპლინა, რომელსაც თავისი

ისტორია გააჩნია. აქ გვახსენდება ზურაბ კიკნაძის[18] მოსაზრება ამირანის, უძველესი ქართული მითის გმირის შესახებ, რომლის მიჯაჭვულობა მსგავსად ევროპელი პრომეთევსისა, ან პრომეთევსის, მსგავსად ქართველი ამირანისა, ნიშნავს საკუთარი თავისუფალი ნების ტყვეობას, სინდისს რომ მიუჯაჭვავს და თავისუფლება არ უწერია სინანულის, საკუთარი ქმედებების გადააზრების გარეშე (ზ. კიკნაძე, 2015, ევროპა აზიაში თუ აზია ევროპაში). და თუ ამირანი საქართველოს სიმბოლოა, თავისუფლებისკენ მიმავალი გზის ბილიკებიც ცხადზე ცხადია. ამ გზებსა და ბილიკებს შედგომა მხოლოდ საკუთარი ისტორიის, სააზროვნო და სინდისის კატეგორიების ადეკვატური გადააზრებითაა შესაძლებელი, რის აღნიშვნასაც არსებული კვლევითაც ვცდილობთ. სინდისის ტრადიციაში, ქრისტიანულ თავისუფალ სივრცეებში კი გმირი პასუხისმგებელია საკუთარი განსჯისა და არჩევნის წინაშე და, როგორც მამარდაშვილი ამბობს, იგი თავისუფალია ანტიკური წინასწარ განსაზღვრულობისაგან; ეს მხოლოდ საკუთარი განსჯის შედეგია და, როგორც ისტორია, არის ადამიანთა თვითშემოქმედების ნაყოფი *(მამარდაშვილი, 2013).* ის ფსევდო-გადაწყვეტილებანი და ქმედებანი კი, რომლებიც თითქოს ისტორიულ ხდომილებას განაპირობებს, მხოლოდ არსებული, უკვე სხვისი შექმნილი მოდელების მექანიკური გადმოტანაა. თითქოს მის შემქმნელს დავიწყებია საკუთარი ღვთაებრივი წარსული და დასთანხმებია ბიოლოგიურ არსებად ყოფნას. ამ განსჯას ჩვენთვის ისევ მერაბ მამარდაშვილის ლოგიკური დებულება დაასრულებს, რომ ადამიანი არსებობს იმდენად, რამდენადაც მას სურს არსებობა

[18] კიკნაძე ზურაბ (3.X.1933-თბილისი) ორიენტალისტი-ასირიოლოგი, ბიბლეისტი, ფოლკლორისტი, ლიტერატორი, ილიას უნივერსიტეტის ემერიტუსი და თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი.

(მამარდაშვილი, 2013, 6). და ეს დებულება ლოგიკურია დღესაც; მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაცია ,,ჩვენი ბედი“ გამოქვეყნდა 1918 წლის 26 მაისს გაზეთში ,,ერთობა“, 2021-2022 წლების მიჯნაზეც ბუნებრივად და თანადროულად აღიქმება. აღნიშნული პუბლიკაცია ასე სრულდება: ,,თუ ჩვენი ხალხის სურვილზე იყოს საქმე, ჩვენ ვიცით, რომ მისი სურვილია თავისუფალი ცხოვრება, ზავი და მშვიდობიანობა, მაგრამ მაინც შფოთსა და დავიდარაბაში ვართ დღემდე გახვეული“ *(ერთობა,1918,26 მაისი).* ეს თეზისი, შესაძლოა, ერთგვარ მთავარ კითხვადაც გადავაქციოთ, რომელიც თითქოს პასუხგაუცემელი, რეალურად მრავალგზის გაცემულია.

26 მაისს ,,ერთობაში“ გამოთქმულ ურთიერთ გამომრიცხავ თეზისებს, რომ ხალხს სურს მშვიდობა, თავისუფლება და, იმავდროულად, ჩივილი, ჩვენი ბედი ჩვენს ხელთ არაა, ლოგიკურად პასუხობს გაზეთ საქართველოს 25 მაისის, მე-100 ნომერში დაბეჭდილი პუბლიკაცია ,,უგზო უკვლოდ“, რომელის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, თუმცა სამდურავი სოციალ-დემოკრატების მიმართ სრულიად გასაგები, მარტივად აღქმადი და ჩამოსაყალიბებელია ასევე თეზისების სახით. ჩვენ მათ პირობითად მაისის თეზისები ვუწოდეთ. ,,პირველი,-მთავრობას არ აქვს მოვლენების განჭვრეტის უნარი, მეორე,-სოციალისტური მთავრობის ერთწლიანი პოლიტიკის შედეგად ხალხი დაშლილი, დანაწევრებულია, შესაბამისად მათ აღარ აქვთ თავისუფლებისათვის ერთად ბრძოლის უნარი, მესამე,- არ გვყავდა ჯარი და თუ გვყავდა ნაბოლშევიკარი და გახულიგნებული, მეოთხე, ჩვენ უმწეონი, სავსებით მინდობილნი ვართ სხვის მოწყალებას, მეხუთე,-რუსეთთან პოლიტიკური ძაფების გაბმა, რომელსაც მოჰყავს საქართველოში ოსმალეთის ჯარი“ *(საქართველო,1918,26 მაისი).* ამ ორი გაზეთის მეშვეობით გამოვლენილი

რადიკალური ხედვა საკუთარი თავის, პოლიტიკური ნაბიჯების და, შესაბამისად, ღირებულებებისა, ცხადყოფს, რომ შეუძლებელია ჯანსაღი, რაიმე ნიშნით უკეთესი პოლიტიკური გარემოს შექმნა. თუ პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიციის ელემენტებს გავიხსენებთ, პუბლიკაციების ფინალურ ნაწილში უნდა ვკითხულობდეთ არსებული სიტუაციიდან გამოსავლის ვერსიებს და მთავარი აზრი ამ მიმართულებით, გვგონია ,,საქართველოს" ამავე ნომერში გამოქვეყნებული წერილის ,,კაი მთქმელს კაი გამგონე უნდა" ერთი მონაკვეთი, პუბლიკაციის ავტორია შეუპოვარი იგი ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიიჩნევს პოლემიკის კულტურის არარსებობას და ,,ერთობის" მესვეურთ მიუთითებს: ,,მოწინააღმდეგის აზრს უნდა თავიდან ბოლომდე მოსმენა, მთლიანად აწონ-დაწონა, ერთიანად გათვალისწინება და შეფასება... საზოგადო საქმეში ქვეყნის მესვეურთ არცოდნა ვერ იხსნის პასუხისმგებლობისგან ქვეყნისა და ერის წინაშე" *(საქართველო,1918, 26 მაისი).* თუ 1918-1921 წლების საზოგადოებრივი ცხოვრების დღევანდელ შეფასებებს დავაკვირდებით აღმოჩნდება, რომ დღესაც მითის შექმნა და გაიდეალება გვსურს საუკუნის წინანდელი რეალობისა. არსად ისმის თუნდაც მინიშნებით, აღნიშნული პუბლიკაციის ფინალური ფრაზების გამოძახილი, რომ სოციალ-დემოკრატების ,,დროს შეუფერებელმა პოლიტიკამ გახრწნა ერის მთლიანი სხეული, დაქსაქსა ეროვნული აზრი და მისწრაფება, გაანიავა ეროვნული შეგნება, გათიშა ერის შემადგენელი ელემენტები, დაანგრია ერის საკურთხეველი" *(საქართველო, 1918, 26 მაისი).* ასე ფიქრობდნენ ეროვნულ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატებზე, ეს უკანასკნელნი კი საკუთარი გადაწყვეტილებების უალტერნატივობაში დარწმუნებულნი იყვნენ.

ასი წლის შემდეგაც შეიძლება ითქვას, მეტად გამწვავდა პრობლემა რეალობის აღქმისა და თუ ეს დილემა ოდნავ მაინც არ გადაილახა, გაგრძელდება გამოგონილი, ემოციური რუტინა და არა სააზროვნო სიმსუბუქე. ალბათ გასარკვევია ისიც რა პრინციპები ქმნის ხვალინდელ დღეს,-სუბიექტური, ემოციური, მერყევი, ეფემერული თუ ნამდვილი, შესაძლოა, უშეღავათო, მაგრამ კეთილშობილი ობიექტურობით აღბეჭდილი ჩვენი დრო.

ამგვარი განსჯისას ჩვენ ვხედავთ კულტურულ შანსს, ხელი მყარად ჩავკიდოთ წარსულს და მემკვიდრეობითი ჯაჭვის მონოლითურობა შევინარჩუნოთ. ამ დროსაც გვეხმიანება მერაბ მამარდაშვილი: ,,რაკი ისტორიაში ვცხოვრობთ, ჩვენი ბედი იკვანძება ისტორიაში“ *(მ. მამარდაშვილი, 2013,18)*. ისტორიაში ხომ იკვანძება ის, რაც უნდა გადაგვხდეს თავს, ამ ხდომილების აუცილებლობას კი თავადვე ვქსოვთ, ვაგებთ თუ ვშლით ნაწილებად. და თუ რომელ აქტივობას ვახორციელებთ, ან ვახორციელებთ თუ არა საერთოდ, მამარდაშვილისავე აზრით, დამოკიდებულია აზროვნების ხელოვნებაზე, როდესაც ფლობ, უფრთხილდები იმას, რაც შენია და იქცევი ისე, როგორც უნდა/გინდა რომ მოიქცე *(მ. მამარდაშვილი, 2013,18)*. სხვა შემთხვევაში საკუთარი ძალისხმევის განხორციელება შეუძლებელი ხდება, იყინება. გამყინვარებას კი, როგორც ჩანს, იწვევს კომპრომისები, საშიში კომპრომისები, რაც საბოლოოდ მართლაც უგზოუკვლოდ გადაისვრის ადამიანს. იქ, სადაც მისთვის განკუთვნილი ნამდვილი ადგილი არ არის და ხდება უფუნქციო ნაწილი იმ სივრცის თუ ისტორიული პროცესისა, სადაც დრო დაკარგულია. ვფიქრობთ, მით უფრო მტკივნეულია რეალობის მიღება, თუკი აცნობიერებს ადამიანი, რომ სხვა რესურსიც არსებობდა, რომ ფართო და ნათელი გზები გვერდით დარჩა.

მიმწუხრისას, მხოლოდ რეტროსპექტულად შეიძლება გულდაწყვეტილმა და ცრემლიანმა გადახედოს მისთვის დაგებულ გზებს. ფიქრის და გულისწყვეტის ამ წერტილში ყალბი, მოგონილი კომპრომისები კლავს სინამდვილეს და შორეული მცდელობები სიცოცხლის აქტში ჩართვისა, ბუნებრივად სრულდება. იქნებ ამ კანონზომიერებას გულისხმობდა მამარდაშვილი, როდესაც ამბობდა, რომ ,,იმას, რის გამოც აღმოვჩნდები ან არ აღმოვჩნდები ასეთ წერტილში, თავისი კანონები აქვს. ხელის მიწვდენა ფიზიკური მეტაფორაა, აზროვნებაშიც იგივეა, მისწვდები ან ვერ მისწვდები“ *(მამარდაშვილი, 2013, 18).*

სამშაბათი, 1918 წელი, 28 მაისი. გაზეთი ,,ერთობა“. ქვეყანა დამოუკიდებლობის ერთდღიან ისტორიას ითვლის.

პირველ გვერდზე გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით ,,საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა“, სადაც ვკითხულობთ: ,,ჩვენს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა, რომელიც ეჭვს გარეშეა, საგარეო ურთიერთობის მიერ არის გამოწვეული და ჩვენი ხალხი აუცილებლობის წინაშე დასდგა... საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის ძალდატანებით წარმოიშვა და ჩვენ ახლა მოვალენი ვართ იგი დავიცვათ...საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა შინაურ და საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა, ერთიც და მეორეც ენერგიულად შეეცდება მის დაცვა-უზრუნველყოფას“ *(ერთობა, 1918, 28 მაისი).* ჩვენს მთავარ დებულებას ამყარებს სწორედ მითითებული ამონარიდები და გავიმეორებთ, რომ პირველი შთაბეჭდილება არ არის დამოუკიდებლობის მიღებით განცდილი სიხარული, რომელიც ისტორიულმა კანონზომიერებამ შემოგვთავაზა, სადაც შესაძლებელია საუკუნეებით დავიწყებული ინდივიდუალური, სახელმწიფოებრივი

იდენტობის გააზრება, ახალ ისტორიულ კონტექსტში საკუთარი თვის გახსენება, ეროვნული ღირსების გაცოცხლება, შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება, პროგრამებზე ფიქრი და ქვეყნისათვის სახელმწიფოებრივი სიცოცხლისუნარიანობის დაბრუნება, შიდა რესურსების ამუშავება, უშეღავათო, დაუღლელი შრომა და ისტორიის სასიკეთოდ მოხელთება, არამედ, 26 მაისის დამოუკიდებლობა აღქმულია, როგორც გარეგანი, უცხო, მოულოდნელი, არასასურველი სტუმრის რეალობაში შეჭრა და ამიერკავკასიის მთლიანი სხეულის დარღვევა. აღნიშნულ პუბლიკაციას პირველსავე გვერდზე მოჰყვება მეორე სათაური: ,,საქართველოს დამოუკიდებლობა". არც ერთ პუბლიკაციას არ ჰყავს ავტორი, რაც მიუთითებს, რომ ეს სოციალ-დემოკრატების ერთიანი პოზიციაა, რომელსაც მათი ბეჭდური ორგანო განაცხადებს. მივყვეთ მათ ფიქრთა დინებას.

პუბლიკაციის დასაწყისში განხილულია სეიმის როლი და მნიშვნელობა, გამოთქმულია წუხილი, რომ ამიერკავკასიური პოლიტიკური ერთობა ვერ შენარჩუნდა, რომ ოსმალოთა მხრიდან საშიშროებას უნდა ველოდეთ. საქართველოს დამოუკიდებლობა მათთვის სეიმის დაშლისგან მიღებული ნაშთია, რომელიც არსებობს და შესაბამისად მოვალეობა აკისრიათ მისი დაცვისა. და ერთი სიმპტომური დებულება, რომელიც 21-ე საუკუნის საქართველოშიც ხშირად ისმოდა, კერძოდ: ,,ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილი ერების ბედი დიდ სახელმწიფოთა ხელშია, ამიტომ სრულს დამოუკიდებლობაზე ოცნებაც ზედმეტია" *(ერთობა, 1918, 28 მაისი).* ვერ ვიტყვით, რატომ ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს ასეთი მყიფე დამოკიდებულება საკუთარი ისტორიული მოცემულობისა და ინდივიდუალური საზრისის მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენება ძნელად წარმოედგინათ. პუბლიკაციის ერთ აბზაცში თითქოს დროსთან შესაბამისი აზრია გამოთქმული, რომ დამოუკიდებლობისასაა შესაძლებელი თავისუფალი, ეკონომიკურ-კულტურული განვითარება, მაგრამ აქვე ვკითხულობთ: ,,მთავარია რევოლუციის დროს შეძენილი თავისუფლების და სოციალური ცვლილებების შენარჩუნება“ *(ერთობა, 1918, 28 მაისი).* ასე ხედავენ სოციალ-დემოკრატები 28 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის პერსპექტივას. რევოლუციის მონაპოვრის დამცველს, რომელიმე ძლიერ ქვეყანაზე დამოკიდებულს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ვერშემქმნელს. ამ დასკვნაში, ჩვენთვის გამქრალია ერის სიცოცხლისუნარიანობის ნიშანწყალი და თავსმოხვეული თავისუფლება ხელოვნურ დანამატად რჩება, რომელიც ხელისუფლებას ხელს უშლის საკუთარი მიზნების განხორციელებაში.

მომდევნო პუბლიკაციაში, რომლის ავტორი გახლავთ დ. ონიაშვილი[19] განსხვავებული პოზიცია ჩანს ქართველი ერის წარსულისა და აწმყოს გადააზრების კუთხით. ავტორი თვლის, რომ ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია გერმანიაზე გადის, რომ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალების მობილიზაცია, რომ ქართველი არავის გაათელვინებს საკუთარ ღირსებას, ვინაიდან მასში ცოცხალია სურვილი ადამიანური ცხოვრებისა და ზიზღი მონობისა“ *(ერთობა, 1918, 28 მაისი).* ამ პუბლიკაციის დასასრული თითქოს აბალანსებს წინა ტექსტებში გამოხატულ სკეპსისს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით, აქ ისმის ხმა,

[19] ონიაშვილი დავით ეფრემის ძე (22.XII.1883, სოფ. ხიდისთავი, გორის მაზ. - 14.VII.1937, თბილისი) - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი.

რომელიც ანგარიშგასაწევია. ალბათ ამ ხმათა ხარისხს უნდა უმადლოდეს ქართული კოლექტიური სოციალ-დემოკრატია, რომელმაც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღეს ვერ დამალა საკუთარი უსიხარულობა. ამ შემთხვევაში ინდივიდი და კოლექტივი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ან კოლექტივი უძლურია სრულიად გადაფაროს ინდივიდუალური, ინტუიტური ცოდნა და გამოცდილება საკუთარი წარსულისა და თავისუფლების უეჭველი პოზიტიური მნიშვნელობის შესახებ.

28 მაისი, გაზეთი ,,საქართველო“ პირველსავე გვერდზე გამოქვეყნებული მასალა რადიკალურად განსხვავდება გაზეთ ,,ერთობაში“ წარმოდგენილი პუბლიკაციებისაგან. რედაქცია ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღების გამო აღტაცებულია. პირველ გვერდზე ჩანს ოპტიმიზმი, საკუთარი თავის რწმენა, ისტორიული პროცესების მადლიერება, ქვეყნის განვითარების კონკრეტული ხედვა და საერთაშორისო კონტექსტების გააზრება. უფრო კონკრეტულად კი 28 მაისის გაზეთი ,,საქართველოში“ ასეთი გზავნილებია: პირველ გვერდზე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და ნოე ჟორდანიას მისასალმებელი სიტყვა, რომელიც, სხვათა შორის, უფრო მეტად ორიენტირებულია ახალი სეიმის ტიპის სახელმწიფოს შექმნაზე, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს აშენებაზე. სიტყვის დასაწყისში ის განიცდის დიდი სახელმწიფოს სიკვდილს და მისი რეაბილიტაციის საშუალებას ხედავს საქართველოში მცხოვრები განსხვავებული ერების უფლებების უზრუნველყოფაში, რაც საბოლოოდ სანატრელ დიდი სეიმის ტიპის სახელმწიფოდ გარდაიქმნება. ვფიქრობთ, აქ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება: საქართველოს პრეზიდენტი იძულებულია მართოს დამოუკიდებელი ქვეყანადა არა სეიმის ნაწილი. გაზეთის მეორე

გვერდზე კი ვკითხულობთ ვასილ წერეთლის მცირე პუბლიკაციას ,,საქართველო მკვდრეთით აღსდგა“. მისთვის დამოუკიდებლობის აქტი საქართველოს ბედნიერი დღეების გათენებასთან, მზის დაბრუნებასა და ქართველის გულში გლოვის ნაცვლად სიხარულის დაბუდებასთან ასოცირდება. ,,იგალობე მხიარული, გამამხნევებელი, აღმაფრთოვანებელი საგალობელი“ *(საქართველო, 1918, 28 მაისი).* ამ წერილში სამოტივაციო ნაწილის შემდეგ აქტუალური მოწოდება ისმის, რომელიც ასი წლის შემდეგაც შესაძლებელია გავიმეოროთ. პოლარიზებული საზოგადოებრივი აზრის, შეუთანხმებელი იდეების, ერთმანეთის მოსმენის უუნარობის, ერთიანი პოლიტიკის წარმოების მხრივ უნარშეზღუდულობის, საერთო, ეროვნულ იდეაზე შეუთანხმებლობის გამო. ,,მაშ დაივიწყეთ დროებით მაინც შინაური ანგარიშები,...შეაჩერეთ სამოქალაქო ომი, ამოიღეთ გულიდან ძმათა ძულება“ *(საქართველო, 1918, 28 მაისი).* ამ მოწოდებასთან ერთად ავტორი ერთი შეხედვით უცნაურ, მაგრამ სრულიად ლოგიკურ პროცესს აღწერს, რომ ,,ქართველი ერის რისხვა დაატყდება თავს და ისტორია შეაჩვენებს იმ ქართველს, რომელიც სამშობლოს უღალატებს და თავის მოვალეობას გაექცევა“ *(საქართველო, 1918, 28 მაისი)* ერის რისხვა კი, ჩვენი აზით, მეტაფორაა იმ ბუნებითი კანონისა, მოღალატის მიმართ რომ ამოქმედდება ხოლმე, მხოლოდ აქ დასადგენია ახალ სამყაროში, თუ რას ნიშნავს ღალატი, რა არის თავისუფლება, შეიძლება თუ არა პატარა ქვეყანამ იოცნებოს თავისუფლებაზე და განვითარების საკუთარი დღის წესრიგი შექმნას. პარალელისთვის უხვად გვხვდება უცხადესი მაგალითები, თუ როგორ აღიქვამს 21-ე საუკუნის ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი გარე რეგულაციების, რეკომენდაციებისა და დღის წესრიგის მნიშვნელობას. მათთვისაც, ისევე როგორც 1918 წლის სოციალ-დემოკრატებისა და მათი

მხარდამჭერებისთვის, უკიდურეს აუცილებლობად იქცა სხვა რეალობებსა და კულტურებში ნამუშევარი გაცვეთილი ასლების გადმოტანა, იმის მიუხედავად, ერგება თუ არა ეს ასლები ჩვენს იდენტობას, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა აქ რაიმე ტიპის ანთროპოლოგიური წანამძღვრები, რომელსაც ვერ მოარგებ დიდი ერების მიერ მართალია გამოცდილ, მაგრამ უცხო დღისწესრიგს. სამწუხაროა, რომ ეს დამოკიდებულება ინერციით გრძელდება თითქმის საუკუნეა. თუ მიზეზის დადგენას შევეცდებით, ჩვენი ფიქრით, ეს გახლავთ მართლაც საუკუნეების განმავლობაში დაპყრობილი ადამიანის ფსიქოტიპის პრობლემა, რომელსაც შერყევია საკუთარი თავის რწმენა და ურჩევნია უკვე არსებულის, მუშა, გამოცდილი პროექტების ჩრდილქვეშ უძრავად ყოფნა. მით უფრო, თუ ეს პროექტი არ არის რუსეთიდან და თუ ვინმე ეცდება ინდივიდუალური სახის გაცოცხლებას, უნიკალური კულტურული ღრმა შრეებით ნასაზრდოები ტრადიციებისა თუ ფილოსოფიური ცოდნის, ან ხუროთმოძღვრებაში ჩართული უნატიფესი ენერგიის გაღვიძებას, რაც სინამდვილეში სიცოცხლის, ადამიანად ყოფნის შინაარსობრივი სინონიმია. ასე რომ, საუკუნის წინ, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა მხრიდან ალტერნატივად მხოლოდ სეიმი მოიაზრებოდა და იძულებითი, ხელოვნური სიხარული გამოითქვა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებისა და ცხოვრების წესის შექმნის გამო. მე 20-ე საუკუნის ბოლოდან თითქოს ეს მოჯადოებული წრე გარკვეულწილად გაიხსნა და ქართველ ინტელექტუალთა ნაწილის ფილოსოფიური განაზრებანის, ინდივიდუალიზმის, კულტურული თუ სააზროვნო მოდელის გაცოცხლების აუცილებლობის დამაჯერებელმა, ლოგიკურმა ნაკადმა პოლიტიკურ ელიტაშიც, მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ ჰპოვა გამოძახილი.

გაზეთის ამავე ნომერში დაიბეჭდა მცირე პუბლიკაცია სათაურით ,,განთიადის ჟამს“ - ავტორი ვეშაპელი[20] ეს გახლავთ ტექსტი, რომელიც შეიძლება ერთგვარ მორალურ მანიფესტადაც გამოვაცხადოთ, სადაც განწყობა, შინაგანი რიტმი, გულწრფელობა, სათქმელის სიზუსტე და ეროვნული იდეის მონოლითურობა ისეა ერთმანეთს გადაბმული, როგორც ქართული ორნამენტი. როგორც წესი, ასეთი ტექსტები არ ბერდება ხოლმე, ამიტომ მას ისეთივე ძალა აქვს დღესაც, როგორიც ასი წლის წინ. დღესაც იმავე სულისკვეთებით შეგვიძლია გავიმეოროთ, ,,დღეს ყველანი განურჩევლად წლოვანებისა და მდგომარეობისა, განურჩევლად შეხედულებისა და აზროვნებისა, უნდა ჩავებნეთ ქვეყნის აღმშენებლობაში, ყველამ თითო აგური უნდა მივიტანოთ ეროვნული საკურთხევლის ასაგებად. უნდა გამოყენებულ იყოს ყოველი ცოცხალი კულტურული ძალა ყოველი ნივთიერი შესაძლებლობა, საერთოდ ყოველი ატომი ჩვენის სინამდვილისა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესაქმნელად. არც ერთი მისხალი ეროვნული ენერგიისა დაკარგული და გამოუყენებელი არ უნდა დარჩეს *(ვეშაპელი, საქართველო, 1918, 28 მაისი).* ამ სათქმელითა და მთავარი მუხტით ეს მცირე პუბლიკაცია თითქოს თავს უყრის დროს, როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას და არ ანაწევრებს მას. ხედავს საკუთარ თავს, საკუთარ შეცდომებს, პერსპექტივებს, ცდილობს გააცოცხლოს ირგვლივ ყველა და ყველაფერი იმ ისტორიული სასიამოვნო მოულოდნელობისთვის, დამოუკიდებლობა რომ ჰქვია. სწორედ ამ დროს დგება პრიორიტეტების, მთავრისა და მეორეულის გამიჯვნის დრო.

[20] ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე (1892, სოფ. საირხე, შორაპნის მაზრა - 10.VI.1926, პარიზი) - პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

გვაქვს თუ არა ადამიანებს უნარი საერთო, დიდი დროის, ფართო სურათის აღქმის სასარგებლოდ გავაკეთოთ არჩევანი, არ გავყოთ დრო, რომელიც არის აქ, ახლა და რომელიც არჩევნის თავისუფლებას გვანიჭებს? თუ ჩვენ მიერ განხილული პუბლიკაციების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელიც 28 მაისის ნომერშია გამოქვეყნებული და დაუფარავად აღწერს ორივე პოლიტიკური პარტიის ღირებულებებს, ცხადია, დავასკვნით, რომ ეროვნულ-დემოკრატები მზად არიან შეეჭიდონ ამ დიდ საქმეს, ააგონ ნამდვილი დამოუკიდებლობა, აღიქვან რეალობა ადეკვატურად, გამოკვეთონ პრიორიტეტები, დასახონ კონკრეტული გეგმა, ოღონდ ამას შეძლებენ იმ მყარ ღირებულებით საფუძვლებზე დაშენებით, რომლებიც აღნიშნულ პუბლიკაციებშიც კარგად ჩანს; რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, მათი დამოკიდებულება, როგორც აღვნიშნეთ, დაუფარავად ცხადყოფს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა მოულოდნელია და არ არის ბოლომდე სასურველი რეალობა, თუმცა იძულებულნი არიან, მიიღონ იგი. შესაბამისად, მმართველი ძალა ირგებს ნიღაბს, არ აჩვენებს რეალურ სახეს; მოვლენები საგარეო ფონის გაუთვალისწინებლადაც, რასაკვირველია, მიექანება 1921 წლის 25 თებერვლისკენ. საუკუნის შემდეგ, ამ დასკვნის გამოტანა ჩვენთვისაც მძიმეა, თუმცა გასათვალისწინებელი და ფუნდამენტურად გასააზრებელი. ფორმულის სახე რომ მივცეთ აღნიშნულ მსჯელობას, ასე ჩამოყალიბდება: 1921 წლის 25 თებერვალი დადგება იქ და მაშინ, როდესაც ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკა შრომისა და მყარი ღირებულებითი საფუძვლების ჩამოყალიბების შედეგად, შესაძლოა, ნამდვილ დამოუკიდებლობად გადაიქცეს. მას საქართველო მხოლოდ დიდი პოლიტიკური კორპორაციის ნაწილად წარმოუდგენია. შესაბამისად, ბუნებითი კანონები გარდაუვლად, უსათუოდ დატოვებენ ამ

ხელისუფლებას და ქვეყანას ანარქიის, წითელი რევოლუციის პირისპირ. ამის პარალელურად, საქართველოში არსებობს ძალა, რომელსაც ბუნებითი კანონები დაუმეგობრებია, მაგრამ ეს ძალა არ არის ხელისუფლებაში, მას არ აქვს ლეგიტიმაცია.

ასი წლის შემდეგ შეიძლება ითქვას, ქართველ ხალხთან თანამშრომლობს ბუნებითი კანონები, ან ხალხი თანამშრომლობს მათთან, შესაბამისად, იგი, ხალხია კოლექტიური მესაჭე დამოუკიდებლობის ოცდაათწლიანი ისტორიისა.

1918 წლის გაზეთი ,,საქართველო“ 5 ივნისი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გავიდა ათი დღე. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ ამ პერიოდის პუბლიკაციების ძირითადი თემების გააზრება. რა აწუხებს ქართველი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს და რა არის მისი მთავარი სათქმელი. სწორედ ამ შინაარსითაა მნიშვნელოვანი აღნიშნული ნომრის პირველსავე გვერდზე გამოქვეყნებული პუბლიკაცია ,,საშინელება“. თუ მივყვებით სათქმელს, აღმოჩნდება, რომ საშინელება ეროვნულ-დემოკრატებისთვის (საგულისხმოა, რომ პუბლიკაციას კვლავ არ ერთვის ავტორის გვარ-სახელი). არის ის, რომ ქართველი ერი ვეღარც გრძნობს უამრავი ჭრილობითმიყენებულ ტკივილებს, იგი მომაკვდავივით მექანიკურ არსებად გადაქცეულა და შეჰგუებია არსებულს, მაგ. ბათუმის დაკარგვის ტრაგედია არ უგრძვნია ქართლსა და კახეთს, რომ ერი დამსგავსებია ცხვრის ფარას, რომელსაც ნებისმიერი მიმართულებით გარეკავ. ეროვნული სხეული დაშლილია და აღარც გრძნობს შეერთების საჭიროებას, გაწყვეტილია შემაკავშირებელი ძაფები, არც ბუნებრივი და არც მექანიკური ძალა არ არსებობს, ვინც ამ დანაწევრებული სხეულის შეკავშირებას შეეცდება. ერთი წლის მანძილზე სრულად ჩამოიშალა ეს ეროვნული სხეული და საბოლოოდ დაშლისაკენ

მიექანება, ვინაიდან სული და სხეული ერისა განცალკევებულა, არ არსებობს ძალა მათი გაერთიანების მოსურნე და საქმით მოღვაწე. დავაღწიეთ რუსულ გავლენას თავი, მაგრამ შინაური აშლილობა განაპირობებს უთავბოლო პოლიტიკურ ყიალს, რომელიც ოსმალეთისთვის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრას დაათმობინებდა ხელისუფლებას (საქართველო, 1918, 5 ივნისი). პუბლიკაციაში გამოთქმულია წუხილი ჩხენკელის[21] გერმანიაში ვიზიტის შედეგების გამო. თითქოს აღნიშნული მაზრების დათმობა საფრთხეს არ უქმნიდეს ქვეყანას. პუბლიკაციის დასასრული: ,,ასეთი ზავი იქნება საშინელი ეროვნული კატასტროფა და ჩვენც უნდა გათვალისწინებული გვქონდეს მისი შედეგები“ (საქართველო, 1918, 5 ივნისი). ამ პუბლიკაციის გაცნობის შედეგად დაისმის კითხვა, რატომ არ არის საქართველოს ერთი კუთხის მარცხი მეორისათვისაც მარცხი და რატომ არ არ იგრძნობ დიდი პასუხისმგებლობა ტერიტორიების შესანარჩუნებლად. რატომ წყვეტენ ერთპიროვნულად ამ საკითხს უკვე საუკუნეა და რატომ გადაიქცა ამ მხრივ მმართველობა მექანიკურ პროცესად? ამ კითხვაზე პასუხისთვის კვლავ მამარდაშვილს მივაკითხეთ და პასუხის არაერთ ვერსიასაც მივაკვლიეთ, უფრო ზუსტად, ერთ იდეას, რომელიც დეტალებშია ჩაშლილი. პასუხი, რომელიც ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოს მიემართება, რომელიც შენებისა და გააზრებული პოლიტიკის ნაცვლად ,,საშინელებად“ გადაქცეულა, მამარდაშვილისგან ასეთია: ,,დამოუკიდებლობა გულისხმობს ისეთ თავისუფლებას, რომ შენ თვითონ განაგო შენი საქმიანობა ისე, როგორც შენ გესმის მისი საზრისი და როგორც შენი

[21] ჩხენკელი აკაკი ივანეს ძე (19.V.1874, სოფ. ოქუმი - 1959) - ქართველო სოციალ-დემოკრატი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი ეროვნული საბჭოსა (პარლამენტის) და დამფუძნებელი კრების წევრი

აზრით საქმე მოითხოვს. ეს ნიშნავს, რომ უნდა დაამყარო ისეთი კავშირები, შეხვიდე ისეთ კორპორაციაში ან შრომის განაწილებაში, რომელიც ამ საქმის საზრისიდან გამომდინარეობს... როცა დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, რომ შენ განაგებ შენს საქმეს, მეტი არაფერი“ *(მამარდაშვილი, 2013, 18).* დამოუკიდებლობის ყველაზე მარტივი და ზუსტი დეფინიციაა, მაგრამ თუ ამ სიმარტივის აღქმა არის შეუძლებელი? თუ სიტყვა ,,საზრისი“ უცხო სიტყვაა და ყოველი მოვლენა დაცლილია მისგან? თუ ხელისუფალს მიაჩნია, რომ შეუძლებელია დამოუკიდებლად არსებობა და ახალ დიდ გაერთიანებაზე ოცნებობს, თუ იძულებულია ჩაერთოს ხელოვნურ თამაშში, რომელსაც დამოუკიდებელი ქვეყნის მართვა ჰქვია? თუ საუკუნის შემდეგაც რევოლუციით მოსული ხელისუფალი, ვარდების სურნელით მთვრალი, მხოლოდ სხვა კულტურებში არსებული არახალი გამოცდილებიდან ასლების გავრცელების მეთოდს მიმართავს? თუ კულტურულ შრეებს და ტრადიციებს უგულებელყოფს? ამ კითხვებზე პასუხის ჩამოყალიბება ჩვენი დროის ანალიტიკოსთა ვალიცაა, თუმცა გარკვეულწილად ცხადიცაა, რატომ არის საზრისის მიმართ გაუცხოებული მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველთა არც თუ მცირე ნაწილი. ჩვენი ფიქრით, აქ არ არსებობს ცოცხალი განცდა სახელმწიფოებრიობისა, ეს განცდა მხოლოდ წარსულია, რომელიც მითს უფრო ჰგავს და მის გაცოცხლებას კვლავ დიდი ძალისხმევა დასჭირდება. თუმცა პირველი რესპუბლიკის გამოცდილება ფუნქციური და სასიცოცხლო ძალის მტვირთველი აღმოჩნდა ჩვენი დროის ადამიანისთვისაც. საინტერესოა ისიც, თუ რა მექანიზმი მოქმედებდა საბჭოთა სისტემის სახით, რომელმაც ვერ შეძლო სამწლიანი მძაფრი თავისუფლების გამოცდილების გაფერმკრთალება. პასუხი კვლავ მარტივია. მიზეზი, ალბათ, საბჭოთა სისტემისთვის დამახასიათებელი

პრიმიტივიზმია. ქართული კულტურული გამოცდილებიდან ამოზრდილმა ადამიანმა კარიკატურულ რეალობას იმდენად დასცინა, რომ შედევრების შექმნას შეუდგა ხელოვნების ყველა დარგში, დაწერა განწყობის თეორია, ააშენა სპორტის სასახლე, (შეძლო რუსულ კონიუქტურასთან გამკლავება). დადგა ,,კავკასიური ცარცის წრე", გადაიღო ,,დიდი მწვანე ველი" და.ა.შ. შესაძლოა ასეთმა ლაღმა დამოკიდებულებამ საზარელი ანეკდოტური რეალობის მიმართ, შექმნა სრულიად განსხვავებული სახე პოსტმოდერნული საქართველოსი. შიში დამოუკიდებლობისა საბოლოოდ განქარდა და გაჩნდა სრულიად ცოცხალი კვეთა იდენტობის გააზრებაზე ორიენტირებული სახელმწიფოებრივი საფუძვლებისა, რომელსაც, მართალია, ბრძოლა და დაცვა ესაჭიროება, მაგრამ ვინაიდან საქართველოში რეალური პოლიტიკის ლეგიტიმაციას განსაზღვრავს ხალხი, ბუნებრივ გადარჩევასაც თავად ახორციელებს იმ პოლიტიკურ ძალთა შორის, რომლებიც ისევ ებრძვიან ერთმანეთს და ისევ ქმნიან პოლარიზებულ გარემოს. ჩვენი დაკვირვებით, საუკუნის წინანდელ და ახლანდელ პოლარიზებას შორის ის განსხვავებაა, რომ სიტყვა საზრისი არ არის უცხო სიტყვათა ლექსიკონში ამოსაკითხი და დამოუკიდებლობაც ისე გაიგება, როგორც საკუთრი ქვეყნის მართვა, ისე, როგორც თავად თვლი საჭიროდ და არა გარეთ, სხვაგან არსებული გამოცდილების ასლების გადმოტანას თუმცა ამ ოპტიმისტურ დასკვნაში, რასაკვირველია, დარწმუნებულნი არ ვართ. ეს სურვილი და კვლევის პროცესის შეფარული სიმსუბუქე უფროა, ვიდრე რეალური განცდა. თუმცა ამ ტითქოს არარეალური, მაგრამ სასურველი დასკვნის გამოტანის ნება კვლავ მამარდაშვილმა გასცა. ,,აქამდე ჩვენში ჩვენი საკუთარი თავი არ მოქმედებდა, ჩვენ ვიყავით მარიონეტი საკუთარი აზრებისა, რომლებიც ჩვენი აზრები არ იყო"

(მამარდაშვილი, 2015, 29). საკუთარი თავისკენ შემობრუნება, როგორც ჩანს, ეპოქალურ გარდატეხებს მოითხოვს, რომ გამოჩნდეს გზა საკუთარი თავისკენ. ჩვენი ფიქრით, სწორედ ამ გზაზე აღმოჩნდა უკან მოსატოვებელი პირველი რესპუბლიკა და შემდგომდროინდელი კომუნისტური რეჟიმი. გაამართლებს თუ არა ჩვენი დასკვნა, ამას დრო აჩვენებს. დრო, რომელიც ჩართულია და არ სჩვევია ლოდინი, ხან კი იკარგება.

გაზეთი ,,ერთობა“ 29 მაისის პირველ ნომერში პირველსავე გვერდზე აქვეყნებს პუბლიკაციას ,,დამოუკიდებლობის გამო“, სადაც გრძელდება სოც-დემოკრატთა დამოკიდებულების გამჟღავნება. აქაც ქვეყნის 26 მაისი მეორეხარისხოვანი მოვლენაა სეიმის დაშლის ფონზე. მხოლოდ ისტორიული გარდუვალობა დააფიქრებს მათ რეალური დამოუკიდებლობის ბუნებაზე. სწორედ ამიტომ დაასკვნიან წერილის ბოლოს, რომ თუ ბუნებით მდიდარი და დიდი კულტურული ტრადიციის ქვეყანა ვერ გადარჩება, ეს იქნება მხოლოდ გარე ძალების ჩარევის შედეგი. ზემოთ გამოთქმული საზრისის თემას თუ დავუბრუნდებით, ცხადად ჩანს, რომ საკუთარი თავის რეფლექსიის უნარი სრულიად მორღვეულია კოლექტიურ და ელიტურ წრეებში. მიზეზი ავადობისა მხოლოდ გარეშე მოვლენების ხედვას უკავშირდება, რაც ბუნებრივად კარგავს საზრისის ძიების ნიშნულს. ამიტომ დაღმასვლა 1921 წლის 25 თებერვლისკენ 26 მაისსვე დაწყებულა, რასაც ბუნებრივად ხელს შეუწყობს საგარეო ვითარება. გაზეთის ეს გვერდი, ჩვენი აზრით, ნიშან-სიმბოლოა იმისა, თუ როგორ მიემართება მოშლილი შინაგანი სამყარო მთლიან ფონს. როგორ გადაიქცევა დიდ ისტორიულ სურათზე პირადი არასწორი არჩევანი და არარსებული პიროვნული ძალისხმევა რეალურ საფრთხედ, სწორედ ამ პუბლიკაციის პარალელურ სვეტზე იკითხება შემდეგი სათაური:

,,ოსმალეთის ულტიმატუმი“. ოსმალეთი ითხოვს რკინიგზას ჯარების გადასაყვანად, სომხეთის დიდ ნაწილს და საქართველოს ორი მაზრის გადაცემას. ჩვენი ფიქრით, თუ როგორ დაბალანსდება რეალობა პოლიტიკურ პროცესებთან ერთად, უმეტესად, დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა ღირსების შინაგანი, მყარი განცდა პოლიტიკური ველის შემქმნელ ძალაში. სოციალ-დემოკრატთა ფიქრი ასეთია: ,,თუ ჩვენ გვინდა განადგურებას გადავურჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ თავდაცვითი საქმის გაძლიერებას. უნდა გვახსოვდეს, რომ წახდენილი საქმის გამოკეთება შემდგომში უფრო ძნელი იქნება და უმჯობესია ამ თავიდანვე გავიღოთ ყოველგვარი მსხვერპლი, რაც კი თავდაცვისათვის საჭიროა“ *(ერთობა, 1918, 29 მაისი).* მართალია, ჩვენი განსასჯელი არ არის პოლიტიკური სიტუაცია, პუბლიცისტიკა მეტად მიმართულია ღირებულებითი კატეგორიების გარკვევისაკენ, რას წაიკითხავს ხალხი, იმას დაწერს პუბლიცისტი ან, პირიქით. თუმცა, ერთი კი ცხადია, რომ თავდაცვისთვის მსხვერპლის გაღება უპირობო ვალდებულებად მიაჩნია სახელისუფლებო შტოს. ეს მაშინ, როდესაც არ დაწყებულა, არც ჩამოყალიბებულა პოლიტიკური დიალოგის შესაძლებლობა.

თავისუფლების არსის პუბლიცისტური გააზრება 1919-1920 წლების საიუბილეო ნომრებში

1919 წელს საქართველოში მნიშვნელოვან მოვლენები აღმოჩნდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, ვერსალის საზავო კონფერენცია და კონსტიტუციის პროექტის მომზადება. ჩვენთვის კვლავ ის საკითხია საინტერესო, თუ რა დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ერთი წლის განმავლობაში თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს ფენომენის მიმართ ხელისუფალთა და ოპოზიციონერთა მხრიდან, ვინაიდან სწორედ მოვლენების ნამდვილი შინაარსის წაკითხვა განსაზღვრავდა სავარაუდო მომავალს და არა კონკრეტული პროექტების ელვარება, რაც, შესაძლოა სულაც არ იყოს ნამდვილი. პუბლიცისტური აზრის ამოკითხვაა კი, სწორედ ნამდვილი შინაარსის აღქმას უწყობს ხელს, რომელიც არსად იმალება, სტრიქონებს შორისაც ამოიშლება და მთავარ სათქმელად აეწყობა. განსაკუთრებით ურყევი და ჩამოთლილია ეს სათქმელი ასი წლის შემდეგ. მას აღარ ფარავს არც ეპოქის მტვერი, არც ფსევდო-ეთიკური საკომუნიკაციო ნორმები და აღარც ბუნდოვანი პოლიტიკური კონტექსტი. ჩვენთვის ის დაწმენდილია და ცხადი. სწორედ ამ სინამდვილის გააზრება გამოდგება ჩვენი დროის მთავარ, უღალატო საყრდენადაც. გამოცდილებად, რომელიც ადეკვატურად, ლოგიკურად გააზრების შემთხვევაში შესაძლოა მომდევნო ასი წლის მთავარი გზების გამკვალავიც აღმოჩნდეს. სწორედ ამ ტიპის აზრის ამოკითხვას შევეცდებით 1919 წლის გაზეთებში ,,ერთობასა“ და ,,საქართველოში“ გამოქვეყნებული რამდენიმე მთავარი პუბლიკაციის მიხედვით. ჩვენი ორიენტირი კვლავ 26 მაისის ერთწლიან შეფასებათა გადახედვა და ამ შეფასებათა საზრისის ჩვენეული ინტერპრეტაციის წარმოდგენაა. ამ მხრივ დიდი სურათის დასანახად,

ფონისა და კონტექსტის წარმოსაჩენად, ცხადია, გაზეთ ,,ერთობისა“ და ,,საქართველოს“ მაისის ნომრების გადახედვა ვარჩიეთ, ვინაიდან 26 მაისამდე პირველი მაისია, დღე, რომელსაც უმნიშვნელოდ არ ჩაუვლია სოციალ-დემოკრატებისათვის და რომელსაც, მათი წვლილის გამოც, ზეიმობდა ქართველი ხალხი სამოცდაათი წელი.

1919 წელი, ხუთშაბათი, პირველი მაისი, გაზეთი ,,ერთობა“ რასაკვირველია, გაზეთის ოთხივე გვერდის პუბლიკაციის მიხედვით, განწყობა ამაღლებული და საზეიმოა. სათაურები ,,შრომის დღესასწაული“, პირველი მაისის იუბილე“, ,,პირველი მაისი ახალ პირობებში“, ,,მუშათა კლასის დღესასწაული“, ,,მუშებს“, ,,მაისობა“, ,,საერთაშორისო მუშათა დღესასწაული“, გაჯერებულია აღფრთოვანებით, რომ სამყაროში ახალი მუშათა კლასი გამოჩნდა, რომელიც იბრძვის საკუთარი უფლებებისა და რვასაათიანი სამუშაო დღისთვის. შესაძლოა მთელი ოთხგვერდიანი საზეიმო აღტყინება გაზეთის მესვეურთა მიერ გამოთქმულ რამდენიმე მთავარ დებულებამდე დავიყვანოთ. პირველი დებულება ასეთი იქნება: ,,პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ აი, ის ლოზუნგი, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს საერთაშორისო მუშათა მოძრაობიდან, მსოფლიო კაპიტალის განვითარებიდან და რომელიც უკვდავმა მარქსმა დაუდო საფუძვლად სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს. ამ ოთხ სიტყვაში გამოიხატება არა უბრალოდ მოწოდება მუშათა მექანიკური შეერთებისკენ, არამედ დედააზრი მატერიალისტური, მებრძოლი ფილოსოფიისა“ *(ერთობა, 1919, 1-ლი მაისი)* მეორე დებულებად კი წარმოგიდგენთ ამონარიდს პირველსავე გვერდზე გამოქვეყნებული მცირე პუბლიკაციიდან, რომელსაც ავტორის გვარ-სახელი არ ერთვის, იგი კვლავ კოლექტიურია და თითოეული პარტიის მონაწილის პათოსის გამომხატველი, კერძოდ: ,,დღეს მთელი

ქვეყნის მუშათა კლასი დღესასწაულობს პირველ მაისობას. შეერთებული, ერთ მტკიცე ოჯახად დარაზმული, ის სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება გაბატონებულ კლასებს და მრისხანე ლოზუნგით, პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდი - ბრძოლას უცხადებს კაპიტალისტურ ქვეყნებს. მთელი ქვეყნის ბურჟუაზია შიშით და ძრწოლით უყურებს ამ მრისხანე ძალას, რომელიც შემუსვრას უქადის ძველ ცხოვრებას და მის ნანგრევებზე ახალი ტახტის აგებას აპირებს“ *(ერთობა, 1919, 1-ლი მაისი)* ამ ამონარიდებიდან გამომდინარე დაისმის კითხვა, რატომ ვერ ხვდება რიგითი სოციალ-დემოკრატი, რომ პათეტიკურ, უსიცოცხლო, ბუნებრივ ადამიანურ მდგომარეობასთან შეუთავსებელ მოწოდებებს აჟღერებს, რატომ მიაჩნია მარქსი უკვდავად, თუკი მისი მატერიალიზმი მოწყვეტილია თავად უკვდავებისა და მარადისობის იდეას და მესამე, რატომ ჭირს გაგება იმ აზრისა, რომ მრისხანე ძალა, რომელიც შემუსვრით ემუქრება ძველს, ვერაფერს შექმნის ახალსა და ფუნდამენტურს. ეს კითხვები შესაძლოა საკაცობრიოცაა გარკვეული აზრით და პასუხებიც არსებობს, მაგრამ ვინაიდან ჩვენი მიზანი არ არის კონკრეტული ისტორიული ხდომილების, პოლიტიკური სტრატეგიებისა თუ გემოვნების პრობლემის გარკვევა, მხოლოდ პუბლიცისტურ ამბავს უნდა მივყვეთ და ვიკითხოთ, ადამიანის რა მდგომარეობა განაპირობებს ყალბ პათეტიკასთან ალიანსის მოთხოვნას? ამ კითხვაზეც გვიპასუხა მამარდაშვილმა: ,,ამის უკან ძევს პრობლემა, რომელიც ფილოსოფიის ძირითადი პრობლემაა. საბედისწერო შეხვედრის დროს მავიწყდება რაღაც, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და რაც ნამდვილად ვიცი რომ ჩემშია. დროისა და სივრცის მოცემულ წერტილში სრულად არ ვფლობ იმას, რაც მაქვს. გარკვეულ წერტილში რატომღაც ვერ ვახერხებ ძალისა და ყურადღების კონცენტრაციას, რომლის უნარი

აბსტრაქტულად გამაჩნია...ადამინი ყოველთვის უნდა ესწრაფოდეს მოხვდეს იმ წერტილში, სადაც ფლობს იმას, რაც აქვს და შეძლებს იმის გაკეთებას რაც უნდა. იმას რის გამო აღმოვჩნდები ან არ აღმოვჩნდები ასეთ წერტილში თავის კანონები აქვს. აზროვნებაშიც იგივეა-მისწვდები ან ვერ მისწვდები. ამიტომ არსებობს სულიერი ცხოვრების ტექნიკა ანუ ხელოვნება. ამ გაგებით აზროვნებაც ხელოვნებაა, სულიერი ცხოვრების ხელოვნება“ *(მამარდაშვილი, 2015, 35-36)* ჩვენთვისაც ასე განირჩევა ერთმანეთისგან აზროვნების ხელოვნება ანუ სიცოცხლის პროცესში ჩართულობა, უყურადრებობისა და სტიქიურობისაგან. აზროვნების ხელოვნებას ძალუძს ყურადღების კონცენტრაცია, შესაბამისად მაქსიმალურად თავის არიდება, ან გადავადება 25 თებერვლისა, სტიქიურ აკვიატებას კი არა. ამიტომ პირველი მაისის უალტერნატივობის იდეით შეიარაღებული ძალა 1921 წლის თებერვლის ამბებს კი არ განიზიდავს, პირიქით. სოციალ-დემოკრატები აზროვნების ხელოვნების დეფიციტით იდეურად დაუზავდნენ პროცესებს რომელსაც წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია ჰქვია. მმართველმა ძალამ, ხელისუფლებამ და მასთან ერთად საზოგადოების დიდმა ნაწილმა სწორედ ყურადღების კონცენტრაციის უუნარობის გამო გაამყარა კოლექტიური აღტყინება, რაც აღნიშნულ პუბლიკაციებში ცხადად ამოიკითხება. არსებობენ მუშათა კლასის ბელადები და ყველა სხვა არის მრავლობითი რიცხვი, კოლექტივი, მუშათა კლასი და არა უნიკალური, განუმეორებელი ბუნების ინდივიდი. რახან ეს კოლექტიური არჩევანი ჩვენთვის უკვე წარსულია, მას ვერ შევცვლით, თუმცა, როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობს, წარსული შეიძლება აღმოჩნდეს საფეხური, რომელსაც ფეხს დააბიჯებ და წინ წაიწევ, მაგრამ საყრდენი ხშირად მოშლილია იმ მიზეზის გამო, რომ სამყაროს ბუნება სხვაგვარია *(მამარდაშვილი, 2015).* მნიშვნელოვანი კი ისაა, თუ რა

წარსული ლაპარაკობს ჩვენში, მაგრამ წარსული რომ ყოველთვის საფეხური იყოს, ადამიანი ისეთ მაღალ კიბეს დაეყრდნობოდა, ცასაც დაუმეგობრდებოდა. გამოდის, რომ ისტორია, წარსული, მხოლოდ მაშინ ცვლის და მხოლოდ მაშინ ხდება საყრდენი, საფეხური, თუ თავად ადამიანია ცოცხალი და საკუთარი თავის შესახებ ცოდნაც არა მშრალი კანონი და მუშათა სოლიდარობის დღესასწაული, ან რვასაათიანი სამუშაო დღის მოთხოვნაა მხოლოდ, არამედ ცოცხალი ცნობიერება, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ცოდნა. ,,ცნობიერება ცოცხალი მდგომარეობაა, რომლის შინაარსი ცოდნითაა განსაზღვრული“ (მამარდაშვილი, 2015, 43). ამიტომ ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ ადამიანი ცოცხალია საკუთარ თავში, თუ იცნობს საკუთარ თავს და იმ ხდომილებას, სადაც რეალურად იმყოფება. ისტორიამ, მეგობარმა, საკუთარმა თავმაც შესაძლოა გვერდით ჩაიაროს, თუ არ ღვიძავს ადამიანს. თუ არ თანაცხოვრობს სამყაროს შემოქმედთან. ,,დროის სტრუქტურა შეიცავს შუქს, რომელიც შინაგანი იმანენტური შუქია ხორციელი განცდისა. ეს შუქი, ეს პირველი მომენტი მხოლოდ წამიერადაა მოცემული. მისი ჩემში თანდასწრება წამია, რაც ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: ჩვენ ამ თანდასწრებას მთლიანად კონცენტრირებულნი უნდა დავხვდეთ და ვიშრომოთ“ (მამარდაშვილი, 2015, 49). ეს შრომა კი ჩვენ გვესმის, როგორც საკუთარი თავისაკენ მიბრუნება, დიდი მოგზაურობის დაწყება და შინაგანი ვარჯიშების შემდეგ ადამიანად განხორციელება, ნამდვილი თანადასწრება, რაც კანონებით, გარე რეგულაციებით, მითითებებითა და რეკომენდაციებით ვერ ხერხდება. თუკი მთავარი შუქი, ,,სული გრძნობებით სავსე“ თავად ცდილობს დაესწროს ადამიანის სიცოცხლეს, სიზარმაცის გამო ეს შეხვედრები გადავადდება, გაქრება ან ჩამოიქცევა უღირს ისტორიად, სადაც ძველის დანგრევითა და მოსპობით ახალი

მატერიალური ბედნიერების აშენებას ცდილობენ. არჩევს თუ არა სამყაროს ავტორი, ვინ აცოცხლოს და ვინ არა? თუ ირჩევს ადამიანი? ზარმაცი, საკუთარ თავთან გაუცხოებული, რომელსაც იმდენად არ გახსნია მთავარი რესურსი, რომ ზემოთაღნიშნულ საპირველმაისო პუბლიკაციებში გამოთქმული პათეტიკური, ხელოვნური, უსიცოცხლო მოწოდებები ნამდვილ ამბებად მიაჩნია. შემდეგ კი წერს ისტორიას დიდი ავტორი გარეშე, მშრალს, უმზეოს, მოსაწყენს. ალბათ ასეა. კაცი წყვეტს, თავად ადამიანი, იცოცხლოს თუ არა. საბოლოოდ აირჩევს საყვარელ, უსიცოცხლო ხმაურს მიიზიდავს და მიიკრავს 25 თებერვალს.

ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორი დამოკიდებულებაა პირველი მაისის მიმართ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. არის თუ არა გაზეთ ,,საქართველოს“ მესვეურთათვისაც მშრომელთა საერთაშორისო და რვასაათიანი სამუშაო დღე მთავარი საზრისის შემცველი. გაიმიჯნება თუ არა ორი რადიკალურად განსხვავებული ძალის მოსაზრება ამ საკითხის მიმართ. საკითხისა, რომელიც შვიდი ათეული წლის მანძილზე მთავარ დღესასწაულად დარჩება და რიგითი მოქალაქე ივარჯიშებს, რომ საბჭოთა იდეოლოგიის გასამყარებლად აღლუმზე ჩაიაროს ამაყად თავაწეულმა, სადაც სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და სხვა პირველი მდივნები ოლიმპოს მითიური სიმაღლიდან გადმოხედავენ მშრომელთა მასებს ლანდების ქაოსში ჩანთქმულთ.

1919 წელი, 1 მაისი, გაზეთი საქართველო, ხუთშაბათი. ერთი თვალის გადავლებითაც ცხადია, რომ ეროვნულ-დემოკრატებს, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი მაისის მიმართ არ აქვთ მესიანისტური ხედვა. თუ ,,ერთობის“ საპირველმაისო ნომრის ოთხივე გვერდი ამ თარიღს ეძღვნება, ,,საქართველო“ პირველ გვერდზე მცირე პუბლიკაციით ეხმიანება მუშათა საერთაშორისო დღეს. არც ამ პუბლიკაციას ჰყავს

ავტორი, ისიც რედაქციის და პარტიის დამოკიდებულებას გამოხატავს სრულად. პუბლიკაცია გაჯერებულია ანალიტიკური, კრიტიკული აზრით. რეალურადაა აღქმული პირველი მაისის მნიშვნელობა, მუშათა მოძრაობის ფუნდამენტურ შეცდომაზეა გამახვილებული ყურადღება და პრევენციის გზაც დასახულია. ეს გახლავთ წმინდა პუბლიცისტიკა. აქტუალური თემით, ანალიზითა და პრობლემის გადაჭრის შეთავაზებით. ენა - ზომიერი, არაემოციური და ტექსტი კომპოზიციურად გამართული. ამ ტიპის პუბლიცისტური ნააზრევის გამოქვეყნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტია, ვინაიდან ,,ერთობის" ფურცლებზე მუშათა მოძრაობის საკაცობრიო მნიშვნელობით აღტკინება იკითხება და ერთი კრიტიკული კითხვაც არ დაისმის. სოციალ-დემოკრატებისთვის რეალობა სრულიად განსხვავებულია, მათთვის რეალობა ემოციურია, ვინაიდან ახალი ერა იწყება, რომელსაც მუშათა მოძრაობის ტალღა გააკეთილშობილებს, მაშინ როცა ეროვნულ-დემოკრატები მძიმე მომავალს განჭვრეტენ სრულიად ლოგიკურად, ვინაიდან რევოლუციური დემოკრატია თვალისმომჭრელად და უგემოვნოდ ბრჭყვიალებს. სოციალისტურმა აღმსარებლობამ მოიცვა ავსტრია-უნგრეთი, რუსეთ-გერმანია, თან სულიერად მიიმხრო ევროპისა და ამერიკის მშრომელი მასები. რუსეთისა და ევროპის აჯანყებული ძალების გამარჯვებას ხედავენ ერ-დემოკრატები, რეალობის ადეკვატურად აღქმა არაა მათი პრობლემა და სწორედ ამიტომ საუკეთესო რჩევას გაწერენ, რომ უნდა გადასინჯონ საკუთრი გზა, გაიაზრონ და არ იყვნენ მთვრალებივით ,,ატრუებულები, ვინაიდან ,,ეს დაუსრულებელი სამოქალაქო ომი და სისხლისღვრა თავისთავად არც სამართლიანობის მაჩვენებელია და არც გამარჯვებისა" *(საქართველო, 1919, 3 მაისი).* პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ თეორიის ფიზიკური გააქტიურება არ ნიშნავს თეორიის გამარჯვებას.

ისინი იდეურად დამარცხდნენ და ამას ადასტურებს მუშათა კლასს შორის ეროვნული შუღლის გაღვივება, სოციალური ჩაგვრაც, ვინაიდან რუსეთში მუშებს წელში გაწყვეტამდე ამუშავებენ, თან აჯიბრებენ და ქიშპს აგდებენ. ასეთია გაბზარული პირველი მაისი, რომელიც საქართველოშიც იგრძნობა მენშევიკების გააქტიურებით. პუბლიკაცია, როგორც ნამდვილი ტექსტი, მყარი ფინალური აკორდით დასრულდება. დასანანია, რომ არ არსებობს ყური, ვინც ბოლო აბზაცში ჩამოყალიბებული რეკომენდაციის შესმენასა და გაცნობიერებას შეძლებს, რომ ფიზიკური ძალის უპირატესობამ და იდეის მარცხმა ,,უნდა გამოიწვიოს მუშათა მეთოდისა და იდეოლოგიის აუცილებელი გადასინჯვა, რომ კაცობრიობას ასცდეს ავაზაკური სისხლისღვრა და უდანაშაულო მოქალაქეთა ხოცვა-ჟლეტა რევოლუციისა და სოციალიზმის სახელით“ *(საქართველო,1919, 3 მაისი).* ხოცვა-ჟლეტა კი, უკვე ვიცით, რომ რევოლუციისა და სოციალიზმის სახელით, გარდაუვალი იყო.

თუკი კითხვას დავსვამთ, რატომაა შეუძლებელი გაგება საგნის, მოვლენისა, რატომაა შეუძლებელი თვითრეფლექსია, საკუთარი თავისკენ მიბრუნება, მერაბ მამარდაშვილი არც აქ დააყოვნებს პასუხს და ამბობს: ,,შეუძლებელია რაღაც გაიგო იმით, რომ გაგება გინდა, გაგება უნდა მოხდეს“ *(მამარდაშვილი, 2015, 53).* გაგების აქტისთვის მართლა აუცილებლად უნდა არსებობდეს შინაგანი კაპიტალი, რომლის დასაგროვებლად არ კმარა გარეგანი კონსტრუქციების აგება, თუნდაც ახალი, პოპულარული იდეოლოგიისა, რომელიც თავისთავად უსიცოცხლოა, ვინაიდან არ განხორციელებულა ინდივიდუალურად გაგების აქტი. რაც უნდა მყარი პუბლიცისტური კონსტრუქცია ააგონ გაზეთ ,,საქართველოს“ მესვეურებმა პუბლიცისტური ტექსტის სახით, რაც უნდა ცნებებით გაამჟღავნონ ტენდენციები, მაინც ვერ მოხდება

მოვლენის შინაარსის გაგება, ვერც ტრაგედიის პრევენცია, ვერც ფიქრის პროცესი დაიწყება და ვერც ლეგიტიმურ კითხვას დასვამს ვინმე, ვინაიდან გლუვი და შეუვალია მუშათა მოძრაობის აბსტრაქტული იდეა. მხოლოდ პრაგმატულს, მძიმე სხეულსაა მორგებული და ისიც ვითომ. გონება სხვა სამყაროს ნაწილი და საკუთრებაა. ადამიანი გახლეჩილია ორ ნაწილად და ორივე სულს ღაფავს.

რომ შევაჯამოთ საპირველმაისო დამოკიდებულება სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებისა, ცხადია, რომ ერთობის მესვეურნი უპირობოდ აღფრთოვანებულან პირველი მაისის იდეით, რევოლუციური ცვლილებების, ახალი წესრიგის ერთგულნი რჩებიან უმართავი ემოციით, მომავლის განჭვრეტის უუნარობით. ისინი უპირისპირდებიან ეროვნულ-დემოკრატების ლოგიკურ განსჯასა და შესაბამისად, მათი გამოცდილება საფეხურის ფუნქციას ვეღარ შეასრულებს წინ გზის გასაგრძელებლად, არამედ დაცურებული, ჩაშლილი ბილიკი აღმოჩნდება თავდაღმართისა 25 თებერვლის მოლოდინისთვის.

ჩვენ ისევ მაისის მოვლენების გადააზრებას მივყვებით და განვაგრძობთ მთავარ პოლიტიკურ ძალთა მხრიდან პუბლიკაციებში გაწერილი ერთწლიანი დამოუკიდებლობის გამოცდილების შეფასების ანალიზს, თუ როგორ ჩამოყალიბდა თავისუფლების ერთწლიანი გამოცდილება ,,ერთობისა“ და ,,საქართველოს“ შემქმნელთათვის.

26 მაისის მოვლენას გაზეთი ,,ერთობა“ და მისი მესვეურნი მთელ ნომერს მიუძღვნიან. პირველ გვერდზე დამოუკიდებლობის აქტია გამოქვეყნებული, გვერდით კი ნოე ჟორდანიას სიტყვა, წარმოთქმული 1918 წლის 26 მაისს. ეს სიტყვა ერთი წლის შემდეგაც პირველ გვერდზე დაიბეჭდა, რაც, ბუნებრივია, ნიშნავს იმას, რომ გაზეთის მესვეურნი

წერილის პათოსს კვლავ უცვლელად იზიარებენ. მათთვის ერთი წლის განმავლობაში დამოუკიდებლობის საკითხის გადააზრებაში არაფერი შეცვლილა. სიმპტომურია პრეზიდენტის მიმართვის პირველივე ფრაზა: ,,მოქალაქენო, დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიული, იშვიათი და ამავე დროს ტრაღიკული აქტისა. იმ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, საფუძველი ეყრება მეორე *სახელმწიფოს" (ერთობა, 1919, 26 მაისი).* შემდეგ კი აღნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობა არ არსებობს, რომ ყველა ერის წარმომადგენელი თავს საკუთარ სახლში უნდა გრძნობდეს. სიტყვის დასასრული კვლავ ახალი კავკასიის კონფედერაციის კავშირის შექმნის იმედითაა სავსე: ,,ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა",-ასე დაასრულა ჟორდანიამ დამოუკიდებლობის მიღების დღეს საკუთარი სიტყვა და ასე უცვლელად გაიმეორა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ იგი ერთი წლის შემდეგაც. ჩვენ, რასაკვირველია, არ შევუდგებით სიტყვის პოლიტიკური კონტექსტის განხილვას, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ნოე ჟორდანიას ამ ცნობილ სიტყვაში ცხადადაა გამოხატული მძიმე გულისწყვეტა სეიმის დაშლისა და არსად იკვეთება აღტაცება საქართველოს დამოუკიდებლობის გამო. სეიმის დაშლისა და კავკასიური კონფედერაციის აღდგენის ფიქრითაა შთაგონებული პირველი რესპუბლიკის პრეზიდენტი. მისთვის მეორეული, ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი მოვლენაა 26 მაისი, სახელმწიფოს მეთაურის მთავარი წუხილი სწორედ ეს გახლავთ. ვინაიდან ყოველი ხდომილების მნიშვნელობას ადგენს მისი ღირებულებითი ნაწილი, ამ სიტყვის შემდეგ, დამოუკიდებლობის მიღების დღესაც ცხადი უნდა ყოფილიყო საქართველოს უახლოესი მომავალი. ამ მომავალს, შეიძლება, პირობითად ვუწოდოთ ,,გზა სადგურისკენ" (ემიგრაციისკენ) თუ მეტად არსობრივად

განვიხილავთ პრეზიდენტის გულგრილ დამოკიდებულებას ქვეყნის დამოუკიდებლობის მიმართ, დავასკვნით, რომ ყველა სიტყვა კარგავს შინაარსს და მოვლენა - რეალურ საზრისს. აქ ჩნდება მოცემულობა, რომელიც უსათუოდ დაშლისკენაა მიმართული, ვინაიდან მეთაურის დამოკიდებულება გახლავთ 25 თებერვლის მიმზიდავი. აქ, ჩვენი აზრით, აღარ აქვს მნიშვნელობა რუსეთი მოახდენს თუ არა საქართველოს ანექსიას, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე სახელისუფლებო რგოლის მიერ დაკარგული იყო. ის მათთვის არსებობდა პირობითად, როგორც ნაშთი სეიმის დაშლისა. ნაშთი კი ვერასოდეს იქცევა მთავარ ცვლადად და, თუ ხალხის უმრავლესობაც ამ დამოკიდებულების მომხრეა, საქართველოს ანექსია ჩვენთვის უფრო შინაგანი მიზეზითაა განპირობებული, რადგან რუსეთი ყოველთვის რუსეთი იყო. აქ ჩვენთვის საკითხი დგება შემდეგნაირად: ქართული ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ აღსრულდა თუ არა ვალი, გადაიდგა თუ არა ის ნაბიჯები და გაშინაგნდა თუ არა დამოუკიდებლობის აქტი საყოველთაოდ. ჩვენი პასუხია - არა. გადავხედოთ შემდეგ პუბლიკაციასაც, გაჩნდა თუ არა ერთი წლის შემდეგ განსხვავებული შტრიხები მათ სააზროვნო მანერაში. პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ პუბლიკაციას ,,26 მაისი". განსხვავებით ჟორდანის სიტყვისგან, ამ წერილში აღფრთოვანებით აღნიშნავენ დამოუკიდებლობის დღეს, განიხილავენ მას როგორც ცოცხალ პროცესს, ოსმალეთისგან თავდაღწევის აქტს: ,,26 მაისი, ეს საქართველოსა და მისი რევოლუციური დემოკრატიის შავი ბედისაგან ხსნის დღეა" *(ერთობა, 1919, 26 მაისი);* ამ მოვლენას გენიალურ ნაბიჯად, ოქროს რგოლად, ახალი ხანის დასაწყისად, ერის შემოქმედებით ნაყოფად მოიხსენიებენ. ეს ეპითეტები, რასაკვირველია, გაცილებით ცოცხალი და ადეკვატურია, ვიდრე პრეზიდენტის სიტყვა,

მაგრამ რევოლუციურ, ევროპულ მუშათა მოძრაობასაა მიბმული. ავტორთა თქმით, საქართველო ევროპული კულტურის ნაწილია, როგორც ევროპული რევოლუციური პათოსის ერთგული. აქ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საქართველო ევროპის ნაწილია არა ღირებულებით, არა ადამიანის როლის, დანიშნულების, ყოფიერების საზრისის კვლევის კონტექსტით, არამედ როგორც მუშათა კლასის რევოლუციური დღის წესრიგის გადმომტანი. განსხვავებით ბოლშევიკებისაგან, რომელთათვისაც დამოუკიდებლობა რევოლუციის მარცხის შედეგია და არასასურველი მოვლენა, სოციალ-დემოკრატებისთვის ,,ჩვენი დემოკრატია დღესასწაულობს ამ დღეს, დღესასწაულობს რევოლუციის მონაპოვართა სადიდებლად... ამ თავგანწირულებით მან განამტკიცა ის წყობილება, რომელიც საშუალებას მისცემს მას განაგრძოს თავის გზა ბრწყინვალე მომავლისკენ და მას სჯერა, რომ ამ გზაზე ის მალე შეხვდება აღმდგარ რუსეთის ჭეშმარიტ დემოკრატიას და მასთან ერთად დაისადგურებს იმ ედემში, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება“ *(ერთობა, 1919, 26 მაისი).* ჩვენი მოსაზრება გაამყარა, წერტილი დაუსვა ამ ამონარიდმა. წუთისოფელში ედემის აშენება სოციალიზმის სახელით და ეს ფუჭი, უტოპიური მოლოდინი სამოთხის დედამიწაზე გადმოტანისა ბუნებრივად აჩენს ეჭვს სამყაროს აღქმის ადეკვატურობის უნარის არსებობისა. ასეთი მიმართება საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისადმი ცხადყოფს, რომ არც თავისუფლება, არც დამოუკიდებლობა არ არის მათთვის პირველადი ფასეულობა. ის იმდენად მნიშვნელობს, რამდენადაც რევოლუციის იდეისთვის არის ფონი თუ მასაზრდოებელი უტოპიური ლანდშაფტისა. აქაც ჩვენი მეთოდი მუშაობს და ერთ ანალოგს მოვიტანთ მერაბ მამარდაშვილის მსჯელობიდან, თუ როგორ ხდება სამყაროს რეალურად აღქმა და არა ილუზორულად. აღნიშნული

პუბლიკაციები მეტად განამტკიცებს იმ აზრს, რომ რეალურისა და ილუზორულის გარჩევა არაა იოლი საქმე, რომ აქ მართლაც შინაგანი კუნთების დაძაბვა და მუშაობაა საჭირო. ჩვეულებრივი, გაუწვრთნელი თვალისთვის მხატვარი ხატავს იმას, რასაც ხედავს, მაგრამ რეალურად მხატვარი იმიტომ ხატავს, რომ არსი დაინახოს იმისა, რასაც ხატავს და მართლაც, მით უფრო ნამდვილი და დიდია ხელოვნება, რაც მეტადაა გადმოცემული საგნისა თუ მოვლენის არსი *(მამარდაშვილი, 1993, 28).* ამ ანალოგის მიხედვით, ნამდვილ და ილუზორულ აღქმებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც ნამდვილ ხელოვნებასა და მიმსგავსებულს შორის და ვინაიდან ადამიანისთვის მნიშვნელოვანია თითოეული დღე, პასუხისმგებლობით, გააზრებით გადადგმული ნაბიჯი, სწორედ ეს პასუხისმგებლობა აიძულებს როგორც კარგმა მხატვრებმა, ანუ ადამიანებმა, ამოიკითხონ რეალური შინაარსი მოვლენებისა და არ მიჰყვნენ უპირობო, გაუაზრებელ აღქმებს, რომელთა უსათუო პასუხი სასოწარკვეთაა.

ყურადსაღებია ისიც, რომ 26 მაისისადმი მიძღვნილი ნომერი ლექსების სიუხვითაც გამოირჩევა. სწორედ ამ ლექსების ნამდვილობა დაგვეხმარება იმაში, რომ დავადგინოთ რეალობის აღქმის სანდოობა. თუ მათ ე.წ. პოეტურ ნიმუშებს ეტყობა ხელოვნების, პოეზიის კვალი, მაშინ მათ აღქმებსა და პოლიტიკურ გემოვნებაშიც, შესაძლოა, წავიკითხოთ ნამდვილი, ადამიანური, რეალური დამოკიდებულება მოვლენების მიმართ. ნიმუშად წარმოგიდგენთ რამდენიმე სტრიქონს:

დღეს კიდევ უფრო გაანათებ, ასხივფერდები,
გადაიშლება შენს ქუჩებზე წითელი ტევრი,
აყივლდებიან არწივები იქ ბევრზე ბევრი-
და დაინახავს შენი მტრები რომ არ ბერდები.“

(დ.რუხაძე, 1919, ერთობა,26 მაისი)

,,საუკუნენი საუკუნეთ, ვით წუთნი სდევდნენ,

და თან მიჰქონდათ სიამენი თუ ვაებანი

გუშინ დამტკბარი ცხოვრებითა დღეს სულსა ლევდნენ

დღეს მონეტარეთ მოელოდათ ხვალ წამებანი.“

(დ. მეგრელი, 1919, ერთობა, 26 მაისი,)

და ერთობის სადღესასწაულო ნომრის შეფასების დასასრულს, ვფიქრობთ, უსათუოდ უნდა ითქვას იმ მცირე პუბლიკაციის შესახებ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტს, ნოე ჟორდანიას, უძღვნის გრიგოლ დიასამიძე[22] სათაურით ,,ორ-კილო დღესასწაული“. ავტორმა კარგად უწყის, რომ პრეზიდენტისთვის 26 მაისზე მნიშვნელოვანი თარიღი პირველი მაისია. ამიტომაც პუბლიკაციის დასაწყისში მუშათა სოლიდარობის დღის მნიშვნელობაზე საუბრობს, როგორც თავისუფლების, ხალხთა შორის ძმობისა და სოლიდარობის სპეტაკ მოცემულობაზე და მხოლოდ წერილის დასასრულს ახსენებს 26 მაისს, რომელიც მხოლოდ ფონი და ანტურაჟია პირველი მაისისა.

ასეთი რეალობა იხატება გაზეთ ,,ერთობის“ მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის დღის ერთი წლის აღსანიშნავად. გაზეთის ამ სადღესასწაულო ნომრის განხილვამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი მთავარი თეზისის ლეგიტიმურობაში, რომ მმართველი ძალა და, შესაბამისად, საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აღიქვამს დამოუკიდებლობას, როგორც ისტორიის ობიექტურ მოცემულობას. იგი მათთვის არის შემთხვევითობა, რომელიც გახლავთ მხოლოდ დანამატი და ფონი დიდი სოციალისტური მუშათა მოძრაობისა. შესაბამისად,

[22] დიასამიძე გრიგოლ(გიგო) (დ. 25.I.1870, ქაშეთი, გორის მაზრა,13.IX.1960 ნიუ იორკი) ჟურნალისტი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე 1921 წლიდან მოღვაწეობდა ემიგრაციაში.

ბუნებრივია დასკვნაც, რომ, თუ ქვეყნის დამოუკიდებლობა ხელისუფალთათვის არის მეორეული, ფონური მოცემულობა, მას უსათუოდ ჩაენაცვლება ახალი წესრიგი, უფრო - უწესრიგობა, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს დაიწყება.

ახლა თვალი უნდა გადავავლოთ გაზეთი ,,საქართველოს“ 26 მაისისადმი მიძღვნილ ნომრებს და შესაბამისად, ეროვნულ-დემოკრატების დამოკიდებულებას თავისუფლების აქტის ერთწლიანი გამოცდილების მიმართ. თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია, რომ 26 მაისის გაზეთი ,,საქართველო“ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთობის პათოსისაგან. ამ გაზეთის შემქმნელთათვის დამოუკიდებლობის დღე არ განიხილება დამატებით, ფონურ კატეგორიად, არამედ მთავარ, ისტორიულ მოვლენადაა აღქმული. პირველ გვერდზე დამოუკიდებლობის აქტისა და სახელმწიფოს ნიშნების შემდეგ ვკითხულობთ პუბლიკაციას ,,დღე სასწაული“. ავტორი - სპირიდონ კედია[23]. მისთვის 26 მაისი რელიგიური ნიშნის მატარებელი, სიცოცხლის ძალის მტვირთველია. შეუძლებელია, არ აღგაფრთოვანოს მისმა ადამიანურმა განცდამ საუკუნის თავზეც რომ იმავე პოლიფონიურ ჟღერადობას აგებს თითოეული მკითხველის გულ-გონებაში. ეს სიტყვები იშვიათი ძალის, იშვიათი ენერგიისაა. დაუვიწყარია პუბლიკაციის დასაწყისი ნებისმიერი მკითხველისთვის, ვისთვისაც დამოუკიდებლობის არსი გაცხადებულია და საკუთარი ცხოვრებისაგან განყენებულ, აბსტრაქტულ მოვლენად არ წარმოუდგენია. მართლაც რთულად გასაგები არ გახლავთ იმ ადამიანების განწყობა-მდგომარეობა, რომელნიც რამდენიმე ასწლეულის შემდეგ კვლავ სახელმწიფოს, ახალი

[23] კედია სპირიდონ მალხაზის ძე (20.IX.1884, ზუგდიდი - 17.V.1948, პარიზი), პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე

რესპუბლიკის დაბადების ისტორიული ხდომილების მონაწილენი იყვნენ. ვფიქრობთ, ამ განცდას ზუსტად ასახავს სპირიდონ კედიას წერილის პირველი სტრიქონები: ,,სამშობლოს იდეამ გაიმარჯვა და ზეიმობს. ამ გამარჯვების სადიდებლად მთელი საქართველო განგებისად მოიკაზმა. ესე მოკაზმული ქართველი ერი დღეს გარეთ გამოეფინება, რომ მზის სიცხოველის ნეტარებაში ილოცოს და ილიტანიოს სამშობლოს ხატის წინაშე. პირქვე დამხობილი იგი ხატი ცად ავიდა და მის გუმბათიდან ყველასათვის ერთნაირად მზეურობს და ღმერთობს“ *(საქართველო, 1919, 26 მაისი).* სინდისი, გული, მოვალეობა, ყველა მთავარი სიტყვით დაახასიათა ავტორმა ქართველი ერი, წრსული ისტორიის აწმყოდ და მომავლის ლოგიკურ გაგრძელებელ აღიქვა. დამოუკიდებლობის დღეს საკრალური შინაარსი შესძინა და კატეხიზმოს მიამსგავსა. ,,დღეს საყოველთაო ეროვნული ლოცვის დღეა, სამშობლოს წინაშე ფიცის დადების ღვთისმსახურებაა, მაღალი საიდუმლოა, მთელი ერის გაზენაების დღესასწაულია“ *(საქართველო, 1919, 26 მაისი).*

,,ეროვნული დღეობა“, ასეთი პუბლიკაცია მოჰყვება სპირიდონ კედიას წერილს, რომლის ავტორი გიორგი გვაზავა გახლავთ. წინა წერილის მუხტი შემდეგაც არ ნელდება. ავტორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ასოციაციები საქართველოს გაქრისტიანებას, თბილისის დაარსებას და არაბთა განდევნას ებმის, რაც მისთვის თანაფარდი მოვლენებია. ბასტილიის აღების დღეც ახსენდება ავტორს, მხოლოდ იმ კონტექსტით, რომ ჩვენი ბასტილია ყველა ქვეყნის პროლეტარების იდეა იყო. ავტორი მკითხველსაც შეახსენებს დამოუკიდებლობის აქტის მთავარ იდეას, რომ ქვეყანა ეკუთვნის ხალხს და სინდისიერი ცხოვრების წესით დიდებული სახელმწიფოს აშენებაა შესაძლებელი. ,,ეს გახლავთ იდეური

შინაარსი 26 მაისისა. ამისთვის ღირს სიცოცხლე, ღირს სიკვდილი“ *(საქართველო, 1919, 26 მაისი).*

აღნიშნული პოზიტიური განწყობა და ოპტიმიზმი ბუნებრივია თავისუფლების საუკუნეების პაუზის შემდეგ. ამ წერილის პათოსი იმითაცა განსაკუთრებული, რომ ქვეყნის შენება, დამოუკიდებლობა და სინდისის კატეგორია ერთმანეთსაა დაკავშირებული. იდეურად და სქემატურად ყველაზე გამართული პუბლიკაციაა, რადგან საუკუნის თავზე დროის მიერ ჩარჩენილ ქვიშაში ზუსტად იკითხება მთავარი თემები. ეს თემები დღესაც აქტუალურია სწორედ ამ კატეგორიების განხილვისას. აღარც დღესაა რუსეთი ჩვენი პატრონი, მაგრამ მთავარი პოსტულატია დაკნინებული. ძლიერ ქვეყნებს პოლიტიკოსები არა, ღირსეული ხალხი ქმნის. და სად დაირღვა ფარდობითობა ამგვარ ადამიანურ დამოკიდებულებასა და ფსევდო-მოქალაქეობას შორის და პასუხი კითხვებზე, თუ სად ჩაიარა დიდმა ხომალდმა, როგორც ცხოვრების მეტაფორამ, რატომ აღმოჩნდა საბჭოთა სინამდვილე გარდაუვალი, როდესაც სწორად იყო დასმული მახვილები ეროვნულ-დემოკრატების მხრიდან. ჩვენი პასუხი გახლავთ შემდეგი, რომ ეროვნულ-დემოკრატები არ იყვნენ ხელისუფლებაში, არ გამოხატავდნენ ხალხის ნებას. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის კი ანტურაჟი და დეკორაცია იყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, როგორც მმართველი ძალისთვის. დეკორაცია კი ყოველთვის მსუბუქია, იმიტაციაა, მოძველდება და აუცილებლად ჩამოინგრევა. ჩვენი ფიქრი ამ კუთხითაც გაამყარა მერაბ მამარდაშვილის შემდეგმა აზრმაება, რომელიც კვლევის მთავარი დებულების სიცხადეს თითქოს მეტად ნათელყოფს. ,,შეუძლებელია გარედან მოგახვიოს რაიმე ვინმემ თავზე, თუ შინაგანად რაღაც ზომით მაინც არ ხარ მზად მის მისაღებად“ *(მამარდაშვილი, 2015, 89).*

ფილოსოფოსი განაგრძობს, რომ ჩვენ სოციალისტურ სინამდვილეში ერის აქტიურმა ნაწილმა ჩაგვითრია, რომ ერის ეს ნაწილი აღმოჩნდა ენით, მენტალობით სოციალიზმის ნაწილი. ანექსიამ მოიცვა მთელი ქვეყანა უტოპიური ეკონომიკის განვითარების მხრივაც, მაგრამ აქ მოხდა განსაკუთრებული რამ. ვინაიდან ჩვენ განვსხვავდებით რუსული ჯოჯოხეთური რეალობისგან, ვინაიდან გვაქვს სიმსუბუქის შეგრძნება, ეს არის რაინდული, ტრაგიკული ერის წესი, როდესაც საკუთარ ტკივილს არ ახვევ სხვას. ჩანხარ მუდამ მხიარული, თავდაჭერილი...ეს ერთგვარი თითქმის სრულყოფილი ეთიკური ნორმაა, რომელიც განსაკუთრებით კარგად ჩანს სხვა ერებზე დაკვირვების შედეგად. სწორედ ამ თვისებამ გადაარჩინა ჩვენი ეროვნული ხასიათის პიროვნული საწყისი, თუმცა ვერ გადაარჩინა აზროვნების სტრუქტურა, რომელიც ხორციელდება ჩვენი შინაგანი არჩევნის ხარჯზე *(მამარდაშვილი, 2015, 89).* და ამ არჩევანისას დაშვებული შეცდომა, რომელიც მუშათა სოციალისტურ რევოლუციად გადაიქცევა და თან მოიყოლებს სამი წლის ჩვილს, თავისუფალ ქვეყანას უზარმაზარ ზვირთში, წამს გადააქცევს საუკუნედ, საუკუნეს კი წამად. აქ დიდი დრო თითქოს ჩერდება და კვლავ არჩევანს ელის, თუმცა არჩევანი შესაძლოა აღარ დაემთხვეს ნამდვილ დროს, რომლის შეგრძნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წამზომზე ყურება. რევოლუციის ერთი წამი საქართველოში 70 წელი გაგრძელდა და დაინგრა კიდეც, მხოლოდ ეს ნგრევა ფორმალური იყო თუ შინაგანი, არსობრივი, ამას ჩვენი დროის ნიშნები დაადგენს ცხადად. ხდომილებები, რომლებსაც შეიძლება საუკუნე ან ათასობით კილომეტრი აშორებდეს, მაინც ერთი მოვლენაა, თუკი იმ პრინციპის თუ უპრინციპობის მიხედვით ეწინააღმდეგება ადამიანურ საწყისს ან განგების ლოგიკას, რომელსაც საკუთარი წესრიგი გააჩნია და მართლაც, ეს წესრიგი ადამიანს არ მოერგება, ადამიანი უნდა

მოერგოს მას, გაიაზროს, დაალაგოს აზროვნების სტრუქტურები. ეს აქტივობა უკვე მის სასურველ არჩევანად კი არა, გარდაუვალ მოვალეობად ჩნდება, სხვა შემთხვევაში ქაოსი, რღვევა და უფსკრულის ციცაბო, თავბრუდამხვევი დაღმართი, ვფიქრობთ, გარდუვალია. ასეთ საბედისწერო დაღმართებს სწორედ აზროვნების არეული სტრუქტურები ქმნის, ღირებულებითი კატეგორიები, რომლებიც 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოშიც ისევ ბობოქრობს. და ეს მოშლილი სტრუქტურა ასეთია: ,,დღეს მე ბოროტი ვარ, ჩემი მეზობელიც ბოროტია, მაგრამ ხვალ ამ ნულების ამ ბოროტებათა ჯამიდან რაღაცნაირად მივიღებთ სიკეთეს...ყველა უბედურება რაც ჩვენ გვემართება არის გადაბრუნებული ან უარყოფითი შედეგი რეალური კანონების არსებობისა. ან ჰარმონიულად ვართ შეთანხმებული ამ კანონებთან და მაშინ ჩვენს ცხოვრებაშიც არის გარკვეულობა, ან დისჰარმონიაში ვართ და მაშინ ქაოსი და ნგრევა გვემუქრება“ (მამარდაშვილი 2013, 91). აქედან ჩანს, რომ, მართლაც, დრო, სივრცე, დროული და უდროო ის კატეგორიებია, რომელთა განაზრებაც აუცილებელია. ჩვენ, კი, როგორც წესი, შესაძლოა აზროვნების სტრუქტურის დარღვეულობის გამო არ აღმოვჩნდეთ სწორ დროს და სწორ ადგილას. დავაგვიანოთ სახარებისეულ იგავის ქალწულებივით. უყურადღებობის, ყურადრების კონცენტრაციის უუნარობის გამო.

დროს და სივრცესაც წაკითხვა, ამოცნობა სჭირდება, რომ ცრემლიანი თვალები არ გავაყოლოთ მოწესრიგებულ ნამდვილ და არა წარმოსახვით რეალობას, რომელიც თავად უფრო დიდი წესრიგის ნაწილია და იქამდე საჭიროებს დევნას, ვიდრე აზროვნების სტრუქტურა არ შეიცვლება და მისი წესრიგის მონაწილედ არ ჩამოყალიბდება. ჩვენი საუკუნოვანი ისტორიაც სწორედ ამ წესრიგს აცდენილი ქაოტური აზროვნების

ლოგიკური შედეგი გვგონია, რომელიც ცდილობს ნულისგან, ანუ არარასგან დადებითი რიცხვების მიღებას.

დამოუკიდებლობის ფენომენის ასეთი განსხვავებული აღქმების შემდეგ, საინტერესოა, ლოგიკურად გაგრძელდა თუ არა 1920 წელი, თავისუფლების ორწლიანი გამოცდილება, რომელსაც მის დაკარგვასთან ცხრა თვე აშორებს, დრო, რომელიც შობადობისთვის მოსამზადებელ ციკლს მოგვაგონებს; დრო, რომელიც პირობითია, მაგრამ სიმბოლური. ნაყოფი კი 70 წლის, ანუ ,,დღეგრძელი" აღმოჩნდება, მაგრამ ნაკლოვანი. ახალი დროის, ახალი იდეოლოგიის მცდარ, განსაკუთრებით უხეშ საბურველში გახვეული. საინტერესოა, გრძნობენ თუ არა ,,საქართველოსა" და ,,ერთობის" მესვეურნი ამ გარდატეხის მოახლოებას, როგორია მათი პუბლიცისტური აზრი და ანალიზი. ამის გასაგებად ისევ საოცდაექვსმაისო ნომრებს გადავხედეთ, ვინაიდან სწორედ დამოუკიდებლობაზე რეფლექსიით ცხადდება აზრის სიცოცხლისუნარიანობა, რაც სინონიმია სახელმწიფოებრივი, ადამიანური მყოფობისა.

1920 წლის გაზეთი ,,ერთობა, 26 მაისი. პირველ გვერდზე ვკითხულობთ პუბლიკაციას სათაურით ,,26 მაისი". ეს გახლავთ დამოუკიდებლობის იდეით აღფრთოვანებული ერთი პროზაული შეძახილი. წერილი, როგორც სოციალ-დემოკრატებს სჩვევიათ, კოლექტიური პოზიციის გამომხატველია. კოლექტიური აზრი კი ასეთია: რომ ერი შეჰხარის საკუთარი შრომის ნაყოფს, დემოკრატიას, რომ სამწლიანი თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგია ევროპის მუშათა კლასის მხრიდან დამოუკიდებლობის აღიარება. რომ რუსეთი გაოცებულია საქართველოს მორალური სიძლიერით და საზღვართან შეჩერდა, რომ საქართველოს დემოკრატია უნდა იყოს მაგალითი დანარჩენი

სამყაროსთვის, ვინაიდან ორწლიანი გამოცდილების შედეგად მას ამის თქმის უფლება აქვს. თუმცა აქვე საშიშ აჩრდილად წარმოდგება რუსეთი, რომელიც ამ დემოკრატიას ემუქრება. ასეთი პათეტიკური აღფრთოვანებით აღიწერება სოციალ-დემოკრატთა მხრიდან ორწლიანი თავისუფლების გამოცდილება. წერილის დასასრული კი, ჩვენი ფიქრით, ერთი ნაივური და გულწრფელი გაცხადებაა იმისა, რომ ,,ჩვენ არასდროს არ გვიგრძვნია მისი მომხიბლაობა ისე ღრმად და მთელი არსებით, როგორც ამას დღეს ვგრძნობთ. დემოკრატიას უყვარს თავისი ლამაზი და კეკლუცი რესპუბლიკა“ და ბოლო რომანტიკულ-ოპტიმისტური შეძახილი, რომ ,,აღმოსავლეთი იძულებული გახდება ქედი მოიხაროს ამ სიყვარულის წინაშე“ *(ერთობა, 1920, 26 მაისი).* აღნიშნული ამონარიდი ცხადყოფს ერთ კანონზომიერებას: როდესაც ღრმად ჩაკარგული ინტუიტური ხმა კარნახობს ადამიანს გარდაუვალ უსიამოვნო ცვლილებას, საკუთარი სააზროვნო მოდელის ანალიზის ნაცვლად, ცდუნება იპყრობს, დაიცვა გვიან, მაგრამ უდაოდ აღმოჩენილი რეალური სახელწიფოებრივი თავისუფლების ხიბლი და რეალობასთან შეხვედრის ნაცვლად, არ ეპუება ახალ თავისუფლებასთან გამომშვიდობების ვერსიის განხილვასაც. რეალობა კი ისეთია, როგორიც მათ შექმნეს... ძირითადად მაინც.

1921 წლის თებერვალში გაზეთი ,,საქართველო“ აღარ იბეჭდებოდა 1921 წლის 25 თებერვლის გაზეთი ,,ერთობის“ შინაარსი ასეთია: ჩვენ 43-ე ნომრის პუბლიკაციების სათაურთა ჩამოთვლით შემოვიფარგლებით, რადგან მხოლოდ სათაურებიც კი უზუსტესად ასახავს სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულებასა და განწყობას. ,,ჩვენს მეომრებს“, ,,მარტო არ ვართ“, ,,ამერიკის დახმარება საქართველოს“, ,,რას ნიშნავს წითელ ავაზაკთა შემოსვლა“, ,,მეტი სიმტკიცე ზურგში“. ამ სათაურების

გაცნობისას ჩვენ დაკარგული დროის თემას გავიხსენებდით და კვლევის ბოლოს ასეთ კითხვებს დავსვამდით: შესაძლებელია თუ არა დაკარგული დროის თუნდაც ნაწილების პოვნა საუკუნის შემდეგ? ამ კითხვაზეც მერაბ მამარდაშვილმა გვიპასუხა ძალიან მარტივად, რომ ,,პლატონის ნათქვამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია რამე შევიმეცნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის, რაზეც ვფიქრობთ და თვით ჩვენც ვიმყოფებით, სიკეთის იდეაშია. რომელიც ამასთანავე არ არის არსებული საგანი, ის... არსებობის საზღვრების მიღმაა. აქ კარგად უნდა დავაკვირდეთ, რა იგულისხმება. არა ის, რომ შევიმეცნოთ სიკეთის იდეა, არამედ ის, რომ რაღაცა შევიცნოთ სიკეთის იდეაში“ *(მამარდაშვილი, 2015, 145).* ეს აზრი, ჩვენი მხრივ, გვსურს იოანეს სახარების ერთი პასაჟით გავამყაროთ: ,,ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს, რადგან უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ“ *(იოანე, თავი 15.5).* ხოლო შემეცნება, მით უფრო რეალობისა და მით უფრო ადეკვატური, ჩვენი ფიქრით, ყველაზე დიდი კეთებაა და იგი ამოზრდილია იმ თესლისგან, რაც პლატონთან სიკეთის იდეა, სახარებაში კი ქრისტიანული ღმერთია. ვერ ვიტყვით დღეს, ჩვენი მხრივ, ადეკვატურად მოგეჩვენებათ თუ არა ამ კულტურულ-ისტორიულ საფუძვლებთან წილნაყარობა, მაგრამ ჩვენთვის ისეთი სიცხადეა არარსებულ, გამოგონილ, ვირტუალურ, მოჩვენებით უძალო ფსევდო საყრდენს ჩაჭიდებული პოლიტიკური პარტიის მარცხის გარდუვალობა, როგორც 1925 წლის 25 თებერვალი. დღე, როდესაც საკითხავია, დასრულდა თუ დაიწყო ლანდების კასკადი.

აზროვნების სტრუქტურა რომ გაცილებით მოწესრიგებულად წარმოადგინეს ეროვნულ-დემოკრატებმა, ეს აღნიშნული პუბლიკაციების განხილვითაც გაცხადდა. რ. ინგილოს წერილი ,,დამოუკიდებლობის წლისთავზე“ რადიკალურად განსხვავდება ,,ერთობაში“ დაბეჭდილი

პრეზიდენტის სიტყვისაგან, ვისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა სეიმის ნაშთად, ტრაგედიის ნარჩენად აღიქმებოდა. რ. ინგილო კი სრულიად ცხადად ხედავს მოვლენებს, რეალობას ადეკვატურად აფასებს და სეიმის დაშლას ისტორიულ აუცილებლობად წარმოაჩენს. ,,26 მაისს 1918 წელს სასახლის თეთრ დარბაზში ნაშუადღევის ოთხ საათზე ისტორიას ჩაბარდა უთავბოლოდ შეხანხლული ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი კონგლომერატი“ მისი დამოკიდებულება სეიმის, როგორც ნებისმიერი ხელოვნური პროცესის, მიმართ ჩვენთვის გასაგებია, ის მხოლოდ შეგრძნებით, ინტუიციით შეიმეცნება. ეს მდგომარეობა, თუ როდისაა ადამიანი ნამდვილი, როდის იგებს რეალობას ისეთს, როგორიც არის, როგორც ამბობენ, განსაზღვრავს საკუთარ ნამდვილ დროში არსებობას. ნამდვილი დრო კი დგება მაშინ, როგორც მამარდაშვილი იტყოდა, როდესაც ჩრდილი საკუთარ თავში იმდენად გაწვალებს, იმდენად გტანჯავს, რომ შანსი გაქვს საკუთარი სინათლის წილი შეუშვა საკუთარ თავში *(მამარდაშვილი 2013).*

რ. ინგილოს მიერ შექმნილი პუბლიკაცია ის აპრიორული მოცემულობაა, როდესაც ავტორი საკუთარ დროსა და სივრცეს მოიხელთებს, როდესაც არ ესმის ხელოვნური სეიმის მისიონერული როლი, ქვეყნის დამოუკიდებლობის წლისთავი კი მისთვის ახალი დროის ათვლის წერტილია, რადგან მისთვის მთავარი და მეორეხარისხოვანი არ აღრეულა. სეიმთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიასა და რ. ინგილოს პოზიციების შედარებისას უძველეს თემასთან მივდივართ, რომელიც ინდივიდისა და კოლექტივის მიმართებას გაგვახსენებს. ინდივიდი სინდისის ხმასთან თანაცხოვრობს და საკუთარი ეთიკური კანონმდებლობა აქვს კოლექტიური იდეითა და პასუხისმგებლობით. სოციალიზმი არის ის იდეოლოგია, რომელსაც

სრულად ეკვრის საქართველოს მთავრობა და პრეზიდენტი. ,,იდეოლოგიის დანიშნულებაა გაგათავისუფლოს იმისგან, რასაც გეუბნება შენი ცნობიერების ინდივიდუალური, პერსონალური საწყისი. ანუ შენი საკუთარი სიღრმე“ *(მამარდაშვილი, 1993, 97).* იდეოლოგიაზე ბმულობა თუ აფერხებს ინდივიდს და, შესაბამისად, კოლექტივსაც, ვისაც ეს ინდივიდი წარმოადგენს, სავარაუდოდ, ეპოქაც, რომელიც ამ იდეოლოგიამ შექმნა და ქართულად უძრაობის ხანა ერქვა, შესაძლოა, სწორედ იმ ეგზისტენციალურ გაჩერებად აღვიქვათ, სადაც გახსენება ხდება მთავარი საწყისისა. ის გაჩერების ადგილია, სადაც გახსენება იწყება ყველაზე მთავარი ამბის - ადამიანური დანიშნულების გასააზრებლად. ჩვენთვის აქ თავს იყრის დიდი აზრობრივი გზაჯვარედინი გახსენების, უძრაობის, დაკარგული დროის თუ ახალი დროის ძიების, ან პოვნის ნიშნულებით. ამ დროს დგინდება, რომელი მათგანის მემკვიდრეა 21-ე საუკუნე. უძრაობის, გახსენების, დაკარგულის თუ პოვნის. თუ პოსტმოდერნის ეპოქის ადამიანის მთავარ თვისებას, გზააბნეულობას მივყვებით, მაშინ თითოეული მათგანი მიესადაგება ერთადაც, ცალკეც. ამ დროს მხოლოდ ვარაუდია თანაგრძნობა, იქნებ მის გონებაში აღდგეს მთავარი საზრისები, გაიხსენოს, ვინ არის სინამდვილეში ადამიანი და შეასრულოს სწორედ ის არაადამიანურად ძლიერი აქტი: ,,სასრულ არსებას ძალუძს გაიგოს უსასრულო“ *(მამარდაშვილი, 1993, 97)* ამ ძალისხმევას ვუწოდოთ დაკარგული დროის პოვნის აქტი და გავაჟღეროთ ოპტიმისტური თეზისი, რომ ნაპოვნი განძით იგი ისეთ შემობრუნებას შეძლებს, როგორსაც მისცემს სვლის უფლებას წარსული გამოცდილებებით დატვირთული შარაგზები - წინაპართა არჩევანზე დამოკიდებულიც და სრულიად თავისთავადიც.

ჩვენი ტექსტის უხილავი რიტმი გარკვეულად დაემთხვა დამოუკიდებლობის სამწლიან ციკლს. თითქოს ავყევით დამოუკიდებლობის გამოცხადებით გამოწვეულ შემთხვევით აღფრთოვანებას და დავუყევით უნაპირო დაღმართს 25 თებერვლისკენ. ვფიქრობთ, ამ თანმხვედრი წერტილების მოხელთება ძვირფას, განუმეორებელ გამოცდილებად დაგვრჩება.

დანართი I

I.I მიტროპოლიტ ლეონიდეს სიტყვა წარმოტქმული ტამარ მეფის ხსენების დღეს

საქართველო, 1918 წელი 17 მაისი N93

დღეს წმ. თამარ მეფის ხსენებაა და ვინ იქნება ჩვენ შორის ისეთი, რომ ამ სახელის გაგონებასთან ერტად მაშინვე გონების თვალთ წინ არ დაუდგეს მაისის ვარდუს ბუჩქივით საოცნებოდ გაფურჩქვნილ-აყვავებული სურათი ჩვენი საყვარელი სამშობლოსი? სადაა ისეთი ქართველი ქალი ან ვაჟ, რომ თამარ მეფის სახელმა სიტყვით გამოუთქმელ ნეტარება-ბედნიერების მძლავრ ტალღებში არ გამოახვიოს მისი გული? სად უნდა მოიძებნებოდეს ისეთი ქართველი ქალი ან ვაჟ, რომ თამარ მეფეზე არ სმენოდეს რაიმე მომხიბლავი თქმულება და აღფრთოვანებული სიმღერა-ლექსი? ვინ იქნება ჩვენ შორის ისეთი, რომ თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ გამოსხმოდეს ანგელოსთა ფრთები თამარისგან აგებულ ცის მსგავსი ტაძრების თაღების ქვეშ ლმობიერუ ლოცვა ვედრების აღვლენით? ვინ დასთვლის, რამდენნი მთელი საათობით გარინდებულ-გაშეშებულნი მდგარან ჩვენი სამშობლოს შფოთიან მდინარეებზე თამარის ბრძანებით პირდაპირ საზღაპრო გაბედულობით გადასროლილი ხიდების კამარების წინ? ვინ გამოსთქვამს, რა ნეტარება და ეროვნული სიამაყე განგვიცდია თამარისგან აშენებულ უთვალავ ციხე-კოშკების მზერით, დღესაც რომ გაუტეხელ დარაჯად უდგანან ჩვენს მთასა და ბარსა!..

თამარ მეფე-ეს იგივე საქართველოა, ეს არის ძნა, კონა, შეერთება იმისი, რითაც საყვარელი, ძვირფასი და საამაყოა ქართველი და

საქართველო. გახსენით ქართველის გული და მის სადაფის კედლებს შორის იპოვით მხოლოდ თამარის სახეს, თუ რაიმე საღმთო იდუმალება უტარებია და ატარებს ქართველის გულით-ესაა ნატვრა და სურვილი, რომ კვლავ დაგვიდგეს წმ. თამარის დრო, კვლავ აფრიალდეს ჩვენ შორის თამარის სვიანი დროშა, კვლავ გვირგვინად დაგვიდგას თამარის დროის პოლიტიკური თავისუფლება... და აი, საყვარელნო, კიდეც ითქვა ამიერკავკასიის თავისუფლება! ჩვენმა ახალმა მთავრობამ სცნო და გამოაცხადა ამიერკავკასია თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს! დღეიდან სხვებთან ერთად ქართველებს აგვეხსნა უცხო ერთა ქვეშევრდომების მძმე უღელი და ვართ ქვეშევრდომნი მარტოდ მარტო საქართველოსი, დავით აღმაშენებლიდა, თამარისა და ერეკლე მეორის სამფლობელოსი!

ოო, რამდენს ჩვენს წინაპართაგანს „გული უთქმიდა ხილვად, რომელსა ჩვენ ვხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი ჩვენი გვესმის, და არა ესმა“! (მათ.13,17).

საყვარელნო! მე ბედნიერება მქონდა შარშან სწორედ ამ დღეს და ამ ალაგიდამ მომელოცა თქვენთის მშობლიო ეკლესიის განთავისუფლება და ას წილ ბედნიერი ვარ, რომ ახლა ამავე წმინდა ალაგიდან და თამარისვე დღეს შემთხვევა მეძლევა მოგილოცოთ დიდსა და პატარას პოლიტიკური სიკვდილისაგან აღდგომა ბრწყინვალე ამიერკავკასიისა, უპირველეს ყოვლილა კი საყვარელი საქარდველოსი. ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა!

ეს სიხარული ჩვენს მიცვალებულებსაც უნდა გაუზიაროთ, ეს სასიხარულო ამბავი იმათაც უნდა ვაუწყოთ, რომლებიც სიკვდილის დროს გვიბარებდნენ ასეთი სანეტარო ჟამის დადგომის ჩამოძახებას საფლავებში, მთაში და ბარში ვახაროთ ყველა ჩენს მიცვალებულებს, რომ

თავისუფლების გვირგვინი ედგმევა ძვირფას სამშობლოს. ესევე უნდა ვახაროთ, ესევე უნდა მივულოცოთ და ვაუწყოთ ჩვენი სამშობლოს თვითეულ კლდეს, თვითეულ ველსა და ხევს, მდინარეს და წყაროს, რადგან ვიცით, რომ „ყოველი დაბადებული ჩვენთანა თანაკვნესოდა მოაქამამდე“. (როში 8,22).

მართალია, ამ უდიდესი ზეიმობის დღეს სანატრელი სამშობლო განიცდის მწარე ტკივილებს: ბათომი ამოჭრეს მისი სხეულიდან, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში სწარმოებს ძმათა შორის ომი, ყოველი მხრიდან მოველით გარეშე მტრების შემოსევას, მაგრამ ყველა ეს მაინც ვერ ჩრდილავს დღევანდელი დღის სიბრწყინვალეს, რადგანაც ჩვენთვის უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ ის, ვინც უკვე წარმოსთქვა დიდებული სიტყვა ამიერკავკასიის თავისუფალი არსებობისა, სულ ადრე და მალე ჩააქრობს ომის ცეცხლს, იპოვნის მთერთან მოსალაპარაკებლად საერთო ენას და გამოსძებნის შინაურ და გარეშე მტრების ასალაგმავად შესაფერ ზომებს.

„ხმა ერისა-ხმა ღვთისაო“ და ღმერთი ხომ ყოვლად შემძლეა!

ძვირფასნო! უკვდავმა თამარმა სწორეთ ამ მიდამოებში განიცადა ის უაღრესი ბედნიერება ამ ქვეყნად, რომელსაც ქორწილს ვეძახით. აი, ამ დაუვიწყარ ალაგზე მივცეთ აღთქმა ჩვენს მშვენებას და დაულევნელ შარავანდედს თამარ მეფეს, რომ როგორც უსიკვდილოს არავის არ დავნებდებით, ისე არავითარი სახით არ დავითმენთ, რომ ვინმემ წააქციოს, უღალატოს და ოდნავადაცაა გაბზაროს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საქმე.

გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამასა შენსასა, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან! ამინ.

I.II ეროვნულ - დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების პოეტური ანარეკლები;

გაზეთი საქართველო

სურნელოვანი სარკე

კვლავ სარკისადმი ჩემი ტრფობა განუკურნელი,
ისევ და ისევ ვეოცნებე სარკის დაისებს,
იმის სიღრმიდან საიდუმლო მესმის სურნელი,
-იქნება ბროლის სერაბიმი ჩემს სულს დაეძებს!
როცა თვალები ივიწყებენ ცის შუშაბანდებს,
შუაღამების დროს დაფერფლილი სარკე ჯადოსნობს,
მის ბინდში ვხედავ თავის მკვლელთა წამებულ ლანდებს,
და ჩემი სული სურნელოვან მორევში მგოსნობს.
ახლა სარკეა მტრედისფერი, სხვა არამხანა,
გიჟურ ვნებებისთვის სადაც ლედა ზრდის ყმაწვილ გედებს,
და სურნელება- მარადისობის ბრმა ამხანაგი-
გრძნეულ ქალაქთა სანახავად ფიქრს ამოქმედებს.
და ასეც ხდება: დღის სარკეში ქარი მძვინვარებს,
და მაინც მესმის ფრთაგაშლილი სუნოვანება:
მე ისევ ვეტრფი ორეულთა სასტიკ მყინვარებას,
რომ აჩრდილების მოვისმინო თეთრი ბრძანება!

(ვალერიან გაფრინდაშვილი, საქართველო,1918,1 იანვარი, N1)

მელანქოლია

ხანდახან ქარის რუხი ძახილი,
ძევით რახუნი ნატეხი ყავრის,

უფერო ფიქრი ჭრელი მძრახველი,

ხუნარე დილას სიმლაშე ყავის.

სახე ოჭილი პირგაუპარსი,

უშნო აბურძგვა შეთეთრილ თმისა.

ყოვლის მკილავი ზრახვა უხმსი.

შავი ნიშანი კვიმატი დღისა.

ჟანგ-მოდებული გულის სარკინე.

უნდო ორჭოფი ღამილი მკვდარი.

ირგვლივ ნახზარი მრუდე სარკენი.

შიგ ჩაცინება ვითომდა მტკბარი.

მოდუნებული ნდობა უნივთო.

უგვანო გრძნობის ამწვარი ღვენთი.

ნაშალი ლექსის დრენა ურითმო.

შორიდან ხჩოლა სახელის „ღმერთი“.

მზეთვალა მალვით გვერდით მოიარს.

თვალში თვალგაყრა მნათი მარხგვი.

ალული ლტოლვა სურვილ-ნახევი.

და წყევლა წყელვა სასტიკ მოიარს.

(გრიგოლ რობაქიძე, საქართველო, 1918, 1 იანვარი, N1)

შავკაგიანი

შენი თვალი შიმშილისგან მგელია,

შენი ტუჩი კოცნის წყაროთ სველია,

შენი ძუძუ მომავლით სქელია,

შენი ხელნი ვნების ორი გველია..

მაგრამ როცა მზე აკოცებს მყინვარსა,

შენ ჩააქრობ მაშინ სულის ლამპარსა,

დამჭკნარ გულით ვერ ამღერებ ზღაპარსა,
და ატარებ მარტო „სახელ და გვარსა“..
ცივი სიტყვით არ გაათბობ სხვის გულსა,
ვიწრო თვალით არ ეძახი რჩეულსა,
თეთრი ტუჩით არ ახარებ მოსულსა,
ხის ხელებით არ აჟღერებ ჩონგურსა..
როცა ღამე გადმოფანტავს ვარსკლავსა,
მთვარე ნახავს თავის შუქიან კვალსა,
თვითონ ღმერთი დაებჯინება კლავსა,
და დაიდგავს ღრუბლივით თეთრ ფლავსა,-
შენი თვალნი მაშინ ორი მგელია,
შენი ტუჩი კოცნის წყაროთ სველია,
შენი ძუძუ მომავლით სქელია,
შენი ხელი ჩემთვის ვნების გველია..

(სანდრო ყანჩელი, საქართველო, 1918, 1 იანვარი, N1)

სონეტი

მე ვკითხავ ვინმეს, ჩემ სონეტს რად არ აფასებ?
მერე უეცრად: „ თამარ მეფე-ჩემი დობილი“!
ვსტხოვ საწყალივით შესვას ჩემი შესანდობელი,
და თავს დავიღრჩობ სამიკიტნოს მყრალ დარაბაზე.
თუ იმ დღეებში ლხინს გამართავს სადმე დარბაზი,
ჩემზე საუბარს გზა ექნება ის, დათმობილი...
ვახშამი...ყავა... მადლობა და ავტომობილი,
მშიერუ ფიქრი სახვალიო დროს ტარებაზე.
მაგრამ მე დავწევავ სურნელოვან ლექსთა თაბახებს,
რომ არ დაარსდეს გაზეთებში ძეგლისთვის ფონდი!
და მთქნარების დროს ნურავინ ნუ დაიტრაბახებს,
რომ მე მიყვარდა და შეთხვევით კვლავ მოვაგონდი.
მე მაგინებდენ, მაგრამ ვიცი ქებაც ბევრს სურდა
და უკაცრავად თუ თან წამყვა სათქვენო ხურდა.

(პაოლო იაშვილი, საქართველო, 1918, 1 იანვარი, N1)

გალაგანის მეფე

... და ვიცი მე სიდან მოვედი,
რომელი ქვეყნის ცხელი მზე მწვავდა:
მე დიდი მყავდა წინამორბედი-
წინამორბედი მაცხოვარს ჰგავდა,
როცა ვერ ვმღერი, როგორც მე მინდა,
თანამედროვეთ კი არ ვედრები,--
მე ველი მახსოვს აღთქმები წმინდა
და დავიწყებულ ღმერთს ვევედრები.
ვარსკლავთ ჟონგლიერის პოეტის, მაგის,
ვიგონებ ქებას მაღალ შორეულს,-
როს რესტორანში გამოღვიძებულს
მეძაგი მაბნევს გადამხმარ ნარგის,
ჰკავის ორკესტრი ხმა ჩახლეჩილი,
ზარხოშა ზანგი ბარბაცებს, ცეკვავს,-
მეც შერცხვენილი, ჩამოგლეჯილი,
მივდივარ, როცა მსახური რეკავს.
და ბალაგანის მოვკვდები მეფეთ,
რაღაც მეფური იყო ჩემ სულში.
დაგვიანებულ ხმით შემიერთეთ
თქვენ, ვინც მღეროდით ღმერთზე წარსულში.

(ტიტე ტაბიძე, საქართველო, 1918, 1 იანვარი, N1)

ფოსტალიონი

საღამო, დილა, ფოსტალიონი;
მე ველი ბარათს ნაცნობი ხელით;
ჩემს წინ დევს შენი მედალიონი

და თავს ვარიდებ ძვირფას სახელით.
ათას წერილში მე ვეძებ ნაცნობს
და მხოლოთ ვხვდები უსურველ ბარათს,
(ეხ, სიყვარული ვის არ დაადნობს,
საწყალსაც გახდის ხომ ამირბარათს!)
მეზობლათ ქალი უკრავს მასენეს
და ხშირათ მიწვევს სასმენათ ვერდის,
მაგრამ მე მაინც ვერ მომასვენებს
და ლოდინს ვარჩევ მწვანე კონვერტის.
ჩემს ფიქრებს ვანდობ მე ჩემს ყალიონს,
ახალ იმედით გავაღებ კარებს,
ყოველ დღე ველი მე ფოსტალიონს
და ვკოცნი მხოლოდ ნაჩუქარ *

(ავტორი არ იკითხება, საქართველო, 1918, 1 იანვარი, N1)

ხევსურთა ლექსები

ერთს კიდევ ვიტყვი სიტყვასა, მოდით, დამიგდეთ ყურია!
რომელ ასტეხე „ოინი“, შენი სულიმცა კრულია!
არ მოგწყინდათა ქართველნო, რუსთ მეფის სამსახურია?
კაც მაგათ ხელში ნამყოფი სულ დაწულ-დადაგულია.
ომში მიუდის სალდათი, იწვების დედის გულია,
დაწოლილს არ ეძინების, შვილი ჰყავს დაკარგულია.
ცოდვიანი ხარ ხემწიფე, სუყველას გადასულია,
სრუ ფეხზედ გიდგას სალდათი, საომრად დამზადულია.
ხელში უჭირავთ თოფები წვერზე ხიშტ ჩამოცმულია.
წინ მაუძღვების აფიცერ, წელზე ხმალ შემორყტმულია.
კამანდრებ უკამანდრებენ, რაც წესი სალდათურია.

გერმანიაის ჯარზედა ქართველ ზემისვლა თქმულია?
მავიდა სისხლის წვიმაი, ნამდვილად გაგებულია,
გრანიცეებზედ მინდვრები-სულ სისხლით შაღებულია.
ახლა აქაურ გიამბობთ, ამბავი ჩვენებურია,
მტერი ადგომას აპირობს, ოსმალოც დამზადულია,
ხევსურთა ახალგაზრდენი სულ რუსეთს გაკრეფილია,
აღარ გვაძლევენ თოფებსა, ხაზინაც დაკეტილია,
არ შავიანებ ვიყიდოთ, მივსცათ ხუთ-ხუთი ფურია,
ეხლა ისავე მაგვიდის წინა წესი და რჯულია,
ხირიმებ დაიწმინდების, რაც დროთა გაჟანგულია,
გრანგულებ დაილესების, ზოგ ფხაზედ გაჩახლულია.
ვაჟნო! რათ გინდათ ნაქონი ჩასაცმელ დასახურია,
ან ვერცხლის დანა სარტყლები, ან ქუდი ყაზახურია.
მზად გინდათ ტახტის თავითა მულჩაი გაბანდულია,
ხვადი ეზოჩი ნაბამი სრუ იდგას შაკაზმულია,
ჩქარობდის ხვადის პატრონი, საომრად დაჩაჩქნულია.
ამაგის მალექსებელი სონების მაგანძურია.
ხელში უჭირავს სურაი არაყით გაცამცმუილა,
გადასომს სულ უქცევრადა, საქვეყნო სადღეგრძელოა,
თქვენისა გამარჯვებისა ლექს უთქვამს საზინდრულია.
(ღვთისო გიგაური, საქართველო, 1918, 6 იანვარი, N5)

მთავარსარდალს

ახ! ზანზარებს კიდევ ზეცა
ზზზუ...ზუზუნებს ზარბაზანი.
ზურნის ზმუილს ზანტად ისმენს
აჭარა და ლაზისტანი.
გმირთა გმირი ორფერ ალამს
მაღლა სწვავს და ბრძოლას იწყებს,
მებრძოლ შვილებს უძღვნის სალამს
სამშობლოსთვის თავს ივიწყებს.
მტერსა ჰხიბლავს მომხიბვლელი
საქართველოს ნაზი ტანი
და ჰსურს დანით მას ჩამოჭრას
აჭარა და ლაზისტანი.
მაგრამ გმირი არ ღონდება
ჰკრა მტერს! ყვირის ბერი ლომი,
უნარია: აგონდება
მამა პაპით ძველი ომი.
დგება ერთხმად ქართველურად
და დუნია და მელეთი
ებრძვის კიდევ ძველებურად
ჩვენს სამშობლოს ოსმალეთი.
და აკვანი ცისფერ ცისა
რომ ეკუთვნის შოთა-ღმერთსა,
ალიფაშამ რუსეთს მისცა
დღეს რუსეთმა ოსმალეთსა.
მაგრამ მამულს სისხლით ნამულს,

ვინც შავი დღე მოაჩვენა,

რუსეთიც და ოსმალეთიც

ორივ ღმერთმა შეაჩვენა.

(დავით კოპალი, საქართველო, 1918, 4 მარტი, N48)

ვედრება

მომიტევე, ზეცავ, გვედრებ,

ღმერთი მოვკალ, ვსტირი, ვერ ვძლებ.

და მის ნაცვლად მე უღმერთო,

მე უღმერთო სხვა ღმერთს ვეძებ.

ვიცი მხოლოდ ერთად ერთი

არის ქვეყნად ღამის ღმერთი,

სიცოცხლის და სიყვარულის

შემქსოვი და შემაერთი:

მგოსანს მინდა მე იმის თქმა,

რომ იმის თმა არის რითმა,

რითმა გრძელი, რითმა ძნელი

და პოემად ის თმა იქმნა.

და სტრიქონი რითმის მქონი

წელზე ერტყმის ვით ქამარი.

ცრემლს საღამურ გულის პირზე,

დილად აბნევს ღამის ქმარი.

დღისით მზეზე აწეწილი,

ღამით ლექსად აწერილი,

მკერდძე რითმად ორი სწორი..

წერტილი აქვს დაწერილი.

მაგრამ ყელის არ მაქვს რითმა

არ მაქვს კარგად გაბასრული;

ალბად მისთვის რომ ყელი აქვს

კალმის წვერით გაკაწრული.

თვალსა ვხუჭავ მაინც ვხედავ,

მაგრამ მისვლას ვეღარ ვბედავ...

და მედიდურს მის ყელს გედურს

უბედურად გულში ვბეჭდავ.

და უღმერთო ასე ვედრებ:

მოდი ჩემთნ მოდი გეძებ.

ღმერთო ღამის საიდუმლო,

მე უშენოდ ვსტირი ვერ ვძლებ!

(დავით კოპალი, საქართველო, 1918, 28 მარტი, N68)

მითხარით!...

მითხარით: ვისთვის იშლება ეშხით

ყვავილთა მეფა- მაისის ვარდი,

რისთვის მოხრილა ტურფად ნაზარდი

გაბრწყინებული ცისკრისა ნამით?

მითხარით, რისთვის?

მითხარით: ვისთვის ბულბული ღამის

ჰეყფს ხეივანში წყაროს შრიალზედ,

რას ჩვის იგი და ანუ რისთვის

რაკრაკი მისი ისმის მწუხარედ?

მითხარით, რისთვის?

მითხარით: ვისთვის ესრედ ჰსძგერს გული,

და გულში ნათობს შუქი ტრფობისა,

და რისთვის ხან ვარ ალით დაგული,

ხან მკლავს სიცივე ჭმუნვარებისა?

მითხარით, რისთვის?

(მ. თუმანიშვილი, საქართველო, 1918, თიბათვის 2, N107)

ჩანგური

რისთვის ჩანგურით ჩემად საკვდარად*

რისთვის აღვიძებ ჩემში სიყვარულს,

და განვლილთა დღეთ და სიტკბოებათ

მოგონებასა გულში დამარხულს,

და მას დროს, ოდეს ჩანგურის სიმებს

განუცხადებდი მე ჩემთა ჭირებს?

თვალთა დაბინდულთ ვერდა იხილონ

გაზაფხულისა დღენი მაშვენნი,

მოგონებათა ვერ აღადგინონ

სიჭაბუკისა მხიარულ წელნი.

დადუმდა მღერა ნეტარებისა,

ვით უეცარი ხმა ჩანგურისა!

მეცა მიმიღებს ცივი სამარე

საუკუნისა თავისსა სარეცელს;

სხვა მომღერალი ბედ-მოღიმარე

გაჰფანტავს ველად ტკბილსა სიმღერებს,

მაგრამ იქმნები მე მომიგონოს

და სევდიანად აღმოიოხროს.

(მ. თურმანიშვილი, საქართველო, 1918, თიბათვის 2, N107)

ლტოლვის სამოსი

ოცნება იყო ოკეანე სობოლა დიადი-
ლტოლვილს სამოსი სანეტარო- ფერი ტრფობისა;
გაშლილ მდელოზე მოციმციმე აზრი ფერადი
მარად ძახილში ფრთებს ისხამდა- სიტყვა ძმობისა-
და მოუხმობდა სიყვარული,
-ეგ ზღვა ყოფნისა!.
ყოფნის კვარცხლ-ბეკი აგუზგუზდა, ვით მზე დიადი,
არე შეინძრა- ხმა გაიჭრა მაღალ მთებისა-
და ამობრწყინდა სანეტარო მძლე განთიადი
სამშობლო კალთებს დაედინა რხევა ფრთებისა!..
და აცეკვდა, ამეტყველდა
სიტყვა ქებისა!..
მოფრინდა არსი ფრთებ-მორთული, სახე ოცნების,
მოფინდა ნატვრა, თვით სიცოხლე, ყელ-მოქარგული
და იგალობა დილას ჟამზე ხმა-- მაღალ-მცნების,
და განაცვიფრა ცა და მიწა განდიდებული,
გულიც ატოკდა, აფერადდა
დაამებული!..
მოდით და ნახეთ ბაღი ჩვენი ფერადი, მწვანე,
ფოთოლთ ბაასში იქ გაისმა საამო ხმები,
სუსხიან დროთა ჩვენ შევქმენით უხმო სავანე;-
ნგრეულ ბინაზე ზე წარმოდგენ ჩვენი გმირები!..
ახალ ძახილში მზეს აქებენ

ხალხის შვილები!..

ოცნება იყო ოკეანე- სრბოლა დიადი,-

ლტოლვილს სამოსი სანეტარო- ფერი ტრფობისა,

გაშლილ მდელოზე მოციმციმე აზრი ფერადი,

მარად ძახილში ფრთებს ისხამდა- სიტყვა ძმობისა!..

-ჩვენ აქ მოგვიხმობს სიყვარული-

- ეგ ზღვა ყოფნისა!..

(გელა, ერთობა, 1918, 3 იანვარი,N1)

პატარა ფელეტონი

ესეც მეორე აღდგომა..(თავისუფლების ხანაში!)

და დღენი ჩემნი განვლიან...

ზმორება... თავის ფხანაში...

რავქნა, ბათუმის ამბებით ჯერ კიდევ მძიმეთ... ორსულ ვარ.

ვფიქრობ და მათგან ტყვე ქმნილი გონს კარგათ ვერც კი მოვსულვარ.

ამგვარი გასაჭირის დროს მე მუდამ მყავდა მფარველი.

დღეს, ირგვლივ თვალებს ვაცეცებ...

შველას არსაით არ ველი.

ჩრდილოდან რუსი მიბღვერის. დასავლეთიდან ალია.

ლამის გამიხდეს სამშობლო მხოლოდ ტყვეობის გალია.

ვსინჯე ჯერ ამის, მერე სხვის ძმობა, ორიენტაცია.

ეს დარჩა „ძაღლი მგლის ფერი“

ის ნამდვილ მგელი... ტაცია.

ჩვენ მტაცებელთა მათ შ`რის არ გვეყოლება მიმფერი,

ერთია: მგელი წაგვიღებს, თუ ძაღლი შეგვჭამს გლისფერი.

ძმობა არ უნდა არავის, ყმად ყოლა ყველას სწყურია.

(ყვლეფა და ტყავის გაძრობა ადვილი სამსახურია)

მტრად თუ არ ვარგხარ ვინ გიძმობს? ვის უნდა შენი მოყვრობა.

ლაჩრის და ქალაჩუნასი სხვაგვარ იციან მოპყრობა.

ჯერ კბილებს გაგისინჯავენ

(ვისაც სამოყვროთ სჭირიხარ)

და რათ აგიყვანს, თუ მართლა მეტი ბარგი და ჭირი ხარ?

ბათუმში ფაშა ბატონობს, ქობულეთისკენ ბეგები.

(ოზურგეთ-ლიხოურშიაც საკმაოთ მიიბეგვები).

ვინ გიძმობს მართლა, თუკი მტრათ

და მტრის დამხვდურათ არრა ხარ?

თუ უწესრიგო, ტრაბახა, მხდალი და მეტიჩარა ხარ,

რა ვქნა: ბათუმის ამბებით ჯერ კიდევ მძიმეთ... ორსულ ვარ.

ვფიქრობ... ვსჯი... ვწუხვარ... ვერკვევი, გონს მაინც ჯერ ვერ მოვსულვარ.

მიყვარდა იგი ქალაქი, ლურჯი ზღვით, მწვანე არითა,

გარს ჯეფირ შემოვლებული, ურიცხვ მწვერვალთა ჯარითა.

გული ბაქოსკენ არ მიწევს

არც ყარსში, არც ერევანში...

ჩმეს გულს ოცნებათ დარჩება...მხოლოდ ბათუმის . . !

(ერთობა, 1918 26 მაისი, კვირა, N 106)

ჩემი სიმღერა

ოცი წლის განმავლობაში

ხელში მეჭირა ჩანგური,

სულსა მერჩია, მიყვარდა

ისე, ვით ლოთსა კახური;

სიმთ ვაჟღერებდი, ვმღეროდი,

ვიყავი ხალხის მსახური.

მაგრამ აწ ჩანგურს ძირს დავდებ,
განა დრო არის მღერისა?
დღეს ფარ-ხმალს უნდა ისხამდეს,
ვინც ერთგულია ერისა,
ვისაც სურს გახდეს მოსარჩელე
ჩანგრულთა ბედისწერითა!
დღემდე თუ სიტყვა კმაროდა,
დღეს მოქმედება გვჭირია:
სიტყვა თვინიერ საქმისა
უმნიშვნელო და მწირია...
ფუი მას, ვისაც ქვეყნისთვის
თავი ვერ გაუწირია!
(ვ. რუხაძე, ერთობა, 1918, 3 იანვარი, N2)

ფარშავანგი

როცა გათენდა- უცხო იყო ცეცხლის თამაში:
ყოველი სხივი ვით ჭრილობა ცას აჩნდებოდა,
და მე ანთებულ განთიადის შუქ ნასხურ თმაში
ფრთა-მოქარგული ფარშავანგი მელანდებოდა.
მოულოდნელად მოეკიდა ცეცხლი ღამესა,
და მეც თვალები, ალბად, მიტომ ამითამაშდა...
მას შემდეგ გული ეზიარა ბევრ სიამესა,
მაგრამ ნაღველი ლხინზე უფრო მეტი დამაჩნდა.
ახლა, როდესაც იშვა კვნესა სულის წვალებით,
და ნათელ სიმმა გამოაკრთო ხმა შავ ჰანგისა,
ნისკარტ-სისხლიანს ყორანსა ვსჭვრეტ შემკრთალ თვალებით,
ნაცვლად სხივებით ფრთა-მოქარგულ ფარშევანგისა...

(ს. აბაშელი, ერთობა, 1918, 9 ივნისი, N109)

არწივი

(დიდებულ მასწავლებლის გ. ვ. პლეხანოვის ხსოვნას)

შრომის მსოფლიო ქვითინებს,

მგლოვიარეა ცა, მიწა;

ქნარი არ ჟღეტს ტკბილ სიმებს,

ბნელომ სიცოცხლე ჩამიწა...

ვარდი დამჭკნარა სიმწუხრით,

ბულბულს ვაება სწვევია;

გლოვის ზარს რეკენ ყოველ მხრით,-

მაშვრალთ სიმწარე სჩვევია...

ქოხი, ქარხანა ცრემლსა ღვრის,

ძველებრ აღარ სცემს ურო გრდემლს;

სიკვდილის ცელი ყოფნას მკის,

და დღეს გვითენებს გულის მწველს...

ჰო-და, სამარის ქარი ჰქრის,

ქარი ულმობი და ცივი;

ზეცაც სიბრაზით ცრემლსა ღვრის:

მოკვდაო აზრი, არწივი.

ჰო-და, პეპელაც აღარ თრთის,

მიმკვდარებულა ყვავილზე;

სისევდით იაც თავსა ჰხრის,

ია ბატონი ტყე-ველზე...

ჰო-და, რა უყო როდესაც

სიმწუხრეს ყველა მოიცავს?

მაშინ ჩემ გულის სევდასაც

გავაშლევინებ შეკრულ ფრთას.

და დავქვითინებ მის ცხედარს,

ვინც რომ მსოფლიოს მნათ იყო;

და დავქვითინებ დღეს იმ მკვდარს,

ვინც მუშათ ხვედრი გაიყო...

მოკვდა არწივი, დიდება,

ვეღარ ვიხილავთ, ვერა მას...

ჩვენ დაგვრჩენია შეგნება-

გავყვეთ მის მიერ ნაკაფს გზას

გზასა საერთო სიამის,

მშრომელთა დამხსნელ იდეალს;

გავიზიაროთ კვნესა ძმის,

მით მოვიხდიდეთ მძიმე ვალს.

დაჭკნა ყვავილი, მოკვდა არწივი...

ქარი ჰქროლავს სამარის ცივი..

მსოფლიოს მოსწყდა მშვენება, მძივი,

ყველასთან ერთად მეც ვგლოვობ, ვჩივი!

(დ. მეჩონგურე, ერთობა, 1918, 29 ივნისი, N131)

ჩემს გურიას

(მისალმება)

გამარჯვება ჩემს გურიას,

ჩემს მზესა და მთვარესა;

მის ჯადოსნურ სილამაზეს,

პოეზიის მხარეს!

გამარჯვება თავ ქოჩორა

მთის კეკლუც მწვერვალებს;

არწივების კლდის ნაპრალებს,

ბულბულების ჭალებს!

გამარჯვება ამა კუთხის

სახელოვან შვილებს,

ჩაქურაში ჩაწკეპილებს,

გონება-მახვილებს!

გამარჯვება გურულ ქალებს,-

შავს და ზღვისფერ თვალებს;

გურულ მამებს, გურულ დედებს,

სამშობლოს იმედებს!

გამარჯვება ჩემს გურიას,

ჩემს მზესა და მთვარესა;

მის ჯადოსნურ სილამაზეს,

პოეზიის მხარეს!

თუმცა დღეს კარზე მოსდგომია

მუხანათი მტერი,

მაგრამ მწამს რომ გაიმარჯვებს

მხარე მშვენიერი!

(გ. ქუჩიშვილი, ერთობა, 1918, 5 ივლისი, N138)

მილოცვა

„დრო მოვა და იმ ჯაჭვს გასწყვეტს

თავს აიშობს გმირთა-გმირი.

და არაფრათ ჩაეთვლება

ამდონიხნის გასაჭირი.

(აკაკი, ერთობა, 1918, 5 ივლისი, N138)

წინ წავიდენ!

(სოხუმის ოლქში ბრბოსთან შეტაკების დროს ქართული საგანგებო ბატალიონის გმირულათ დახოცილ ოფიცრების და ჯარისკაცების ხსოვნას).

უკეთესი მომავლისთვის იცოდნენ, რომ სისხლს დაღვრიდენ, გულს იმედი აღვივებდა, სწამდათ- ეკლის გზას ზანვლიდენ,-

უკან აღარ მოიხედეს, მედგარ ბრძოლით წინ წავიდენ,

და დაეცნენ ვითა გმირნი,

ბედისაგან განაწირნი!

ვეკითხები ტყე, მთა, მინდორს:

რისთვის დაღრა უდროთ ვარდი!?

ვეკითხები კეთილის მდობს:

რათ გძულვარ, როს შემიყვარდი!?.

გული შენი კარგი არის,

მაგრამ საქმით მასმევ შხამსა...

მარქვი: რა ხარ გმირათ მკვდარის!?

შენც თუ ივლი იმათ გზასა!?

შენ მდუმარებ და ბუნებაც

არას ამბობს ნაღვლიანი;

მხოლოდ დედათ მწარე კვნესა,

და ქვითინი სევდიანი სევდიანი,-
ეფინება მთელ მიდამოს,
რომ ცრემლებით დაინამოს...
სატრფოს ცრემლიც მეკითხება:
სად არს ვარლამ, კუკუნია!?
ვლადიმერ სად გეგულება?!
ან ნესტორიც ბედკრულია!?.
მე რა ვუთხრა?.. წინ წავიდენ,
არ დახარეს მონურ ქედი...
არასოდეს ცრემლს არ ღვრიდენ...
დიდებაა მათი ხვედრი.
და სამშობლოს გულის ფიცარს
იმათ სახელს უკვდავ ყოფენ...
ეჰ, ნეტავი ბრძოლაში მკვდარს!..
ვაი, ვინც შინ ამაყოფენ!..

ტარას შევჩენკოდან

(უკრაინულით)

მეფეს ფელდფებელს ვინმე კაპრალი
გაბრიელის ძე ბეძრუკი ყავდა.
ის ლოთ უნტერთან დოლგორუკისთან
უკრაინისა საქმეთ მართავდა.
ბევრი სიკეთე დასთესეს ხალხში:
მას სატრაპებმა დააძვრეს ტყავი,-
გავრილოვიჩი განირჩა სხვაში
და ეფრეიტორი სასტიკი, ავი.
უკრაინელნი ძლიერ გაწაფეს.

ხალხს კი ფელდფებლით ეცხადებოდა,
რომ სატრაპები მოსწონდა მეფეს,
„მარად თანაგრძნობი მათი შთებოდა“.
ჩვენ ვუყურებდით, ხელებს ვიბანდით
და ყრუ დუმლით ქოჩორთ ვიფხანდით,
მუნჯი მონანი მეფის ჯალათის
და ლაქიები ლოთი კაპრალის.
ვერა! ხუმარათ ტანთსამოსებში
გამოწყობილნო, დამბეზღებელნო!
ვერ აღიმაღლებთ თქვენ თავის დღში
ხმას სიმართლისთვის, ფარისეველნო!
თქვენ ძმის ჯვარზე ცმა ისწავლეთ მარტო,
მის სიყვარული თქვენ არ გჩვევია!
მოდგმავ წყეულო, ფუჭო ბოროტო,
ჭია რათ არ გხრავს, რათ არ გხვევია?
როს მოვესწრებით ჩვენ ჩვენს ვაშინგტონს,
მის სიმართლიანს და ახალს კანონს?
მოვესწრებით კი, ოდესმე მხოლოდ!
არა თუ ასეულთ, მილიონებსა
პოლელთ, დულებელთ, დრევლიელებსა
გხრიდათ გავრილიჩ და საბოლოოდ
წმიდა კიეველთ, ტურფა დიაცებს
გამსახურებდათ თვის ლოთ დამქაშებს.
თქვენ ისევ დუმდით... გამოეყო სხვებს
ერთი ღა მხოლოდ... ვეღარ დაჩრდილა
მონობამ მასში გრძნობა-მშვენება,

კაპრალს გააწნა სასტიკი სილა
და შემდეგ გაჰქრა, ვით მოჩვენება.
ეს მოხდა შიგნით ეკკლესიაში...
აღმოჩნდა ერთი მილიონ სხვაში
ღორის მწყემსებში, შეშურდა მრავალს
კაზაკის ხვედრი... მთელს სამეფოში
გავარდა სიტყვა: სცემაო კაპრალს!
თქვენ კი, გლახაკნო, აღარ დაზოგეთ.
და, სანამ მტერი მოკეთდებოდა,
კაზაკს გლახაკი ერთხმად უწოდეთ...
თქვენი მეფე კი ემზადებოდა,
რომ ფელდფებლური დაედო ვადა:
ხოლო თვის სატრაპს გამოუცხადა
ნდობა „მუდმივი“, ესოდენ ძვირი.
მეტი ამისგან ვერრა გამოსჭრეს...
დრამა სასახლის უკანა კარით
სანაგვე თხრილში გადაისროლეს-
პირუტყვ- მონებმა ნაბიჯით ჩქარით!
მე კი... ვარსკლავო! მატოვებინებ
ამ ჯაჭვებს, ციხეს, ცრემლით აღვსილსა!
მოგყევარ შორით, იწვი, ანათებ
მიკოლა მეფის სანაგვე თხრილსა!
ციმციმებ წმინდა სიმართლის ცეცხლათ
ცხოველმყოფელი სხვების მფენი,-
და წინ მიდგება საშინელ სვეტათ
ბოროტი მეფის უღვთო საქმენი...

მეფევ უღმერთო! უსამართლობავ!
სინათლის მტერო და ბოროტებავ!
რა ბნელი საქმე აკეთე ქვეყნათ!
შენ კი... ოჰ, არსთა გულთამხილავო!
ალბათ ხედავდი, თუ როგორ სდევდენ
ხუნდებში გმირნი ურთიერთს, ცაო,
როგორ სტანჯავდენ მათ და ახრჩობდენ!
რათ არ დაბრმავდი? ციურო თვალო!
ღრმად რად არ განსჭვრეთ კაცთა კითხვათა?
უდარდელათ ხარ, ზეცისა ძალო,
და არც კი ისმენ ქვეყნის რისხვათა!
ხოლო მეფეთ კი... ზიზღი მათ, მტარვალთ!
დე დაუბრუნდეთ იმათ ხუნდები!
ბაიკალს იქით, ციმბირში წავალთ;
იქ იქნებიან დევნილი ძმები...
იქ ბნელ საკნებში გავხედავ კვლავათ,
სიმართლის მცველთა რაზმი დამხვდება!
მეფეთ და ხალხთა დასანახავათ
გამოვა ტუსაღთ უსაზღვრო წყება!
(იასამანი, ერთობა, 1918, 14 ივლისი, N143)

მზეთამზე

(ძღვნად ქართველს ერს)

I

ვის უნახავს მზეთამზე,

სილამაზის ხატებად

თვისი მშვენიერებით

ედემს აღემატება.

ერთხელ თვალი თუ მოჰკარ,

გულში ჩაგეხატება

მკერდ მოფარჩულს, ყელ ზურმუხტს,

ლურჯ სივრცეში ასულსა,

ორ ბუმბერაზ მთათ შორის

ნაზ დედოფლათ დასმულსა,-

სხვით გვრგვინი ადგია

ისე, ვით მზის ასულსა!

სარკეთ ფირუზი ცა აქვს

და სავარცხლათ- ზეფირი;

ფარეშათ ცისკარი ყავს

და ლამაზობს მზეპირი...

იცით, მაზე რას ამბობს

გადმოცემა ზეპირი?

II

ძველათ, უხსოვარს დროში,

როს მზე მოსწყდება მთვარესა,-

ერთიკოშკი ამკობდა

ამ სამოთხე არესა

თავს ვარსკლავთ ჯარს იხვევდა
სხივებ მონარნარესა.
შიგ ცხოვრობდა მოხუცი,
ყავდა მხოლოდ ასული,
ტან-წერწეტი, პირხადრი,
როგორც ალვა, ასული...
მას ნაკლს ვერ უპოვიდა
თვით დემონი ავსული.
მზეთამზესა ეძახდნენ
და მართლაც რომ მზეობდა.
მისი ოვალთა ელქისგან
ბნელი ღამეც დღეობდა.
მიწიერ არსს არ გავდა,
ვით ცას შვილი, *ეობდა.
როს დილას მზე, ცხრა-თვალა,
სხივებს შორს გასტყორცნიდა,
ბამბის ქულა თეთრ ღრუბლებს
ვარდის ფრად ჩაკოცნიდა
და თმა-ხუჭუჭ მწვერვალებს
ნისლთ ფარდას ჩამოხსნიდა,-
ისიც ცივ ნაკადულებს
დაუვლიდა ცქრიალით,
რაკრაკებდა, ფოთლები
ბანს აძლევდენ შრიალით
და სტკბებოდა მიდამო
უცხო ჰანგთა წკრალით.

III

ერთხელ, როცა მზეთამზე
ჩანჩერში ბანაობდა,
ხან ტკბილად კისკისებდა,
ხან ჩუმად ნანაობდა
და მისი გიშრის თმები
ტალღებსი ქანაობდა,-
თვალი მოჰკრა შორით მზემ,
ტრფობის ქსელში გაება,
შედგა, დიდხანს უცქირა,
თითქო მასთან დაება...
ბოლოს გზნებით შესძახა:
„შენ ხარ ჩემი ღვთაება!“
შვიდ ფერსხივთ თაიგული
ოქროს ძაფით შეკონა,
ძღვნათ მიართვა სულის სწორს;
ისიც ზედ დაეკონა;
თუ უეცრად დასწვავდა
ბედრკულს, ეს რა ეგონა.
მაგრამ რა მიეკარა,
ვით ალი აპრიალდა,
დადნა და ალმასებათ
მიწაზე დაცქრიალებდა
და სხივებზე ათასფრათ
აენთო აციალდა.
და მას შემდეგ იმ ადგილს

მზე თვალს ვეღარ აშორებს,
მუდამ თავს დაქათქათებს,
ჯანყს და ბურუსს აშორებს,
ლალ-ზურმუხტებათ ქარგავს,
ედემსაც კი აშორებს.

IV

ეს ხომ საქართველოა,
ჩვენი დედა, მშობელი,
სიყვარულის-მიჯნური,
სილამაზის- მკობელი,
დღეს მტრისგან დაფლეთილი,
თავის ბედის მგმობელი!
ეი, ქართველო ერო,
ამ ედემში შობილო,
მრავალ ჭრის მნახველო,
ტანჯვის ცეცხლში წრთობილო,
დღეს რამ დაგაბეჩავა,
ძველათ გმირად ცნობილო!
როს შენი მზე ამოდის,
ბნელი დღე გითენდება,
დაქცეული ოჯახი,
ხელახლად გიშენდება,-
რატომ ვერ გრძნობ, გონება
ისე რათ გიბნელდება?!
გამოფხიზლდი! გმირულათ
ეკვეთე ტერს, მოსეულს!

მხოლოდ ამით აიცდენ

სიკვდილს შენზე მოწეულს!

შეხვალ შვების ტაძარში,

ტანთ ჩაიცვამ ძოწეულს!.

(ვ. რუხაძე ერთობა, 1918, 13 ივნისი, N121)

ენობრივი პოლიტიკის საკითხები

ნაბეჭდი გაზეთების ისტორია 1609 წლიდან იწყება, როდესაც საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, გერმანულ ენაზე გამოიცა გაზეთი "სტრასბურგერ რელასიონი". საქართველოში კი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ვხვდებით ნაბეჭდ გაზეთს, ეს არის 1819 წლის 21 მარტს (ძვ. სტილით 8 მარტს), ქართულ ენაზე გამოცემული „საქართველოს გაზეთი". მასში, ძირითადად, სამთავრობო ბრძანებები და განკარგულებები, რუსეთისა და საქართველოს ამბები, მოთხრობები, ანეკდოტები, განცხადებები და, გარკვეულწილად, უცხოეთის ამბები იყო გადმოცემული. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ გაზეთის გამოცემის წინაპირობა მოსახლეობის სწავლა-განათლების ხელშეწყობა და ინფორმაციის გავრცელება იყო. შემდეგ გამოიცა ასობით ჟურნალ-გაზეთი - „ივერია", „დროება", „კვალი", „მოამბე", „ცნობის ფურცელი"... „იმერეთი", „გურიის ერობის მოამბე", „მწყემსი" და სხვ...

ფოტო 1: ეროვნული ბიბლიოთეკის რესურსი

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი პერიოდი მეოცე საუკუნის დასაწყისით შემოიფარგლება, იმ პერიოდით, როდესაც საქართველომ

ხანმოკლე, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა - ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მნიშვნელოვანი ნაბიჯები რომ იდგმებოდა ცოდნის გავრცელებისა და ქართული ენის ფუნქციონირების თვალსაზრისით, საარქივო მასალებით კარგად დასტურდება. აისახებოდა თუ არა საგაზეთო პუბლიკაციებში მიმდინარე პროცესები? რა თემატიკით შემოიფარგლებოდა საგაზეთო პუბლიკაციები, იკვეთებოდა თუ არა განათლების მიღების, გავრცელების და ენობრივი პოლიტიკა - ვეცდებით ამ კითხვებს გავცეთ პასუხი.

სტატიაში „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ კ. გაბუნია მსჯელობს ტერმინზე „ენობრივი პოლიტიკა“, მისი განმარტებით: „ენობრივი პოლიტიკა ოფიციალური ქმედებაა, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის (სახელმწიფო, რეგიონალური, უმცირესობათა, უცხო და ა.შ.) ფუნქციონირების სფეროში (მაგალითად, წერის სისტემა, ოფიციალური ენის არჩევა და ა.შ.) ან განათლების სისტემაში ამ ენების ადგილის საკითხებში. მოქალაქეებმა ან მოქალაქეთა ჯგუფებმა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით გაატარონ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე ან კერძო სექტორში. ენებზე ზემოქმედებას ადგილი აქვს კონკრეტული სოციალური სიტუაციების ან მოვლენათა კონტექსტში, რომელთაც ის მიეკუთვნება. თუმცა ასეთი ენობრივი პოლიტიკა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (ეკონომიკა და ეფექტურობა, ეროვნული იდენტურობა, დემოკრატია და ა. შ.)“ (გაბუნია, გვ. 45-46). ავტორი აღნიშნავს, რომ ენობრივი პოლიტიკა რიგი კომპონენტებით შემოიფარგლება, ესაა ერის კონცეფცია, განათლების მიზნები და სხვ. (გაბუნია, იქვე). თავად ტერმინი „ენობრივი პოლიტიკა“ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან გვხვდება, ძირითადად ენათმეცნიერებასა და სოციოლოგიურ დისციპლინებში იყენებენ და

განიმარტება, როგორც „კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით ენისა და ენათა სტატუსის, ენათა ურთიერთობის, ენათა სოციალურ-კულტურული განვითარებისა და მათი პერსპექტივების განსაზღვრა-უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამა“ (ტაბიძე, გვ. 9). აქედან გამომდინარე, ჩვენი მსჯელობა ერთგვარად პირობითიცაა ენობრივი პოლიტიკის შესახებ საკვლევ პერიოდში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ დამწერლობის ჩამოყალიბების შემდეგ, ისევე როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში, საქართველოშიც ცდილობდნენ გარკვეულწილად ხელი შეეწყოთ განათლებისა და დამწერლობის განვითარებისათვის, მაგ., სასულიერო მწერლობის ჩამოყალიბების პერიოდიდან იქმნებოდა ან ითარგმნებოდა ლიტერატურა, შესაბამისად, საეკლესიო-სამონასტრო სკოლებში ყალიბდებოდა ტერმინები, დგებოდა ლექსიკონები, ითარგმნებოდა ანდა იქმნებოდა ორიგინალური წიგნები, ცდილობდნენ წერა-კითხვის ფართოდ გავრცელებას... ამაზე მეტყველებს არაერთი საინტერესო ინფორმაცია თუნდაც გელათისა და იყალთოს აკადემიების შესახებ, ანდა ბიზანტიაში, ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების ფილოლოგიური საქმიანობა.

ენობრივი პოლიტიკის ცნება, როგორც მკვლევარი მანანა ტაბიძე აღნიშნავს, „უშუალოდაა დაკავშირებული ენობრივ დაგეგმვასთან, რაც ორი მიმართულებით ხორციელდება: ა) სახელმწიფო გეგმავს მისი განვითარების კურსს, სახელმწიფო ენასთან ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებული სხვა ენების დამოკიდებულების საკითხს, ენათა ფუნქციონირების არეებს, და ბ) გარეგანი ფაქტორების სხვადასხვა ტიპის ზემოქმედებით იცვლება ენობრივი სიტუაცია სახელმწიფოში და ენობრივი დაგეგმვა სხვა მიმართულებას იღებს, მეტ-ნაკლებად გარედან მართული ხდება (Status Change…1992)” (ტაბიძე, გვ. 10). ამის

ნიშანდობლივი მაგალითია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლა, როდესაც ქართული ენის მომავალი დამოკიდებული გახდა მეფის რუსეთის ენობრივ პოლიტიკაზე: გაუქმდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე, სკოლებში რუსულად ისწავლებოდა საგნები, ენობრივი ნიშნით ხდებოდა ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტების წაქეზება... ამ ფონზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, ქართული თეატრის დაფუძნება, ასეულობით ჟურნალ-გაზეთის გამოცემა, დისკუსიების დაწყება მშობლიური ენისა თუ ბილინგვური და უცხო ენის სწავლების მიმართულებით უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. რეალურად, 1918 წლის 26 მაისისთვის, იმ დღისთვის, როდესაც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა დაფუძნდა, ნიადაგი შემზადებული იყო ი.ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ს. დოდაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ა. წერეთლის და სხვა გამორჩეული მწერლებისა და მოღვაწეების მიერ, ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ განათლების სისტემის რეფორმასა და ენობრივ პოლიტიკაზე ფიქრი, ფაქტობრივად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე იწყება.

ენობრივი პოლიტიკის არსზე ასე მსჯელობენ მკვლევრები წიგნში „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“: „ენობრივი პოლიტიკა რიგი კომპონენტებით შემოიფარგლება (ერის კონცეფცია, განათლების მიზანი და მისთ.) მოქმედი პირებისაგან (პოლიტიკოსები, აქტივისტები, პროფკავშირის წევრები და მისთ.) და ჩარევის დონისგან (საკანონმდებლო, მარეგულირებელი და მისთ.). ენისა და ენის სწავლების პოლიტიკური ბუნების აღიარება არის ამ სფეროში ნებისმიერი ქმედების წინაპირობა, რადგანაც ტექნიკური სირთულეები (სტრუქტურული,

ადმინისტრაციული, ფინანსური და მისთ.) რომლებიც მთავრობაში ინდივიდუალურად ან ერთობლივი მოქმედებით უნდა დაძლიონ, ვერ გადაილახება, სანამ ამ პრინციპებთან დაკავშირებით არ დაზუსტდება“ (გაბუნია, ეზუგბაია, ქირია, 2010, გვ. 13-14). ფაქტია, რომ თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფო ენის სტრატეგიის შექმნა და განხორციელება პრიორიტეტული ამოცანაა.

გადავხედოთ საკვლევ პერიოდს - საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე, მუშაობას იწყებს სახალხო განათლების სამინისტრო. იგი ამოცანად ისახავდა ახალი სკოლების გახსნას; მოსახლეობის სწავლა-განათლების, სკოლების ახალი კადრებით უზრუნველყოფას; მასწავლებელთა და მოსწავლეთა მატერიალურ უზრუნველყოფას; არაქართველთა სწავლების საკითხების მოგვარებას; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობისა და მუშაობის უზრუნველყოფას, პროფტექნიკური, საზღვაო, სახელოსნო და უსინათლოთა სასწავლებლების გახსნას, სასწავლო პროგრამების შემუშავებას და სხვ. ისიც ცნობილია, რომ განათლების სამინისტრომ იარსება საქართველოს გასაბჭოებამდე. 1921 წლის 25 თებერვალს კი ქვეყნის საგანმანათლებლო პროგრამებზე ზრუნვა განათლების სახალხო კომისარიატმა გააგრძელა.

საკვლევი პერიოდის საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე, სტატიაში „განათლების სისტემა და ენობრივი პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.წ.)“ გამოვკვეთეთ ის აქტივობები, რომლებიც სახელმწიფო დონეზე ხორციელდებოდა:

გამოიცემოდა განათლების მინისტრის ბრძანებები და განკარგულებები სკოლების, გიმნაზიების, მასწავლებელთა შერეული დაწყებითი სკოლის

გახსნის შესახებ; სამინისტროსთან არსებული სასწავლო კომიტეტში მუშავდებოდა წესდება-პროექტები; შეიქმნა ამიერკავკასიაში პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტი; შეიქმნა უმაღლესი და საშუალო განათლების მთავარი გამგეობა;დაიწყო ეროვნული სკოლების შექმნა, რეორგანიზაცია და მატერიალური უზრუნველყოფა; შეიქმნა ქართული ენის სწავლების მოსამზადებელი კურსები; გამოიცა კანონი განათლების სამინისტროში ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა წარდგენის შესახებ; მომზადდა კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დეპარტამენტის დაარსებისა და საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დეპარტამენტის დაარსების შესახებ; იყო მცდელობა მოეწვიათ უცხოელი ლექტორები ლექციების წასაკითხად; შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლის დასაფინანსებლად და სხვ. (მანჯგალაძე, ინწკირველი, 2018).

ამდენად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის მანძილზე იყო მცდელობა დაწყებულიყო არსებითი ცვლილებები განათლების სისტემის მოსაწესრიგებლად. კვლევისათვის ღირებული ინფორმაცია იყო აისახებოდა თუ არა ქართული ენის სტატუსთან, მისი რეალურად გავრცელების საკითხთან, სახელმწიფო სტრუქტურებში სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და არსებით საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული მსჯელობა გაზეთებში - „ერთობა“ და „საქართველო“. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი პუბლიკაციები მოვიძიეთ, საგაზეთო მასალას თემატურად წარმოვადგენთ და საერთო დასკვნებს გამოვიტანთ. ვინაიდან კვლევისას მხოლოდ მოძიებული მასალის გარკვეულ ნაწილს ვეყრდნობით, დანართის სახით მკითხველისთვის ხელმისაწვდომს გავხდით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ, ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებულ,

კვლევისთვის მრავალი კუთხით საინტერესო გაციფრებულ პუბლიკაციებს.

„პარლამენტის ენა ქართული უნდა იყოს!“

1918 წლის 29 სექტემბრის გაზეთი „ერთობაში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ეროვნულ უმცირესობათა ენა“, რომელშიც საუბარია კანონით დარეგულირებულ სახელმწიფო ენის გამოყენებასა და ეროვნულ უმცირესობათა ენის დაცვის უფლებაზე. იქვეა მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის დიდმა უმრავლესობამ იცის ქართული ენა, შესაბამისად, პარლამენტის ახალ კანონშიც ჩაწერილია დებულება, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი მხოლოდ ქართულ ენას აქვს, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა, თუ რომელი ენა უნდა ყოფილიყო პარლამენტის ენა; საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული პრეტენზია: მათ უნდოდათ ქართულ ენის გვერდით მეორე სახელმწიფო ენა - რუსული ყოფილიყო იმ ლოგიკით, რომ რუსული ენა ყველას ესმის. აღნიშნულმა საკითხმა, როგორც სტატიიდან ირკვევა, ნაციონალისტების უკმაყოფილება გამოიწვია და 27 სექტემბრის სხდომაზე თავიანთი თვალსაზრისი ემოციურად დააფიქსირეს: „ერთი სიტყვით, პარლამენტის ენა ქართული ენა უნდა იყოს. თუ ეროვნული უმცირესობა მაინც მოისურვებს გამოგზავნოს ისეთი დეპუტატი, რომელმაც ეს ენა არ იცის-დეე გამოგზავნოს. ეს მისი ნებაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დეპუტატი თითონ იგრძნობს უხერხულობას და არ მოისურვებს იჯდეს ისეთს დაწესებულებაში, რომლის ასავალ-დასავალი მას არ ესმის“ (ერთობა, 29.09.1918). ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო ფრაზა, რომელიც ერთგვარ სათაურადაც დავაფიქსირეთ, რადგან ნათლად იკვეთება სახელმწიფოებრივი ხედვა,

ენობრივი პოლიტიკის არსებითად მნიშვნელოვანი საკითხის გამოკვეთა, რომ სწორედ პარლამენტი უნდა იყოს მაგალითი სხვა სახელმწიფო სტრუქტურებისათვის - საკანონმდებლო მსჯელობა და კანონების წერილობითი ფორმით ფიქსირება ცალსახად ქართულ ენაზე იყოს.

ცხადია, პუბლიკაციიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად ცხადად იყო გააზრებული სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტის - სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრა და მისი ფუნქციონირების ველის ნათლად გამოკვეთა. ის, რომ კანონით სავალდებულო გახადა ქართული ენის ცოდნა მომრიგებელი მოსამართლისათვის, მისასალმებელია, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი ვალდებულია იცოდეს სახელმწიფო ენა.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი სახელმწიფო ენის ხმარებისა და ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებისა. კანონი აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, ამავე დროს პარლამენტმა ხაზი გაუსვა მეორე პრინციპსაც: უზრუნველყოფილი უნდა იქნას უმცირესობათა უფლებაც. მაგრამ პრინციპის აღიარება კიდევ არ ნიშნავს კითხვის გადაჭრას, არც ავსტრიის კონსტიტუცია უარყოფს ენების უფლებას, მაგრამ ვერავინ იტყვის, ვითომ ავსტრიაში ყველა ენას თანასწორი უფლება ჰქონდეს. საქმე პრინციპის პრაქტიკული განხორციელებაა. ჩვენი კანონმდებლობა უკვე შესდგა ასეთს განხორციელების გზაზე: მომრიგებელ მოსამართლეთა კანონი აწესებს,რომ იქ, სადაც მცხოვრებლები საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენენ, მოსამართლემ უნდა იცოდეს უმცირესობის და ქართულთან ერთად ამ ენაზე უნდა იქნას საქმის წარმოება, დაინტერესებულ პირს ნება აქვს ქაღალდები მიიღოს თავის ენაზე და სხ.

ამაზე შორს წასვლა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან საქართველოს რესპუბლიკის დიდმა უმრავლესობამ იცის ქართული ენა და ამიტომ ყველა ენების ოფიციალურ ენებათ გამოცხადება შეუძლებელია და მავნებელიც. ჩვენი პარლამენტის ახალ კანონშიც უდაოდ არის მიღებული ის დებულება,რომ სახელმწიფო ენის უფლება მხოლოდ ქართულ ენას აქვს. საკითხის ამ მხარეს არავითარი გაუგებრობა არ გამოუწვევია და შეიძლება ითქვას,რომ ის საქართველოს პარლამენტის ერთსულოვან შეხედულობას შეადგენს. სამაგიეროთ დიდი აურზაური გამოიწვია საკითხმა თუ რომელი ენა უნდა იყოს პარლამენტის ენა; თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა ყველანი შეთანხმდენ იმაში,რომ პარლამენტში საქმის წარმოება და კამათი უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე. აქედან ლოღიკურათ გამომდინარეობს ისიც, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პარლამენტის დეპუტატისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ დებულებას ქართული ენის შესახებ ყოველივე ძალა და მნიშვნელობა ეკარგება. ასე ესმის ეს კითხვა სოციალ-დემოკრატიას და ეჭვი არ არის, სხვა პარტიებიც ამ აზრს იზიარებენ. მართალია, ჩვენში არიან ისეთებიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ ქართული ენის ცოდნა დეპუტატისთვის საჭირო არ უნდა იყოს, მაგრამ ეს უბრალო გულუბრყვილობით უნდა აიხსნას და სერიოზული საბუთი ამათ არ მოეპოვებათ მით უმეტეს შეუძლებელია ეს, რომ ჩვენ კანონით უკვე სავალდებულოთ გავხადეთ ქართული ენის ცოდნა მომრიგებელ მოსამართლისათვის და დეპუტატისათვის ხომ კიდევ უფრო საჭირო უნდა იყოს ის. მიუხედავათ ამისა, 27 ენკენისთვის სხდომაზე საქართველოს პარლამენტში დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა აღნიშნულ კითხვის გარშემო. აქ თავი იჩინა დაგუბებულმა ეროვნულმა გაწიწმატებამ

და სოციალდემოკრატიულ ფრაქციის წინააღმდეგ ყველა ფრაქცია გააერთიანა.

ცნობილია, რომ ყოველი ძალადობა იწვევს წინააღდეგობას. ეს ძალადობა გამოიწვია საქართველოს წვრილ ეროვნებათა ნაციონალისტების შეერთებამ და მათმა ყოვლად შეუწყნარებელმა პრეტენზიებმა: მათ განუზრახავთ ქართულ ენის გვერდით შექმნან მეორე სახელმწიფოებრივი ენა -რუსული იმ საბუთით, რომ ეს ენა ყველას ესმის. ამან აავსო ჩვენი ნაციონალისტების მოთმინების ფიალა და მათმა-ბოღმამ ასე ძლიერათ გადმოხეთქა 27 სექტემბრის სხდომაზე. ჩვენც სასტიკათ ვზრახავთ იმ წვრილ ერების ნაციონალისტებს, რომელთაც თითქო თავი მოაქვთ სამშობლო ენის უცოდინარობით და დემონსტრატიულათ მოითხოვენ, რომ მათ რუსულ ენაზე ლაპარაკის უფლება ქონდეთ. ამ ნებსით თუ უნებლიეთ გადაგვარებულ ჯგუფისთვის ჩვენ არავითარ უფლებას მიცემა არ გვსურს,რადგან უფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს და არა მის გადაგვარებულ ნაწილს. ეს ჩვენ აშკარათ უნდა განვაცხადოთ. ამიტომ შევიტანეთ ჩვენ წინადადება, რომ კანონპროექტში ამოშლილიყო ის მუხლი შენიშვნით, სადაც სიტყვის წარმოთქმის უფლებაზე იყო ლაპარაკი. ჩვენ გვინდოდა რეგლამენტისათვის მიგვენდო ერთნაირი მოდუსის შემუშავება, თუ ვინიცობაა მართლა მოვიდოდნენ ისეთი დეპუტატები, რომელნიც თავის წარმომგზავნ ერის ენას უარყოფდენ. ერთი სიტყვით, პარლამენტის ენა ქართული ენა უნდა იყოს. თუ ეროვნული უმცირესობა მაინც მოისურვებს გამოგზავნოს ისეთი დეპუტატი,რომელმაც ეს ენა არ იცის-დეე გამოგზავნოს. ეს მისი ნებაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დეპუტატი თითონ იგრძნობს უხერხულობას და არ მოისურვებს იჯდეს ისეთს დაწესებულებაში,რომლის ასავალ-დასავალი მას არ ესმის. რეგლამენტით მხოლოდ დროებითის წესების შემუშავება

შეიძლება,უფლება კი ასე თუ ისე მუდმიობას გულისხმობს. ამიტომ გვინდოდა ჩვენ აღნიშნულ მუხლის ამოშლა. ვიმეორებთ: ხალხს ეკუთვნის უფლება აირჩიოს ის, ვინც მას უნდა. დეპუტატის მოვალეობა კი ის არის, რომ ხალხს ემსახუროს და არა თავის თავს (ერთობა, 29.09.1918).

აბუჩად აგდებული ქართული ენა?

„ჩვენ გვჯერა, რომ შეცდომა დროით იქნება გასწორებული“ ასე სრულდება პ. ივანდიდელის პუბლიკაცია, რომელიც 1918 წლის 26 სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი. მისი სათაურია: **„განათლების მინისტრის საყურადღებოთ, წერილი ხონიდან“** და საუბარია იმ დროზე, როდესაც ქართული ენის ცოდნას ყურადღებას არავინ აქცევდა და არაკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიდნენ (1916 წ.). რეალურად, „ქართული ენა აბუჩათ იყო აგდებული“ და მთავრობისათვის სულ ერთი იყო, ვინ ასწავლიდა ქართულს - არასავალდებულო ენას. საბედნიეროდ, შეიცვალა სიტუაცია და თავისუფლად დაქირავებული მასწავლებლები აღარ უნდა ასწავლიდნენ ამ საგანს, რადგან გიმნაზიის ყველა კლასში ქართული ენა უნდა ასწავლონ, მათ კი არა აქვთ შესაფერისი ცოდნა. როგორც ავტორი წერს, სასწავლებელში ქართულ ენას უმთავრესი ადგილი უნდა ეკავოს, ამ საგნის მასწავლებელი „აღჭურვილი უნდა იყოს ყოველმხრივი განვითარებით და ქართული ლიტერატურის, მწერლობის ზედმიწევნით ცოდნით“, ამიტომაც იგი მიმართავს განათლების მინისტრს, გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოსა და ქ. ხონის თვითმართველობას ყურადღება მიაქციონ აღნიშნულ გარემოებას.

შეიძლება ვიდავოთ იმაზე, თუ რამდენად მისაღებია ამ წერილის ტონი, მაგრამ ქართული ენის სათანადოდ სწავლებაზე განსაკუთრებული

აქცენტის ქონა სახელმწიფოებრივი ხედვის შემადგენელი ნაწილი რომ არის და ის სწორედ საკლასო გარემოდან იწყება, კარგად ჩანს ავტორის ტექსტიდან.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

როგორც ხონის სავაჟო გიმნაზიის დირექტორმა გამოგვცა, მას სამინისტროდან მიუღია ცნობა, რომ ქართული ენის მასწავლებლათ აღნიშნულ გიმნაზიაში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დამტკიცებულნი არიან: ამავე გიმნაზიის კლასის დამრიგებლის თანაშემწე გიორგ. მირ. ბერიძე და მღვდელი ივანე რუხაძე. გ. ბერიძეს დამთავრებული აქვს კურსი ხონის საოსტატო სემინარიაში, რამდენიმე წელს სოფლის მასწავლებლათ იმსახურა, შემდეგ დანიშნულ იქნა ხონის გიმნაზიაში კლასის დამრიგებლის თანაშემწეთ და დროგამოშვებით ასწავლიდა სუფთა წერას და დაბალ კლასებში ქართულ ენას. ეს იმ დროს იყო, როდესაც ქართული ენა აბუჩათ იყო აგდებული და მთავრობისათვის სულ ერთი იყო, თუ ვინ ასწავლიდა ამ არასავალდებულო ენას. მღვდ. ი. რუხაძე ხონის გიმნაზიაში მოწვეულ იქნა, როგორც თავისუფლად დაქირავებული მასწავლებელი ქართული ენისა 1916 წელს. იმ ხანებში ამ ენის ცოდნას ყურადღებას არავინ არ აქცევდა და რა ცოდნის პატრონიც არ უნდა ყოფილიყოს მასწავლებელი, სულ ერთი იყო ქართული ენის კურსი არას წარმოადგენდა. დღეს ბერიძე და მღვ. რუხაძე გიმნაზიის სრულუფლებიან მასწავლებლებათ არიან დამტკიცებული და ამ მტკიცების ძალით უფლება აქვთ გიმნაზიის ყველა კლასებში ასწავლონ ქართული ენა. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არც ერთ მათგანს არა აქვს შესაფერისი ცოდნა. დღეიდან ჩვენს სასწავლებელში ქართულ ენას უმთავრესი ადგილი უკავია და ამ უკანასკნელის მასწავლებელი აღჭურვილი უნდა იყოს ყოველმხრივი განვითარებით და ქართული ლიტერატურის, მწერლობის ზედმიწევნით

ცოდნით. ამ მხრივ ვერც ერთი მათგანი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მეასედსაც კი. მეორეს მხრივ, ყურადღების მიქცევის ღირსია ის გარემოება, რომ აღნიშნული პირები ამ თანამდებობაზე დამტკიცებულნი არიან 1 იანვრიდან, ეს კი მოითხოვს ღარიბ გიმნაზიის კასიდან რამდენიმე ათას მანეთის გაღებას: 1 იანვრიდან დღემდე ბერიძე იღებდა ჯამაგირს, როგორც კლასის დამრიგებელი, მღვდ. რუხაძე, როგორც თავისუფალ დაქირავებული შტატს გარეშე მყოფი მასწავლებელი. ახლა კი, რაკი ისინი დამტკიცებული არიან 1 იანვრიდან, უნდა მიიღონ გიმნაზიიდან დამატებითი ის განსხვავება, რომელიც არის გიმნაზიის შტატში მყოფ მასწავლებლის ჯამაგირსა და იმ ჯამაგირისა, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირები. ეგ განსხვავება კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რამდენიმე ათას მანეთს შეადგენს. ამნაირად გიმნაზია, და ისიც ღარიბი, უნდა დაზარალდეს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ განათლების მინისტრი შეცდომაშია შეყვანილი ვიღაცის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფაქტს, რომელიც დიდ მითქმა მოთქმას იწვევს ხონში, ადგილი არ ექნებოდა. ჩვენ გვწამს, რომ ამ შენიშვნას ყურადღებას მიაქცევს განათლების მინისტრი და შესაფერ განკარგულებას მოახდენს. ჩვენის აზრით პასუხი უნდა მოეთხოვოს იმასაც, ვინც ინება მინისტრის შეცდომაში შეყვანა და ისეთი საქმე ჩაადენია, რომელიც სავალალო მდგომარეობაში აგდებს, როგორც ქართული ენის სწავლების საქმეს აღნიშნულ გიმნაზიაში, ისე ამ უკანასკნელის ღარიბ კასას. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს და ანგარიში გაუწიოს აგრეთვე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ და განსაკუთრებით ხონის ქალაქის თვით მართველობამ. ჩვენ გვჯერა, რომ შეცდომა დროით იქნება გასწორებული. პ. ივანდიდელი (დროება, 26.09.1918).

ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი

საინტერესო სტატია მოვიძიეთ 1919 წლის 7 თებერვლის გაზეთ „საქართველოში“ სათაურით: „ერთობა“ და ქართული ენა“, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია არააკადემიურად კრიტიკული დამოკიდებულება იმავე პერიოდის პერიოდული გამოცემის - „ერთობის“ სარედაქციო პოლიტიკის მიმართ, რომლთათვისაც „ნაციონალიზაცია“ - ნაციონალურობა „ინტელიგენტთა კრებებისათვის“ განმსაზღვრელი ნიშანია. ავტორი განიხილავს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც საუბარია, 1919 წლის 2 თებერვალს მომხდარ ფაქტზე, როდესაც სომეხმა და რუსმა მასწავლებლებმა დემონსტრაციულად დატოვეს კრება, რადგან იგი ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იყო ციტატა: „სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი დემოკრატიული ზომა ყოფილა. იმავ სახელმწიფოს ინტელიგენტ მოქალაქეთაგან კი სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი არა დემოკრატიული ზომაა“ - ჩანს, აუცილებლობა იმისა, რომ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საკითხი განზოგადებული ყოფილიყო სახელმწიფო ინსტიტუციების დონეზე, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად იყო მჩნეული, მაგრამ ე.წ. ინტელიგენცია ამ მხრივ მაინც სერიოზულად სცოდავდა. რეფორმა დაწყებული იყო, თუმცა მის აღსრულებამდე სერიოზული სამუშაოები - განსახორციელებელი.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

მკითხველებმა უკვე იციან,რომ ორ თებერვალს სომეხმა და რუსმა მასწავლებლებმა დემონსტრატიულად დასტოვეს მასწავლებელთა კრება,რადგანაც კრებაზე ლაპარაკი ქართულ ენაზე სწარმოება. ამ საკითხს ეხება „ერთობა“ და, როგორც მას შეშვენის,წერილს აბდაუბდით ათავებს.

„ერთობა“ სწერს: „როცა ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებაში შემოგვაქვს ქართული ენა -ეს ხდება ხალხისთვის,რომელიც ამ დაწესებულებებით სარგებლობს. მაშასადამე ეს დემოკრატიული ზომაა. მაგრამ როდესაც ნაციონალიზაცია შემოაქვთ ინტელიგენტთა კრებებისთვის, ეს ხდება მხოლოდ იმ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფის სასარგებლოთ და ხალხის საზიანოთ. მაშასადამე აქ დემოკრატიული არაფერია“. ჩვენ მოვუწოდებთ მკითხველს ჩაუკვირდეს ამ ამონაწერს, აქ ყველაფერი სისულელემდეა მიყვანილი. სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი დემოკრატიული ზომა ყოფილა. იმავ სახელმწიფოს ინტელიგენტ მოქალაქეთაგან კი სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი არა დემოკრატიული ზომაა. ასეთ მარგალიტ აზრებს ავტორებთან კამათი საზოგადოთ ძნელია, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სისულელე აქ ბოლომდეა დაყვანილი და ჩვენ გვსურს მოუწოდოთ „ერთობის“ მკითხველებს, რათა ამისთანა ლოგიკას არ აჰყვნენ. გამოდის, რომ მილიციონერს შეუძლიან ქართულად ლაპარაკი, კომისარს ხომ შეუძლიან და შეუძლიან, შეუძლიან ალბათ მინისტრსაც, მაგრამ თუ ქართველმა მასწავლებლებმა გამართეს კრება, მათ ამის უფლება არ უნდა ჰქონდეთ. რატომ? -იმიტომ რომ მასწავლებლები ინტელიგენტები ყოფილან. აქამდის ჩვენ ვფიქრობდით რომ „ერთობის“ პუბლიცისტებიც ინტელიგენტები იყვნენ. ამ საფუძვლით აღარც მათ უნდა სწერონ ქართულად. განა „ერთობის“ რედაქცია საპოლიციო კომისარიატია, რომ იქ ყველაფერი ქართულ ენაზე სწარმოებდეს (საქართველო, 07.02.1919).

გვინდა განვიხილოთ კიდევ ერთი სტატია, რომელიც 1919 წლის 5 აპრილს არის გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოში“. იგი ეხება იმას, თუ როგორ უნდა გახდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ეროვნული, თუმცა, პუბლიკაციის შინაარსს კარგად თუ დავაკვირდებით,

ზოგიერთი საკითხის ხედვის გამო კითხვის ნიშნები აუცილებლად გაჩნდება ავტორის მიმართ. მაგალითად, სტატიაში საუბარია, რომ ქართული ენის სწავლების საკითხი ჯერ კიდევ იმდენად მოუგვარებელი იყო, იმ რუს მოხელეებს, რომელთაც სურთ საქართველოში დარჩენა სამუშაოდ, თითქოსდა გული უცრუვდებოდათ მის შესწავლაზე. ვფიქრობთ, რადგან თავად რუსეთის იმპერია იყო საქართველოს სასწავლებლებში არსებული სისტემის შემოქმედი, იმ ვითომდა ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ რუს მოხელეებს შეეძლოთ კერძო გაკვეთილების მიღება და შესაბამისი შედეგის მიღწევა. სტატიის ავტორი კვლავ განაგრძობს კრიტიკულ მსჯელობას: რეალურად, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ათი თვის შემდეგ მთავრობა ისევ მერყეობს და გაუბედავ ნაბიჯებს დგამს, საქმის წარმოება კვლავ რუსულად მიმდინარეობს: ქ. თბილისის თვითმართველობამ „ხელი აიღო თავის დაწესებულებების ნაციონალიზაციაზე. იგი ქართულ ენის ცოდნას იმათგანაც არ მოითხოვს, ვისაც სამსახურში ახლად ღებულობს“; იგივე მდგომარეობაა საქართველოს რეპუბლიკის სამინისტროებში, სადაც რუსულ ენაზე ქმნიან და აქვეყნებენ დოკუმენტებს. სტატიის ავტორს ყველა საკითხში ვეთანხმებით თუ არა, მაინც ცხადია, ეს წერილი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმდროინდელი ხედვის შესახებ.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

ახალი კურსი. სახელმწიფოსა და თვითმართველობის სხვა და სხვა დაწესებულებაში საქართველოს სახელმწიფო ენას პრესტიჟი და სუვერენობა ეკარგება. მთელი ბრალი ამ ყოვლად შეუწყნარებელის ანტი სახელმწიფოებრივი მოვლენისა ედება მართველ წრეებს: სოც.-დემოკრ. მთავრობასა და სხვა და სხვა სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის ბატონობას. ცნობილია, რომ ეს ხალხი იმ თავითვე დიდს უგულობას და მერყეობას

იჩენდა ცხოვრებაში ნაციონალიზაციის გასატარებლად. მათი ასეთი სულიერი ვითარება ცოცხალი ნაშთი იყო იმ ქაოტიურ ინტერნაციონალურ პსიხოლოგიისა, რომელიც ეროვნულ ერთეულების არსებობას ეჭვის თვალით უყურებდა და მათი ინდივიდუალური მოთხოვნილება-საჭიროების-არც შემოფარგვლაზე ფიქრობდა და არც დაცვაზე. ამის ძალით, არ იყო განსაკუთრებული მონდომება საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაეროვნებისა. მხოლოდ გარემოების ძალდატანებას უთმობდნენ. არ იყო ინიციატური წინდასწრება და დაჩქარება, მუდმივი უხასიათობა საჭირო ენერგიული გადაწყვეტილების მისაღებად, ქართული ენის შეთვისების საჭიროებაზედ გულს უცრუებდა იმ რუსის მოხელეებსაც, რომელთაც ლოიალურად სურდათ საქართველოს სამსახურში დარჩენა და მუშაობა.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩვენს მართველ პარტიას და მის მთავრობას ჯერაც ვერ გაუნთავისუფლებია თავისი თავი ძველი ცოდვებისგან. იდეოლოგიურ-პსიხოლოგიური ნაციონალიზაცია მათში ჯერ კიდევ სავსებით არ დასრულებულა. დღესაც, დამოუკიდებლობის ათი თვის თავზედაც, ეს ხალხი მერყეობას და გაუბედაობას იჩენს. მეტიც. ბევრ შემთხვევაში იგი უკან იხევს, და საქმის წარმოების გარუსულება შემოაქვს, სადაც აქამდე ცოტათ თუ ბევრათ ნაციონალიზაცია იყო განხორციელებული. ჩვენ უკვე ვწერდით რკინის გზაში საქმის წარმოების გარუსულების თაობაზედ, თბილისის ქალაქის თვითმართველობამ უკვე ხელი აიღო თავის დაწესებულებების ნაციონალიზაციაზე. იგი ქართულ ენის ცოდნას იმათგანაც არ მოითხოვს, ვისაც სამსახურში ახლად ღებულობს.

საქართველოს რეპუბლიკის სამინისტროები თავიანთ ნაშრომებს რუსულ ენაზედ აქვეყნებენ, ასე მოიქცა საგარეო საქმეთა სამინისტრო,ასე მოიქცა

მიწადმოქმედების სამინისტრო. ერთიანად აღებულია ახალი კურსი, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების და საზოგადო სახელმწიფო ცხოვრების დენაციონალიზაციისა. არჩეულია ნაკლები წინააღმდეგობის გზა და ხაზი. შემოქმედი ენერგია არ სჩანს და ამ ხალხს არ აწუხებს. ამ მოვლენას გამართლება ყოვლად შეუძლებელია. თითო-ოროლა არა ქართველი სპეციალისტი თავის ეროვნული ძლიერების ბეჭედს არ უნდა ასობდეს მთელს ჩვენ სახელმწიფო ცხოვრებას ასეთი საჭირო პირების გამოყენება ისე უნდა მოხდეს, რომ არ შეილახოს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ძირითადი პრინციპი, და არ დაიჩაგროს ეროვნული შემოქმედების იმპულსი და გაქანება. ამის მოგვარება არც თუ ძნელი საქმეა. საჭიროა მხოლოდ მტკიცე გადაწყვეტილება და ურყევი რწმენა ჩვენი სახელმწიფოებრივი თვით-არსებობისა. საჭიროა შემომქმედი სიყვარული და ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება დაძლეული იქნება. ჩვენი მართველი წრეების მოქმედების მეთოდში სწორედ ეს შემომქმედი სიყვარული არ მოსჩანს, არამედ მხოლოდ რუსული „კაზიონშჩინა“. ამიტომაც გასაკვირი არაა თუ ნაციონალიზაციის საქმეში უკან-უკან ვიხევთ (საქართველო, 05. 04. 1919).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების გააზრებული ხედვის შედეგად მნიშვნელოვან ინფორმაციად იყო მიჩნეული განცხადების გამოქვეყნება - ერთგვარი განმარტება - მაგალითად, ქართულ ენაზე დეპეშების დროებით შეწყვეტასთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნეთ, ეს საკითხიც ერთგვარი მიზნობრივი ენობრივი პოლიტიკის შედეგია - კარგადაა გააზრებული ქართულ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსი: „საქართველოს სახაზინო რკინის გზის ტელეგრაფის უფროსმა განკარგულება მოახდინა დროებით ქართულ ენაზე დეპეშების გზავნა

შესწყვიტონ, მიზეზი ამისათვის საჭირო მანქანების უქონლობაა. დეპეშები ქართულ ენაზე (საქართველო, 21.01.1919).

ქართული ენა - განახლებული სკოლის პრიორიტეტი

ქართული ენა განახლებულ სკოლაში - ასეთი სათაურითაა გამოქვეყნებული გიორგი ნადირაშვილის პუბლიკაცია გაზეთ „საქართველოს“ 1919 წლის 5 მარტის ნომერში. იგი ამბობს, რომ იმ საკითხზე, რომელზეც საუბარს აპირებს, რეალურად, პრესაში არაფერი ქვეყნდება, მიაჩნეულია, რომ ძირითადი სამსჯელო საკითხები პოლიტიკასა და ეკონომიკას უნდა ეხებოდეს, არადა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების ქონა ერთ-ერთი არსებითი საკითხია. ავტორის თქმით, ძველი სკოლა და ქართული ენა მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ ერთმანეთთან და უპირატესობა რუსულ ენას ენიჭებოდა. მაშინდელმა სკოლამ შექმნა ანტიეროვნული სწავლის სისტემა, ხოლო „ამ ანტიეროვნულმა სულმა შეჰქმნა ჩვენი მომავალი თაობა რუსიციზმის იარაღად“. იქვე ვკითხულობთ: „ძველი სკოლა იარაღი იყო ძველი დახავსებული მთავრობისა“, ახალი მთავრობა კი ვალდებულია საქართველოს გასაძლიერებლად სკოლის სისტემის რადიკალური რეფორმა განახორციელოს: „ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სრულიად ახალს, ქართულს, გვჭირია ქართველი ძალები, რომელიც მომავალმა ქართულმა სკოლამ უნდა მოგვცეს!“. ავტორი განიხილავს ერთ-ერთი ვაჟთა გიმნაზიის მაგალითს, სადაც მე-6 კლასში, წლის განმავლობაში ისწავლეს: „თორნიკე ერისთავი“, ილიას რამდენიმე ლექსი, „განდეგილი“, „ელისო“ და ქართული ენის გრამატიკიდან მხოლოდ სიტყვის შემადგენლობა, სხვა არაფერი. იგი აღნიშნავს, რომ „საგნებს

სწავლობენ რუსულად ქართველებიც და არა ქართველებიც, გარჩევა ერთია: არა ქართველები სწავლობენ საქართველოს ისტორიას რუსულად“ . შესაბამისად, სვამს ლეგიტიმურ კითხვას: „სად არის სახელმწიფო ენა-ქართული?“ იქვე დასძენს: „განა იმას ვისაც ქართული ლიტერატურის შესწავლა სურთ ასეთ უსისტემოდ და უმარილოდ ისწავლის? ვიმეორებ: ქართულ სკოლებში ძველი სული არ წაშლილა. ქართული ენის გაკვეთილი ისევ ძველ სურათს წარმოადგენს; გულგრილობა, ინდიფენეტიზმი და საერთოდ უყურადღებობაა!“. ავტორს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მასწავლებელთა გულგრილობაც მიაჩნია, რომლებიც უბრალოდ იღიმებიან, თუ მოსწავლემ ქართული ენა არ იცის, პრობლემის მოგვარებაზე კი ნაკლებ ზრუნავენ.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

იმ საგანზედ, რაზედაც გვსურს ჩვენ ვილაპარაკოთ, პრესა დიდი ხანია სდუმს, რით აიხსება ეს სიჩუმე? ალბად იმით, რომ ყველას სადაო საკითხად ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური კითხვები ჰგონია; ყველა ქართველი შეპყრობილია პოლიტიკური ენტუზიაზმით და გარეშე ამ საკითხისთვის ცხოვრებაც უფერულად მიაჩნიათ. რასაკვირველია პრინციპიალურად არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი პოლიტიკურ საკითხების გარკვევის, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც ის ხელს შეუწყობს, და არ შეუშლის ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დარგების წესიერ მსვლელობას და განვითარებას. საზოგადოთ ფანატიკოსობა ერთი საკითხის აკვიატება, მასზედ შეჩერება და გაყინვა მავნებლად მიგვაჩნია თანამედროვე ერისთვის.

ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ პრესას, ის უთუოდ დამეთანხმება: ამ ორი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება მეტს ლაპარაკობს ეკონომიურ და პარტიულ საკითხებზედ, ვინემ თვალყურს ადევნებს ჩვენი

ცხოვრების კულტურულ დარგებს, სკოლას პედაგოგიკას; ეს იმ დროს ხდება, როდესაც არც ერთ ჩვენგანს არ შეგვიძლიან უსკოლოდ შევძლოთ, გარეშე პედაგოგიკის ცხოვრება მოვაწესრიგოთ.

ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფოს წყობილება, გავაძლიერეთ შინაურული და გარეშე პოლიტიკური ძალები, მოვახდინეთ ყოველი დარგის ფილტრაცია ნაციონალურ მიზნების მიხედვით, მაგრამ თამამად შემიძლიან (და ვიღებ თავზედ მოვალეობას დავამტკიცო) რომ ამ მხრივ ჩვენს სკოლას და პედაგოგიკას არაფერი ახალი არ შემატებია.

ძველი სკოლა იარაღი იყო ძველი დახავსებული მთავრობისა, ახალი მთავრობა მოვალეა გამოიყენოს ის საქართველოს გამაძლიერებელ ძალების სასარგებლოდ; ეს მოხდება მაშინ, როდესაც ვეღირსებით სკოლის მთელი სისტემის, მეთოდის შეცვლას.

ძველი სკოლა და ქართული ენა მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ; შედეგად ქართული ენის ნელნელი ემიგრაცია გახდა სკოლიდან და საზოგადოდ ყველა დაწესებულებიდან. მაშინდელმა სკოლამ შექმნა ანტიეროვნული სისტემა სწავლის, ერთი სიტყვით, შექმნა ერთმხრივობა; ეს გამოიხატა რუსული ენის გაბატონებასა და სხვა „ადგილობრივ“ენების აღმოფხვრაში. სწორედ ამ ანტიეროვნულმა სულმა შეჰქმნა ჩვენი მომავალი თაობა რუსიციზმის იარაღად და აქედან ვრცელდებოდა ეს სენი მთელ ქართველობაში.

უპირველესი ვალი ჩვენი სამინისტორისი ეს ეროვნული სულის დაბრუნებაა. ის ქართული ნაციონალიზმი, რაც კასოს სამინისტრომ ამოსწურა, დღეს ლასხიშვილის სამინისტრომ უკანვე უნდა ჩასწუროს; ის ქართული სული,რომელიც ნიკოლოზის მთავრობამ ამოგვხადა, მთავრობა მოვალეა ჯერ ეს სული დაგვიბრუნოს. მართლაც და რა განსაცდელში ვიმყოფებით ჩვენ? ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სრულიად ახალს,

ქართულს, გვჭირია ქართველი ძალები, რომელიც მომავალმა ქართულმა სკოლამ უნდა მოგვცეს!

რა დღეში იმყოფება დღეს სკოლა? მთავრობამ ნაციონალიზაცია გამოაცხადა. მაგრამ, როგორც უმრავლეს შემთხვევაში, ისე აქაც სიტყვას მიეცა მნიშვნელობა უფრო თეორეტიული, ვინემ პრაქტიკული. მაგალითად ავიღებ ერთ-ერთ ვაჟთა გიმნაზიას, რომელთანაც ძლიერ ახლო ვდგევარ და ყველა მისი ამბები ზედმიწევნით ვიცი. ამ გიმნაზიაში მე-4 კლასამდე ნაციონალიზაციაა სრული და მოწაფეობა ქართველებია, სწავლაც ქართულია. მე-5, 6, 7 და 8 კლასები ისევ ძველ სისტემით შერეული არიან. მიუხედავად ამისა ყოველ კლასში ნახევარი ქართველია. (თითო კლასს ორი განყოფილება აქვს). საგნებს სწავლობენ რუსულად ქართველებიც და არა ქართველებიც გარჩევა ერთია: არა ქართველები სწავლობენ საქართველოს ისტორიას რუსულად. სად არის სახელმწიფო ენა-ქართული.

ჩვენ არ მოვითხოვთ მეტს, მარა უბედურებაც ის არის, რომ ქართულ ლიტერატურას თვით ქართველებიც რიგიანად არა სწავლობენ. მოგიყვანთ მაგალითს. მე-6 კლასში ამ წლის განმავლობაში ისწავლეს: „თორნიკე ერისთავი“ ილიას რამდენიმე ლექსი „განდეგილი“ „ელისო“ და რამდენიმე ნაწყვეტი ქართულ გრამატიკაში მხოლოდ სიტყვის შემადგენლობა სხვა არაფერი. განა იმას ვისაც ქართული ლიტერატურის შესწავლა სურთ ასეთ უსისტემოდ და უმარილოდ ისწავლის? ვიმეორებ: ქართულ სკოლებში ძველი სული არ წაშლილა. ქართული ენის გაკვეთილი ისევ ძველ სურათს წარმოადგენს; გულგრილობა, ინდიფენეტიზმი და საერთოდ უყურადღებობაა!

ჩვენი გულცივობა ჩვენივე ნაყოფია, მას სხვას ვერ დავაბრალებთ და უპირველესად ყოვლისა ეს არის შედეგი ქართველი მასწავლებლების

„ამხანაგურობის“. ქართულ ენის გაკვეთილი მითომ თავისუფალი გაკვეთილია, გინდ ისწავლით გინდ არა, გინდ დაესწრებით, თუ არ მოგესურვათ - არ დაესწრობით, კლასში ისე იქცევი, როგორც შინ, გაკვეთილი შეგიძლიანთ არ მოამზადოთ, ამისთვის არავინ არაფერს გეტყვით, არც დაგსჯიან, გადასასვლელად შემდეგ კლასში ვერ დაგაბრკოლებთ, თუ ვერ ლაპარაკობთ ქართულს ეს არ არის მომაკვდავებელი ცოდვა, მასწავლებელს გაეცინება და თქვენც გამხიარულდებით ენის დამახინჯებისას და სხვა მრავალი. არ ვიცი დანამდვილებით რა ხდება სხვა გიმნაზიებში, მაგრამ განა ქართველი მოიშლის ქართველობას? **გიორგი ნადირაშვილი. (საქართველო, 05.03.1919)**

მასწავლებელთა ყრილობები /კრებები

მასწავლებელთა ყრილობებისა თუ კრებების შესახებ პუბლიკაციები ორივე გაზეთშია გამოქვეყნებული. ინფორმაცია ან განცხადების სახითაა მოწოდებული, მაგალითად, ამ ფორმატით: „5 იანვრისათვის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატთა ყრილობას იწვევს“ (საქართველო 01.01.1919); ანდა ვრცლადაა მოთხრობილი მის შესახებ. გაზეთ „ერთობაში“ (ერთობა, 10.01.1920) ვკითხულობთ, რომ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობას უხმაუროდ, მშვიდად, ყოველგვარი რეკლამის გარეშე ჩაუვლია, სტატიის ავტორს კი მიაჩნია, რომ განათლების სფეროს მუშაკების შეკრების შესახებ მთელმა ერმა უნდა იცოდეს, რადგან ქვეყნის კულტურული განვითარებისთვის მათ სათანადოდ დაფასებას და ხელშეწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ყრილობაზე სკოლის

რეფორმის დემოკრატიულ საფუძველზე აგებაზე იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ ეს მეტად მძიმე და რთული საქმეა, რომელსაც სჭირდება მასწავლებელთა კოლექტიური აზროვნება, ცოდნა, გამოცდილება, უნარი და მისი დაძლევა არც თუ ისე ადვილი საქმეა. მასწავლებლები თანხმდებიან, რომ საკანონმდებლო ორგანო დიდ ყურადღებას უთმობს სწავლა-განათლების საკითხებს, მაგრამ, საბედნიეროდ, იმდენად დიდია სწავლისა და განათლების მიღების წყურვილი, რომ თვით მივარდნილ კუთხეებშიაც კი, სადაც წინათ სურვილიც კი არ ჰქონდათ განათლების მიღების შესაძლებლობისა, სკოლა ვეღარ იტევს მსურველებს და ეს გარემოება ერთგვარად კი ართულებს მასწავლებელთა მოვალეობას, მაგრამ სჯერათ, რომ ისინი დაძლევენ ამგვარ პრობლემებს. ყრილობაზე ითქვა, რომ სკოლა მომავალი თაობაა და ხანგრძლივ დროზე გაწერილი გეგმა შეუფერებელი იქნება, „ახლა საჭიროა ჩქარი და სწრაფი ნაბიჯები, რომ ვითარებათა რბენას დავეწიოთ“(ერთობა, 10.01.1920). აქვე ნათქვამია, რომ არ შეიძლება განსაზღვრულ სფეროებში ჩაკეტვა და კონკრეტული მუშაობით დაკმაყოფილება, ხელი უნდა მოჰკიდონ ყველაფერს, რომ განვითარების პერსპექტივა გამოიკვეთოს: „ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მარტო სკოლით, სკოლა-ეს მომავალი თაობაა. მაგრამ ამ თაობისთვის გზის გაკაფვა დამოკიდებულია დღევანდელ თაობაზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი რამ აკლია, ძალიან სუსტობს გაერკვიოს მის ირგვლივ დახლართულ მდგომარეობაში, ამიტომ სკოლის გარეშე განათლება საპატიო ადგილს იჭერს და ზედმეტ ყურადღებას ითხოვს“ (იქვე).

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

წყნარად, უხმაუროთ, ურეკლამოთ შეიკრიბა და გაიხსნა სრულიათ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა. შეიძლება ეს ძლიერ კარგი იყოს,

შეიძლება იმ ჩუმ მუშაკთა ბუნების, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროში მუშაობენ, კიდევაც შეეფერება ასეთი წესი, მარა ჩვენ გვინდა და ჩვენი სურვილია,რომ როცა ჩვენი ახალთაობის აღმზრდელნი იკრიბებიან - ეს იცოდეს მთელმა ერმა, ეს უდიდესი დღესასწაული იყოს ჩვენი ხალხის და ღირსეულთ ღირსეულათ შეხვდნენ და დაუხვდენ. და ეს იქნება არა მხოლოდ პირადი პატივისცემა მასწავლებელთა, არამედ ნიშანი ჩვენი ხალხის კულტურული ზრდა-განვითარების, რადგან არ არის სხვა რომელიმე პროფესია,რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ქონდეს ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის.

მრავალი სერიოზული კითხვები აქვს ყრილობას გასარჩევი და უნდა ვიფიქროთ, ყრილობა მას სათანადოთაც გადასჭრის. მართალია, ჩვენ დემოკრატიულ წყობილებაში სწავლა აღზრდის საქმის დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ყოველივე საშუალებას ხმარობს მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ, მარა ჩვენ ვიცით,რომ ყოველივე იდეა პირველ ყოვლისა ისახებოდა, ვითარდებოდა ცხოვრების მსვლელობის პროცესში და მხოლოდ შემდეგ პოულობდა იურიდიულ გამოხატულებას. ამიტომ ჩვენ გვჯერა, რომ მასწავლებელთ კოლექტიური აზროვნება და მუშაობდა მტკიცე საფუძველს ჩაუყრის სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენში. საგრძნობლათ გაუადვილებს მუშაობას ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს და საშუალებას მისცემს მას ფეხდაფეხ გაჰყვეს ცხოვრების მოთხოვნილებას და ეს მოთხოვნილება კი მეტად დიდი და მეტად მრავალფეროვანია. სკოლის რეფორმა, მისი დემოკრატიულ საფუძველზე აგება-ეს მეტად მძიმე და რთული საქმეა და თუ აქ არ მოეშველა მასწავლებელთა კოლექტიური აზროვნება, ცოდნა და გამოცდილება, ფხა და უნარი-მისი დაძლევა არც თუ ისე ადვილი იქნება.

ჩვენდა საბედნიეროთ სწავლა განათლების წყურვილი ამ ჟამად იმდენათ დიდია ჩვენში, რომ ვეჭვობ, ისტორიას არ ახსოვს ასეთი რამ. თვით მივარდნილ კუთხეებშიაც კი, ისეთ კუთხეებში, სადაც წინათ არამც თუ გაურბოდენ სკოლას, მტრულათაც კი უყურებდენ-დღეს სკოლა ვერ იტევს მსურველთ და ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს და ამძიმებს მასწავლებელთა მოვალეობას და ჩვენ გვჯერა, ჩვენი მასწავლებლები შესძლებენ ამ წყურვილის, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ჩვენ ვიმყოფებით და განვიცდით ისეთ ხანას, როცა ჩვეულებრივი, ნორმალური დროის შესაფერისი შრომა მეცადინეობა და მეთოდი თითქმის შეუფერებელი ხდება. ახლა საჭიროა ჩქარი და სწრაფი ნაბიჯები, რომ ვითარებათა რბენას დავეწიოთ. ჩვენ არ შეგვიძლია ჩავიკეტოთ განსაზღვრულ სფეროებში და აქ მუშაობით დავკმაყოფილდეთ. ახლა ყველაფერს უნდა წამოვკრათ ხელი, რომ ფეხზე დავაყენოთ. ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მარტო სკოლით. სკოლა-ეს მომავალი თაობაა. მაგრამ ამ თაობისთვის გზის გაკაფვა დამოკიდებულია დღევანდელ თაობაზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი რამ აკლია, ძალიან სუსტობს გაერკვიოს მის ირგვლივ დახლართულ მდგომარეობაში, ამიტომ სკოლის გარეშე განათლება საპატიო ადგილს იჭერს და ზედმეტ ყურადღებას ითხოვს.

ეს გარემოებაც უდიდეს მოვალეობას აკისრებს ჩვენს მასწავლებლებს, და ჩვენ იმედი გვაქვს ყრილობა ყველა ამ კითხვებს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. ამ იმედით და ამ რწმენით უსურვებთ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. განი (ერთობა, 10.01.1920).

გაზეთ „საქართველოდან“ კი ვგებულობთ, რომ 1919 წლის 19 იანვარს ჩატარებულა ქართველ მასწავლებელთა კრება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ორ მნიშვნელოვან საკითხზე გამახვილებულა ყურადღება: ა)

თბილისის საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის დაარსება და **საქმის წარმოების წარმართვა სახელმწიფო ენაზე.** ბ) კავშირის წესდებაში დაფიქსირება წესისა, რომ მასწავლებელთა პროფესიონალურ კავშირში **საქმის წარმოება, სჯა-ბაასი და კამათი საჯარო კრებაზე აუცილებლად სახელმწიფო ენაზე ყოფილიყო.**

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

კვირას 19 იანვარს თბილისის საშუალო სასწავლებელთა ქართველ მასწავლებელთა კრება შესდგება. თავჯდომარედ აირჩიეს ი. ს. ღუღულაძე მდივნად გ. მიქაბერიძე. საგანი კრებისა იყო: „საჭიროა თუ არა დაარსდეს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი“. მოხსენება გააკეთა ვ. ა. ბურჯანაძემ. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რომლის შედეგაც დაადგინეს: 1) დაარსდეს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი. 2) დაარსდეს თბილისის საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი სადაც საქმის წარმოება სჯაბაასი და კამათი საზოგადო კრებაზე სახელმწიფო ენაზედ იქნება. 3) შეტანილ იქნეს კავშირის წესდებაში, მასწავლებელთა პროფესიონალურ კავშირში საქმის წარმოება,სჯა-ბაასი და კამათი საზოგადო კრებაზე სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს. 4) არჩეულ იქნეს დროებითი კომისია,რომელიც კრების მიერ დავალებული იქნება შეადგინოს კავშირის წესდება, ბ) ხოლო მომავალში მოიწვიოს თბილისის საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების საზოგადო კრება. კომისიას მიეცა ორი კვირის ვადა. კომისიაში 5 კაცი შედის. 1) ლორთქიფანიძე, 2) მ. ბურჯანაძე, 3) ღულაძე, 4) ფ. მგელაძე, 5) ელ. ცქიტიშვილი (საქართველო, 22. 01.1919).

ცხადია, ამ პუბლიკაციებიდან კარგად ჩანს, რომ პრიორიტეტი უნდა გამხდარიყო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სახელმწიფო

სტრუქტურებში ქართულ ენაზე - სახელმწიფო ენაზე - საქმის წარმოებისა და კრებისა თუ დისკუსიის წარმართვის საკითხი.

საყოველთაო განათლება; განცხადებები სასწავლო კურსების შეთავაზებისა და სწავლის შეწყვეტის შესახებ

როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთებში „ერთობა“ და „საქართველო“ ვხვდებით ინფორმაციას საყოველთაო განათლების შესახებ. მსურველებს სთავაზობენ სხვადასხვა სასწავლო კურსს, მაგ., გვხვდება ინფორმაცია:

1. **მაჰმადიან მასწავლებელთათვის:** „მუსულმან მასწავლებელთა-თვის კურსების გახსნის შესახებ ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტრო მთავრობაში სათანადო მოხსნებას წარადგენს“ (საქართველო, 21.01.1919);

2. **ქართულ ენის კურსების შესახებ**: „საქართველოს სახაზინო რკინის ადმინისტრაციისა და გამგეობის საერთო სხდომაზე დაადგინეს გახსნან ქართული ენის 6 თვიანი კურსები, სადაც რაიონის გზის ქართულის არმცოდნე მოსამსახურედ მოამზადებენ“;

3. აქვეა **სწავლის შეწყვეტასთან დაკავშირებული ინფორმაცია**, მიზეზი დაავადების გავრცელებაა: სახადის გავრცელების გამო მთავრობის კომერციულ სასწავლებელში დროებით სწავლა შეაჩერეს (საქართველო, 17.01.1919);

4. **უფასო საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ:** „სახალხო განათლების სამინისტროსთან მინისტრის ამხ. თავჯდომარეობით შესდგა ერობათა წარმომადგენლების ყრილობა, უფასო საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ. ვრცელი და შინაარსიანი მოხსნება წაიკითხა დაბალ სკოლების უფროს გამგე-ჭუმბურიძემ. იყო აგრეთვე მოხსენებები სხ. და სხ. ადგილობრივ ერობათა წარმომადგ. მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ

სკოლები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან, როგორც მატერიალურობის მხრივ ისე მასწავლებელთა მომზადების მხრივ. ერობათა წარმომადგენელთ დაევალათ სასწრაფოთ წარმოადგინონ ცნობები, თუ რამდენი სკოლაა მათ რაიონში, ან რა მდგომარეობაში არიან ხსენებული სკოლები და სხ. დაადგინეს დააჩქარონ უფასო, საყოველთაო სწავლის შემოღების საქმე“ (საქართველო, 06. 06.1919);

5. მასწავლებელთა კონტიგენტისათვის: „რადგან გადაწყვეტილია საერთო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღება, ამიტომ დამფუძნებელ კრების განათლების კომისია იხილავს საკითხს სახალხო მასწავლებელთა სათანადო კონტინგენტის მოსამზადებლად საშუალებათა გამონახვისთვის“ (საქართველო, 07.10.1919);

ვფიქრობთ, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს 1919 წელს გამოცემულ გაზეთ „საქართველოს“ 22 იანვრის ნომერი. ქრონიკაში ვეცნობით სხვადასხვა ინფორმაციას, მაგ., **განათლების სამინისტროს წარმომადგენლის მივლინების შესახებ ახალციხეში**: „ამ დღეებში ქ. ახალციხეში განათლების სამინისტრომ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა გამოსარკვევად შეიძლება თუ არა ახალციხეში მიმდინარე წელს ქართული გიმნაზიის და სხვა სასწავლებლის გახსნა“; **სამკითხველოს გახსნის შესახებ თბილისში** - „პლეხანოვის სახელობითი სამკითხველო: სადგურის გადაღმა უბნის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს პლეხანოვის სამკითხველო უწოდეს“; **ქართული ოპერის შესახებ:** 24 იანვარს სახელმწიფო თეატრში ალ. წუწუნავას რეჟისორობით და ქართველ მომღერალთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ოპერა „დემონი“. ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრში დასდგამს აგრეთვე ორ ქართულ ორიგინალურ ოპერას, არაყიშვილის „თქმულებას შოთა რუსთაველზე“ და ფალიაშვილის „აბესალომ და

ეთერს“; **ინფორმაცია ვაჟთა მერვე გიმნაზიის გახსნის შესახებ,** რომლის დაფინანსების საკითხი საკამათო გამხდარა. სასწავლებელი ვაკეში გახსნილა, ქალაქის განაპირას, „სადაც წვიმიანობისას უგზოობით ტალახში იხრჩობა ადამიანი, როდესაც შუაგულ ქალაქში რამდენიმე გიმნაზია შეხვდებათ“.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

თფილისში მერვე გიმნაზიის გახსნის გამო. პარლამენტის მიერ 12 გიორგობისთვეს მიღებულ კანონის ძალით ყველა ტიპის და უწყების სასწავლებელი განათლების სამინისტროს ხელში გადავიდოდა. ეს კანონი საეკლესიო უწყების სკოლებსაც შეეხო და განათლების სამინისტროს საბუთი მისცა. თბილისის, მაგ, სასულიერო სემინარია და სასწავლებელი არამც თუ მიიღო თავის უწყებაში, არამედ მათი შეერთების შემდეგ ისინი ჩვეულებრივ რვა კლასიან გიმნაზიად გადაეკეთებინა. ამნაირად, გასულ ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში თბილისში გამოცხადდა ახალი, რიცხვით მერვე, ვაჟთა გიმნაზია, რომელიც მთავრობამ უნდა შეინახოს. როდესაც ჩვენში რომელიმე ახალი სასწავლებელი არსდება, საჭიროა ვიკითხოთ: რამდენად შეესაბამება საქართველოს კულტურულ მოთხოვნილებას და მის ფინანსურ მდგომარეობას ასეთი სასწავლებელი? ჩვენი აზრით არსებული გიმნაზიები არ შეადგენენ ჩვენი კულტურულად დაწინაურების ერთად ერთს პანაცეაზს. ვინ არ იცის, რომ ისინი წარსულშიაც ვერ აკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნილებას დაარსებით. საჭიროებას, მით უმეტეს დღეს, როდესაც საქართველო შესდგა დამოუკიდებელ ცხოვრების გზაზე და მისი ეკონომიკურად აღორძინება გარკვეულ მიზნებს გვისახავს, მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა გიმნაზიების გამრავლებაზე ვიფიქროთ. მიუხედავად იმისა, ჩვენში სოკოსავით მრავლდება გიმნაზიები, იმას კი არავინ უწევს ანგარიშს -

განსაკუთრებით დღევანდელს პირობებში. როდესაც სასწავლებლები ერთიორად გადიდებულ ხარჯთ-აღრიცხვას უდგენენ მას. ამ თვალსაზრისით ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა ზემო-დასახელებულ სასწავლებელთა გიმნაზიად გადაკეთებას. ჯერ ერთი, ამ ახალ გიმნაზიას მომავალი არ აქვს, უმეტესი ნაწილი აქ მოსწავლე შეგირდობისა. არის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და პროვინციიდან მოსული, ვინაიდან სემინარია ერთად ერთი საშუალო სასწავლებელი იყო მთელ საქართველოს ეკლესიაში და აქ არამც თუ სწავლას უფასოდ იღებდნენ, სტიპენდიებიც ჰქონდათ და საცხოვრებელი ბინაც. ეს შეგირდები დღეს თუ ისეთივე გიმნაზიელები იქნებიან, როგორც ყველგან და ყველა სხვა გიმნაზიელებივით, ვალდებული იქნებიან სწავლის ფული გადიხადონ, რად წამოვლენ ისინი პროვინციებიდან თბილისში, საკუთარ სახლში უფრო იაფად არ დაუჯდებად სწავლა-განათლების მიღება, ვიდრე ცხრა მთას გადაღმა? ვსთქვათ მაინც თბილისი ამჯობინეს, რაც უნდა იარონ მათ ქალაქის განაპირად, ვაკეში, სადაც წვიმიანობისას უგზოობით ტალახში იხრჩობა ადამიანი, როდესაც შუაგულ ქალაქში რამდენიმე გიმნაზია შეხვდებათ,- უმჯობესი არ იქნება მათთვის არ გიმნაზიებში მოთავსედეს? ამნაირად, ამ გიმნაზიის შეგირდება თავის თავად შემოეცვლება და ის ბუნებრივად მოკვდება: ესეც რომ არ იყოს, ვინ არ იცის რომ თბილისის სამი ქართული გიმნაზია ნახევრად დაცარიელებულია, რაღა საჭირო იყო მეოთხის შექმნა? ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა ახალ შექმნილ გიმნაზიაში; ამ გზით, სახელმწიფოსაც შეღავათი ექნებოდა, ვინაიდან ერთი ზედმეტი გიმნაზიის შენახვას აიცდენდა თავიდან, ბოლო იმ გიმნაზიებს, რომელშიაც ნახევრად გარუსებული ქართველობა სწავლობს, შედარებით საღი ქართული

ელემენტი შეემატებოდათ და მათი გაქართულება უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდოდა (საქართველო, 22. 01.1919).

გაზეთ „ერთობაში“ გვხვდება ასეთი რუბრიკა: **კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში.** ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ მიზნობრივმა საკითხებმა, რომლებიც კულტურულ-განმანათლებელი განყოფილების მიერაა მომზადებული: 1. სახალხო გვარდიის ყველა მუდმივ ნაწილში ელემენტარული ცოდნისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლების გახსნის საჭიროება, რის საფუძველზეც დაიგეგმა თბილისში ოთხი, ხოლო ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთისა და სხვა რაიონებში ხუთი სკოლის გახსნა; 2. თბილისსა და პროვინციებში 7 კლუბის გახსნა; 3. გვარდიელებისა და ჯარისკაცთათვის ოპერების დადგმა; 4. პოლიტიკური შინაარსის ლექციებისა და რეფერატების წაკითხვა; 5. ლიტერატურის მიწოდება ჯარისკაცებისათვის. სტატიაში წერია, რომ „კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება დაღუპულ ჯარისკაცთა და იმ გვარდიელთა ბავშვების აღზრდას მიაქცევს ყურადღებას, რომელებიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

მართალია, ამ სტატიაში არ არის უშუალოდ ნახსენები ქართული ენის სათანადოდ სწავლების საკითხი, მაგრამ საგულისხმოა, რომ ელემენტარული ცოდნისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლების გახსნის საჭიროება სწორედ ქართულ ენაზე წერისა და კითხვის უნარის გამომუშავებას გულისხმობდა. ცხადია, აღნიშნულ პერიოდში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის საკითხი კარგად მოგვარებული არ იყო.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება ხსნის სახალხო გვარდიის ყველა მუდმივ არსებულ ნაწილში ელემენტარულ ცოდნის და წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლებს. განზრახულია თფილისში 4 ასეთი სკოლა გაიხსნას. ხუთი სკოლა გაიხსნება ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთისა და სხვა რაიონებში. გარდა ამისა, ამ დღეებში მოეწყობა თფილისში განსაკუთრებული სცენა-კლუბები. ამავე დღეებში დასრულდება 7 კლუბის მოწყობა პროვინციებში. დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება დაღუპულ ჯარისკაცთა ბავშვების აღზრდას და აგრეთვე იმ გვარდიელთა ბავშვების აღზრდას, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს განყოფილება აწარმოებს ფართო სააგიტაციო მუშაობას სოფლებში. განყოფილება გზავნის ცენტრიდან სოფლებში აგიტატორების, რომელთა მოვალეობას შეადგენს არსებულ მდგომარეობის ახნა-განმარტებას. ამავე მიზნით გამოყენებული იქნება ყველა ადგილობრივათ მცხოვრები ინტელიგენტური ძალა. ამ საქმეში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ერობათა თვითმართველობანი, პარტიული ორგანიზაციები და სხ. და ბოლოს განყოფილება აწარმოებს განსაკუთრებულ სამხედრო ეპიზოდების სტატისტიკას, რის გამოც გვარდიის მუდმივ ნაწილებში დაგზავნილია ცირკულიარები წინადადებით, რომ მას შეატყობინონ გვარდიის სამხედრო მოქმედებანი, ცალკე ჯარის კაცთა თავდადებანი, გვარდიელთა გარდაცვალება და სხ. განყოფილების მიერ შედგენილი ანგარიში თფილისში მის მოღვაწეობის შესახებ. ანგარიშში აღნიშნულია სხვათა შორის გვარდიელებისა და ჯარისკაცთათვის ოპერების დადგმა, რომელსაც დაესწრება 12,000 სული. გარდა ამისა, მოწყობილი იყო 12

დრამატიული დასი, რომელმაც გამართა რიგი წარმოდგენებისა რესპუბლიკის სამხრეთ დასავლეთის რაიონებში. გარდა ამისა, მოწყობილი იყო პოლიტიკური შინაარსის ლექციები,რეფერატები და სხ. კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება იღებს ყოველგვარ ზომებს მიაწოდოს ფრონტს ლიტერატურა. ამავე დროს იღებს კინემატოგრაფიულ სურათებს ჯარის ცხოვრებიდან, სამხედრო (..) და სხ. (სდს) (ერთობა, 05.06.1920).

კიდევ ერთ სტატის გავეცნოთ. გაზეთ „ერთობის“ 1918 წლის 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ ქ. ოჩამჩირის მერის - ბ. ჟორჟოლიანის წერილში კონკრეტულად არ არის საუბარი სახელმწიფო ენის სწავლების საკითხზე, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია რამდენიმე არგუმენტმა, თუ რატომ არის საჭირო ქ. ოჩამჩირეში ვაჟთა სასწავლებლის გახსნა. ეს წერილი მნიშვნელოვანია ენობრივი თვალსაზრისითაც, მაგრამ ამ საკითხზე მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: ქ. ოჩემჩირის თვითმართველობამ 1918 წლის ოქტომბერში შუამდგომლობა აღძრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განათლების მინისტრის წინაშე, ოჩამჩირეში ვაჟთა გიმნაზიის გასახსნელად. სახალხო განათლების სამინისტროს ეს შუამდგომლობა არ ჰქონდა განსახილველად მინისტრთა საბჭოში შეტანილი, რაც აფერხებდა საჩქარო და მნიშვნელოვანი საქმეს. ახალგაზრდობას არ ჰქონდა საშუალება სოხუმსა და ქუთაისში ესწავლა, ამიტომ იძულებული ხდებოდა უარი ეთქვა განათლების მიღებაზე. სამურზაყანოსა და კოდორის ხეობაში, რეალურად, არ იყო სასწავლებელი, „აფხაზეთის ბრწყინვალე წოდება“ და ინტელიგენციის ნაწილი კი ქართული ორიენტაციის მომხრე არ იყო, რასაც, გულწრფელი მსჯელობის დროს, ასაბუთებენ რესპუბლიკის დემოკრატიული პრინციპების

შეურიგებლობით. გლეხებსაც, რა თქმა უნდა, თავისებურად აწვდიდნენ ინფორმაციას, ამიტომ, როგორც ბ. ჟორჟოლიანი აღნიშნავს, ჯობდა აფხაზი გლეხობის ნამდვილი ქომაგები გამხდარიყვნენ და ახალგაზრდობაც სწავლა-განათლების, კულტურისა და პროგრესის თანაზიარი გამხდარიყო. პუბლიკაციის მიხედვით ნათელი ხდება, რომ საკმაოდ საფუძვლიანად იყო გააზრებული განათლებისა და პროგრესის მნიშვნელობა და უპირატესობა, რაც, თავისთავად, სახელმწიფოებრივი წინსვლის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

საშუალო სასწავლებელი ოჩემჩირეში. ქ. ოჩემჩირეს თვითმართველობამ ამ ერთი თვის წინეთ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განათლების მინისტრის წინაშე, რათა ქ. ოჩამჩირეში გაეხსნათ სავაჟო გიმნაზია. შუამდგომლობა ჯერ-ჯერობით სახალხო განათლების სამინისტროს არ შეუტანია განსახილველად მინისტრთა საბჭოში, მიუხედავათ იმისა, რომ ამ კითხვად გადაჭრა ჩვენთვის მეტად საჩქარო და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ცხადია განათლების მინისტრს არ შეეძლო პირველ რიგზე ოჩემჩირის გიმნაზიის კითხვა დაეყენებია და სხვა საქმეები კი უკან რიგზე გადაედო. მე მაინც, როგორ უფრო ახლო გაცნობილი ოჩემჩირეზე და მის რაიონზე, მსურს აღვნიშნო ზოგიერთი საბუთები რაც გვაიძულებს ხელ ახლა მივაქცევინოთ ყურადღება ამ კითხვაზე. საქმე იმაშია, რომ ქ. ოჩემჩირე, წარმოადგენს ცენტრს სამურზაყანოსა და კოდორის ნაწილებისას, დაახლოებით 120,000 სული მცხოვრებლებით. ეს ამოდენა რაიონი მოკლებულია საშუალო სასწავლებელს და სოხუმში ან სხვა ქალაქებში მოწაფეების შენახვის საშუალებას დღევანდელი სიძვირის გამო, უმეტესობა რა თქმა უნდა მოკლებულია. ამიტომაც აუარებელი ახალგაზრდობა, რომელთაც სხვა

პირობებში საშუალება ეძლეოდათ სოხუმში ან ქუთაისში წასულიყვნენ, იძულებულნი არიან უარი სთქვან სწავლის გაგრძელებაზე. ოჩემჩირეში ესენი ადვილად მოახერხებდენ სწავლის გაგრძელებას ერთის მხრით ცხოვრების შედარებით სიიაფის გამო და მეორეს მხრით კი მათ შეძლებოდათ სახლიდან წამოეღოთ იქ ყოველ გვარი სურსათი. ყველას მოეხსენება, რომ აფხაზეთის ბრწყინვალე წოდება და ერთი ჯგუფი წვრილი ინტელიგენციისა სასტიკი წინააღმდეგი არიან, საქართველოს ორიენტაციისა, რასაც ასაბუთებენ გულწრფელი მსჯელობის დროს რესპუბლიკის დემოკრატიული პრინციპების შეურიგებლობით გლეხებს, რა თქმა უნდა ამავე აზრს სხვა სახით უსურათებენ და ასე ამ მხარეს, აფხაზეთს, ხან ბრწყინვალე პორტას, ხან მთიულებს და ხან ალექსეევს სთავაზობენ. გლეხობა კი ამის წინააღმდეგია, მაგრამ საუბედუროდ ისინი ჯერ ფაქტიურად ისევ ბრწყინვალე წოდების განკარგულებაში არიან და ამიტომაც საჭიროა აქ ჩარევა და ჩარევა არა მარტო ცეცხლით და მახვილით, თოფითა და ზარბაზნებით, არამედ სწავლა განათლების ლამპარით, კულტურითა და პროგრესით. საჭიროა ჩვენ გავხდეთ ნამდვილი ქომაგი აფხაზეთის გლეხებისა და მაშინ ისინიც უარს ეტყვიამ მათ ძველ „აპეკუნებს“ თავად-აზნაურთ და ჩვენ ამოგვიდგებიან გვერდში. მოგეხსენებათ, მოღალატეთა მიერ შემოყვანილ ასკერთა გავლენით აფხაზეთმა საქართველოს წინააღმდეგ აიღო იარაღი, ისინი დამარცხდნენ, მაგრამ მართალი უნდა ითქვას, აფხაზეთის ხალხს კი არ გაუგია მიზანი ჩვენი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლისა, იმიტომ რომ ჯარი, რომელსაც საუბედუროთ გვერდში ედგა 400 კაზაკები, შეესია სოფლებს და განურჩევლად სისასტიკით მოექცა დამნაშავეთ და მართალთ. გლეხებმა მართალია იგრძნეს სუსხი მთავრობისა და დაწყნარდნენ, მაგრამ საუბედუროდ ის მეთაურნი, რომელნიც აწყობდნენ აჯანყებას, დღესაც

სათავეში უდგანან გლეხობას, რატომ? -აი რატომ: ჩვენმა ჯარმა გაიარა და წავიდა. მართლია გამგეობა ისევ ძველ ადმინისტრატორთ შერჩათ ხელში, დამნაშავენი ისე ძველებურ აგიტაციას ეწევიან საქართ. წინააღმდეგ და ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ მხარეს. საჭიროა სასწავლებლის გახსნა, სადაც ახალგაზრდა აფხაზებს დაუბრკოლებლივ შეეძლებათ შესწავლა მათთვის შეღავათიან პირობებში. სასწავლებლებს რა თქმა უნდა მასწავლებლების სახით ეყოლება ინტელიგენტური ძალაც, რომელსაც შეეძლება მონაწილეობა მიიღოს საერთო კულტურულ მუშაობაში. ქალაქის გამგეობას თვით სურდა ეკისრა ამ სასწავლებლის გახსნა, მაგრამ საუბედუროთ ქალაქის მეურნეობა მუდმივ ანარქიის გამო გადაქცეული იყო ჯარის დასაბანაკენელ ბაზათ, რის გამო ბევრი არა პირდაპირი მოვალეობანი შეასრულა, რის გამოც დღეს დანგრეულ დავალიანებულია. ამიტომაც ქალაქის გამგეობა ზემო აღნიშნულ გარემოების გამო იძულებულია მიმართოს მთავრობას, განსაკუთრებით კი განათლების მინისტრს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ კითხვას, რადგანაც მთავრობას, როგორც ვიცით, გადაწყვეტილი აქვს გახსნას რაც შეიძლება მეტი სპეციალური სასწავლებლები, ამიტომ ვშიშობ არ გვითხრან: „მოითმინეთ, შევიმუშავებთ საერთო გეგმას და შემდეგ თქვენც გაგიხსნით სასწავლებლებსო“. ჩემის აზრით ეს პასუხი არ იკმარებს. შეიძლება პირველად გაიხსნას გიმნაზია და შემდეგ გადაკეთდეს სპეციალურ სასწავლებლად. მხოლოდ ამ კითხვის შემდეგისთვის გადადება კი აფხაზეთის წინაშე დანაშაული იქნება. უკიდურეს შემთხვევაში ქ. ოჩამჩირეს შეუძლია თუ მთავრობა გახსნის თავის სახელზე სასწავლებელს, თავის მხრით გასწიოს საჭირო ხარჯები სასწავლებლის იანვრამდე შენახვისთვის, რა თქმა უნდა სწავლის ფულიანათ, რომელიც

გადახდებათ მოწაფეთ, სრული იმედი მაქვს განათლების მინისტრი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ კითხვას და ერთი თვის განმავლობაში ოჩამჩირეში გვექნება სავაჟო საშუალო სასწავლებელი. ოჩამჩირის ქალაქის თავი ბ. ჟორჟოლიანი (ერთობა, 25.10. 1918).

მნიშვნელოვან პუბლიკაციად მივიჩნიეთ იპ. ვირთაგავას პუბლიკაცია გაზეთ „საქართველოს“ 1919 წლის 6 აპრილის ნომერში „სკოლის რეორგანიზაციისათვის“. ავტორი აკრიტიკებს განათლების სამინისტროს ფორმალურ, ბიუროკრატიულ გარემოს და მოუწოდებს დააჩქაროს მუშაობის ტემპი, გადადგას ორიგინალური ნაბიჯები. მისი თქმით, სხვა საჭირბოროტო პადაგოგიურ საკითხების მოგვარებასთან ერთად, ეროვნულ ქართულ სკოლას საქმისა და საგნის ცოდნით სანიმუშო გაკვეთილები უნდა ჩაეტარებინა ქართულ ენაზე. ამასთან, თუ სკოლების შემოწმებას დაიწყებდა, რევიზია „რუსულ ყაიდაზე წარმოებული, ძველებურ შეხედულებათა ზედგავლენით მოგვარებული“ არ უნდა ყოფილიყო, რადგან ახლად ჩამოყალიბებულ ეროვნულ სკოლას არ წაადგებოდა.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

სკოლის რეორგანიზაციისათვის. განათლების სამინისტრომ ცხრა თვეში ვერ გამოიჩინა მიზანშეწონილი და აწონ-დაწონილი ინტერნსიურ მუშაობის უნარი. პირობები კი მისთვის უფრო ნორმალური იყო, სანამ სხვა სამინისტროებისათვის. იმ დროს, როდესაც საქართველოს ცხოვრების ზღვა საშინელი შინაური და გარეგანი ქარიშხალის ზედგავლენით ბობოქრობდა და მრისხანედ ტალღებს ტალღებზე ისროდა, იმ დროს, როდესაც ცხოვრების ყოველ მხარეს საშიშარი მოუსვენრობა ეტყობოდა, - ამ დროს განათლების სფეროში, მის დაწესებულებებში და მსახურთა წრეში შედარებით სიწყნარე,

დარბაისლობა, მოვალეობის შეგნება ჰსუფევდა. არც გარეშე მტერს და არც შინაგან მუხანათებს მის წინააღმდეგ საგრძნობი იერიშები არ მოუტანიათ. მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, განათლების სამინისტროს მუშაობა მოდუნებულ ტემპით სწარმოებდა. არც ერთხელ არ გადაუდგამს მას ცოცხალი და ორგინალური ნაბიჯი. ძველებურ ტრაფარეტულ ცირკულიარობას ბრძანება-მოწერილობას არ გასცილებია მისი შემოქმედება. წვრილმანებში ნელდებოდა მისი ენერგია. ჩვენ არ ვაზვიადებთ. ავალაპარაკოთ უტყუარი ნამდვილი ფაქტები. აი, მაგალითად, სამინისტრომ ვერ შექმნა სწავლა აღზრდის საქმისათვის საჭირო ცენტრალური აპარატები. მართალია, მან მოაწყო საბჭო, - ეს ფაქტიური გამგე და კანონმდებელი ორგანო სკოლისა, - მაგრამ ამ საბჭოს პერსონალური შემადგენლობა, მიუხედავად, შეიძლება, მათის ძველის დამსახურებისა, ნიჭიერებისა, აქტივობისა და პოლიტიკურის მოწიწოებისა, ვერ შეძლებდა თავისუფალ ქართულ სკოლის მოწყობას, ვერ დაუხატავდა მას სასურველს და სასარგებლო პერსპექტივებს, ვერ აღმოფხვრიდა ძირიან-ფესვიანად ამ ღვარძლს, რომელიც ძველმა რეჟიმმა უხვად დათესა სკოლის ნიადაგზე. მიზეზიო, იკითხამთ. გიპასუხებთ. ჯერ ერთი, ამ საბჭოში, განყენებულად რომ შევხედოთ, არ უნდა არსებულიყო იდეათა, მსოფლ-მხედველობათა, რწმენა-იმედთა და მოლოდინ-ნატვრათა ერთგვარობა და ნათესაობა. მეორე, საბჭოს წევრნი დატვირთულნი იყვნენ სხვა სხვა მოვალეობით და საქმეებით. ზოგი მათგანი რამოდენიმე დაწესებულებაში მსახურებდა. საბჭოში სამსახური მათთვის, უმთავრესად, პრესტიჟის, ავტორიტეტის საქმე იყო. მუშაობას, შრომას, დაუღალავ კვლევა-ძიებას, შემოქმედებას, რასაკვირველია, საბჭოში ადგილი არ ექნებოდა. ეს საბჭო, სჩანს, გადაიქცა ქართულ ჩვეულებრივ მოქანცულ-ინტელიგენტთა კრებად და საფეიქროდ. იგი

ამავე დროს იყო სარეკომენდაციო ბიურო საადმინისტრაციო პირთა დასანიშნავათ. აი ამ ფუნქციას იგი პირნათლად ასრულებდა! არც ერთი საბჭოთა წევრების მეგობარ-თანამოაზრე, საყვარელი ყოფილი შეგირდი და თანამსახური, პარტიული ამხანაგი არ დარჩენილა გულნატკენი და უკმაყოფილო.

საგნიანი მუშაობის კვალიც თითქოს არ დარჩენილა სამინისტროს არქივებში. წარმოიდგინეთ, ისიც, რაც კომისარიატობის ხანაში გაკეთდა და შემუშავდა, ესეც არ ჩამოაყალიბა, საქმედ არ აქცია თავისუფალ საქართველოს სამინისტრომ. წინედ საგნობრივი კომისიების და სექციებისაგან დამუშავებულ პროგრამებიც დღემდის არ გამოქვეყნებულა. მაგრამ შეიძლება, საბჭო პრაქტიკულად მუშაობდა, ცოცხალ საქმეს ხელმძღვანელობდა, თავს დასტრიალებდა და მამობრივ მზრუნველობას უწევდა გაეროვნებულ ქართულ სკოლას, პირადის გამოცდილებით, საქმის და საგნის ცოდნით უადვილებდა მასწავლებლებს ნაციონალიზაციის განხორციელებას, სანიმუშო გაკვეთილებს აძლევდა ქართულს ენაზე, პრესის საშუალებით აშუქებდა სხვა და სხვა საჭირბოროტო პადაგოგიურ კითხებს.

სამწუხაროდ ეს ასე არ იყო. ასეთი ცოცხალ საქმისთვის ვის სცალოდა; ან და მოცლაც რომ ყოფილიყო, ვინ აკადრებდა?! უფროს-ბრძანებლებს და უფლება-მოსილ პირთ მხოლოდ ფორმალურ და ბიუროკრატიული გემოს რევიზორობა შეშვენის! ამ ფსიქიკის ზედგავლენით და არა ცოცხალ ეროვნული საქმისათვის აქა-იქ კიდევაც მოხდა რევიზია თბილისის ზოგიერთ სასწავლებელში.

ქუთაისში კი, როგორც ბევრნი ოხუნჯობით ამბობდნენ, გაემგზავრა მთელი „დამსჯელი ექსპედიცია“. რა მიზნით მოხდა ეს რევიზია, რა მიზანს მიახწია მან, ან რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდნენ მისი

მწამოებელნი, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით. მაგრამ თუ იმის მეასედიც მართალია, რაც ქუთათურ გაზეთებში დაბეჭდილია მომხდარ რევიზიის შესახებ, მაშინ შეიძლება მხოლოდ ერთი რამ უტყუარად ითქვას; ეს რევიზია იყო რუსულ ყაიდაზე წარმოებული, ძველებურ შეხედულებათა ზედგავლენით მოგვარებული. ასეთი რევიზიები, შეიძლება აპრიორულად ითქვას, ჩვენს ნორჩს ეროვნულ სკოლას სარგებლობას ვერ მოუტანს და მასში მოღვაწეებს ზნეობრივ-გონებრივ დახმარებას ვერ გაუწევს. მე მესმის, რა უნდა განეცადა ნეტარ ხსენებულ ი. ოცხელს, როდესაც მის საყვარელ სკოლას სწორედ ასეთი რევიზია გაუკეთეს ამ განახლებულ დროს. (საქართველო, 06.04.1919)

უნივერსიტეტები

ქართული უნივერსიტეტი

ბუნებრივია, ქართული უნივერსიტეტის შესახებ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება გაზეთებში და, მაგ., ერთობაში“ ვხვდებით სტატიას, რომელშიც საუბარია დამატებითი ფაკულტეტების გახსნისა და სტუდენტთა მიღების პირობების შესახებ, სწავლის საფასური სტუდენტებისა და მსმენელებისათვის ერთნაირია - 10 თუმანი.

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27 გამოცხადდა: „თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტათ“ უკვე არსებულ სიბრძნის მეტყველების (საისტორიო საფილოლოგიო) ფაკულტეტს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები. სტუდენდებათ მიღებისას: 1)ყოველგვარი ტიპის უმაღლეს

სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი, 2)ყოველგვარი ტიპის საშუალო სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური, საკომერციო, სამიწისმზომელო და სააგრონომიო, საეპარქიო და წმ. ნინოს სასწავლებელში, სამასწავლებლო და ქალთა ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სემინარიები მართლმადიდებელთა (ოთხი კლასი) და გრიგორიანთა და სამასწავლებლო სემინარიები (1918 წელზე უფრო ადრე კურსამთავრებულნი მხოლოდ სიბრძნის მეტყველების საპედაგოგიო და საფსიქოლოგიო დარგზე მიიღებიან). სტუდენტათ ჩასარიცხავათ საჭიროა: 1)თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზე (უნდა აღნიშნული იყოს ფაკულტეტი და მთხოვნელის მისამართი); 2)მოწმობა განათლების ცენზის შესახებ (დროებით შეიძლება დედნის მაგივრად პირი გამოიგზავნოს ფოსტით) და 3)მეტრიკული მოწმობა. მსმენელად ჩაწერისთვის განსაზღვრული ცენზი სავალდებულო არ არის და ასეთ პირთაგან საკმარისია მხოლოდ თხოვნისა და სწავლის ფულის შემოტანა.

სწავლის ფული ყველასთვის (სტუდენტებისა და მსმენელთათვის) სემესტრში (ე.ი. ნახევარი წლისა) ათი თუმანია, რომელიც თხოვნასთან ერთად უნდა იქნას შემოტანილი. უნივერსიტეტის კანცელარია ღიაა საღამოს 6-8 საათამდის, გარდა კვირა-უქმეებისა.თხოვნების მიღება ენკენისთვის ბოლომდის; სწავლის დაწყება 1 ოქტომბერს. ფოსტით: თფილისი, ვაკე, თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გამგეობა (ერთობა, 03.09.1918).

სახალხო უნივერსიტეტი

1920 წლის 11 ნოემბრის ნომერში ვკითხულობთ, რომ 7 ნოემბერს დაიწყო ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებამ მუშაობა. ეს ორგანიზაცია მუშათა კლასის წარმომადგენლებისთვის შეიქმნა და შემუშავდა გარკვეული სამოქმედო გეგმა. ლექციები იკითხებოდა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე, სტატიის ავტორია „ვერხვი“. ცხადია, სახელმწიფო ენის ფლობის საკითხი მყიფე იყო და მიზნობრივი ჯგუფებისათვის ირჩევდნენ „მარტივ გამოსავალს“. იხ. დედანი ტექსტი: „7 ნოემბერს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებამ დაიწყო თავისი მოქმედება. ამ დღეს მოიყარა თავი ავლაბარში არსებულმა მუშათა, კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და შარშანდელი სამოსწავლო წლის მსმენელებმა. კრება გახსნა ავლაბრის მუშათა კლუბის თავმჯდომარემ ი. ხუციშვილმა, რომელმაც მუშათა კლუბის სახელით სალამი უძღვნა მსმენელთ. სახალხო უნივერსიტეტის მთავარ გამგეობის სახელით სიტყვით მიმართა მსმენელებს ინსტრუქტორმა გრ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც მკაფიოდ გაუმარტა დამსწრეთ ევროპის მუშათა მოძრაობა სახალხო უნივერსიტეტის გარშემო. მისასალმებელი სიტყვით აღნიშნეს ეს დღე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ამხ. მ. წივწივაძემ, ნ. სხედეხიამ იოს, ბ რამაშვილმა, მეტრეველმა, ავლაბრის სცენის მოყვარეთა ჯგუფიდან ე. კულულაშვილმა და სხვ. შემუშავდა გეგმა მომავალი მუშაობისა. პირველი ლექცია დაინიშნა პარასკევს,12 ნოემბერს საღ. 5 საათზე, ლექცია წაიკითხება ქართულ და სომხურ ენებზე კვირაში თითოჯერ. თუ მსმენელთა საკმაო რიცხვი აღმოჩნდა წაკითხული იქნება რუსულ ენაზედაც“ (ერთობა, 11.11.1920).

სტუდენტთა მხარდაჭერა

ჩვენ მიმოვიხილავთ პერიოდს, როდესაც სულ ახალი დაფუძნებულია სახელმწიფო უნივერსიტეტი და სწავლის მსურველთა რიცხვი აღემატება შესაძლებლობის მქონეთა რიცხვს. 1920 წლის 11 იანვრის გაზეთ „ერთობაში“ ვკითხულობთ ინფორმაციას, რომ სტუდკავშირმა და საზოგადო მოღვაწეთა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება 26 იანვარს დაწესებულიყო „სტუდენტის დღე“ , რომლის მთავარი მოტივი იქნებოდა უღარიბესი სტუდენტების დახმარება: „სტუდენტთა კავშირის გამგეობის და საზოგადო მოღვაწეთა შეერთებული სხდომის დადგენილებით 26 იანვარს მოწყობილი იქნება „სტუდენტის დღე“. ამ დღეს დღესასწაულობს მთელი საქართველო ყველა დაბა ქალაქებში გაიმართება სადღესასწაულო საღამოები უღარიბეს სტუდენტთა სასარგებლოდ. თფილისში კი, ყველა უბნის თეატრკინემატოგრაფებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები. არტისტიულ საზოგადოების ყველა დარბაზებში გაიმართება სტუდენტთა დიდი ტრადიციული ეროვნული საღამო ქ-ნ მ. რამიშვილის და ო. სვანიშვილის მხურვალე მონაწილეობით. საგანგებო კომისია სთხოვს უნივერსიტეტის მეგობართ და საზოგადოებას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ დღის ღირსეულად ჩატარებაში“. აქვეა განთავსებული სარეკლამო განცხადებაც: „სტუდენტთა კავშირის გამგეობის და საზოგადო მოღვაწეთა შეერთებული სხდომის დადგენილებით 26 იანვარს მოწყობილი იქნება „სტუდენტის დღე“. ამ დღეს დღესასწაულობს მთელი საქართველო. ყველა დაბა ქალაქებში გაიმართება სადღესასწაულო საღამოები უღარიბეს სტუდენტთა სასარგებლოდ“ (ერთობა, 11.01.1920).

„ბალშევიკები“ და „მატყუარების შკოლა“

გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებული სტატია „მატყუარების შკოლიდან“ მნიშვნელოვანია როგორც შინაარსობრივი, ისე ენობრივი თვალსაზრისით. მასში საუბარია ბოლშევიკების მიერ რუსეთის ფულით დაარსებულ „სიცრუის სკოლებზე“, რომელთათვისაც ჭორი, სიცრუე, ხალხის მოტყუება იყო პრიორიტეტი. მაგ.: მეტეხის ციხიდან მოუწერიათ, რომ მთავრობამ გემი შეიძინა ამერიკაში გასაქცევად და ციხეში განათლების მინისტრი რამიშვილი შერიგების სათხოვნელად „ძალიან ნასწავლ“ ფილიპე მახარაძესა და სერიოჟა ქავთარაძესთან მისულა. წერილი ციხეში მყოფი ბოლშევიკების მუქარასაც შეიცავს და ნათქვამია, რომ მათი ხელწერა ასეთია: „ბალშევიკები თავიდანვე მუშაობას იწყებდნენ ხოლმე ნათესავებიდან. პირველად აბალშევიკებდნენ დედ-მამას, შემდეგ-დებს, ძმებს, ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, მეგვარეებს და სხ. თითოეულ მათგანს ჰყავდა მოყვარე-ნათესავი და ასე მიდიოდა საქმე. მეტეხის ციხიდანაც ამავე გზას ადგიან“... როგორც ავტორი წერს, „საბრალო“ გიორგი ბურდიაშვილი სწორედ ასეთ სკოლაში მოხვდა და მიიღო ყველა უარყოფითი თვისება, რაც კი ზოგადად „ბალშევიკებს“ აქვთ, „ამიტომაც სხედან ისინი ციხეში და დარჩებიან მანამდე, ვიდრე თავს არ დაანებებენ მატყუარობას, თაღლითობას და არ აღიარებენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას“...

იხ. დედანი ტექსტის ციფრული ვერსია:

ბალშევიკების შემოსვლამდე გიორგი ბურდიაშვილი ალბათ ერთი უენო სოფლელი იყო. ბალშევიკებმა საბჭოთა რუსეთის ფულებით შემოსვლისთანავე სიცრუის სკოლები **დაარსეს**. ერთს ასეთ სკოლაში მოხვდა საბრალო გიორგი ბურდიაშვილიც. აქ მას ასწავლიდნენ, რომ

საქართველოს მთავრობა ქართველ ხალხს ღალატობს,ის თავად-აზნაურობის ინტერესებს იცავს, თავად-აზნაურობამ დაიქირავა გვარდია, უნდათ ბატონ-ყმობა შემოიღონო და სხ. იმდენათ დამარწმუნებელი დარჩა ბურდიაშვილისთვის ეს ქადაგება,რომ მათ იარაღს სტაცეს ხელი და გამოვიდენ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ჩამოსაგდებათ: რა სიცოცხლე და რა სიკვდილი, თუ ასეთი მთავრობა გვეყოლებაო!.. ვიცით,როგორც გათავდა დუშეთის აჯანყება. ზის ახლა ბალშევიკების სიცრუის სკოლაში აღზრდილი გიორგი მეტეხის ციხეში და განაგრძობს „მეცადინეობას“ ისეთი გამოცდილი მატყუარა მასწავლებლების ხელმძღვანელობით,როგორიც ბრძანდებიან ფილიპე მახარაძე და სერიოჟა ქავთარაძე. თუ რა შეუსწავლია მას მეტეხში, ამას მისი წერილიდან დავინახავთ. ის სწერს სიკოს და სწუხს,რომ გაგზავნილი წერილები ვერ მივიდოდა დანიშნულებისამებრ, ვინაიდან „სათავეში ძაღლები არიან“. სთხოვს ამასთანავე წაუკითხოს დედას ეს წერილი თავიდან ბოლომდე. სხვათა შორის,გიორგი სწერს სიკოს იმ შიმშილობის შესახებ,რომელიც ბალშევიკებმა მეტეხში გამოაცხადეს-მოაგონებს,რომ გაზეთებში ამის შესახებ იყო წერილები, და, ალბათ, წაკითხული გექნებაო. უფრო საინტერესო წერილის შემდეგი ადგილია: „ჩვენ ვართ მეტეხში 300 პოლიტ. ტუსაღი-სწერს გიორგი. ეხლა როგორ უნდათ ამ მენჩივიკებს საბჭოთა რუსეთი რომ მოდის აქეთ. ამათ რის იმედი აქვთ.მგონია ბოღჩები სულ დედაკაცურად აქვთ შეკრული გასაქცევად. ამერიკაში იყვენ გემის საყიდლათ. გემიც გაიმზადეს. ეხლა გზას ათვალიერებენ გასაქცევათ ჩვენი ხულიგანი მთავრობა. გაზეთში სწერენ ისინი,რომ ყაჩაღები ყავთ დაჭერილიო. ერთხელ აქ მოვიდა რამიშვილი მინისტრი. იმან დაიბარა ჩვენი მოთავეები. უნდოდა მოელაპარაკათ რამე შერიგების, მაგრამ აქ არის ერთი დაჭერილი ჩრდილოეთის მხრისა შარშან რომ დუშეთსი იყვნენ

ბალშევიკები იქ დაჭერილი ძალიან ნასწავლი არის სერიოჟა ქავთარაძეა გვარათ და იმან უთხრა ვაენი მინისტრს მე რა მოგირიგდე დაჭერილი ვარ წადი და მორიგდი გარეთა თქვენ გაფუჭებულ საქმეს მე ვერ გავაკეთებო. აი რა უსწავლებიათ გიორგი ბურდიაშვილისათვის მეტეხში „ძალიან ნასწავლ“ ბალშევიკებს!.. ბევრის მხრით არის საყურადღებო ეს წერილი. უმთავრესად ის ახასიათებს ბალშევიკების მოღვაწეობას ჩვენში ჭორები, სიცრუე, ხალხის მოტყუილება, ყოველი ფეხის გადადგმაზე. აი რა არის ბალშევიკური მოღვაწეობის ნიმუშები!.. მეტეხის ციხიდან სწერენ გარეთ მყოფთ, რომ მთავრობამ გემი შეიძინა ამერიკაში და გასაქცევად მზად არისო, მეტეხში მინისტრი რამიშვილი იყო და შერიგება ითხოვა, მაგრამ „ძალიანი ნასწავლი“ სერიოჟა ქავთარაძე არ დაეთანხმაო.არაფერი ამისი მსგავსი, რა თქმა უნდა არ ყოფილა. არავინ ბალშევიკებთან არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს. გიორგი სწერს აგრეთვე სიკოს ეს წერილი დედას წაუკითხე „თავიდან ბოლომდეო“. ჩვენში ბალშევიკები თავიდანვე მუშაობას იწყებდნენ ხოლმე ნათესავებიდან. პირველად აბალშევიკებდნენ დედ-მამას,შემდეგ-დებს, ძმებს, ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, მეგვარეებს და სხ. თითოეულ მათგანს ჰყავდა მოყვარე-ნათესავი და ასე მიდიოდა საქმე. მეტეხის ციხიდანაც ამავე გზას ადგიან... ერთ მშვენიერ დღეს გიორგის წერილი მიუვა დედას,სადღაც მიყრუებულ დუშეთის მაზრაში, წაიკითხავს ან წააკითხებს ვისმეს და ჭორიც დაგორდება სოფელ სოფელ... სხვათა შორის, წერილი ასეთ მუქარას შეიცავს... „მაგრამ ღმერთი მოწყალეა. პატივისცემას სარგებლით მიიღებენ, რაც გავალებული ექნებათ“. შემცდარი ვიქნებით, თუ გავიფიქრებთ, თითქოს მარტო გიორგი ბურდიაშვილი იმუქრებოდეს ეგრე. ეს საერთოდ ციხეში გამომწყვდეულ ბალშევიკების მუქარაა. ამიტომაც სხედან ისინი ციხეში და დარჩებიან მანამდე, ვიდრე თავს არ დაანებებენ მატყუარობას, თაღლითობას და არ

აღიარებენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას... (ერთობა, 06.01.1920).

პუბლიკაციების ენა

ცხადია, საგაზეთო სტატიები პუბლიცისტური სტილით იწერება. ლათინური ტერმინი „publicus“ საზოგადოებრივს ნიშნავს და, შესაბამისად, გულისხმობს მოცემული დროის შესაბამის, აქტუალურ საკითხებზე დაწერილ საზოგადოებრივ -პოლიტიკური ხასიათის ტექსტებს. საკვლევი პერიოდის პუბლიკაციები საინტერესო მასალას გვაწვდის, მას ყველა მახასიათებელი აქვს, რაც კი ზოგადად შეიძლება ჰქონდეს აღნიშნული სტილის ტექსტს: ემოციურობა, ექსპრესიულობა, ლოგიკურობა, ოფიციალურობა, საჯაროობა და, ნაწილობრივ, სტანდარტულობა.

რთულია საუბარი ორთოგრაფიული წესების დაცვის ერთიან სტანდარტზე, რადგან ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ყალიბდება ენობრივი, ტერმინოლოგიური და სხვ. კომისიები. მიუხედავად ამისა, ქართული პრესის როლი გამორჩეულია - ასი წლის წინანდელ გაზეთებში დაცული მასალები საყურადღებო და ღირებულია არა მარტო ტექსტობრივი, არამედ ენობრივი თვალსაზრისით. მაგ., თუნდაც ეს ფრაზა როგორი საინტერესოა: „საქართველოს ცხოვრების ზღვა საშინელი შინაური და გარეგანი ქარიშხალის **ზედგანლენით** ბობოქრობდა და მრისხანედ ტალღებს ტალღებზე ისროდა, იმ დროს, როდესაც ცხოვრების ყოველ მხარეს **საშიშარი** მოუსვენრობა ეტყობოდა, ამ დროს განათლების სფეროში, მის დაწესებულებებში და მსახურთა წრეში შედარებით სიწყნარე, დარბაისლობა, მოვალეობის შეგნება **ჰსუფევდა**“ (საქართველო, 06.04.1919);

არცთუ იშვიათია:

კომპოზიტთა არაერთგვაროვანი დაწერილობა: მიზან შეწონილი; ამ ჟამად; პირის პირ; ერთ-დროულად; ერთად ერთი; სიტყვა-კაზმული; ბორკილ აყრილი; ყოველ გვარი; ქალაქის თვით მართველობა; ამ ჟამად; აღვირ ახსნილი; „ამიერ კავკასიის ფოსტა“ ას-წლოვანი, საზღვარ გარედ; ერთ კვირეული...

რიცხვით სახელთა დაწერილობის განსხვავებული ვერსიები, მაგ.: მე-18-ტე; ორჯელ, სამჯელ, ერთი-ნახევარი მილიონი; ოცდა ათიდანაც; სამას ოთხმოც-და-ორი; ოც-და-ათი, მე-7დე, მე-6-ეს...

არსებით და ზედსართავ სახელთა არანორმატიული მაგალითები: არხივში, პრინციპიალური, მათემათიკაში, ავათმყოფი, საშვალო, რიფმი, სიმვოლისტური, ფსიხოლოგიური; ტეხნიკური, მზგავსი, ბალშევიკები, რევოლუციანური, ზედმისაწვდომ(ი), ებრაელური, მღდელი, ცხოვანი, სამღვთო, საღრთო...

ვითარებითი ბრუნვის ფორმების ნაირგვარობა - გვხვდება როგორც არსებითათ, ხშირათ, შეურჩევლათ, შესასვლელათ, საფუძველათ, სისტემათ, ცხადსაყოფათ, ნისიათ, აბუჩათ, საშინლათ, ფულიანათ, პატეტიურათ, ფაქტობრივათ ისე თავისუფლად, ფაქტობრივად და სხვ. ლექსიკური ერთეულები.

გეოგრაფიული სახელები: პარალელურად გვხვდება როგორც ადერბაიჯანი, ისე აზერბაიჯანი; თფილისი - თბილისი; ოჩემჩირე - ოჩამჩირე. გვხვდება ასევე ზოგიერთი ქალაქისა და ქვეყნის შემდეგი ვერსიები: ისრაილი, ოქფორდი, ქუთაიში, ბათომი...

ზმნური ფორმები, რომელთა პირის ნიშნები ხან არქაული ვერსიითაა წარმოდგენილი, ხანაც თანამედროვე: ქონდესო, უარჰყოფს, ვსთქვით, შესწყვიტონ, გასჭირდა, სწარმოებდა, დასტოვა, ჰყლაპავდეს, დაგიდევსთ, უარჰყოფს, ყავთ, დავსტოვო, შექონდა...

დიალექტური ფორმები: „ჩვენ თვალწინ მომხთარი ამბავი“, „ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას მიულოცოს და მოუწონოს ის საშვალება, რასაც ამ შემთხვევაში მან მიჰმართა“, „არსებობს... ადამიანის სინაბარად“, ჩაადენია, წამოეყენებია, წეეტანება...

კითხვითი ნაცვალსახელი „რომელი“ გვხვდება შემდეგი ვერსიით: „რომელმამე“; ხოლო პირის ნაცვალსახელი ისინი(ვე) - იგინივე ფორმით.

კიდევ სხვა არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლება საკვლევი მასალიდან, ფაქტია, რომ გამოიყოფა როგორც სახელური, ისე ზმნური არქაიზმები; გვხვდება როგორც დიალექტური, ისე გარკვეულწილად ნორმირებული ფორმები, ამდენად, ჩვენ მიერ გასაანალიზებლად შერჩეულ პერიოდულ გამოცემათა ენა არაერთგვაროვანია, ერთსა და იმავე ტექსტში შეიძლება შეგხვდეს პარალელური წარმოება და ამ პერიოდისთვის ენობრივი ნორმის ფიქსირებაზე ჯეროვნად ვერ ვისაუბრებთ.

შეჯამება

გაზეთებიდან „ერთობა“ და „საქართველო“ იკვეთება, რომ 1918 -1921 წლების საქართველოში, მიუხედავად ობიექტური სირთულეებისა, შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ქვეყნის მასშტაბით ენობრივი პოლიტიკის გატარებას. პუბლიკაციებიდანაც კარგად ჩანს, რომ ენობრივი პოლიტიკა ოფიციალური ქმედებაა, რომელიც სახელმწიფო ენის, უმცირესობათა და უცხო ენის ფუნქციონირების საკითხებს ეხება. იგი უშუალოდაა დაკავშირებული განათლების სისტემის სათანადო

ფუნქციონირებასთან და მასზე სოციალურ თუ პოლიტიკურ კონტექსტს დიდი ზეგავლენა აქვს. სახელმწიფო ენის სტატუსის ქონა ერთგვარი გარანტიაა იდენტობის გამოსაკვეთად, შესაბამისად, საჭიროა ენის განვითარების ტენდენციების გონივრული წარმართვა და მისი დახვეწისთვის ზრუნვა, ამ საკითხებზე სხვადასხვა პუბლიკაციის ავტორი ცდილობს კიდეც ყურადღების გამახვილებას.

ცხადია, საარქივო მასალებიდან ცნობილია და საკვლევი პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციების მიხედვითაც იკვეთება საკითხები, რომელთა შესწავლა და მოწესრიგება პრიორიტეტად უნდა ქცეულიყო სახელმწიფო დონეზე: ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად სალიტერატურო ქართულისათვის პროექტის შემუშავება; სასწავლო კომიტეტების ჩამოყალიბება; ქართული ენის სწავლების მოსამზადებელი კურსების შექმნა; ლექსიკონების გამოცემა; ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნისა და გამოცემის ხელშეწყობა; ენობრივად გამართული სახელმძღვანელოების შექმნასა და ქართული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე ზრუნვა. რეალურად, ის საკითხებია, რომლებმაც ასი წლის წინანდელ პრესაში ჩვენი ყურადღება მიიქცია და დღესაც აქტუალურია. შესაბამისად, სახელმწიფო ენის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობა.

****

დანართის სახით იხილეთ თემატურად შერჩეული, ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებული გაციფრებული პუბლიკაციები პერიოდული გამოცემებიდან: „საქართველო“ და „ერთობა“.

დანართი II

II.I გაზეთი „საქართველო“

01.01.1919

N1

ქრონიკა (გვ. 2)

სახალხო მასწავლებელთა ყრილობა. 5 იანვრისათვის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დელეგატთა ყრილობას იწვევს.

გამოვიდა და იყიდება ინჟ. კაკაბაძის წიგნი მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში. (გვ. 4)

05.01.1919

N4

ქრონიკა (გვ.3)

სალიტერატურო დილა. დღეს „განათლების“ საზოგადოების სამხატვრო-სახელოსნო სკოლაში - ხარფუხი სკოლის მოწაფეთა მიერ სალიტერატურო დილა გაიმართება. სკოლის დარბაზში გამოფენილი იქნება მოწაფეთა ნახელოვნები: ნაქსოვი, ნაქარგი და სხვა. შემოსავალი გადაიდება მეომართა სასარგებლოდ.

განცხადება. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ქალთა ინტერპარტიული ბიუროს დროებითი გამგეობა თხოვს ყველას ვისაც დაევალა აჭარელ ბავშვებთან მეცადინეობა მობრძანდნენ „ძმურ ნუგეშაში“ დირექტივების მისაღებად.

წერილი რედაქციის მიმართ (გვ.4)

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ამ წერილს: დაბეჯითებით ვთხოვ ქ.

შ. წ. -კ. გ. საზოგადოების ვერის წიგნისაცავ სამკითხველოს იმ თვიურ მკითხველთ, რომელთაც დიდი ხანია წაღებული აქვთ წიგნები, დააბრუნონ რაც შეიძლება მოკლე ხანში, ვინაიდან სამკითხველო დიდ უწიგნობას განიცდის ამ ჟამად. ვთხოვ აგრეთვე პატივცემულ საზოგადოებას, თუკი ვინმეს მოეპოვება და გაემეტება შემოწიროს ხსენებულ სამკითხველოს ქართველ და უცხოეულ მწერლების ნაწერები. ვსთხოვ თბილისის ყველა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ვერის სამკითხველოს გამგე.

07.01.1919

N5

რედაქცია (გვ.1)

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნულიყო იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს.

მთავრობის ცნობები (გვ.2)

დაევალოს განათლების მინისტრს მთავრობას წარუდგინოს ცნობები შესახებ იმ თანხისა, რომელიც საჭიროა უმაღლეს, დაწყებითი და საშუალო სასწავლებლებში მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და ამ ცნობების მიხედვით განხილულ იქნეს კანონ პროექტი.

14.01.1919

N9

ქრონიკა(გვ.2)

ახალი გაზეთი. გამოვიდა ახალი გაზეთი „ტიფლისკაია გაზეტა“ რედაქტორებს, გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ ყოფილი რედაქტორი ხაჩატუროვი.

სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა გუშინ დაიწყო.

ბათომი (გვ.2)

ჩამოვიდა პარიზში კონფერენციაზე მიმავალი ჩვენი დელეგაცია. ჩამოვიდა აგრეთვე რამოდენიმე ჩვენი ინტელიგენტი და მუსულმანთა განმანთავისუფლებელ კომიტეტის წევრები. მათი ჩამოსვლით აქაური საზოგადოებრივი ცხოვრება ცოტა გამოცოცხლდა. ქართველობა ნაკლებ მოდის, გიმნაზიების და საზოგადოდ სასწავლებლების უქონლობა ხელს უშლის მათ დაბრუნებას.

იმავე მიზეზით ზოგი ჩამოსული უკან ბრუნდება. ეროვნული საბჭო ეხლავე შეუდგა ამ საკითხის მოგვარებას. საჭიროა განათლების სამინისტრომ სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს. თავი მოიყარა მრავალმა რუსეთიდგან ჩამოსულმა ტყვედ ნამყოფმა და ლტოლვილმა სომხებმა. ინგლისელები დახმარებას უწევენ მათ; აძლევენ სამუშაოს ბინას, საკვებს და ხუთ მანეთ ხელფასს. საოლქო საბჭოს მიერ შექმნილი მილიცია ძალიან სუსტობს. ინგლისელები უკმაყოფილონი არიან. თუ ამ მოკლე ხანში მილიცია არ გამოკეთდა, თვითონ აპირებენ მის გაწრთვნას და თავიანთ მილიციაში არევას.

მცხეთის ეპარქ. მეორე ოლქ. სამღვდ. კრება (გვ.4)

ქრისტეშობისთვის 20-ს ქ. დუშეთში მოხდა მეორე ოლქის სამღვდელოების კრება, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, კრებამ ხელახალ საბჭოს წევრები აირჩია. კრებაზე მნიშვნელოვანი საკითხები გაირჩა.

პირველ რიგში წამოყენებული იყო საკითხი საქართველოს პარლამენტში საღვთო რჯულის სკოლებიდან განდევნაზე. საკითხმა თითქმის თანასწორი მღელვარება გამოიწვია. დადგენილ იქნა: კრებამ მსჯელობა იქონია რა საქართველოს პარლამენტში საღვთო რჯულის განდევნაზე სკოლებიდან უკმაყოფილება გამოაცხადა.

15.01.1919

N10

ქრონიკა (გვ.2)

ქალაქის სამკითხველო. ქალაქის თვითმართველობის დადგენილებით კვირა უქმე დღეებში სამკითხველოდან აბონიმენტებით საკითხავ წიგნების წაღება არ შეიძლება. სამკითხველო ღია იქნება მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების საკითხავად.

ახალი გაზეთი. გუშინ თბილისში გამოვიდა რაჭა-ლეჩხუმ სვანეთის თბილისის კომიტეტის ორგანო. „რაჭა-ლეჩხუმ სვანეთის ხმა“.

გუშინ თბილისში გამოვიდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელის კომიტეტის ორგანო. “სამუსლიმანო საქართველო“, გაზეთი გამოდის ბათუმში. გაზეთი ნახევარი ქართულია და ნახევარიც თათრული.

ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო „მასალები რკინის გზათა უწყების ტერმინოლოგიისთვის. რკინის გზათა მოსახლეთათვის სახელმძღვანელოდ“, წიგნი შედგენილია გზათა სამინისტროს სატერმინოლოგიო კომისიის მიერ. დაბეჭდილია სამეფო ქაღალდზე, შეიცავს 44 გვერდს და ღირს სამი მანეთი.

მხატვრული ქრონიკა(გვ.2)

„ცისფერი ყანწები“ მოკლე ხანში პაოლო იაშვილის რედაქტორობით გამოვიდა „ცისფერი ყანწები“ დიდ ტომად.

16.01.1919

N11

მხატვრული ქრონიკა (გვ.2)

„ჟურნალი ფენიქსი“ გამოვიდა და იყიდება მხატვრული ჟურნალი „ფენიქსი“, რომელსაც სცემენ რუსის პოეტები თბილისში. ჟურნალში დაბეჭდილია წერილები: ა. კრუჩიონისის, ილია ზანევიჩის, იური დენეგის და სხვათა. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე რეპროდუქციები. მხატვრის ლადო გუდიაშვილის სურათები „ედემის ბაღი“, „ცხენები“ და ქართული პოეტები: გრიგოლ რობაქიძე, ლელი ჯაფარიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე.

პოეტების ცეხი “კოლჩუმა“

ცეხში მოხსენება წაიკითხა პეტროგრადში პოეტმა სერგი რაფალოვიჩმა “ბოლშევიზმი და ფუტურიზმმი“. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კრუჩიონინმა, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ბ.ლომინაძემ, ილია ზდანოვიჩის მოხსენებას ბევრი დაესწრო.

„კურანტები“. მოკლე ხანში თბილისში გამოვა სრული ჟურნალი „კურანტები“ რომელშიც მონაწილეობენ: ა.კრუჩინისი, ტიციან ტაბიძე, იური დეგენი, ი.ერენბურგი, ტატიანა ვეჩაკა, ი. ტერენტიევი და სხვა.

17.01.1919

N12

ქრონიკა (გვ.2)

სწავლის შეწყვეტა. სახადის გავრცელების გამო მთავრობის კომერციულ სასწავლებელში დროებით სწავლა შეაჩერეს.

ქართულ ენის კურსები. საქართველოს სახაზინო რკინის ადმინისტრაციისა და გამგეობის საერთო სხდომაზე დაადგინეს გახსნან ქართული ენის 6 თვიანი კურსები, სადაც რაიონის გზის ქართულის არმცოდნე მოსამსახურედ მოამზადებენ.

18.01.1919

N13

საპარლამენტო ქრონიკა (გვ.2)

საფინანსო კომისია

1. შემოვიდა კანონპროექტი განათლების მინისტრისა, საშუალო სასწავლებლისათვის ავანსის გადიდებისთვის.

ქრონიკა (გვ.2)

ფრანგთა ტეხნიკურ და კომერციულ სკოლის ყოფილ მოსწავლეთა საზოგადოება. თბილისში დაარსდა ფრანგთა ტეხნიკურ და კომერციულ სკოლის ყოფილ მოსწავლეთა საზოგადოება, რომლის მიზანია საფრთხისა და კავკასიის შორის ეკონომიკური და ტეხნიკური კავშირი დაარსოს და განამტკიცოს.

19. 01.1919

N14

ქრონიკა(გვ.2)

ახალი წიგნი. გამოვიდა გასაყიდად „ალი“ ნ. ლომაურისა ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამოცემა წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი. ფასი 2 მ. 50ლ.

ახალი გაზეთი. ორშაბათს გამოვა პირველი ნომერი სოც. ფედერ. მემარცხენე ჯგუფის მთავარ კომიტეტის ორგანო „ ახალი ნაკადი“.

პროვინციის ცხოვრება (გვ.2)

თელავი

თელავის ვაჟთა გიმნაზიის უფროს კლასების მოწაფენი, სცემენ ყოველკვირეულ სამხატვრო სალიტერატურო გაზეთს „ახალგაზრდა ქართველები“.

პირველი ნომერი 20 იანვარს გამოვა.

-თელავის ვაჟთა გიმნაზია სასულიერო სასწავლებლის შენობაში გადავიდა.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა (გვ.4)

ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნის გამო.

ამ დღეებში გამოვიდა ინჟ. ვ.კაკაბაძის წიგნი „მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“, ამჟამად გამომცემლისთვის ისეთი ცუდი პირობებია შექმნილი, რომ წიგნის ფასი 8 მანეთი, ბევრად არ უნდა ჩაითვალოს მითუმეტეს, როდესაც ის ეხება ასეთ საინტერესო საკითხებს და ამასთანავე შინაარსითაც მეტად მდიდარია. ამის დასამტკიცებლად საკმარისია ჩამოვთვალოთ ის საკითხები,რომელნიც აქ არის განხილული, სახელდობრ:

1. კონომიურ ცხოვრების განმტკიცების საჭიროება, 2.ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი. 3. ქიმიურ მრეწველობის განვითარების მნიშვნელობა. 4. ბავრუკის, განუფერადებელი კირის, ქლორიანი თუთიას, მარილის სიმჟავეს, ბერტოლეს და გლაუბერის მარილის წარმოებანი. 5. გოგირდის და აზოტის სიმჟავის, გოგირდის, ალუმინის და მისი სხვა ლითონებთან შენადნობის, ფერრუმანგანის და სხვათა წარმოებანი; იაფი ელექტრონული ენერგიის მნიშვნელობა. 6 ხელოვნურ სასუქ

ნივთიერებათა წარმოება. ნიადაგის გაპოხიერების საკითხი სხვადასხვა ქვეყნებში. 7 საღებავების წარმოება; მნათებარე გაზის მნიშვნელობა; ქვანახშირის ფისის დამუშავება. 8 ქიმიურ ფარმაციული წამოება, სამკურნალო მცენარეების კულტურა, ხელოვნური პრეპარატების დამზადება. 9 ამაფეთქებელ ნივთიერებათა წარმოება; თოფის წამალი,ნიტრო-გლიცერინი, დინამიტი, ბრგვინავი სინდიყი, პიროქსელინი, პიკრინის სიმჟავე, მელინიტი, ლიდდიტი, ეკრაზიტი, სამნიტრობენზოლი და სხვა. 10 ქაღალდის ძმრის სიმჟავის, მისი მარილების, ბელეკონის ზეთის, გვაიაკოლის, კრეოზოტის, კანიფოლის და სხვა წარმოებანი; ხელოვნური აბრეშუმი და სახურავი მუყაოს ფაბრიკაცია; ტყის მნიშვნელობა და მისი დაცვა. 11 რძის და ღვინის წარმოება; საჭირო ღონისძიებანი ამ დარგში. 12 ზეთის, საპნის, სანთლის, გლიცერინის და შაქრის წარმოებანი; დარჩენილი და პროდუქტების უტილიზაცია. 13 შუშეულობის, ცემენტის, კერამიკული და ჭურჭეულობის წარმოებანი; ცეცხლშეუპოვარი მასალების შესახებ. 14 ნავთის წარმოება და მისი მრავალგვარ პროდუქტების მიღება; ამ წარმოების განვითარების მნიშვნელობა. 15 ტყავეულობის წარმოება;ტყავის მოქნის თეორია. 16 ჩვენი უახლოესი მიზნები; მრეწველობის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებანი; ომის დადებითი მხარეები და სამრეწველო ამხანაგობების მნიშვნელობა ქვეყნის დაწინაურების საქმეში და სხვა.

ამ წიგნში მოყვანილია ბევრი სტატისტიკური ცნობები გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებანი და განხილულია სპეციალური სწავლა განათლების მნიშვნელობა. საზოგადოდ საჭიროა ამ წიგნს გაეცნოს ყველა,ვინც დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის დაწინაურებით. უეჭველია, ყველა, ვინც გულდასმით გადაიკითხავს კმაყოფილი დარჩება.

21.01.1919

N15

ქრონიკა (გვ.2)

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის შუამდგომლობა. ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგეობამ განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა. აღმოუჩინოს საშუალება გ. ზდანოვიჩის მამულის შესასყიდად.

გამოცდები. 1) აფთიაქის მოწაფის ხარისხის მისაღებად გამოცდები მოხდება თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში. 2)უმაღლეს დაწყებითი და დაბალი სკოლების მასწავლებლის ხარისხის მისაღებად - თბილისის საოსტატო სემინარიაში. 3) ახალი ენების მასწავლებლის ხარისხის მისაღებად სამინისტროსთან დაარსებულ კომისიაში.

საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები. საოსტატო ინსტიტუტი და სემინარიები, სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, საშუალო სასწავლებელთა მთავარ გამგის გამგებლობაში რჩება.

გამოგონება. (გვ.3) უბრალო მუშა ა. ბოროვკომ გამოიგონა საუთავო მანქანა,რომელიც სარეცხს სწურავს, უთოებს, კეცავს და ყუთში აწყობს.

მაჰმადიან მასწავლებელთათვის. მუსულმან მასწავლებელთათვის კურსების გახსნის შესახებ ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტრო მთავრობაში სათანადო მოხსნებას წარადგენს.

დეპეშები ქართულ ენაზე. საქართველოს სახაზინო რკინის გზის ტელეგრაფის უფროსმა განკარგულება მოახდინა დროებით ქართულ ენაზე დეპეშების გზავნა შესწყვიტონ, მიზეზი ამისათვის საჭირო მანქანების უქონლობაა.

22.01.1919

N16

ქრონიკა (გვ.2)

პლეხანოვის სახელობითი სამკითხველო. სადგურის გადაღმა უბნის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს პლეხანოვის სამკითხველო უწოდეს.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ახალციხეში. ამ დღეებში ქ. ახალციხეში განათლების სამინისტრომ თავისი წარმომადგენელი გაგზავნა გამოსარკვევად შეიძლება თუ არა ახალციხეში მიმდინარე წელს ქართული გიმნაზიის და სხვა სასწავლებლის გახსნა.

მხატვრული ქრონიკა (გვ.2)

ქართული ოპერა. 24 იანვარს სახელმწიფო თეატრში ალ. წუწუნავას რეჟისორობით და ქართველ მომღერალთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე ოპერა „დემონი“. ახლო მომავალში სახელმწიფო თეატრში დასდგამს აგრეთვე ორ ქართულ ორიგინალურ ოპერას, არაყიშვილის „თქმულებას შოთა რუსთაველზე“ და ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს“.

თბ. საშუალო სკოლების ქართ. მასწავლ. კრება (გვ.2)

კვირას 19 იანვარს თბილისის საშუალო სასწავლებელთა ქართველ მასწავლებელთა კრება შესდგება. თავჯდომარედ აირჩიეს ი. ს. ღუღულაძე მდივნად გ. მიქაბერიძე. საგანი კრებისა იყო: „საჭიროა თუ არა დაარსდეს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი“. მოხსენება გააკეთა ვ .ა ბურჯანაძემ. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. რომლის შედეგად დაადგინეს: 1) დაარსდეს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი. 2) დაარსდეს თბილისის საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი სადაც საქმის წარმოება სჯაბაასი და კამათი საზოგადო კრებაზე სახელმწიფო ენაზედ იქნება. 3) შეტანილ იქნეს

კავშირის წესდებაში, მასწავლებელთა პროფესიონალურ კავშირში საქმის წარმოება, სჯა-ბაასი და კამათი საზოგადო კრებაზე სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს. 4) არჩეულ იქნეს დროებითი კომისია, რომელიც კრების მიერ დავალებული იქნება შეადგინოს კავშირის წესდება, ბ) ხოლო მომავალში მოიწვიოს თბილისის საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების საზოგადო კრება. კომისიას მიეცა ორი კვირის ვადა.

კომისიაში 5 კაცი შედის. 1) ლორთქიფანიძე, 2) მ. ბურჯანაძე, 3) ღულაძე, 4) ფ. მგელაძე, 5) ელ. ცქიტიშვილი.

თფილისში მერვე გიმნაზიის გახსნის გამო (გვ. 4)

პარლამენტის მიერ 12 გიორგობისთვეს მიღებულ კანონის ძალით ყველა ტიპის და უწყების სასწავლებელი განათლების სამინისტროს ხელში გადავიდოდა. ეს კანონი საეკლესიო უწყების სკოლებსაც შეეხო და განათლების სამინისტროს საბუთი მისცა თბილისის, მაგ, სასულიერო სემინარია და სასწავლებელი არამც თუ მიიღო თავის უწყებაში, არამედ მათი შეერთების შემდეგ ისინი ჩვეულებრივ რვა კლასიან გიმნაზიად გადაეკეთებინა. ამნაირად, გასულ ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებში თბილისში გამოცხადდა ახალი, რიცხვით მერვე, ვაჟთა გიმნაზია, რომელიც მთავრობამ უნდა შეინახოს.

როდესაც ჩვენში რომელიმე ახალი სასწავლებელი არსდება, საჭიროა ვიკითხოთ: რამდენად შეესაბამება საქართველოს კულტურულ მოთხოვნილებას და მის ფინანსურ მდგომარეობას ასეთი სასწავლებელი? ჩვენი აზრით არსებული გიმნაზიები არ შეადგენენ ჩვენი კულტურულად დაწინაურების ერთად ერთს პანაცეაზს. ვინ არ იცის, რომ ისინი წარსულშიაც ვერ აკმაყოფილებდნენ ჩვენს მოთხოვნილებას დაარსებით. საჭიროებას, მით უმეტეს დღეს, როდესაც საქართველო შესდგა დამოუკიდებელ ცხოვრების გზაზე და მისი ეკონომიკურად აღორძინება

გარკვეულ მიზნებს გვისახავს, მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა გიმნაზიების გამრავლებაზე ვიფიქროთ. მიუხედავად იმისა, ჩვენში სოკოსავით მრავლდება გიმნაზიები, იმას კი არავინ უწევს ანგარიშს - განსაკუთრებით დღევანდელს პირობებში. როდესაც სასწავლებლები ერთიორად გადიდებულ ხარჯთ-აღრიცხვას უდგენენ მას. ამ თვალსაზრისით ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა ზემო-დასახელებულ სასწავლებელთა გიმნაზიად გადაკეთებას. ჯერ ერთი, ამ ახალ გიმნაზიას მომავალი არ აქვს, უმეტესი ნაწილი აქ მოსწავლე შეგირდობისა. არის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და პროვინციიდან მოსული, ვინაიდან სემინარია ერთად ერთი საშუალო სასწავლებელი იყო მთელ საქართველოს ეკლესიაში და აქ არამც თუ სწავლას უფასოდ იღებდნენ, სტიპენდიებიც ჰქონდათ და საცხოვრებელი ბინაც. ეს შეგირდები დღეს თუ ისეთივე გიმნაზიელები იქნებიან, როგორც ყველგან და ყველა სხვა გიმნაზიელებივით, ვალდებული იქნებიან სწავლის ფული გადიხადონ, რად წამოვლენ ისინი პროვინციებიდან თბილისში, საკუთარ სახლში უფრო იაფად არ დაუჯდებად სწავლა-განათლების მიღება,ვიდრე ცხრა მთას გადაღმა? ვსთქვათ მაინც თბილისი ამჯობინეს, რაც უნდა იარონ მათ ქალაქის განაპირად, **ვაკეში**, სადაც წვიმიანობისას უგზოობით ტალახში იხრჩობა ადამიანი, როდესაც შუაგულ ქალაქში რამდენიმე გიმნაზია შეხვდებათ,- უმჯობესი არ იქნება მათთვის არ გიმნაზიებში მოთავსედეს? ამნაირად, ამ გიმნაზიის შეგირდება თავის თავად შემოეცვლება და ის ბუნებრივად მოკვდება: ესეც რომ არ იყოს, ვინ არ იცის რომ თბილისის სამი ქართული გიმნაზია ნახევრად დაცარიელებულია, რაღა საჭირო იყო მეოთხის შექმნა? ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა ახალ შექმნილ გიმნაზიაში; ამ გზით, სახელმწიფოსაც შეღავათი ექნებოდა, ვინაიდან ერთი ზედმეტი გიმნაზიის

შენახვას აიცდენდა თავიდან, ბოლო იმ გიმნაზიებს, რომელშიაც ნახევრად გარუსებული ქართველობა სწავლობს, შედარებით საღი ქართული ელემენტი შეემატებოდათ და მათი გაქართულება უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდოდა.

23. 01.1919

N17

ქრონიკა (გვ.2)

ბათუმის ქართულ გიმნაზიისთვის. განათლების სამინისტრომ ბათუმში ქართულ გიმნაზიის გახსნისათვის 100,000 მ. გადასდო.

მასწავლებლების გაფიცვა. პუშკინის კერძო გიმნაზიის მასწავლებლებმა მოთხოვნილება წარუდგინეს სასწავლებლის დამარსებელთ: წლიური გაკვეთილისთვის- 400 მან. რვეულის გასწორებისათვის წლიურად 30 მანეთი. თუ სამ დღეში არ დააკმაყოფილეს, გაიფიცებიან.

ინგლისური გაზეთი. ამ კვირაში გამოვა ინგლისური გაზეთი, „ამიერ კავკასიის ფოსტა“ გაზეთი ორჯერ გამოვა კვირაში. პირველი ნომერი კვირას გამოვა.

სასულიერო სასწავლებელი. ქ. თბილისში (ავლაბარი, წმ. მაცხოვრის ფერისცვალების (დარიის) მონასტერთან დაარსდა კერძო სასულიერო სასწავლებელი. მოწაფეთათვის წლოვანება განუსაზღვრელია, საღვთისმეტყველო საგნების და საეკლესიო გალობის შესწავლა და აგრეთვე წირვა-ლოცვაზე მუდმივი სიარული სავალდებულოა. სწავლის ფასი წლის ბოლომდის პროგიმნაზიულ კლასებში 60 მან.

მხატვრული ქრონიკა (გვ.2)

სახელმწიფო თეატრი. დღეს ქართული წარმოდგენაა. მეშვიდეთ იდგმება „სინათლე“. ხვალ ქართულად წარმოდგენილი იწყება ოპერა „დემონი“.

ქართული აკადემია (გვ.3)

„ამიერ დასცხრა აკადემია,

ამიერ დადუმნა ესე სტოაი,

ამის მიერ უქმ არს პერიპატოი“

ეფრემ მცირეს „უწყება“

ქართული აზრი იმთავითვე მოჰქონდა ქართულ აკადემიას ანუ, როგორც ძველები ამბობდნენ, აკადიმიას. პარხალი, ოპიზა, ხანმთა, ტანძრისი, ქუთაისი, იშხანი, მცხეთა, მანგლისი, წყაროსთავი, შემოქმედი, კუმურდო, გარეჯა, თბილისი, აი ადგილები, სადაც სააკადემიო მეცნიერების გასავლელად იზრდებოდა ქართული ახალგაზრდობა.

ათონი, პალესტინა, სინა, კალიპოსი, პეტრიჩი, კონსტანტინოპოლი, აი შუა გულები, საცა ქართველები თავიანთ სკოლა-სემინარია-აკადემიებში სწავლობდნენ ენებს ბერძნულს, ასურულს, არაბულს, აგრეთვე მათს ფილოსოფიას, მათს მეცნიერებას საზოგადოდ.

შინაურ აკადემიებში სწავლის დასრულება და საზღვარ გარეთებში ამ სწავლის შემოფარგლა და უმაღლესი განვითარება გონებრივი, სულიერი აღორძინება, უზენაესი აშენება, აი პროგრამა უწინდელ ქართველობისა, აი სწრაფვა საგანმანათლებლო ჩვენთა მამა-პაპათა.

ეს პროგრამა ეკავა ქართველობას მრავალ ას-წლოვან ისტორიის სარბიელზე ვიდრე დრკუ მმართველობის შუღლი და ერთუერთი მტრობა არ მილევდა დიდებულ საქართველოს ხმოვან თავისუფლებას 1801 წელს.

მანამდე კი სწორედ ეს აკადემიები ზრდიდნენ ისეთ პირველ ხარისხოვან მწერლებსა, მგალობელსა თუ მქადაგელბელს, ვით სიდონია,

იაკობი, გრიგოლ ხანმთელი, სერაპიონი, სტეფანე და ივანე მტბევრები, მინჩხი, კურდანაი, გიორგი მერჩული, გიორგი მცირე, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელები, პეტრიწონელი მამები, არსენი დიდი, არსენი ბულმაისიბიძე, ანტონი დიდი, იოანე ბოლნელი, ზაქარია ვალაშკერტელი და მრ. სხ, აგრეთვე მგოსნები ფილიპე, არსენი იყალთოელი, იონე შავთელი, მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, შოთა, თეიმურაზი, დავით გურამიშვილი, ბესიკი, პირველ ხარისხოვანი მხატვრები სვიმონ დვალი, ბექაი, ასათი, დიდი მეფეები, ვით აშოტი, ბაგრატი, აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ვახტანგ სჯულმდებელი, ისტორიკოსები, დიდი სარდლები, ვით თორნიკე ერისთავი, ცოტნე დადიანი, შალვა ახალციხელი, ერეკლე II, ლევან ბატონიშვილი.

რამდენი კიდევ ღირს სახსოვარი სახელებია, რომელთა ჩამოთვლა ჩვენ მოგვღლიდა და გაზეთს აავსებდა!

და ამათ ხომ კიდევ ემატებიან ნიკო ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ბევრი სხვა ისეთი საჩინო მწერლები და მოღვაწენი, რომელთაც სწავლა მიიღეს უწინდელ აკადემიების ნამუსრევებში. რუსეთის მიერ მოწყობილი სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში.

რახან ეს ასრე იყო, ჩვენ მოველოდით, რომ საქართველოს განთავისუფლების ხანაში არ „დასცხრებოდა აკადემია. არ „დადუმდებოდა სტოაი“ არ „გაუქმდებოდა პერიპატოი“ არამედ როგორც ყოველს დაწინაურებულს სახელმწიფოშია, უნივერსიტეტი გიმნაზიებთან ერთად განათლების საქმეს პირიანად გაუძღვებოდა ჩვენი ეროვნული აკადემიაც თავის შესაფერ სემინარიათა თუ სემინარიებით; ამას მოველოდით უფრო იმიტომ, რომ ძველ აკადემიებს ჩვენთვის დაუტოვებიათ იმსიდო და ისეთი ღირსების გონებრივი მემკვიდრეობა-

აუვარებელი, პირდაპირ თითით საჩვენებელი პირველ ხარისხოვანი სამწერლო საუნჯეები, რომელთა შესწავლა, ხარისხებად დალაგება, გამოკვლევა, გამომზევება შეადგენს სწორედ სააკადემიო საგანს, აკადემიკოსთა საღრმთო მოვალეობას.

აი ამიტომ საჭირო იყო არა ერთად ერთ სემინარიის მოსპობა, გემნაზიად გადახალისება, არამედ მისი გააკადემიება, ხოლო სასულიერო სასწავლებლების სემინარიებად გადაკეთება. და ამათთვის ისეთ პროგრამის შემუშავება, რომ მოსწავლეებს მათში შეეთვისათ მხოლოდ ცხორებაში გამოსადეგი ცოდნა.

აკადემიის მძღოლებად შეგვეძლო მოგვეწვია ალ. ცაგარელი(რეკტორად) კორკეველიძე (დეკანად) ხოლო პროფესორებად თუ გინდ გრ. რობაქიძე, ი. სანებლიძე, მ. კელენჯერიძე, ევს .ნიკოლაძე, ვ. ბარნოვი, ი. ვართაგავა. ან. ნატროშვილი, დ. პატარაშვილი და სხ.

და ამის მაგიერ, რაღაც გაუგებრობით, არა თუ დავაარსეთ აკადემია, თვით ერთად ერთი სემინარიაც, ეს „ალმა მატერი“ გაბრიელის, ნ.ჟორდანიასა, გ. გიორგაძისა, თ. ჟორდანიასი, ლეონიდისა, კირიონისა და მრ. ჩინებულ მოღვაწეთა, ჩვენ მოვსპეთ, დავადუმეთ ის კერა, რომლის მოწაფეები საუკუნის შავ-ბნელ მონობის დროს, თითქმის მარტოკა ატარებდნენ ეროვნულ აზრსა და სწაფვას და არათუ მარტო ამას, არამედ თავმოყრილნი სხვა და სხვა კუთხიდგან, ეცნობოდნენ ერთ-ურთს და უნერგავდნენ ერთმანეთს სამშობლო ქვეყნის მსახურების უსაღვთოესობას.

მე მგონია, კიდევ დრო არ არის დაკარგული და ჩვენმა მთავრობამ თუ კეთილ ინება, ძვირფას ეროვნულ უნივერსიტეტთან ერთად ააღორძინებს ძვირფასსავე ეროვნულ აკადემიასაც.

მ. ჯანაშვილი

24. 01.1919

N18

ქრონიკა (გვ.3)

გაიხსნა ქართული საბავშვო ბაღი გამოცდილი პედაგოგი და ფრებელისტი ქალის ხელმძღვანელობით მსურველთა მიღება სწარმოებს. სასწავლო საქმე: პრაქტიკულად შესწავლა ფრანგული ენისა, მუსიკა, გიმნასტიკა, მოძრავი სათამაშო, ხატვა, ძერწვა და წერაკითხვა მოზრდილთათვის, აგრეთვე შვიდის წლის ბავშვების მომზადება გიმნაზიის მოსამზადებელ კლასისათვის. გაზაფხულზე და ზაფხულზე სწავლება სწარმოებს ცის ქვეშ ბაღში. მისამართი: მიხეილის ქ. 107, ყოველ დღე 1-2 ს.

დეპეშები (გვ.3)

გიმნაზიის გახსნა

ბათუმიდან ნატანებში დღეში 2 მატარებელი გადის. ქართველმა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა ქართული გიმნაზიის გახსნა. კომისია ენერგიულად შეუდგა მის განხორციელებას.

25.01.1919

N19

მხატვრული ქრონიკა (გვ.2)

ჟურნალი „კურანტი“. გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „კურანტი“ რუსულ ენაზე: ჟურნალში დაბეჭდილია ლექსები და კრიტიკული წერილები რუსების პოეტების. დაბეჭდილია აგრეთვე ტიციან ტაბიძის წერილი „ცისფერი ყანწებზე“ და პაოლო იაშვილის ნახატი სურათები: ვალერიან გაფრინდაშვილის და ტიციან ტაბიძის.

„პოეტის გაზეთი“, კვირას 2 თებერვალს თბილისში გამოვა პოეტების გაზეთი ქართულ ენაზე პაოლო იაშვილის და ტიციან ტაბიძის რედაქტორობით.

26.01.1919

N20

ქრონიკა(გვ.2)

ხელნაწერის დაკარგვა. პავლე ინგოროყვა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან დაჰკარგა ხელნაწერის ფურცლები, რომელზედაც მოთავსებული არის შენიშვნები ფილოლოგიური ხასიათისა (ტექსტში საუბარია ნაწეროვან ბგერათა მუსიკალური უერთიერთობის შესახებ) დართული აქვს ცალკე ფურცელზე(მთელ თაბახზე) ტაბულა, სადაც წარმოდგენილია ბგერათა კლასიფიკაცია მუსიკალურ წყობად, მპოვნელს დაბეჯითებით ვსთხოვთ შემოიტანოს „საქართველოს“ რედაქციაში.

დღეს, დილის 10 საათზე მე-7 გიმნაზიის ბინაზე (გოლ.პრ) დანიშნულია აღმოს. საქართველოს სახ. მასწავლ. კავშირის მთავარი გამგეობის მორიგი კრება.

საშუალო სასწ. ახალი ტიპის შემუშავება. ამ დღეებში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მთავარ გამგის, ნათაძის თავმჯდომარეობით, განათლების სამინისტროში მოხდება თათბირი თბილისის ყველა გიმნაზიების დირექტორთა თანდასწრებით საშუალო სასწავლებლების ახალი ტიპის შესამუშავებლად.

სხვა და სხვა ამბები (გვ.4)

სალიტერატურო მატარებელი ლენინის სახელობაზე.

მოსკოვიდან დასავლეთისკენ გაიგზავნა სალიტერატურო-საინსტრუქტორო მატარებელი ლენინის სახელობაზე. მატარებლის მიზანია მოსახლეობას მიაწოდოს სოციალისტური ლიტერატურა და

საბჭოთა ცენტრალურ მთავრობის ინსტრუქციები, მატარებელს თან დასდევენ პასუხისმგებელი ინსტრუქტორები, აგიტატორები, ლექტორები და სხ. საბჭოთა დაწესებულებანი, პარტიული პროლეტარული ორგანიზაციები მოვალენი არიან მატარებელნი და მისი მხლებელნი დიდი პატივით მიიღონ.

29.01.1919

N21

ქრონიკა (გვ.2)

ტრადიციული საღამო წმ.ნინოს სასწავლებელში. ორშაბათს, 27 იანვარს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში შესდგა ტრადიციული საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამოს დაესწრნენ ინგლისის-საფრანგეთის დელეგაცია, საქართველოს პარლამენტის წევრნი.

30.01.1919

N22

მხატვრული ქრონიკა (გვ.2)

მუსიკალურ სასწავლებლის გახსნა ქუთაისში. კვირას, 2 თებერვალს, ქუთაისში გაიხსნება თბილისის მუსიკალურ სასწავლებლის ფილიალური განყოფილება მუსიკალური სასწავლებელი. სასწავლებლის გახსნის წინ გადახდილი იქნება პარაკლისი და გაიმართება მუსიკალური დილა.

საღამო „იმედ"-ში. სასადილო „იმედი"(ძველი სემინარიის შენობა) შაბათს, 1 თებერვალს, გაიმართება დიდი მხატვრული საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: პოეტები, მომღერლები და არტისტები.

რუსეთი (გვ. 3-4)

უნივერსიტეტებში. სტუდენტობა თითქმის სრულიად გაიქცა. აღარ არიან არც პროფესორები. მათი უმეტესობა გაიქცა „სოვდეპიიდან". ვინც

დარჩა ისინი მუშაობას განაგრძობენ ძლიერ ცუდ პირობებში. ზოგიერთი ცნობილი ეკონომისტი გადავიდა ბოლშევიკთა ბანაკში და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ცენტრალურ საბჭოში.

ლიტერატურა და ხელოვნება. ლიტერატურა დღითი დღე იზრდება.რამდენადაც დაჩაგრული და დევნილია პერიოდული პოლიტიკური პრესა, იმდენად თავისუფალია ხელოვნება, რომელიც ამ ბოლო დროს აშკარად იხრება ფუტურიზმისკენ. ძლიერ გაიზარდა მაგალითად, მაიაკოვსკის სახელი. გამოდის პერიოდული და შემთხვევითი გამოცემები, რომელნიც ხშირად დიდ მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენენ. სატახტო ქალაქებში დაიდგა მრავალი ახალი ძეგლი რევოლუციის მოღვაწეებისა. დაამსხვრიეს სკობელევის ძეგლი მის ადგილას გააკეთეს მონუმენტი, რომელზედაც ოქროს ასოებითაა დაბეჭდილი საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ქართველ მასწავლებელთა ორჭოფობა. (გვ.4)

ბევრჯერ აღძრულა საკითხი ქართველ მასწავლებელთ კავშირის დაარსებისა და მომხდარა კრება, მაგრამ საუბედუროდ ჩვენი მასწავლებლები აყოლიან ორჭოფ ამხანაგების ფეხის ხმას და ორჭოფულ გზას დასდგომიან.

ასე მოხდა ახლაც. გაზეთებში განცხადება იყო: 19 იანვარს ვაჟთა პირველ გიმნაზიაში დანიშნულია კრება თბილისის საშუალო სასწავლებლების ქართველ მასწავლებელთა კავშირის დასაარსებლადო, გიმნაზიის კრებაზედაც ასე ეწერა. ქართველი მასწავლებელნი გამოცხადნენ და შესდგა კრება. ორჭოფ მასწავლებლებმა იგდეს ხელთ სადავე კრებისა, დემოსფენურ სიტყვებით მოხიბლეს ამხანაგები და თავგამოდებით იცავდნენ „ინტერნაციონალურ კავშირის“ დაარსებას.

ამხანაგებიც, გარდა რამდენიმე, აყვნენ ამ ცრუ დემოსფენების ფეხის ხმას და გაჩაღდა საქმე: დაადგინეს ინტერნაციონალურ კავშირის დაარსება.

მაკვირვებს ამ ვაჟბატონების საქციელი. ნუ თუ ქართველმა მასწავლებლებმა დღესაც ვერ შეიგნეს, რომ ორჭოფობამ ბევრჯერ ჩაჰკრა მათ თავში და ქართველ ერსაც გაუფუჭა საქმე!

ვთქვათ, ინტერნაციონალურ კავშირის წინად ძველი რეჟიმის და მთავრობის დროს,როცა ყველანი განურჩევლად ეროვნებისა ერთ და იმავე სულთამხუთავს ებრძოდნენ, ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დღეს, როდესაც საქართველო თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკად არის გამოცხადებული; ქართული სასწავლებლები უკვე გამოეყო სხვა ეროვნებისას და ასე თუ ისე გაეროვნდა, არა თუ მნიშვნელობა არ აქვს, არამედ დიდად მავნეა ჩვენთვის.

რუსი მასწავლებელნი როგორც პედაგოგები გაცილებით უფრო მომზადებულნი არიან მანამ ჩვენ, პროგრამები, სახელმძღვანელოები გვაქვს და არც მშობლიურ ნიადაგზე მომზადებული მასწავლებლები გვყვანან.

დღეს ჩვენი სასწავლებლები უმეტესად იმ მასწავლებელთა ხელშია რომელნიც ერთი წლის წინად სახელმწიფო სასწავლებლებში თბილ ალაგებს ეძებდნენ და სამშობლო ენის, მწერლობის და გეოგრაფია-ისტორიის შესწავლას არაფრად აგდებნენ. ასეთ მდგომარეობაში არიან ჩვენებურად გამოცდილნი პედაგოგები.

გამოუცდელნი-ახლები-მეტადრე ქალები უარეს მდგომარეობაში არიან. ეს ქალბატონები გიმნაზია-ინსტიტუტ-ზავედენიებში სწავლობდნენ, სადაც ქართული ენა აბუჩად იყო აგდებული, ამ მიზეზის გამო მშობლიურ ნიადაგზე სრულიად მოუმზადებლები გახლავთ.

რამდენად ააყვავებენ გაეროვნებულ სასწავლებლებს ეს ქალბატონ ვაჟბატონები ადვილი წარმოსაგენია. ეს პედაგოგები მოუმზადებელნი არიან და მკურნალად თუ ეროვნული ნაციონალური კავშირი არ გაუხდა, ბევრს დაკარგავს ქართული სკოლა.

თუ ვინმე გაკადნიერდება და იტყვის: ქართულ-ეროვნულ სასწავლებელთა გასაბედნიერებლად აუცილებლად ინტერნაციონალური კავშირია საჭიროო და თავის აზრს დაამტკიცებს თვალსაჩინო მაგალითებით, საპასუხოდ მოვახსენებ, რომ ახალი ინტერნაციონალური კავშირის დაარსება მეტია, რადგანაც მეორე წელიწადია; რაც ვაჟთა პირველ გიმნაზიის მასწავლებლების თანამშრომლობით უკვე დაარსდა თბილისის საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთა კავშირი, რომლის წევრებად ითვლებიან ყველა თბილისის მასწავლებელი და საწევრო ფულსაც უნდა იხდიდენ, როგორც თქვენი მორჩილი მონა.

მე კიდევ ვიმეორებ, ნაციონალურ-ეროვნული კავშირი ჩვენთვის აუცილებრივ საჭიროა, რადგანაც ჩვენი მიზანი და მოქმედება სულ სხვაა, მინამ სხვა ეროვნებათა მასწავლებლებისა და საერთო მათთან არა გვაქვს რა.

გ. იმნაიშვილი

02.02.1919

N25

ქრონიკა(გვ.2)

თბ. ვაჟთა მე-8 გიმნაზიის დირექტორი სთხოვს აღნიშნულ გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს მობრძანდნენ კვირას, 2 თებერვალს, დილის 11 საათზე, გიმნაზიის (ყოფილ სასულ. სემინარია) დარბაზში მშობელთა წრის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად.

04.02.1919

N26

ქრონიკა (გვ.2)

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი (1) ნომერი გამოვიდა. ჟურნალი სხვადასხვა სურათით, ლექსებით, მოთხრობებით, წერილებით, იუმორისტული განყოფილებით, ამ ნომერში დაბეჭდილია სხვათაშორის, ქართველ-სომეხთა ომიდან დაწერილ რომანის „განახლებული სიცოცხლის“ პირველი თავი (უცნაური შეხვედრა), პიესა“აჭარა“ (აჭარის უკანასკნელი ამბებიდან) და სხ. ნომერი დაბეჭდილია კარგს ქალაღალდზე, ღირს 3 მან.

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სალიტერატურო და სამეცნიერო წრის წლიური საზოგადო კრება შესდგება ხვალ თებერვლის 4-ს. ქართულ უნივერსიტეტში 5 საათზე.

დღეს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია, წაიკითხავენ: 1) ექ. ტურაშვილისა გიგიენაზე 2) ექ. მაისურაძისა ანატომიაზე.

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

„მეოცნებე ნიამორები.“ ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით გამოვიდა მხატვრული ალმანახი „მეოცნე ნიამორები.“ ალმანახში გამოდიან: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, შალვა კარმელი, ალ.ცირეკიძე, გრ.ჯაფარაძე, რაჟ. გვეტაძე და სხვა.

„ჟურნალი Ars”-ი. გამოვიდა გასაყიდად მორიგი ნომერი რუსული ჟურნალის „Ars”-ის. ჟურნალი გამოდის განახლებული რედაქციით.

ნომერში მოთავსებულია კრიტიკული წერილები და მოთხრობები რუსის პოეტების. მათ შორის თარგმანები: ვალერიან გაფრინდაშვილის და ტიციან ტაბიძის ლექსები. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე მხატვარი ლადო გუდიაშვილის სურათები: „მეთორმეტე საუკუნე“ და „პირიმზისა“. ჟურნალი საუკეთესო ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 11 მ.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსდა პირველი ქართული ბუხჰალტერის კურსები ორივე სქესისთვის წლოვანების განურჩევლად. (გვ.4)

ალ. გ. საათაშვილისა

(წელიწადი მეორე)

ბუხჰალტერის სწავლა, კანტორის ცოდნა და სხვა, კომერციული საგნების შეთვისება მოწყობილია პრაქტიკულად. ახალი მეთოდით 4-თვიანი კურსის შესწავლა შეიძლება 3 თვეში. წესდების გაგება და ჩაწერა კურსებზე ყოველდღე შეიძლება დილის 10-12 საათამდე და საღ. 4-6 საათამდე თბილისი,დუშეთის ქუჩა, სახ. N9 (წყნეთის ქუჩასთან ახლოს, 1-ლი უბანი) ტრამვაის ვაგონი N5 და 9.

05.02.1919

N27

სომხეთში (გვ.2)

უნივერსიტეტი სომხეთში.

სომხებს გადაუწყვეტიათ ერევანში უნივერსიტეტის გახსნა და ამ მიზნისათვის უკვე გადაუდვიათ 5 მილიონი მანეთი.

ქრონიკა (გვ.2)

მოთხოვნილება მასწავლებლებზე. ქალაქის შრომის ბირჟა ამით აცნობებს ყველა ქართველ მასწავლებლებს, რომელთაც ჰსურთ დაიკავონ ადგილი საერობო პირველ დასაწყის სასწავლებელში; მიჰმართონ შრომის

ბირჟას 9-3 შემდეგ მისამართით: მადათოვის ქუჩა N11 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ეროვნულ საბჭოს შენობაში.

პროვინციის ცხოვრება

ბათომი

გაეხსნა განათლების მინისტრს 10 მილიონ ფონდიდან ასი-ათასი მანეთი კრედიტი ბათომში ქართული გიმნაზიის(ქალთა და ვაჟთა) გახსნის საჭიროებისთვის. გიმნაზიის გახსნის და მის შესანახავათ გაღებულ თანხების ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ იქნება მინისტრის მიერ ადგილობრივ ყველა საკითხების გამორკვევის შემდეგ.

ქართული ოპერა (გვ.4)

„თქმულება შოთა რუსთაველზე“

(მუს. დ. არაყიშვილისა)

შინაარსი ამ ოპერისა აღებულია სვანურ ლეგენდიდან.

ახალგაზრდობაში შოთა რუსთაველს უყვარდა ვინმე ქალი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ საზღვარ გარედ სწავლის დროს დაივიწყა ის და სხვა შეირთო. სამშობლოში დაბრუნებისას შოთა, როგორც სახელოვანი პოეტი თამარ დედოფალმა მიიწვია ნადიმზე, რომელიც გაიმართა საქართველოს ბრწყინვალე განვითარების სადღესასწაულოდ.

სიმხიარულის დროს შოთასთან მივა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი და გამოუცხადებს: „ყველაფერი ეს კარგია პოეტო, მაგრამ რატომ ყურადღებას არ მიაქცევ რა ხდება შენ სახლში“

-რას ამბობ ყმაწვილო, ჩემ სახლში ცოდვას რა უნდა.

„წამოდი და შენ თვითონ ჰნახავ თუ რა ხდება“.

გადიან. ცეკვა გაჩაღებულია. ამით თავდება პირველი სურათი.

2 სურათი

(ლირიკო-დრამატული სცენები)

შოთა შედის სახლში სწორედ იმ დროს, როდესაც მისი მეუღლე გადახვეული, შოთას მოსამსახურეს აბდულარაბს, სიყვარულს უცხადებს. ამ სურათის მნახველი შოთა ჯავრმა მოიცვა. ახალგაზრდა ყმაწვილი კი ანუგეშებს მას. ბოღმისგან გაშმაგებული შოთა მივარდება ყმაწვილს, რომ მას ეს საქციელი მისთვის არ უნდა ეჩვენებინა. ამით გაუბედურდა და ამ სიბოროტის გამო ამოიღებს ხანჯალს მის მოსაკლავათ, მაგრამ დაინახავს ყმაწვილის ხელზე თავის ბეჭედს. ყმაწვილს გადაუვარდება ქუდი და შოთა დაინახავს ქალის თმას. აღმოჩნდა, რომ ეს ყმაწვილი მისი პირველი სატრფოა(ნინო).

გამწარებული შოთა მიდის ბერად მონასტერში, ნინო კი იკლავს თავს შოთას ხანჯლით. ამით თავდება ლეგენდა.

ილ. აბაშიძე.

06.02.1919

N28

ქრონიკა (გვ.2)

ჯილდოები ხელოვნებისთვის

მთავრობის დადგენილებით ყველა იმ პირთ, რომელნიც ხელოვნების წინაშე დაიმსახურებენ რაიმე შესანიშნავ ღვაწლს მიეცემათ ჯილდოთ განსაკუთრებული ნიშანი, რომელზედაც გამოხატულია ქნარი და საქართველოს ეროვნული ღერბი. პირველი ასეთი ჯილდო სახელმწიფო თეატრში მიიღო მომღერალ ქალთა საბანევვამ.

გაზ. „განახლებული მესხეთი“

კვირას 2 თებერვალს ქ. ახალციხეში გამოვიდა გაზ. „განახლებული მესხეთი“ ორგანო ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭოსი ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძის და ლ. რუხაძის რედაქტორობით.

საღვთო სჯულ. შესახებ (გვ.2)

მცხეთის ეპარქიის მე-II ოლქის სამღდელოების დადგენილება.

„კრებამ იქონია რა მსჯელობა საქართველოს პარლამენტში სამღრთო სჯულის განდევნაზედაც სკოლებიდან და გაითვალისწინა რომ მთავარ საბუთად მოჰყავთ ის, რომ სამღრთო სჯულის მასწავლებელს არ უნდა ეძლეოდეს ჯამაგირი სახელმწიფო ხაზინიდან, დაადგინა: ვინაიდან მთავარი დაბრკოლება სასყიდლის ძლევაშია მასწავლებლისადმი ამისთვის სამღვდელოება კისრულობს სამღვთო სჯულის უფასოდ სწავლებას სასწავლებელში წინააღმდეგ შემთხვევაში არა გზით არ იქმნეს მოსპობილი იგი ხალხის დაუკითხავად.

07.02.1919

N29

პრესსა (გვ.2)

„ერთობა“ და ქართული ენა.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ორ თებერვალს სომეხმა და რუსმა მასწავლებლებმა დემონსტრატიულად დასტოვეს მასწავლებელთა კრება, რადგანაც კრებაზე ლაპარაკი ქართულ ენაზე სწარმოებდა.

ამ საკითხს ეხება „ერთობა“ და, როგორც მას შეშვენის, წერილს აბდაუბდით ათავებს.

„ერთობა“ სწერს:

„როცა ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებაში შემოგვაქვს ქართული ენა -ეს ხდება ხალხისთვის, რომელიც ამ დაწესებულებებით სარგებლობს. მაშასადამე ეს დემოკრატიული ზომაა. მაგრამ როდესაც ნაციონალიზაცია შემოაქვთ ინტელიგენტთა კრებებისთვის, ეს ხდება მხოლოდ იმ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფის სასარგებლოთ და ხალხის საზიანოთ. მაშასადამე აქ დემოკრატიული არაფერია“.

ჩვენ მოვუწოდებთ მკითხველს ჩაუკვირდეს ამ ამონაწერს, აქ ყველაფერი სისულელემდეა მიყვანილი. სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი დემოკრატიული ზომა ყოფილა. იმავ სახელმწიფოს ინტელიგენტ მოქალაქეთაგან კი სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი არა დემოკრატიული ზომაა.

ასეთ მარგალიტ აზრებს ავტორებთან კამათი საზოგადოთ ძნელია, მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სისულელე აქ ბოლომდეა დაყვანილი და ჩვენ გვსურს მოუწოდოთ „ერთობის“ მკითხველებს, რათა ამისთანა ლოგიკას არ აჰყვნენ.

გამოდის, რომ მილიციონერს შეუძლიან ქართულად ლაპარაკი, კომისარს ხომ შეუძლიან და შეუძლიან, შეუძლიან ალბათ მინისტრსაც, მაგრამ თუ ქართველმა მასწავლებლებმა გამართეს კრება, მათ ამის უფლება არ უნდა ჰქონდეთ.

რატომ?

-იმიტომ რომ მასწავლებლები ინტელიგენტები ყოფილან.

აქამდის ჩვენ ვფიქრობდით რომ „ერთობის“პუბლიცისტებიც ინტელიგენტები იყვნენ.

ამ საფუძვლით აღარც მათ უნდა სწერონ ქართულად.

განა „ერთობის“ რედაქცია საპოლიციო კომისარიატია, რომ იქ ყველაფერი ქართულ ენაზე სწარმოებდეს.

ქრონიკა (გვ.2)

სახელოსნო სასწავლებლის დახურვა. ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში სახადი გაჩნდა მოსწავლე მასწავლებელ მოსამსახურეთა შორის ქალაქის გამგეობამ სამი კვირით ვადით ეს სასწავლებელი დახურა.

თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ უნივერსიტეტის

პროფესორთა საბჭომ მორიგ სხდომაზე განიხილა მიხეილის საავადმყოფოსა და საბებიო ინსტიტუტის რეორგანიზაციის საკითხი, რომ ამ დაწესებულებებით უნივერსიტეტმა ისარგებლოს თანახმად მთავრობის გადაწყვეტილებისა და დაადგინა: მოხდეს ზემოდასახლებულ დაწესებულებათა რეორგანიზაცია თანახმად სამკურნალო ფაკულტეტის მიერ ამა წლის 2 იანვარს შემუშავებული პროექტისა და ეცნობოს სამინისტროს, რომ ხსენებულ დაწესებულებათა სარგებლობის საბოლოო წესრიგის შესამუშავებლად და ამ საკითხის გამო სამინისტროსთან შესათახმებლად უნივერსიტეტის საბჭო ნიშნავს კომისიას შემდეგ პირებისაგან: სამკურნალო ფაკულტ. დეკანის ვ. ტოსეშვილისა, პროფ. ა. სათიშვილისა და მედიც. დოქტორების ივ. თიკანაძისა და გრ. მუხაძისაგან. ამასთან ერთად უნივერსიტეტის საბჭომ წარმოუდგინა საორგანიზაციო პროექტი.

პუშკინის გიმნაზიის მასწავლებელთა გაფიცვა. პუშკინის გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის გაფიცვა დასრულდა; განათლების სამინისტრო საქმეში ჩაერია და დაადგინა, გიმნაზიის შემოსავალ-გასავლის რევიზია მოახდინოს. გააუმჯობესოს მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა. წინადადება მიეცა ერთ-ერთ გიმნაზიის დამფუძნებელ ძიძიშვილს, თავიდან მოიშოროს ორი გიმნაზიის დამფუძნებელი ამხანაგი. მასწავლებელთა კორპორაციამ დაადგინა, გამოაშკარავოს პრესის საშუალებით სია იმ მასწავლებელთა, რომელთაც გაფიცვის დროს ადგილები დაიჭირეს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილები ბოიკოტის ქვეშ გამოცხადებული იყო.

ია კარგარეთელის ნაშრომი (გვ.2)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ ი. კარგარეთელის ნაშრომი „ქართული მუსიკის ისტორია“

განსახილველად გადასცა საგანგებო არჩეულ კომისიას, რომელმაც განხილვის შემდეგ დაადგინა:

„ბ. ი. კარგარეთელის ნაშრომის დაბეჭდვა სასურველად ცნობილ იქმნას; მაგრამ რადგან ამ ჟამად საზოგადოდ წიგნების ბეჭდვა და კერძოდ ამ გვარი წიგნებისა(სურათებით და ნოტებიან ნიმუშებით) დიდ ხარჯს მოითხოვს, საზოგადოებას კი საჭირო თანხა არ მოეპოვება-მისი დაბეჭდვა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ საზოგადოებას საშუალება მიეცემა. ხოლო თუ მანამდე ავტორი შესაძლოთ ვერა სცნობს დაიცადოს, იმ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება მზად იქნება აღძრას (თუ ავტორის სურვილის იქნება) საქართველოს პარლამენტის ხელოვნების კომისიის წინაშე ამ ნაშრომის დაბეჭდვის შესახებ“.

საზოგადოების თავჯდომარე **ექვთიმე თაყაიშვილი.**

ქართული სამუს. სასწავლ. გახსნა ქუთაისში. (გვ.2)

(საკუთ. კორ)

2 თებერვალს ქუთაიში გაიხსნა ქართული სამუსიკო სასწავლებელი. მრავალი საზოგადოება დაესწრო და გულწრფელი სიტყვები წარმოითქვა, სასწავლებლის დირექტორ-კომპოზ. მ. ბალანჩივაძეს თბილისიდან მრავალი მისალოცი დეპეშები მოუვიდა. მათ შორის განათლების მინისტრისაგან. საკონცერტო დარბაზში მუსიკალური დილა გაიმართა. რამდენიმე რომანსი ბალანჩივაძის ნაწარმოებიდან შეასრულა მომღერალ ვ. ლორთქიფანიძემ. „ ღმერთო ძლიერო“ (თამარ ცბიერიდან) „სულო ბოროტო“ და სხვა.

სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და დღემდე ორასამდეა კიდეც.

საადრესო მაგიდასთან.

საბინაო წიგნების გამო ხალხი თავს იყრის საადრესო მაგიდასთან და წიგნების უქონლობისა გამო ზოგი მთელი კვირაობით სცდება საქმეებს და სახლს. ხალხი დილის 8 საათიდან დგება რიგში მხოლოდ მისთვის რომ წიგნის მაგიერ მიიღოს N-რი, ნომრით ოთხიოდე დღეს დადიხარ და მეხუთეზე დღეზე ძლივს გეღირსებათ ზოგიერთებს საბინაო წიგნით. 5 თებერვალს მრავალი ხალხი მოაწყდა ნომრიანი და უნომრო საბინაო წიგნების მისაღებადო საყიდლად. დილიდან მოკიდებული შესცქეროდნენ და 30 წიგნის მეტი კი ვერ წაიღეს; ზოგნი გატეხილ ფანჯრიდან ძვრებოდნენ ბიჭები და დედაკაცებიც და გადმოჰქონდათ. ბიჭები იქვე 6 მანათ. ნაყიდ წიგნებს 10 მან. ჰყიდნენ. ნომრების დარიგებაზე ასტყდა საშინელი მიწყვეტ-მოწყვეტა, ბევრი დედაბერი და ბავში აცრემლდა და იქვე მყოფმა მილიციონერებმა და კამისარმა წესიერებმა ვერ დაამყარეს. ერთი კვირის წინად საბინაო წიგნები ფასობდა 3 მან. და 20 კაპ, დღეს კი 6 მან, დაწერილია არა მარტო ქართულად, არამედ ორივ ენაზე და ეს ზედმეტი ხარჯის გამომწვევია ხომ, რად სთხოვენ ძველ წიგნების დაცვლას. (...)

08.02.1919

N30

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

ბ. დავით კისრაძე გვთხოვს გამოვაცხადოდ, რომ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ მოთავსებულია მის მიერ „სპარტაკში“ თარგმანი კი არ არის, როგორც გვქონდა გამოცხადებული გაზ. „საქართველოს“ N 27, საქრონიკო ცნობებში, არამედ ორგინალური დღევანდელ დროისთვის საგანგებოდ დაწერილი.

09.02.1919

N31

კრებები (გვ.2)

ლექცია სამხედრო პირებისათვის. ორშაბათს,10 თებერვალს სამხედრო სამინისტროს კულტურ განმანათლებელ სექციის წევრი პოდპოლკოვნიკი ავ. აბესაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რუსების ბატონობის პირველი ხანა საქართველოში“. სასურველია ლექციას დაესწრნონ თბილისის გარნიზონის ყველა სამხედრო პირნი. ლექციაზე დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიათ, დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

12.02.1919

N33

ფრანგული ენის კურსები(გვ.4)

უმცროსებისთვის, საშუალოთა და უფროსთათვის(ლიტერატურა) თვეში 20 მან. კვირაში სამი გაკვეთილი. ჩაწერა შეიძლება ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით საღ. 6-8 ს. კურსების შენობაში: 1) ოლღას ქუჩა N14 შესავალი ვერის საქალებო სასწავლებლიდან, 2) მიხეილის პრ. N 156, 3) ბებუთოვის და კოჯორის კუთხე N1.

13.02.1919

N34

დეპეშები (გვ.3)

ბორდოს უნივერსიტეტი

17 თებერვლიდან 1000 ამერიკელი სტუდენტები ეწერება ბორდოს უნივერსიტეტში. სტუდენტების პირველი წყება ფრონტიდან ჩამოვიდა სამშაბათს.

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო ვლადიმერ შატბერაშვილისა (გვ.4)

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

ზედმისაწვდომ ფასებში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ. საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა N5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით. პატივისცემით **ვლ. შატბერაშვილი.**

14. 02.1919

N35

ქრონიკა (გვ.2)

ჟურნალის გამოსვლა. გამოვიდა მეორე ნომერი იუმორისტული ჟურნალი „ახირებული“

18.02.1919

N37

ქრონიკა (გვ.2)

საქველმოქმედო საღამო. შაბათს 22 თებერვალს, მე-7დე. ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით, ცეკვა, ბუფეტი, ვახშამი, შესასვლელი ფასი 10 მან. (ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში).

ლექცია. ნაძალადევის თეატრში, სამშაბათს 18 თებერვალს საღ. 6 ს. ექ. ტურიაშვილი წაიკითხავს ლექციას „ტანისამოსის და აბანოს მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის“

მოძრავი სახალხო უნივერსიტეტი საქართველოში (გვ.4)

ქალაქთა კავშირის თანხმობით, კავშირის განათლების განყოფილების გამგის სერ. რობაქიძის თაოსნობითა და თბილისის უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა მონაწილეობითა და მათი ძალების შემწეობით საფუძველი ჩაეყარა ერთ ფრიად მნიშვნელოვანსა და ჩვენი დემოკრატიისთვის გადაუდებელ კულტურულ საქმეს: მოძრავი უნივერსიტეტის დაარსებას. არსებულ პირობების მიუხედავად ლექტორთა კოლეგიამ გადასწყვიტა შეუჩერებლივ აწარმოოს საქმისთვის საჭირო წინასწარი მუშაობა.

ლექტორთა წრემ თვის შემადგენლობიდან გამოყო საორგანიზაციო კომისია, რომელიც შეუდგა ენერგიულ მუშაობას, კომისიაში შედიან ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი სერ. რობაქიძე, პარლამენტის ყოფილი წევრი და სახალხო განათლების სამინისტროს თვალსაჩინო თანამშრომელი გ. ნათაძე, ბაქოს ქართველთა ეროვნულ საბჭოს თავჯდომარე ელ. ბაქრაძე, პარლამენტის წევრი კ. ქავთარაძე, ქალაქის ხმოსანი ი. ირემაშვილი, თბ. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი ექიმი ტურიაშვილი, ნაძალადევის განყოფილების მუშათა სექციის წარმომადგენელი კ. ქუთათელაძე და თბილისის უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა თავჯდომარე პარლამენტის ქვესტორი სერ. ჟორჟოლიანი.

უნივერსიტეტის განყოფილებათა გახსნა განზრახულია რესპუბლიკის 21 სხვა და სხვა ქალაქ-სოფელებში, ჯერჯერობით-კი დაუყონებლივ მოძრავი უნივერსიტეტი თვის მოქმედებას აწარმოებს 12 ჩვენს ქალაქებში.

ხსენებულ კომისიამ გამოიმუშავა მოღვაწეობის გეგმა, საშვალებათა აღმოსაყენი გზები, შექმნა პროგრამა და შეუდგა ლექტორთა გამონახვას,

რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება თუ კი ის დააკმაყოფილებს მოძრავ უნივერსიტეტის მოთხოვნილებათა და სხვ. წინასწარ, ადგილობრივ იმის გამოსარკვევათ თუ რა ძალები შეიძლება ადგილობრივ აღმოჩნეს, რა საგნები უფრო აინტერესებს ქალაქთა და მეცნიერების რომელ დარგს უფრო საჭიროებს პროვინცია, რა საშვალებები მოეძებნება ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ საქმის შესაფერად მოსაწყობათ, ერთი სიტყვით უნივერსიტეტის გახსნისთვის მიჩნეული ქალაქებში ამ კულტურულ დაწესებულებებს საფუძვლის ჩასაყრელად, ქალაქთა კავშირის მიერ გაღებულ საშვალებით 15 თებერვლიდან პროვინციაში იგზავნებიან ყველა ჩამოსარებლად და ზევით დასმულ კითხვების გამოსარკვევად ლექტორთა მიერ. არჩეული ინსტრუქტორები სერ. რობაქიძე, მ. ნათაძე და ელ.ბაქრაძე, რომელთა დაბრუნებისა და ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ უნივერსიტეტის მოღვაწეობის დაწყება განზრახულია მარტის პირველ რიცხვებიდან.

მოქალაქეთადმი, ორგანიზაციებისადმი და ქალაქების მიმართ მოწოდებანი, ლექტორთა მოწვევის პირობები, უნივერსიტეტის პროგრამმა, ქალაქთა სია, სადაც განზრახულია ესეთივე განყოფილებათა გახსნა და სხვა დაწვრილებითი ცნობები პრესაში გამოქვეყნდება, ხოლო ვისაც ეს საკითხი აინტერესებს და ეხლავე სურს გაეცნოს ამ მუშაობას მას შეუძლია მიმართოს კომისიის თავჯდომარეს, სერ.ჟორჟოლიანს სასახლეში.

19.02.1919

N38

ქრონიკა (გვ.2)

ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“. გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის ორგანო, ჟურნალი

„კავკასიის ქალაქი“ . 1919 წლის N1 შინაარსი: ქართულად: ძველი ერობელის. -ერობის გამგეობის მოწყობისათვის. (თარგმანი) ი. ჩერქეზიშვილის-მუნიციპალური პოლიტიკის საკითხი. ნ. ბუდაევსის -უღელტეხილის გზა. (თარგმანი) ი. ირემაშვილის-ერობა ჩვენში. კატო გ-ძის- სკოლის დემოკრატიზაცია(დასასრული) ნ. გიკის -შრომის ბირჟა რუსეთში. N_აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა დელეგატებთა ყრილობა. ქრონიკა. რუსეთიდან: გ. თუმანოვის-ერობის მართველობის მთავარი ორგანოები. ვ. იანოვიჩის -საერობო ყრილობის,გამგეობის და კომისიისათვის. ნ. იშკოვის -დემოკრატიული ერობა და სახალხო განათლება. რ. ნევიტის-ფერშალი უფლების მდგომარეობის საკითხი. ქრონიკა და სხვა.

21.02.1919

N40

ქრონიკა (გვ.2)

„განათლების“ საღამო 28 თებერვალს „განათლების“ საზოგადოება მართავს საღამოს ქართულ კლუბში. საღამოს წარმოდგენის შემდეგ გაიმართება მეჯლისი „ევგენი ონიგინიდგან“ მონაწილეობას მიიღებენ სახაზინო თეატრის მსახიობნი. შემდეგ ცეკვა.

22.02.1919

N41

ქრონიკა (გვ.2)

გაზეთების დახურვა. 15 თებერვალს გაბაშვილის წერილის გამო, რომელიც შეეხებოდა ინგლისელებს, ერთი კვირით დახურეს გაზეთი „სალი კლდე“ ამავე წერილის გადაბეჭდვისათვის გაზეთი „ზაკავკაზსკოე სლოვო“-ც ერთი დღით შეაჩერეს.

თბილისის ვაჟთა მე-8 გიმნაზიის დირექტორი სთხოვს ხსენებულ გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს მობრძანდნენ კვირას, 23 თებერვალს, დილის 10 საათზე გიმნაზიის დარბაზში მშობელთა წრის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად.

ლექცია. შაბათს, 22 თებერ, საღამოს 5ს., ნაძალადევის თეატრში, ექ. ნ. ტურიაშვილი წაიკითხავს განსაკუთრ. ქალებისთვის „ვენერიული სნეულებანი“.

23.02.1919

N42

ქრონიკა(გვ.2)

ინგლისური გაზეთი. 21 თებერვალს თბილისში გამოვიდა ინგლისურ გაზეთის პირველი ნომერი. გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ - სამშაბათობით და პარასკეობით.

ქართული გიმნაზია ბათუმში. ბათუმიდან გუშინ დაბრუნდა სახალხო განათლების სამინისტროს რწმუნებული ა. ფაღავა. მისი სიტყვით ქართულ გიმნაზიის გახსნისთვის სათანადო ზომებია მიღებული. ბინა ნაშოვნია. მოსწავლეთა რიცხვი 216 აღემატება. არ არის საკმაო რიცხვი მასწავლებელთა. ყოველ შემთხვევაში გიმნაზიაში 1-ლ მარტიდან დაიწყება მეცადინეობა.

26.02.1919

N44

ქრონიკა (გვ.1)

ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ოფიციალური გამოცემა: „ ამიერკავკასიის და საქართველოს საგარეო პოლიტიკის საბუთები და მასალები“ წიგნში შეკრებილია ქრონოლოგიურად პოლიტიკური საერთაშორისო ხასიათის მასალა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის

დაარსების დღიდან წარსული წლის დამლევამდე. საქართველო დამოუკიდებლობის აქტიდან წიგნში აღნიშნულია მხოლოდ საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის ცნობები. წიგნი შეიცავს 500 გვერდს, გამოცემულია რუსულ ენაზე და ღირს 35 მანეთამდე.

ინგლისური გაზეთი თბილისში (გვ.2)

ჩვენს რედაქციას მოუვიდა ქ-ნ ელისაბედ ორბელიანის რედაქტორობით გამოსული ინგლისური გაზეთი. მოწინავეში „ჩვენი მკითხველებისადმი“ გაზეთი იძლევა დაპირებას გააცნოს საქართველოს მდგომარეობა, წარსული და საყურადღებო მიმდინარე მოვლენები აგრედვე აქ, თბილისში მყოფ ინგლისელებს მიაწოდოს შესაფერი ცნობები ევროპაში მომხდარ ამბებზე და სხვა.

მეორე წერილი ბ-ნ ბიქტორ სვიმონშვილსა, რომელიც ორიოდე სიტყვით გაკვრით ეხება, საქართველოს წარსულს და ინგლისიდან მიღებულ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის ტექსტს და იმედს გამოთქვამს, რომ თავისი ძალების ერთჯერ კიდევ მოკრეფით საქართველო „დადგება საიმედო გზაზე კულტურისა ცივილიზაციისა და თავისუფლებისაკენ“.

გაზეთი ერთ კვირეულია, მაგრამ გვპირდება მოკლე ხანში გახდეს ყოველდღიური. სხვათაშორის გაზეთში მოთავსებულა ოქფორდის უნივერსიტეტის პროფესორ ვ. მორთვილს წერილიდან ციტატა, რომელიც ეხება საქართველოს და მის წარსულს. ამონაწერი შეიცავს მრავალ ადგილებს, რომელიც ამკობს საქართველოსა და ქართველობას მისი გმირობისა და პოეტურ ნიჭისათვის იქვე მოყვანილია ჩვენში ცნობილ ოლივერ ვარდროპის შენიშვნების შესახებ ჩვენი მისალმებითის ადათი, სიტყვა „გამარჯვება“. „ეს მისალმება უფრო მჭერმეტყველია ვიდრე თორმეტი ტომიანი ისტორიულ ნაწარმოებიო“.

უარდროპის ამონაწერი თავდება შემდეგნაირათ:

„ღმერთმა გაგიმარჯოს შენ, მამაც საქართველოვ!“ შემდეგ ამისა მოყვანილია მშვენიერი ლეგენდა „რისთვის არიან ლამაზნი ქართველ ქალები?“ ქ-ლ ელისაბედ ორბელიანისა.

კარგია უარდროპის თარგმანი ილია ჭავჭავიძის ლექსისა“ ქართველ დედას“. გაზეთი სუფთად და შნოიანად არის გამოცემული. ვისურვებთ, რომ მეტი თანამშრომლები თანაგრძნობა მოეპოვოს მას ყველა წრეებში.

ტ. მ.

27.02.1919

N45

ქრონიკა (გვ.2)

ჩვენი გაზეთის საკვირაო (2 მარტი) ფელეტონში დაიბეჭდება ლექსები: შალვა ამირეჯიბისა, პაოლო იაშვილისა, გრიგოლ რობაქიძისა, ტიციან ტაბიძისა, ვალერიან გაფრინდაშვილისა, ლელი ჯაფარიძისა და გ. ლეონიძის(ტეოფილ გოტიე) „ვენეციური კარნავალი“.

ახალი გაზეთი. შაბათს, 1 მარტს გამოვა უპარტიო გაზეთ „მილიციის“ პირველი ნომერი. გაზეთის მიზანია მილიციის კულტურულად ამაღლება და ეკონომიურად უზრონველყოფა. გაზეთში მონაწილეობენ დამსახურებული ჟურნალისტები. სარედაქციო კოლეგიის რომელიმე წევრის ნახვა შეიძლება მე-8 სამილიციო კომისარიატში დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

28.02.1919

N46

ქართული კლუბი (გვ.1)

პარასკევს, 1919 წ, თებერვლის 28_ს, საზოგადოება

განათლების სასარგებლოდ დიდი საღამო გაიმართება

1. რუსულად: ночь после бала. ქ-ნ მელიქიშვილისა. ზამთარი, კისოლევსკაია, პ. წერეთელი და ტარსაიძე. 2. თეთრი ვახშამი, ანუ ორი პიერრო. ე. როსტანისა. 3. ცეკვა: ბუერზაკსის, ვაკარეც, ქ.ციციშვილი და პანფინოვი. 4. მუსიკალური განყოფილება ბ. ზალიბსკის, კოპენიცკის, და შულგინას, სარაჯიშვილის და ჩუბინაშვილის მონაწილეობით.

პროგრამის შემდეგ ბალი ღამის 3 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათი. გამგე ა. ანდრონიკაშვილი. საღამოს დიასახლისები: ქ. ე. ალექსი-მესხიშვილისა და ელ. ჩოლოყაშვილისა.

ბოლშევიკები (გვ.2)

„განათლების“ საზოგადოების წლიური კრება კვირას 2 მარტს დილის 11 საათზე სამეურნო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა) მოხდება.

ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტების კრება. პარასკევს თებერვლის 28-ს საღამოს 5-თ საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტების კრება. დასწრება საჭიროა.

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს კრება. დღეს, პარასკევს დილის 11 საათზე დანიშნულია კრება ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოსი მორიგ საკითხების გასარკვევად. კრება დანიშნულია დრამატულ კავშირის შენობაში.

01.03.1919

N47

სამხატვრო ქრონიკა

საღამო „იმედში“. დღეს სასადილო „იმედში“ გაიმართება მორიგი ინტიმიური კარნავალი, რომელშიაც მონაწილეობენ თბილისის საუკეთესო არტისტული და ლიტერატურული ძალები.

02.03.1919

N48

(გვ.1)

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო ამით აცხადებს, რომ ბათომის **ქართული გიმნაზია** გაიხსნა და სწავლა დაიწყება ხუთშაბათს, 6 მარტს 1919 წლისა. ამთავითვე იქნება შვიდი კლასი ვაკანსიები არის ყველა კლასში, გარდა მეორისა, სწავლის ფული 200 მანეთი ნახევარ წლისთვის. მასწავლებელნი და მოწაფენი უნდა გამოცხადდნენ სასწავლებელში (ბადის ქ., ელიავას სახლი) დილის 9 საათზე(ინგლისური დროით).

P.S. ის მოწაფეები, რომელნიც ამჟამად სწავლობენ რესპუბლიკის გიმნაზიებში და პირდაპირ გადმოდიან ბათომის გიმნაზიაში ვალდებული არიან წარმოადგინონ თავიანთი სკოლის უფროსის შესაფერისი მოწმობები, რომელშიაც ისინი მიიღებიან იმავე კლასში უეგზამენოდ, რომლიდანაც ისინი დღეს გადმოდიან. დანარჩენთ გამოსცდიან მიღების დროს. 2-2176-1

ქრონიკა (გვ.2)

ბათუმის ახლად გახსნილი გიმნაზიის გარშემო. განათლების სამინისტროს რწმუნებული აკაკი ფაღავა შუამდგომლობს უმაღლეს და საშუალო სკოლების მთავარ გამგის წინაშე, რომ რადგანაც ქართული გიმნაზია (...) და ვინაიდან საჭიროა მასწავლებლების მოძებნა, ნება მიეცეთ იქ წამსვლელ მასწავლებელთ ნორმაზე მეტი გაკვეთილი აიღონ.

კურსები მაჰმადიან მასწავლებელთათვის. სახალხო განათლების სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე გაიხსნას კურსები მაჰმადიან სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. შუამდგომლობა ჯერჯერობით ფინანსთა მინისტრმა და სახელმწიფო კონტროლიორმა განიხილეს რის შემდეგაც მთავრობას გადაეცემა განსახილველად.

მასწავლებელთა ჯამაგირებით დაკმაყოფილებისათვის. სახალხო განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, მასწავლებელთა ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად გახსნილი კრედიტი, რომელიც 1 თებერვლიდან დაიხურა, კვლავ აღდგენილ იქმნეს.

ბათომის ქართულ გიმნაზიისათვის საჭიროა ფრანგული, გერმანული და რუსული მასწავლებლები. მსურველნი უნდა მიჰმართონ ბ. აკაკი ფაღავას (ერბოლოვის ქუჩა N4)

- რედაქციამ მიიღო სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მიერ მლოცავებში შეგროვილი ფული 401 მან 82 კაპ. ომის საჭიროებისთვის.

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

ხელოვნების ახალი ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“. მარტის შუა რიცხვებში ქ. ქუთაისში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი „ თეატრი და მუსიკა“. ჟურნალში მონაწილოებას მიიღებენ: აბაკელია გრ., ამირეჯიბი შ., გრიშაშვილი ი., გუდიაშვილი ვლ., გუნია ვ., დადიანი შალვა ,ზალცმანი ა., კლდიაშვილი დ., იაშვილი პ., იმედაშვილი ალ., ლორთქიფანიძე ნ., ლუჩიაშვილი გ, მესხი ერ., მიქელაძის ასული., მჭედლიშვილი ი ., ნიკოლაძე ი., თაყაიშვილი ე., ტაბიძე გ., ტაბიძე ტ., ფალიაშვილი ზ., ფაღავა. ა, ფოცხვერაშვილი კ., ცირეკიძე ალ., ქიქოძე შ. – Chaal;co, ქორელი მ., ჩიანელი დია, ჩხიკვაძე ზ., წუწუნავა ა., ჯაბადარი გ., ჯორიკია., ყიფიანი ივ., ჭიაურელი მ.

ქართული სამუსიკო საზოგადოება. დღეს, ჰმართავს საყურადღებო მოწაფეთა კონცერტს თავის სკოლისას. კონსერვატორიის დარბაზში. დასაწყისი დღის 12 საათზეა.

04.03.1919

N49

ქრონიკა (გვ.2)

ქართულ უნივერსიტეტში. ქართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ რადიო ტელეგრაფით აცნობა უნივერსიტეტის დეკანს პროფ. ივ.ჯავახიშვილს, დროებით მისი თანამდებობის აღმასრულებელ პრ. ი. ყიფშიძის გარდაცვალება.

- პროფესორთა საბჭოს უამრავი სამგლოვიარო დეპეშები მოსდის პრ.ყიფშიძის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკი“ გაზეთის კვირის ნომერი არ გამოსულა მუშა მოსამსახურეთა გაფიცვის გამო. მომსახურენი ძველი გამომცემლობიდან სალიკვიდაციო დახმარებას მოითხოვენ.

05.03.1919

N50

ქრონიკა (გვ.3)

მასწავლებლები და მობილიზაცია. სახალხო განათლების სამინისტრომ სამხედრო სამინისტროდან მიიღო პასუხი თავის თხოვნაზე. სამხედრო სამინისტროს დადგენილებით მასწავლებლები მობილიზაციისაგან თავისუფალნი არიან. სამინისტრომ ამის შესახებ გუშინ ცირკულიარი (...) ყველა საშუალო და სახალხო მასწავლებლების გამგეთ.

ქართული ენა განახლებულ სკოლაში (გვ.4)

იმ საგანზედ, რაზედაც გვსურს ჩვენ ვილაპარაკოთ, პრესა დიდი ხანია სდუმს, რით აიხსება ეს სიჩუმე? ალბად იმით, რომ ყველას სადაო საკითხად ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური კითხვები ჰგონია; ყველა ქართველი შეპყრობილია პოლიტიკური ენტუზიაზმით და გარეშე ამ

საკითხისთვის ცხოვრებაც უფერულად მიაჩნიათ. რასაკვირველია პრინციპიალურად არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი პოლიტიკურ საკითხების გარკვევის, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც ის ხელს შეუწყობს, და არ შეუშლის ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა დარგების წესიერ მსვლელობას და განვითარებას. საზოგადოთ ფანატიკოსობა ერთი საკითხის აკვიატება, მასზედ შეჩერება და გაყინვა მავნებლად მიგვაჩნია თანამედროვე ერისთვის.

ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ პრესას, ის უთუოდ დამეთანხმება: ამ ორი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება მეტს ლაპარაკობს ეკონომიურ და პარტიულ საკითხებზედ, ვინემ თვალყურს ადევნებს ჩვენი ცხოვრების კულტურულ დარგებს, სკოლას პედაგოგიკას; ეს იმ დროს ხდება, როდესაც არც ერთ ჩვენგანს არ შეგვიძლიან უსკოლოდ შევძლოთ, გარეშე პედაგოგიკის ცხოვრება მოვაწესრიგოთ.

ჩვენ შევქმენით ახალი სახელმწიფოს წყობილება, გავაძლიერეთ შინაურული და გარეშე პოლიტიკური ძალები, მოვახდინეთ ყოველი დარგის ფილტრაცია ნაციონალურ მიზნების მიხედვით, მაგრამ თამამად შემიძლიან (და ვიღებ თავზედ მოვალეობას დავამტკიცო) რომ ამ მხრივ ჩვენს სკოლას და პედაგოგიკას არაფერი ახალი არ შემატებია.

ძველი სკოლა იარაღი იყო ძველი დახავსებული მთავრობისა, ახალი მთავრობა მოვალეა გამოიყენოს ის საქართველოს გამაძლიერებელ ძალების სასარგებლოდ; ეს მოხდება მაშინ, როდესაც ვეღირსებით სკოლის მთელი სისტემის, მეთოდის შეცვლას.

ძველი სკოლა და ქართული ენა მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ; შედეგად ქართული ენის ნელნელი ემიგრაცია გახდა სკოლიდან და საზოგადოდ ყველა დაწესებულებიდან. მაშინდელმა სკოლამ შექმნა ანტიეროვნული სისტემა სწავლის, ერთი სიტყვით, შექმნა ერთმხრივობა;

ეს გამოიხატა რუსული ენის გაბატონებასა და სხვა „ადგილობრივ“ენების აღმოფხვრაში. სწორედ ამ ანტიეროვნულმა სულმა შეჰქმნა ჩვენი მომავალი თაობა რუსიციზმის იარაღად და აქედან ვრცელდებოდა ეს სენი მთელ ქართველობაში.

უპირველესი ვალი ჩვენი სამინისტორისი ეს ეროვნული სულის დაბრუნებაა. ის ქართული ნაციონალიზმი, რაც კასოს სამინისტრომ ამოსწურა, დღეს ლასხიშვილის სამინისტრომ უკანვე უნდა ჩასწუროს; ის ქართული სული,რომელიც ნიკოლოზის მთავრობამ ამოგვხადა, მთავრობა მოვალეა ჯერ ეს სული დაგვიბრუნოს.

მართლაც და რა განსაცდელში ვიმყოფებით ჩვენ? ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, სრულიად ახალს, ქართულს, გვჭირია ქართველი ძალები, რომელიც მომავალმა ქართულმა სკოლამ უნდა მოგვცეს!

რა დღეში იმყოფება დღეს სკოლა? მთავრობამ ნაციონალიზაცია გამოაცხადა. მაგრამ, როგორც უმრავლეს შემთხვევაში, ისე აქაც სიტყვას მიეცა მნიშვნელობა უფრო თეორეტიული, ვინემ პრაქტიკული.

მაგალითად ავიღებ ერთ-ერთ ვაჟთა გიმნაზიას, რომელთანაც ძლიერ ახლო ვდგევარ და ყველა მისი ამბები ზედმიწევნით ვიცი.

ამ გიმნაზიაში მე-4 კლასამდე ნაციონალიზაციაა სრული და მოწაფეობა ქართველებია, სწავლაც ქართულია. მე-5, 6, 7 და 8 კლასები ისევ ძველ სისტემით შერეული არიან. მიუხედავად ამისა ყოველ კლასში ნახევარი ქართველია. (თითო კლასს ორი განყოფილება აქვს).

საგნებს სწავლობენ რუსულად ქართველებიც და არა ქართველებიც გარჩევა ერთია: არა ქართველები სწავლობენ საქართველოს ისტორიას რუსულად. სად არის სახელმწიფო ენა-ქართული.

ჩვენ არ მოვითხოვთ მეტს, მარა უბედურებაც ის არის, რომ ქართულ ლიტერატურას თვით ქართველებიც რიგიანად არა სწავლობენ. მოგიყვანთ მაგალითს.

მე-6 კლასში ამ წლის განმავლობაში ისწავლეს: „თორნიკე ერისთავი“ ილიას რამდენიმე ლექსი „განდეგილი“ „ელისო“ და რამდენიმე ნაწყვეტი ქართულ გრამატიკაში მხოლოდ სიტყვის შემადგენლობა სხვა არაფერი.

განა იმას ვისაც ქართული ლიტერატურის შესწავლა სურთ ასეთ უსისტემოდ და უმარილოდ ისწავლის? ვიმეორებ: ქართულ სკოლებში ძველი სული არ წაშლილა. ქართული ენის გაკვეთილი ისევ ძველ სურათს წარმოადგენს; გულგრილობა, ინდიფენეტიზმი და საერთოდ უყურადღებობაა!

ჩვენი გულცივობა ჩვენივე ნაყოფია, მას სხვას ვერ დავაბრალებთ და უპირველესად ყოვლისა ეს არის შედეგი ქართველი მასწავლებლების „ამხანაგურობის“. ქართულ ენის გაკვეთილი მითომ თავისუფალი გაკვეთილია, გინდ ისწავლით გინდ არა, გინდ დაესწრებით, თუ არ მოგესურვათ-არ დაესწრობით, კლასში ისე იქცევი, როგორც შინ, გაკვეთილი შეგიძლიანთ არ მოამზადოთ, ამისთვის არავინ არაფერს გეტყვით, არც დაგსჯიან, გადასასვლელად შემდეგ კლასში ვერ დაგაბრკოლებთ, თუ ვერ ლაპარაკობთ ქართულს ეს არ არის მომაკვდავებელი ცოდვა, მასწავლებელს გაეცინება და თქვენც გამხიარულდებით ენის დამახინჯებისას და სხვა მრავალი.

არ ვიცი დანამვილებით რა ხდება სხვა გიმნაზიებში, მაგრამ განა ქართველი მოიშლის ქართველობას?

გიორგი ნადირაშვილი.

06.03.1919

N51

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

ოვ. თუმანიანის იუბილე. სომხეთის მთავრობას ცხოვან პოეტ თუმანიანისთვის დეპეშა გამოუგზავნია: „ სომხეთის მთავრობა გიგზავნით სალამს სომხეთის ლიტერატურის დამამშვენებელს, თავისი ქვეყნის მწარე, მძიმე განცდის დროს. ტკბილი პოეტის ჰანგები მოევლინება მშობელ ქვეყანას, როგორც გამამხნევებელი და ასამაღლებელი ლოცვა“. მინისტრ-თავჯდომარის მოადგილე ა.ხატისოვი.

მიღებულია ერევნის სამხატვრო-სალიტერატურო მტრისაგანაც. „სამხატვრო-სალიტერატურო წრე გიძღვნით მხურვალე სალამს და გამოსთქვამს იმედს, რომ თქვენ ცხოვრების მეორე საუკუნის მხარეს უფრო შესანიშნავ ნაწერებით გაამდიდრებს სამშობლო ლიტერატურას თქვენი ოქროს კალამი“. ბაქოს სომეხთა ინტელიგენციის თავმჯდომარე ა. მანდანიანი დაახლოებით ასე ულოცავს პოეტს: „სომხეთის ინტელიგენციის კავშირი გილოცავთ გულწრფელად თქვენ იუბილეს, როგორც დიდებულ მგოსანს და დაუფასებელ კეთილ გულის მქონე ადამიანს“.

08.03.1919

N53

ქრონიკა (გვ.2)

თბილისის სასწავლებელთა რევიზია. სახალხო განათლების სამინისტროში განზრახულია მოახდინონ ამ მოკლე ხანში თბილისის საშუალო სასწავლებელთა რივიზია.

სხვა და სხვა ამბები(გვ.2)

-ხვალ საღამოს უნივერსიტეტში გაიმართება დისპუტი შემდეგ თემაზე „ხელოვნება და სოციალიზმი“.

პროფესორი ასკოლოსი. „სახლის ნომრებში“ სცხოვრობს პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი იტალიის სამეფო ინსტიტუტის წევრი დოქტორი ასკოლოსი. პროფესორი ექიმობდა იმავე სასტუმროში ავადმყოფ თათარს, რომელმაც ავადმყოფის გავლენით მოინდომა ფანჯრიდან გადმოვარდნა და თავის მოკვლა პროფესორის ოთახიდან. ხმაურობაზე მოგროვდა ხალხი. შემდეგ გამოირკვა, რომ ავადმყოფ თათარს 120 ათასი მანეთი ნიკოლოზის ფული ქონდა. ამან გამოიწვია ეჭვი, რომ მას გაქურდვას უპირობდნენ. პოლკოვნიკმა ასლან ბეგ აბაშიძემ რომელიც ადრევე ამ სასტუმროში სცხოვრობს სხვებთან ერთად დააჭერინა და კომისარიატში გაგზავნა პროფესორი ასკოლოსი. მაგრამ ინციდენტი მალე გამოირკვა. პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ, რომელნიც იცნობდნენ პირადად ასკოლოს გაანთავისუფლებიეს უდანაშაულო მოხუცი პროფესორი. პროფესორი ასკოლოსი იტალიის ქვეშევრდომი ბერძენია და დიდი სახელი აქვს, როგორც მეცნიერის ისე ადამიანობის.

09.03.1919

N 54

ქრონიკა (გვ.2)

გაზეთ „გრუზიას“ სარედაქციო კოლლეგიის წევრმა პართენ გოთუამ ამ გაზეთში თანამშრომლობას თავი დაანება.

კორესპონდენცია (გვ.4)

ქ. გორი

ქართველი ინტელიგენცია შიმშილს განიცდის: მაგრამ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში კი სახალხო სკოლების მასწავლებელნი არიან; ყველაზე უმწეო მდგომარეობაში ეს მუშაკები იმყოფებიან!

ვინ არ იცის, რომ მხოლოდ ძველ დროს ეს ხალხი ცხოვრობდა სოფლად საქართველოს მიყრუებულ ხეობებში, ყოველივე სიხარულს და სიამოვნებას კულტურულ ადამიანისას მოკლებულნი და იღწოდნენ ხალხისათვის, ასწავლიდნენ უკანასკნელს წერა-კითხვა, უნაწილებდნენ ხალხს თავის გონებრივ სალაროდან საზრდოს, ეწინააღმდეგებოდნენ რუსულ ბიუროკრატიულ სასკოლო მთავრობას, ბევრი, ძალიან ბევრი იმსხვერპლა ამ წინააღმდეგობამ, ბევრი მოსწყდა თავის საყვარელ საქმეს რუსიფიკატორ ინსპექტორების წყალობით და მეოხებით.

სცხოვრობდნენ ეს მუშაკნი, ოცდარვა მანეთით თვეში, ითმენდნენ ყოველივე გაჭირვებას, ითმენდნენ შევიწროებას და სცოცხლობდნენ იმ იმედით, რომ მოვა დრო, სანეტარო დრო თავისუფლებისა, თანასწორობისა, სიმართლის ბატონობის. ეს იდეალი და მისი მოლოდინი ბევრს ასულდგმულებდა, ათმენინებდა სიცივეს, შიმშილს, სიტიტვლეს, დამცირებას და ათას გაჭირვებას.

ითმენდა, შრომობდა და ელოდა!

დაიწყო რევოლუცია, დაინგრა პლაცკარტის ფასი ძველი წეს-წყობილება, იფიქრეს ეხლა კი ჩვენც გაგვითენდა. ითმენდნენ და დეპეშებს ჰგზავნიდნენ, ჯერ პეტრეს ქალაქისკენ „მთლიან რუსეთის დემოკრატიულ ფრონტის დროს“ მანუილოვთან. მერე „მთლიან ამიერ-კავკასიის რევოლუციონურ ფრონტის“ ჟამს შახტანტინსკისთან.

ბოლოს „იძულებით“ შექმნილ საქართველოს დამოუკიდებლობისას ლასხიშვილის სამინისტროში.

არავინ داააფასა ის. რევოლუციანური და დემოკრატიული მთავრობანი რუსეთის, ამიერკავკასიის, საქართველოსი სხვებს უმატებდნენ ჯამაგირს, უუმჯობესებდნენ მდგომარეობას, სახალხო მასწავლებელი კი არავის ახსოვდა.

იმ ჯამაგირსაც კი, რომელიც ეკუთვნოდა და ესოდენ მცირე იყო, ვერ იღებდნენ წესიერად; ოთხ და სამ თვეში ერთხელ ეღირსებოდნენ გროშებს. ბოლო დროს კი მეტის-მეტად დაივიწყა მთავრობამ. რამდენიმე თვის ჯამაგირი არ მისცა. მიზეზებს და სხვა და სხვებს ასახელებდა.

ითმენდა სახალხო მასწავლებელი... ითმენდა მაგრამ ერთი თქმულებისა არ იყვეს ყველას აქვს ბოლო და დასასრული; მასწავლებლის მოთმინების ფიალა აივსო... ვეღარ მოითმინა მასწავლებელმა სიცივე, სიმშილი, სიტიტვე, დამცირება და გამოაცხადა გაფიცვა.

მეტი საზღვარი არ აქვს!

ერთი კვირაა სახალხო მასწავლებელნი გორის მაზრაში გაფიცულნი არიან.

სკოლების კარები გამოკეტილია. ამ დროს ალბათ მთავრობა ანგარიშობს, სწავლა-ცოდნის სხივები ეფინებიან მთელ საქართველოსაო!

გაფიცულნი კი ელიან მთავრობისაგან ან ხვედრ ფულს, ჯამაგირით დაკმაყოფილებას, ან გამოცხადებას რომ ისინი დემოკრატიულ მთავრობას მიაჩნია ზედ მეტ ბარგად და ამიერად თვის მოვალეობიდან თავისუფალნი არიან.

მასწავლებელნი ელიან პასუხს. **სოსო.**

11.03.1919

N55

ქრონიკა(გვ.2)

ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ქ. ქუთაისში ი. ფერაძის მიერ შედგენილი და თ. მთავრიშვილის ამხანაგობის მიერ გამოცემული ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფია, „გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი“ წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 3 მ. და 50 კაპ.

არტისტი და ხელოვნება (გვ.2)

ქართველ საზოგადოებას კიდევ კარგათ ახსოვს ის სიამოვნება და აღტაცება, რაც მან მიიღო ამ ბოლო კვირეებში სახელმწიფო თეატრში ქართულ ენაზე გამართულ ორ-სამმა წარმოდგენამ; ჯერ კიდევ არ ჩანელებულა ქართველ ოჯახებში ამ სიხარულის ტალღა და შემდეგშიაც რომ აქ მრავალი სიხარული განგვეცადოს და ეს ფასდაუდებელი დაწესებულება სახეირო და სასიხარულო იყოს ქართველ ერისთვის, დროა მის მომავალზედ ორიოდ სიტყვა ითქვას.

ამ წლის სეზონი თუ არ გათავებულა, მალე გათავდება; მომავალი სეზონისთვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი დასაფიქრებელი, მითუმეტეს, რომ ქართულ ხელოვნებას ეხლა სულ სხვა პირობებში უხდება წინსვლა და მისი განვითარებაც ამ პირობებს უნდა შეუფარდდეს, მას უნდა ეგუებოდეს.

უპირველეს ყოვლისა ქართული წარმოდგენები მომავალ სეზონში ესე კანტი კუნტად აღარ უნდა იმართებოდეს და შემოხვევითი ხასიათი არა ჰქონდეს, ქართული წარმოდგენების მართვას აქ სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს. რადგანაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რომ დღეები ერთი

რომელიმე დარგით ამოივსოს, ამიტომ იგი უნდა განაწილდეს დრამასა და ოპერების წარმოდგენებს შორის.

დრამატული დასის შედგენა უფრო ადვილია,ვიდრე მომღერალთა დასისა, თუმცა ამ შემთხვევაში დრამატული დასიც დიდი სიფრთხილით უნდა შედგეს და მაშასადამე, ყველა ხელმოცარულსა და შემთხვევით თეატრის სცენაზედ, ანუ თეატრის ახლოს გამვლელ-გამომვლელს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. დროა ავ-კარგისგან განირჩეოდეს და ყველა უნიჭოს თეატრი თავშესაფრად არ უნდა მიაჩნდეს. დრამატულ დასში საუკეთესო ძალები უნდა იყვნენ მიწვეულნი, რადგანაც ქართული დრამისთვისაც ეხლა იწყობა პროვინციისაა და სატახტო ქალაქის სცენიური ცხოვრება.

დასის შედგენა ოპერისათვის უფრო გასაჭირია;მომღერელები გვყვანან, მაგრამ არც იმდენნი, რომ შეავსებდნენ პირველი როლისა და მეორე როლების პერსონაჟებს; პირველი როლებისთვისაც რომ მოიპოვებოდნენ, სასურველია, რომ მეორე როლების აღმსრულებლებსაც რამე შკოლა ჰქონდეს განვლილი თორემ ვისაც ხელი წამოკრა და აამღერო ესენი ხომ საოპერო დასისთვის ისეთივე ბალლასტი შეიქმნებიან, როგოროც დრამატულ დასისთვის შემთხვევით სცენაზედ გამვლელ გამომვლელნი. საოპერო დასის შემადგენელმა, რასაკვირველია, უნდა იცოდეს დევიზი ოპერის მოთხოვნილებისა; აქ მოსამსახურეს ესაჭიროება ხმა, ხმა და კიდევ ხმა; დანარჩენი ყველაფერი წლებსა და პრაქტიკას მოაქვსთ.

იქაც შეიძლება ვინმე აგვიხირდეს გვითხრას, -მარტო ხმა არ კმარაო; სრული სიმართლეა, მაგრამ ესეც კია, რომ თუ სადრამო ნიჭი გაქვს და ხმა არ შეგწევს, მაშინ არამც თუ ოპერაში, დრამაშიაც არ გამოდგები; დრამატული არტისტისთვის ხმა ისევე საჭიროა, როგორც

მომღერლისთვის. ხოლო მომღერლისთვის ხმა, როგორც მეომრისთვის ხმალი.

არც კი მინდა ვიფიქრო, რომ ვინც შეადგენს დასს, არც იცოდეს, რა არის მომღერლისთვის საჭირო და რა არა. აქ სიტყვა ისეც გაგვიგრძელდა და უმთავრესად კი აზრად გვქონდა მთავრობისაც და საზოგადოების ყურადღება ერთს გარემოებას მიგვექცია.

საქმე იმაშია, რომ ქართულ სცენას, როგორც ეს პრაქტიკამ დაგვანახა, ინტელიგენცია არ ეტანება და გაურბის. ეს ძალიან ადვილი ასახსნელია: ჩვენი არტისტების ნახევარ მაძღრობითი ცხოვრება ყველამ კარგად იცის; სეზონი გათავდა და იგი მთელ ცხრა, ანუ ვსთქვათ, ხუთი თვე გულხელდაკრეფილი ზის მშიერ-მწყურვალი. იგი იძულებულია მოხეტიალე მსახიობად გარდაიქცეს ეს რამდენიმე თვე პროვინციის საბალაგინო სცენებზედ სული ამოართვას; და მერე ისიც რისთვის? რისთვის და იმისთვის, რომ მაგ, ოზურგეთში ჩასულმა როგორმე დაახწიოს თავი, რის ვაივაგლახით ერთი ან ორი გროში შეკრიბოს; რომ სენაკში გადავიდეს; სენაკშიაც ეს ფიქრი და ეს ტანჯვა; აი ამ ზნეობრივ ტანჯვა-ვაებაში გადის ქართველი მსახიობის მთელი ცხოვრება; ახლა მიბრძანეთ რომელი განათლებული კაცი წეეტანება ამისთანა საქმეს? ვინ არის გმირი, რომ ბედის უმადური გახდეს და თავი საწყევლად გაიხადოს. ეჭვი არ არის, ის მიდის ეხლა სცენაზედ, ვისაც ბედი უკუღმა ჰქონდა დატრიალებული და უნდა აქ გამოასწოროს.

და რომ ქართულ სცენას განათლებული ხალხი არ გაურბოდნენ, რომ სცენაზედ მართლა იმისთანა პირობები შეიქმნას, რომ იქ მხოლოდ ნიჭიერი პირთა ჰქონდეთ ადგილი, ამიტომ საჭირო სცენის მომუშავის უზრუნველყოფა სახელმწიფომ იდვას თავსა და ეს სამარცხვინო

აუტანელი წანწალი ქართველი არტისტისა ერთხელ და სამუდამოდ ამოიშალოს ქართული თეატრის ცხოვრებიდან.

მარტო წლიურად ჯამაგირების დანიშვნა ვერ უზრუნველ ჰყოფს სცენის მომუშავეს, ვერ წასწევს წინ ხელოვნებას. არტისტიც კაცია, მაშასადამე იმ ერთი ხალხური ლექსისა არ იყოს, იმის ცხოვრებაშიაც დადგება იმისთანა ხანა, როდესაც „შინ ცოლშვილს მოსძულდება, გარეთ უნდივარ აღარა“-ო. სანამ უნარი ჯანი და ჭკუა უჭრიდა, სახელმწიფო ჰკვებავდა; ეს რომ ყველაფერი მოაკლდება მოაკლდება და ინვალიდი შეიქნება, მთავრობამ უნდა ჰკრას წიხლი და ქუჩაში გამოაგდოს? ეს ხომ დიდი უსამართლობა იქნება!

და აი, სცენის მომუშავის უზრუნველყოფა, რომ მკვიდრ ნიადაგზედ იყოს დამყარებული, ერთი რამც არის აუცილებლად საჭირო: სცენის მომუშავეს უნდა მიენიჭოს ყოველივე ის უფლება, რაც აქვს მინიჭებული ამა თუ იმ სახელმწიფოს დაწესებულებაში მოხელეს განსაზღვრულ წელთა სამსახურის შემდეგ. მას უნდა ჰქონდეს უფლება პენსიისა; ამასთანავე იგი უნდა სარგებლობდეს ყოველივე მთავრობის დახმარებით, როგორც ყველა მთავრობის მოხელე.

საიდან მიეცეს ეს დახმარება? ამ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის სახელმწიფო თეატრებში მოსამსახურეებმა ეს კითხვა აღძრეს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე; მწვავე საკითხია და ამიტომ სჯა-ბაასიც საყურადღებო იყო; ომმა უსწრო, შემდეგ ჩვენც ვერ ვადევნეთ თვალი გაზეთებს და რითი გადაწყდა არ ვიცით; საღი მოსაზრება კი ამას გვიკარნახებს, რომ სცენაზე მოსამსახურეთათვის მთავრობამ უნდა დაარსოს კასსა სახაზინო თანხიდან; ამ კასსის კეთილდღეობა და ზრდა თვით სცენის მოხელეებზედ უნდა იყოს დამყარებული; ამითი მთავრობას შეუმსუბუქდება ერთნაირი ზრუნვა არტისტებზედ და თვით სცენის

მომუშავენიც იმდენად მიიღებენ უხვად ამ კასიდან დახმარებას, რამდენადაც იგინი გულმხურვალედ მოეკიდებიან კასის მატერიალურად ზრდას. რასაკვირველია, ეს განსაკუთრებით მოხელეთა პროფესიის კასსა, უზრუნველ მყოფელი იქნება მთავრობის მიერ, და, როგორც ვსთქვით აქედან მიეცემათ დახმარება და არა პენსია. სხვათაშორის ასეა მოწყობილი საქმე გერმანიის სახელმწიფო თეატრებში მომსახურეთათვის ამ ფრიად საინტერესო ცნობებზე შემდეგ ვიტყვით რამეს.

თუ ამისთანა პირობები შეიქმნება სახელმწიფო თეატრში მოსამსახურეთათვის, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ნიჭით ინვალიდობას იქ ადგილი აღარ ექნება, ბევრი ნასწავლი მიაწყდება ამ პროფესიას ხელოვნების შესწავლაზედ გაღებულ ხარჯს ნიავზედ დაბნეულად არავინ ჩასთვლის და თეატრის ადმინისტრაცია იძულებული იქნება შექმნას შეჯიბრება, ერთნაირი მექიშპეობა ხმებისაც, დამკვრელებისაც, მომღერლებისაც. ამას გარდა სახელმწმიფო თეატრში ამნაირად საქმის დაყენება შეჰქმნის ამა თუ იმ ხელოვნების სფეროში ერთნაირ მოძრაობას და ამოძრავება იქნება ნიშანი წინსვლისა, და ხელოვნების ზრდისა.

სხვანაირად ძნელია დააინტერესო, გამოიწვიო ქართველი ყმაწვილი კაცობა ამა თუ იმ ხელოვნების დარგში სამუშაოდ და მეშინიან რომ სახელმწიფო თეატრი ჩანელებულ კერას არ დეეგვანოს. აი ერთი სიმპტომიც ამისთანი მომავლისა: ამ რამდენიმე ხნის წინათ თეატრის კომისარმა და მისმა ამხანაგმა მოისურვეს ქართული გუნდის შექმნა ოპერებისათვის; მოვიდა ერთი-ოცი კაცი, მაგრამ ამათაც მალე აიცრუეს გული მეცადინეობაზე; ეს ესეც უნდა ყოფილიყო; ვინ დაჰკარგავს დროს ერთი ორი წარმოდგენისთვის? ან შვიდი რვა თვისთვის დანარჩენი ოთხი თვე რიღათი შეინახოს თავი, ცოლი, შვილი? რუსეთში რომ ირჩევენ

გუნდში მომღერლის პროფესიას, იქ სხვა საქმეა; იქ მრავალი საოპერო დასია, ხუთ თვეს აქ რომ მუშაობს, სამს როსტოვში, ოთხს ეკატერინოდარში და ესე განუწყვეტლივ.

სახელმწიფო თეატრი, რომლის ქონებაც მილიონები ღირს, დღეს თავისუფალ საქართველოს საკუთრებას შეადგენს, ამ ქონებას დიდი მოვლა და უფრო დიდი გამოყენება საჭიროა. სასურველია, მაგრამ, არა, სურვილი ცოტაა; ეს დაწესებულება ლამპარი უნდა იყოს რომლის ცხოველ-მყოფელი სხივებიც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეს მისწვდება; აქ უნდა სცემდეს მაჯა ჩვენი ერის სულიერად აღორძინებისა და ცხოვრებისა და, თუ ვსცდები, ესე უყურებს სახელმწიფო თეატრს რესპუბლიკის მთავრობაც თავის შეხედულება მან ჯერ-ჯერობით გამოხატა იმ ჯილდოში, რომელიც მან გაიღო ხელოვნების წარმომადგენელთა საჩუქრად. სასურველია მთავრობას ეს ჯილდო შემთხვევით და დროებით არ გაეღო, არამედ შეექმნას პირობები, რომელნიც თეატრში დროებით განცდილს სრულს გარდაჰქმმნიან სამუდამოდ დაუშრეტელად. სახელმწიფო თეატრი ქართული ხელოვნების აკადემიად უნდა გარდაიქცეს, აქ იქნება უმთავრესი (...) გამოხატულებისა; აქ უნდა შემოკრებილიყვნენ სმენისა და მხედველობის ილუზიის საიდუმლოებათა გამომხატველნი, რომელთა მეტყველებასაც უნდა აგვირგვინებდეს უმფროსი და -გენიოს უფროსი და-გენიოს რუსთაველისებური ცხოველ-მყოფელი ენა წყლიანი პოეზია-დრამატურგია.

შესაძლებელია ჩვენ ამ კითხვებს ღრმად და ფართოთ ვერ შევეხეთ წერილში, მაგრამ ეს კი ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი ცხოვრების აწეწილ-დაწიწილი პირობების მოწყობასთან ერთად მთავრობამ სახელმწიფო თეატრს და იქ მოხელეთა უზრუნველყოფას ჯეროვანი ყურადღება უნდა

მიაქციოს ვინაიდან დრო არ ხანობს და რამდენიც ადრე დაიწყება ქართული ხელოვნება ამ გზით ზრდას და სიარულს, იმდენი უმჯობესი იქნება ხალხის კულტურისა და მის ნება-განვითარებისათვის.

ი. კარგარეთელი.

12.03.1919

N56

ქრონიკა(გვ.2)

ქართველი სტუნდენტობა დამფუძნებელ კრების დღესასწაულში. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, სტუდენტები და მსმენელები უნდა შეიკრიბნენ დღეს დილას ათ საათზე გასამგზავრებლად.

ქართული წარმოდგენების აკრძალვა. სახელმწიფო თეატრის კომისარის განკარგულებით სახელმწიფო თეატრში „კავშირის“ დასს წარმოდგენების გამართვა აღეკრძალა.

13.03.1919

N57

ქრონიკა (გვ.3)

პავლე ინგოროყვა. ჩვენი გაზეთის თანამშრომელი და ახალგაზრდა მეცნიერი პავლე ინგოროყვა წინწკლებიან სახადით ავად გახდა.

სომხეთის განათლების მინისტრი. სამშაბათს საღამოს სომხეთიდან თბილისში ჩამოვიდა სომხეთის სწავლა-განათლების მინისტრი გ. კარაკოზოვი.

ილია წინამძღვრიშვილი. ჩვენი მხცოვანი მოღვაწე და დიდი მოამაგე ილია წინამძღვრიშვილი რომელმაც მრავალ ღვაწლის გარდა წინამძღვრიანთ კარში სამეურნეო სასწავლებელი დაარსა, ამჟამად უყურადღებოდ მიტოვებული დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის.

სამუნიციპ. ცხოვრება (გვ.3)

სასკოლო კომისიაში.

საბჭოს სასკოლო კომისიის თავჯდომარედ არჩეულ იქნა ვარ.ბურჯანაძე და მის ამხანაგად ივ. გომართელი.

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი (გვ.4)

გაზეთ „ნოვოსტი დნიაში“ (N 201) მოთავსებულია ვინმე ფ. ვოლგარის წერილი „ყოფნა-არყოფნის „ სათაურით. ავტორი ეხება ამიერ-კავკასიის რუსულ უნივერსიტეტის ტრაგიკულ მდგომარეობას და მის ყოფნა არ ყოფნის საკითხს. ბ-ნი ვოლგარი მეტად ვულგალურად უსაყვედურებს ჩვენ მთავრობას, რომ იგი სათანადო დახმარებას არ უწევს რუსულ უნივერსიტეტს, როგორც ერთ უდიდეს კულტურულ დაწესებულებას. სხვათაშორის ბ. ნი ვოლგარი ბრძანებს: „მაგრამ თბილისში არის ხალხი, რომელსაც „უცხოეთის“ უნივერსიტეტის გაქრობა სასიამოვნო მოვლენად მიაჩნია. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს ვეშაპელის „ ხუთმანეთიანი“ რომელიც გამომეტებული იყო ამიერ-კავკასიის „სუბსიდიის“ სახით, ნაციონალისტების მხრივ ამ სიტყვების შემდეგ ავტორი გოდებს, რომ რუსული უნივერსიტეტი იღუპება მას არა აქვს საშუალება, მას არა აქვს სადგომი და სხვა.

გასაკვირველია ერთი რამ: ყველას არ უნდა მოკალათება. უეჭველად საქართველომ უნდა გაუწოდოს ხელი, ქართველები უნდა დაეხმარონ, მაგრამ ქართველებს ვიღა უნდა დაეხმაროს, ვინ უნდა უშველოს? ამას როდი კითხულობენ, დეე იყოს რუსული უნივერსიტეტი, ხოლო თუ ქართული უნივერსიტეტი არ იქნება ამაზედ არავინ იდარდებს.

იმას როდი დაგიდევენ, რომ გაიგონ ქართული უნივერსიტეტი როგორ გასაჭირშია . საქართველოს მთავრობას თავისი უნივერსიტეტისთვისაც კი ვერ გაუწევია საკმაო ნივთიერი დახმარება.

ყველამ კარგად ვიცით თუ რა გაჭირვებაში არიან ქართველი პროფესორები, მაგრამ ითმენენ, იმიტომ რომ მათ კულტურულიო საქმე უყვართ ,შეგნებული აქვთ მოვალეობა და კარგადაც ხედავენ დღევამდელ პოლიტიკური ცხოვრება რა პირობებშია.

თითქმის საქართველოს მთავრობა წინააღმდეგი იყოს იმის რომ ან რუსული უნივერსიტეტი არ იყოს თბილისში, ან რომელიმე კულტურული დაწესებულება.

დღეს საქართველო აღმაშენებლობის გზას ადგია. ყოველი მისი ფუნქცია მეტად რთულია, დაჭიმულია მისი სასიცოცხლო ძარღვები. იგი უაღრეს რღვევას განიცდის, რომლის შედეგი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცება. და რომ ჩამოვთვალოთ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ყოველი ნაკლი და მინუსი მაშინ მეტად უნუგეშო სურათს დავინახავთ.

არ შეიძლება დღევანდელ მომენტის ნაკლის მითითება და რაც ძალ-ღონეს არ შესწევს უეჭველად გინდა თუ არა ეს გააკეთე, ეს შეასრულეო.

სწორედ ამ თვალსაზრისით მისდგომიან ბ-ნ ვოლგარი და თავისი რუსულ უნივერსიტეტის მეტს საქართველოს ცხოვრებაში ვეღარაფერს ვერ ხედავს.

წერილის ავტორი ლაპარაკობს იმაზედაც - რომ თბილისის რუსულ უნივერსიტეტს, ადერბეიჯანის მთავრობა აძლევს სუბსიდიას (ხუთ მილიონს) და ბაქოში თხოულობს გადატანას. ასევე სიამოვნებით იღებს უნივერსიტეტს სომხეთი, მხოლოდ ბ-ნი ვოლგარი ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ თბილიში რატომ არ უნდა იყოს რუსული უნივერსიტეტი და მერე იქ, სადაც კულტურული ცენტრია!

ვ.ბ.

16.03.1919

N59

კორესპონდენცია (გვ.4)

წერილი თიანეთიდან

1919 წლის 27 თებერვალს თიანეთის პირველ დაწყებით სკოლის შენობაში შესდგა წლიური კრება ადგილობრივ ქალთა წრის საზოგადოებისა. კრებას დაესწრო 40 ქალი.

(აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საზოგადოებამ გახსნა საფეიქრო სკოლა და ამ დღეებში შეუდგება კიდეც მუშაობას).

სარევიზიო კომისიამ მოახსენა საზოგადოებას ამ წრის მოქმედება და წარსულ წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ნაღდი ფულის ჯამი მცირე აღმოჩნდა, სულ 250 მ.

მასწავლებელად ქ-ნი ბრაგვაძისა იქმნა მიწვეული, რომელმაც ღარიბ საზოგადოებას აღუთქვა სკოლაში უსასყიდლოდ შრომა პირველ ერთ თვეს. შემდეგ კი ჯამაგირი მასწავლებელს შემოსავლის და კვალად მიეცემა. შენობაც სკოლას შესაფერის ადგილას შეურჩიეს. შემდეგ ქალებმა გაინაწილეს სოფლები, რომლებიც მათ უნდა მოიარონ და ჩვენი ჯარისთვის მოჰკრიბონ შემოწირულობა. ბოლოს ძველი გამგეობის ნაცვლად ახალი გამგეობის წევრებად შემდეგი პირები არიან მ. ფიცხელაური, ნინო შამანაურისა, ქ-ნი ოლღა პაპავა, ქ-ნი ეკ-ნე გოჯიაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: საყვარელა ბაკურაძე, ევა გელოვანისა და ერმონია ბასაშვილი.

ერთი წელიწადია რაც თიანეთში ქალთა წრე დაარსდა მაგრამ უსახსრობის გამო დღემდის საქმისთვის ხელი ვერ მოუკიდია. საზოგადოების უხალისობის მიზეზით კასა ცარიელი ჰქონდა აქაურ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებასაც, რომელიც თუ კიდევ

სულს იდგამს ბ-ნი მიხ. ძებნიაურის წყალობით. მეტად ღარიბად არის აგრეთვე ადგილობრივი სამკითხველოც ყველა ამ დაწესებულებათ შეეძლოთ წარმოდგენებით, სახალხო ლექციებით და სხვ. აღმოეჩინათ შემოსავლის წყარო, მაგრამ ვიმეორებ ამისთვის საჭიროა ერთსულოვნება, საქმიანობა რაც ჩვენი საზოგადოების ინტელიგენტებში ნაკლებად არის.

ჩვენი ქალთა წრის საზოგადოებაც ჯერჯერობით უსახსროდ არი, მაგრამ წლის დამლევისთვის მან მაინც ძლია დაბრკოლებანი და საფეიქრო სკოლა გახსნა,სადაც მოწაფეებს უფასოდ შეუძლიანთ შეისწავლონ ქსოვა შალეულობის. ამ სკოლის მუშაობა ჩვენ დაბალ წრის ქალებს შეაჩვევს საზოგადოებრივ მუშაობას. ასეთი მოქმედება ამ პატარა წრისა და მას წრფელი გულით უნდა ვუსურვოთ გაორკეცებული სიმხნევე, რათა სათანადოდ გაუძღვენ ამ საქმეს და წლის დამლევს დაგვანახონ კეთილი ნაყოფი.

სოფლელი ქალი.

18.03.1919

N60

ქრონიკა (გვ.2)

სომხეთის განათლების მინისტრთან. 16 მარტს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენლებმა თბილისში მყოფი სომხეთის განათლების მინისტრი ინახულეს. დელეგაციამ სთხოვა მინისტრს - იშუამდგომლოს სომხეთის მთავრობის წინაშე მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს. მინისტრმა მათ დახმარება აღუთქვა.

22.03.1919

N64

ქრონიკა (გვ.2)

გაზეთის გამომცემელთა კრება.

19 მარტს შესდგა გაზეთის გამომცემელთა და სტამბის პატრონთა საერთო კრება, რომელზედაც დაადგინეს მუშების ჯამაგირების მომატების საკითხი ხელახლა გაირჩეს. გამომცემელ წარმომადგენლის თანდასწრებით.

პარტიული ცხოვრება. (გვ.2)

კვირას 22 მარტს სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სტუდენტთა საზოგადო კრება. კრების საგანია გამგეობის მოხსენება მისი მოქმედების შესახებ და ახალი გამგეობის არჩევის საკითხი. პარტიულ ამხანაგებს ვსთხოვთ, დაესწრონ.

ერ. დემ. პარ. სტუდ. ბიურო.

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

ჟურნალი „ხელოვნება“ თბილისში. გამოვიდა რუსული სათეატრო ჟურნალი „ხელოვნება“ („Искуство“) მეორე ნომერი. ჟურნალი სუფთად არის შედგენილი და ღირს 4 მანეთი.

„რესპუბლიკის ჯარი“ გამოვიდა ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“-ს მორიგი ნომერი (N15)

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა (გვ.3)

ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტების კავშირის გამგეობა მხოლოდ ს.-ფედერალისტთა წარმომადგენელთაგან შესდგება. გამგეობის არჩევიდან ერთი კვირის შემდეგ გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატების ფრაქცია მისთვის, რომ იქ გამეფებულ „შუქურ ვარსკვლავთა“ სამართლიანობამ არ მისცა მათ პრეზიდიუმში შესაფერი ადგილი. ერ.-

დემ. სტუდენტობამ ამაში დაინახა პარტიულ დროშის შეურაცხყოფა და თავისი ფრაქცია გამგეობიდან გამოიწვია. გამგეობაში ორი ფრაქცია დარჩა: ს.-ფ. და ს.-დ. გადის დღიდან არჩევისა 4 თვე და გამგეობიდან გამოდის სოც-დემ. ფრაქცია. მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ იქ მაინც არაფერი კეთდებოდაო. გადის ორი კვირა პირველი ს.-დ. გამოსვლიდან და ს.-ფედ მემარცხენეთა ფრაქციის წარმომადგენელიც გამგეობიდან გამოდის. საქმე იმაშია, რომ პარტიული ფანატიკოსები ჩვენი სტუდენტები საზოგადო მუშაობისათვის აღარ ვარგანან. მე არ შევუდგები იმის განხილვას თუ რამდენად მიზან-შეწონილია ეროვ-დემ გამოსვლა იმისთვის, რომ მათი პარტიული დროშა შეურაცხყვეს. ეს დიდი საკითხია და ყველას თავისებურად ესმის. მაგრამ გამოსვლა იმისთვის,რომ იქ არაფერი კეთდებოდაო, სირცხვილია არა მარტო სოციალ-დ. რომლებმაც ასეთი ფრაქცია აარჩიეს, არამედ ქართველ სტუდენტობისათვის, რომლის სახელს ისინი ატარებენ. არაფერი კეთდებაო მჩატე სათქმელია, მაგრამ ძნელია ის მაშინ როცა ამ არაფრის მკეთებელთა გამგეობაში თქვენც ბ-ს-დ-ო 4 თვე საღათას ძილით გეძინათ. პირველი დანაშაული თქვენი ის არის, რომ არაფერი გააკეთეთ, მეორე კი ის არის, რომ მოინდომეთ პასუხისმგებლობას გაქცეოდით.

ახლა გადავიდეთ რა გააკეთა ხსენებულ გამგეობამ უნივერსიტეტის სასარგებლოდ. გააუმჯობესა სტუდენტობას ოჯახური მდგომარეობა, მოაწყო სტუდენტებისთვის იაფ ფასიანი სადილი? ვერა, მოაწყო სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი? - ვერა, მოაწესრიგა უნივერსიტეტში მეცადინეობის საქმე, გამოსცა რომელიმე პროფესორის ლექციები?-არა!

მიჰმართა თუ არა რომელიმე დაწესებულებას (მაგ.ქალაქთა კავშირს) რომ დახმარებოდნენ სტუდენტობას იაფ ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ან სურსათის მიწოდებაში.

გააძლიერა თუ არა თავისი მატერიალური რესურსები, რომ მომავალ გამგეობას მაინც შესძლებოდა რამე გაეკეთებინა? ვერა.

გამოვიდა თუ არა რაიმე ინიციატივა მათგან საერთო თბილისის ან თუ გინდ ქართველი სტუდენტობის ცხოვრებაში. ისიც კი ვერ შეასრულეს, რაშიაც მათი მარტია ფრიად დახელოვნებულია(დროშებით გამოსვლა). მათ იქამდე მოადუნეს ქართველი სტუდენტობა, რომ ქართველი სტუდენტობას მრავალ რიცხოვანი პროცესია საქართველოს ისტორიულ დღესასწაულზე 12 მარტს არ ჰჩანდა.

ასე სახელოვნად მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირისა და ნამდვილად კი შუქურ ვარსკვლავთა პარტიის გამგეობა. ორ კვირაზე მეტია წერილობითი განცხადება შეიტანეს ერ. დენ. და ს. დენ. საუნივერსიტეტო ფრაქციებმა, რომ მათ კრება მოეწვიათ, მაგრამ გადის მესამე კვირაც და კრებას არ იწვევენ. გრცხვენიათ თქვენი ნამოქმედარის გამოქვეყნება? ჰკითხეთ: რამ შეუშალათ ხელი? გეტყვიან სომხეთის ომში, არჩევნებმა და სხ. აბა ერთი გვიბრძანეთ ბ.ფედერალისტებო და თქვენს მოვალეობისაგან გაქცეულნო ს.-დემოკრატიულო ფრაქცია, რომელი თქვენგანი იყო ომში თუ ომში წასვლად ჯარისკაცის გეტრებითა და „ბათინკებით“ გოლოვინის პროსპექტზე სეირნობას არ ჩავსთვლით?

თქვენგან ომში წავიდა მგონი ერთი თუ ორი დანარჩენი 15 კაცი რას აკეთებდით?. არაფერს. ქართველი სტუდენტები მიუხედავად პარტიული რწმენისა,როგორც მოქალაქე, რომლის ნდობაც თქვენ ბოროტად გამოიყენეთ, მოვალეა სასტიკი პასუხი მოგთხოვოს თქვენს პარტიული ამხანაგებისა და ქართველი სტუდენტობის ტრადიციის შექმნით.

ამხანაგებო, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებო! ხომ ჰხედავთ მთელი 5 თვის თქვენი გამგეობის მოქმედებას. ამაღლდით

მოქალაქეობრივ შეგნებამდე. დაესწარით სტუდენტთა საერთო კრებას, პასუხი მოსთხოვეთ თქვენი ნდობის ბოროტად მომხამრთ და აირჩიეთ ახალი საქმიანი გამგეობა, რომელიც მაღლა დაიჭერს ქართველ სტუდენტთა ალაგს.

ე. პატარიძე.

23.03.1919

N65

ქრონიკა (გვ.3)

სამეცნიერო და საპედაგოგიო ჟურნალ „განათლების“ ახალი სარედაქციო კოლეგია რომელიც საშუალო და სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირმა აირჩია, ჟურნალის გამოცემის თადარიგს კიდეც შეუდგა. ჟურნალის ფასი ჯერ ისევ 20 მან. რჩება. ჟურნალი გაეგზავნებათ შარშანდელ ხელის-მომწერთაც და ახლებს შარშანდელი ნომრებიც. ჟურნალი „განათლება“ მიღებულია მასწავლებელთა ორგანოდ. მისამართი: თბილისი, მეშვიდე გიმნაზია. პირველი წიგნი 1919 წლისა,რომელშიაც მოთავსებული იქნება დროს შესაფერისი შინაარსიანი წერილები, სასკოლო პროგრამები და სხვა მასალები მოკლე ხანში დაიბეჭდება.

25.03.1919

N66

ქრონიკა (გვ.2)

გ. ქიქოძის წიგნი. იბეჭდება მოკლე ხანში გამოვა გ. ქიქოძის „პოლიტიკური და ლიტერატურული წერილების კრებული“.

ზემო ქართლში (გვ.3)

სახალხო სკოლების მდგომარეობა.

თანამდებობის პირთაგან სკოლების აწიოკება. სოფლის სამღდელოება. მღვდელი-ყაჩაღი. ცრუმორწმუნეობა ხალხში. თიღვის ტაძარი. გორის სასულიერო სასწავლებლის ბედი.

სახალხო სკოლების საქმე ქართლში ცუდად მიდის. სკოლების სიმცირე საგრძნობია, არიან ხეობები, სადაც სკოლის ხსენებაც კი არ არის. მთელი ხეობა ფრონისა სადაც ოცდა-ათამდის სოფელი იქნება სრულიად უსკოლოდ არის მიტოვებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კ. ამირეჯიბის დღეს უკვე სრულიად მიმქრალს. ასევეა სხვანაგანაც. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გორის სამაზრო ერობამ პირველ მიზნად დაისახა სკოლის საქმის მოწესრიგება, რისთვისაც მოკლე-ვადიანი კურსები გახსნა მასწავლებელთა კადრის შესაქმნელად. რომელმაც უკვე 10 თებერვლიდან დაიწყო მოქმედება. კურსებზე მიიღეს ყველა ის,ვისაც დამთავრებული ქონდა ოთხი კლასის კურსი რომელიმე სასწავლებელში. დღეს კურსები უკვე შევსებულია და გაჩაღებული მეცადინეობა სწარმოებს. მაგრამ არ შეიძლება ერთი რომ არ შევნიშნოთ, კურსების დამაარსებელთ. მოგეხსენაბათ, რომ კურსები დაარსებულნი იყვნენ გორის მაზრისთვის და ამიტომ სასურველი იყო, რომ კურსებზე ადგილობრიც მცხოვრებნი ე.ი. გორის მაზრისანი ყოფილიყვნენ სანახევროდ მაინც, რადგანაც კურსდამთავრებულნი ქართლელები უფრო ამჯობინებდნენ თავიანთს სამშობლო ქართლში დარჩენას და აქ სამსახურს. დღეს კურსებზე კი 6-7 კაცი ძლივს არის ქართლელი. ეს რასაკვირველია იმით კი არ აიხსნება, რომ მსურველნი არ მოიძებნებოდნენ ქართლში, ამაში ერთის მხრივ დამნაშავეა თვით ერობაც. ერობამ ყველგან ვერ მიაწვდინა ცნობა. ამ კურსების გახსნის შესახებ, იმან მხოლოდ გაზეთებში გამოაცხადა ამის შესახებ და როგორც მოგეხსენებათ ქართლის სოფლებში სანთლით რომ ეძებოთ გაზეთს ვერ ნახავთ რადგანაც ფოსტის მოუწყობლობა იმათაც კი ვინც განუწყვეტლივ

იწერავდნენ გაზეთებს უარი ათქმევინა გაზეთების გამოწერაზე. საქართველოს იმ კუთხეში სადაც ბიბლიოთეკებია და გაზეთები მიდის, ადრე გაიგეს კურსების გახსნა და დროზედაც ჩამოვიდნენ კურსებზე. ქართლმა კი დაიგვიანა და როცა უკვე შევსებული იყო კურსები, ქართლელები მაშინ მოვიდნენ ბევრი უკან გაბრუნდა. სასურველია, შემდეგში მაინც იმისთანა საქმე ყოველივე ზომა მიიღოს ხოლმე, რომ ფართო საზოგადოებას აცნობოს ხოლმე მაზრაში და მით საშუალება მისცეს მაზრაში მცხოვრებთ მონაწილეობა მიიღონ ამისთანა საჭირო და სასარგებლო საქმეში.

ამ კურსებით რასაკვირველია ცოტად მაინც ეშველება ქართლის სკოლებს, რომელნიც დიდ ნაკლს განიცდიან მასწავლებლებისას. ჩვენ ვიცით ისეთი სკოლები რომლებიც 6-7 თვის განმავლობაში ეძებნდნენ მასწავლებლებს და ვერა ჰპოულობდნენ.

მაგრამ მარტო მასწავლებლების დანიშვნა არ იქნება საკმარისი, საჭიროა უზრუნველყოფილნი იყვნენ ისინი სოფლის მოხელეთა თვით მუშაობისაგან. აი რა ცნობები მოდის სოფლიდან. ერთ სოფელში მეცადინეობის დროს შეიჭრა კომისარი და ფეჩს, რომლითაც ათბობდნენ კლასს დასტაცებს ხელს და წაიღებს. მასწავლებელი პროტესტს აცხადებს, მაგრამ კომისარი მკვახედ ბრძანებს, -ფეჩის სოფლისაა და რაც მინდა იმას ვუზამო. მოსწავლეებმა სიცივეს ვეღარ გაუძლეს და მიანებეს სკოლაში სიარულს, მასწავლებელმაც გამოკეტეს კარი სკოლისა და მის მუდარს სოფელმა რომ ან ფეჩი დაებრუნებინათ ან სხვა ეყიდნათ არაფერი ყურადღება მიაქცია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მეორე სოფელში სკოლიდან კომისარმა სასკოლო ნივთები წაიღო და როდესაც მასწავლებელმა ენერგიულად მოითხოვა ნივთების დაბრუნება, კომისარმა თუ არ ვიცი მისმა დამქაშებმა კარგადაც მისცხეს მასწავლებელს. საბრალო

უმწეო მასწავლებელი განშორდა სკოლას და მრავალი მოსწავლე უმასწავლებლოდ და უსასწავლებლოდ დარჩა. მესამე ადგილს კიდევ მასწავლებლის არყოფნის დროს სკოლა გასტეხეს და როგორც უნდოდათ ისე ხმარობდნენ მცხოვრებნი.

ასეთ უმწეო მდგომარეობაში არიან დღეს ქართლის სასწავლებლები, საჭიროა ნორჩმა ერობამ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ალაგმოს თავგასულობა იმ პირთა რომელნიც ასეთ მდგომარეობაში აყენებენ მოზარდ თაობის აღზრდის საქმეს სოფელში.

არა უკეთეს მდგომარეობაშია ქართლში სარწმუნოების საქმე. დიდ ლიახვის ხეობაზე ოსებში, როგორც ჩამოსულებმა გადმოგვცეს გახშირდა სამოქალაქო ქორწინება, უმღვდლოდ მკვდრის დამარხვა და სხვა. მაგრამ თუ ხალხი ამას სჩადის, თვით სამღდელოებაც ხშირად ვერ არის თავისი მაღალი მოწოდების გამომხატველი. ამ ბოლო დროს ასეთს მაგალითებს ჰქონდა ადგილი. სოფელ ძლევიჯვრის მღვდელი მიემგზავრება რკინისგზის სადგურ ქართლისაკენ, გზაზე შეხვდება ვინმე ოსი შეაჩერებს და რევოლვერით ხელში უბრძანებს ამოიღოს რაც ჯიბეში ფული აქვს და გადასცეს. ოსი იღებს ჯიბიდან ათას მანეთს და გადასცემს მღდელს მერმე მგზავრს კიდევ გააძრობს ტანისამოსს და არხეინად გაუდგება გზას,შემდეგ კიდევ დახვდება მეურმეებს და იმათაც რევოლვერით ემუქრება და გაძარცვას მოუნდომებს: მაგრამ მეურმეები მაგრად დაუხვდებიან და მღვდელი ვერაფერს უშვრება. აი ასე თარეშობს მღვდელი ვიდრე მილიცია არ შეიპყრობს და ციხეში არ უკრავს თავს. მაგრამ ნახეთ ხალხის გაკვირვებას, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ეს მოთარეშე ყაჩაღი მღვდელი ისევ-ისევ თავის სამრევლოში გამოიჭიმება და მღვდელ-მსახურებას შეუდგება. გვაკვირვებს სასულიერო მთავრობის მხრივ ასეთი უყურადღებობა და მოთარეშე მღვდლის ასე დაუსჯელად

გაშვება. ნუ თუ ამითი უფრო არ ეცემა და მცირდება სამღვდელოება ხალხის თვალში მაგრამ ეს კიდევ ცოტაა მეორე მღდველმა ს. სღუბირში თავისი ძმა მოჰკლა და ისიც თურმე არხეინად დასეირნობს ნუ თუ ამის შემდეგ ხალხს უფლება არ აქვს ამგვარ სამღვდელოების შესანახად გროშიც არ გაიღოს და სრულიად მათ მოშორებას ლამობდეს თავიდან.

ზოგიერთმა მღვდელმა მარხვის შენახვა სრულიად გადააგდო. შობის მარხვაში მკვდრების დასაფლავებაზედ ან წირვაში საქონელს აკვლევინებდნენ თითონაც ჭამდნენ და ხალხსაც აჭმევდნენ.

აბა ასეთი სამღვდელოება რა მზრუნველობას გაუწევს ხალხსა და ეკლესიას. ხალხი ცრუმორწმუნეობის მორევში სცურავს და ისეთ უცნაურ ამბებს შეხვდებით მეტადრე ფრონის ხეობაში ამ ღვთისაგან დავიწყებულ და ადამიანისაგან დავიწყებულ კუთხეში გაკვირვებიდან გამოდიხარ. აი მაგალითები. მოგეხსენებათ, რომ ეხლა ათასი გადამდები ავადმყოფობანი მძვინვარებს ხალხში, ხალხს იმის მაგივრად რომ ექიმისთვის მიემართნა და დახმარება ეთხოვნა მკითხავისთვინ მიუმართავთ და იმას ურჩევია, რომ ხალხს შეუსცოდნია ღვთისათვის და ამიტომ უნდა ეცადოთ მოინანიოთ თორემ ცუდად იქნება თქვენი საქმეო. ამისათვის კი საჭიროა სამი დღე უქმად დასდოთ კვირაშიო, ორშაბათი, პარასკები და შაბათი. ამ დღეებში არც ადამიანმა უნდა იმუშავოს და არც საქონელი უნდა შეაბათ ურემშიო. ეხლა მისდგომიან მოკოს ფრონის ხეობაზედ და ყველას უკრძალავენ ამ დღეებში მუშაობას. ერთ სოფელში აზნაურის შვილებმა შემომჩივლეს ძალას გვატანენ უმეტესად ოსებიო, უსათუოდ უნდა შეასრულოთ ეს უქმეები თორემ ცუდ დღეს დაგაყენებთო: აუხსენი, ვისაუბრე ბევრგან რომ უსაფუძვლოა ეგეთი შეხედულება მეთქი, მაგრამ სულ ერთს გაიძახოდნენ, -ეს ერთი წელიწადი ვიუქმეთ უსათუოდ და თუ ამ უქმობამაც ვერაფერი გვიშველა მივანებებთ უქმობასაო.ერთგან კიდევ

ქადაგად დაცემული დედაკაცი დადის თურმე, ყველას ჩოქის თავზედ აყენებს და უბრძანებს სამი ლუკმა მიწა გადაყლაპონ, თორემ ღმერთი უარესად განრისხდება და უარეს ავადმყოფობას მოუვლინებს ქვეყანასაო. ეხლა მოგეხსნებათ ყველგან საქონლის ავადმყოფობა არის გავრცელებული, ხალხში ხმა გავრცელებულა, რომ ხარი წასულა ღმერთთან ცაში და შეუჩივლია ბევრს მამუშავებენო და ამიტომ განრისხდა ქვეყნიერება და ავადმყოფობა მოავლინაო. ასეთი და მრავალი ამგვარი ცრუმორწმუნეობა არის ხალხში გავრცელებული, მაგრამ სულიერნი მამანი ნირსაც არ იცვლიან და არასცდილობენ განუფანტონ ხალხს ეს ცრუ-შეხედულებანი.

აი სწორედ ასეთი მამების ხელში ეკლესიები ოხრდებიან, ტიალდებიან და ინგრევიან და ისინი რომელთა პირდაპირ საზრუნავს შეადგენს ეკლესიების განსპეტაკება გამშვენიერების საქმე გულზედ ხელდაკრეფილები სხედან და აი ნუშიაც არ ამოსდით ეკლესიაზედ ზრუნვა. ამ მოკლე ხანში ვნახე დიდებული ტაძარი თიღვისა, ეს ერთ დროს მთელს ხეობაში ქრისტეს ლამპრის გამავრცელები. საბრალოსა და სავალალო სურათს წარმოადგენს იგი დღეს, ყველგან წვიმა ჩამოდის, სცვივა თეთრად შეგლესილი კირი და შორს არ არის ის დრო როცა ეს კულტურული ნაშთი ჩვენი წარსული ცხოვრებისა ჩამოინგრევა და თან ჩაიტანს ხსოვნას ჩვენი წარსულისას.

ტაძრის გალავანი მთლიანად გარღვეული და დავერანებულია სკოლაც რომელიც შიგ ეკლესიაში ყოფილა მოთავსებული სულ ამოხდილი და მიკეტილია. აი ასეთ მდომარეობაში დღეს თიღვის ეკლესია და მის ასეთ დაძაბუნებაზე და გატიალებაზე არავინ იღებს ხმას. მაგრამ განა მარტო თიღვის ტაძარია ამ მდგომარეობაში? ჩვენი სამღდელოება

იმდენად დაკნინებულია, რომ თითქმის სრულიად მიუტოვებია ეკლესიაზედ ზრუნვა.

მაგრამ, როცა სამღდელოება ასე დაკნინდა და მოლიპულ გზისაკენ მიექანება, ჩვენი მთავრობა თითქოს განგებ ხელს უწყობს ამას. მოგეხსენებათ, რომ სამღდელოება განათლებას უმეტესად სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში იღებდა განათლებას, დღეს კი ეს სასწავლებლები იკეტებიან. ესევე დღე მოელის ქართლის სასულიერო სასწავლებელს ქალაქ გორში, რომლის დღეები დათვლილია. ეს რასაკვირველია ბუნებრივად ხდება, თუ სასულიერო სასწავლებელმა დაჰკარგა თავისი ძველი გზა-კვალი და მიმართულება და გიმნაზიად გადაიქცა, გორი კიდევ ორ გიმნაზიას ვერ შეინახავს და რასაკვირველია ერთ-ერთი უნდა დაიკეტოს. ჩვენ არაფერს ვიტყვით ამ სასწავლებლის საჭიროებაზედ მაგრამ ერთ გარემოებაზედ კი არ შეგვიძლიან არ მიუთითოთ მთელ ფართე საზოგადოებას. ამ სასწავლებელში სწავლობენ უმთავრესად ღარიბ-ღატაკნი, რომელნიც ვერ გავლენ დღევანდელ გორის გიმნაზიაში, რადგანაც იქ სწავლის ფულის 400 მანეთის გადახდა ყოვლად შეუძლებელია და 200 მოსწავლე სასულიერო სასწავლებლისა ქუჩაში უნდა დარჩნენ. ამიტომ თვითვე სასწავლებლის პერსონალი შეუდგა იმაზედ ზრუნვას, თუ როგორ მოუაროს ამ საკითხს და უსწავლელნი არ დარჩნენ ამოდენა ღარიბ-ღატაკთა შვილები. მათ გადაუწყვეტიათ სასწავლებელი კი არ დაჰკეტონ, არამედ გააკეთონ სამეურნეო სასწავლებლად, რომელშიაც გადავლენ მოსწავლენი მთელი შემადგენლობით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სასწავლებლისთვის უკვე მზა იქნება მშვენიერი შენობა სასულიერო სასწავლებლისა რომ გორს შეუძლიან სამეურნეო სასწავლებელს 40 დესეტინა მიწა მისცეს, რომელიც მის განკარგულებაშია და გორისავე

ერობას შეუძლიან სამეცადინო მინდორ-ბაღად მისცეს სკრის ჩამორთმეული მშვენიერი ხეხილის ბაღები ავსარქისოვისა და ფრიდონოვისა, მაშინ ადვილად შეიძლებოდა სამეურნეო სასწავლებლის დაარსება-გადაკეთება. მთელი გორის მაზრა მეტის-მეტად საჭიროებს ასეთ სასწავლებელს, როგორც სამეურნეო საბაღოსნო რაიონი და აი დღეს, როცა ისეთი სასწავლებლის ბედი სწყდება როგორიც იყო სასულიერო სასწავლებელი, მეტად შერჩეული დროა და ჩვენც უნდა ვისარგებლოთ ამ გარემოებით და არ ავაცდინოთ ამ სასწავლებლის გახსნა. როგორც გავიგეთ, სასწავლებლის პერსონალს უკვე აღუძრავს შუამდგომლობა სათანადო სამინისტროსა და გორის სამაზრო საერობო გამგეობასთან სასწავლებლის გადაკვეთაზე. გორის საზოგადოებას ჰმართებს ყოველ-მხრივ დაეხმაროს მასწავლებელთა კეთილ-განზრახვას, რითაც ერთის მხრივ 200 მოსწავლეს ქუჩაზე არ დასტოვებს და მეორეს მხრივ გორის მაზრას შესძენს ისეთ სასწავლებელს, რომელსაც ის დიდი ხანია საჭიროებს. მაშ ჩვენც დავულოცოთ გზა და ვუსურვოთ მასწავლებელთ კეთილად დაეგვირგვინებინოთ განზრახული საქმე.

ზ. ედილი.

26.03.1919

N67

ქრონიკა (გვ.3)

სკოლა თელავში. ქ.თელავმა ქართ. სამუსიკო საზოგადოებას შემდეგი თხოვნით მიჰმართა: „წავიკითხეთ რა ქართ. სამუსიკო საზოგადოების ანკეტა მოგმართავთ დაგვიარსოთ სამუსიკო სკოლა და გამოგზავნოთ თქვენი რწმუნებული, რომელიც საზოგადოებას დეტალურად გააცნობს და შევიმუშავებთ ორგანიზაციულ მხარეს“

24 მარტს ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ რა განიხილა თელავის მომართვა დაადგინა: გაიხსნას სამუსიკო სკოლა ქ. თელავში იმ პირობით როგორც ქ. ქუთაისში, ამ სააღდგომოთ არსდება ქ. სოხუმში და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმისთვის, გამგეობამ ამოირჩია თავის წარმომადგენლად ზ. ჩხიკვაძე, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება, თელავში საერთო კრების და აუცილებელ საქმის მოსაწყობათ.

27.03.1919

N68

ქრონიკა (გვ.2)

საბაღოსნო სკოლა. რკინის გზის სასურსათო საბჭომ დაადგინა თბილისის საბაღოსნო სკოლა აიღოს იჯარით 3 წლით. 40 00 მ წელიწადში.

კურსები მოზრდილთათვის. რკინის გზის სამოსწავლო განყოფილების გამგეობამ დაადგინა გახსნას ყვირილის რკინის გზის სასწავლებელთა კურსები უფროსთათვის.

პარტიული ცხოვრება (გვ.2)

ლეკურის კურსები. მსახიობი ელო ანდრონიკაშვილი 1-ლი ადგილიდან მე-7-მდე გიმნაზიის შენობაში ხსნის ლეკურის კურსებს.

ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო.

გადასწყვიტა ამ მოკლე ხანში გაუმართოს საჯარო სალიტერატურო საღამოები ჩვენ დამსახურებულ მწერლებს, პოეტებს, ბელეტრისტებს, დრამატურგებს - რისთვისაც მათ დაეგზავნათ კიდეც სათანადო ბარათები.

- იმავე საბჭომ დაადგინა ამგვარივე პატივისცემის საღამო გაუმართოს სომხის განთქმულ პოეტს ოვანეს თუმანიანს, რომელსაც წელს დაბადებიდან 50 წელიწადი შეუსრულდა.

28.03.1919

N69

ქრონიკა(გვ.2)

განათლების ახალი მინისტრი. სამშაბათს 25 მარტს სახალხო განათლების ახალ მინისტრ რამიშვილმა სახალხო განათლების სამინისტრო ინახულა და მოხელეებს გაეცნო.

04.04.1919

N75

სკოლის რეორგანიზაციისათვის (გვ.1)

სკოლა და მისი ორგანიზაცია ყოველთვის ერს და სახელმწიფოს უმთავრეს და საჭირბოროტო საკითხს შეადგენს. სკოლა სარკეა ერის ცხოვრებისა; იგი უებარი საშვალებაა ცხოვრების ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად; ერის გონებრივი; ზნეობრივი და ეკონომიური წინსვლა და წარმატება სკოლაზეა დამოკიდებული. სკოლა ერთგვარი ლაბორატორიაა, სადაც მზადდება და გროვდება ის მრავალგვარი მასალა, რომელიც უნდა მოხმარდეს ცხოვრების სხვა და სხვა დარგის ჯეროვნად მოწყობას და გაფართოებას. აქ ეყრება საძირკველი მოქალაქის ცოდნას; აქ მუშავდება მისი მსოფლ მხედველობა; აქ ვარჯიშდება და თითქმის ყალიბდება მისი ხასიათი, ნებისყოფა. ერთის სიტყვით, სკოლა ამზადებს მომავალს მომქმედ და ცხოვრების შემქნელ მოქალაქეს და ადამიანს. მაშასადამე დიდი მნიშვნელობა ერისა და სახელმწიფოსათვის, თუ რანაირ ცოდნით და ფაქტებით იკვებება მისი სული და გული, თუ რა ფიქრები და მოვლენები, რა პოლიტიკურ-სოციალური და ეკონომიური ნორმები გადაიქცევა მისთვის სამოქმედო რწმენად და პრინციპად.

ამ ნიადაგზე ბუნებრივად იმართება შეჯიბრება, ხანდახან ბრძოლაც, ერის და სახელმწიფოს სხვა და სხვა ორგანიზაციების და ჯგუფების

შორის. ყველა მათგანი ცდილობს სასკოლო საქმე მოეწყოს მისგან არჩეულ იდეათა მიხედვით; ყველა ცდილობს მოზარდი თაობა იყოლიოს თავის გავლენის ქვეშ და თვით სკოლას დააკისროს განსაზღვრულ იდეათა ქადაგება და განხორციელება. მაგრამ ეს შეჯიბრება, ეს ბრძოლა, სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა ხასიათს იღებს. პოლიტიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოში, აი მაგალითად, როგორც რუსეთი იყო, იგი სასტიკს და შეურიგებელ ხასიათს იღებს; მოწინავე სახელმწიფოებში კი იგი სწარმოებს მიზანშეწონილად და საღ პედაგოგიკის მოთხოვნილებათა დაურღვევლად.

როგორც ვიცით, დღევანდელი ჩვენი სხვა და სხვა ტიპის სკოლები, როგორც შემადგენლობით, ისე ორგანიზაციითაც, ქართული არ არის. ეს არის რუსული სკოლები, საქართველოს განთავისუფლების შემდეგ მხოლოდ ჩვენი განმგებლობაში დარჩენილი. ტიპები ამ სკოლებისა რუსეთშია შემუშავებული რუსის ერის და სახელმწიფოს მოთხოვნილების და ინტერესის მიხედვით. სწავლა-აღზრდის დეტალებიც კი რუსულ ცხოვრებასა და სინამდვილესთან არი შეფარდებული. რუსულ ტიპის სკოლებში ჩვენში დღემდის მოხერხდა მხოლოდ ნაწილობრივი და ისიც ფორმალური გაეროვნება, ნაციონალიზაცია, ე.ი. შემოღებულ იქნა, პროგრამათა თითქმის შეუცვლელად, საგნების ქართულად სწავლება ოთხ კლასამდის(გარდა ორიოდე სასწავლებლისა). საგნების მიზანშეწონილად გადაჯგუფება და სწავლის ხასიათის და მეთოდის შეცვლა აქაც არ მომხდარა.

უფროს კლასებში ქართველი მოწაფეები სხვებთან ერთად რუსულად ვარჯიშობდნენ და მეცადინეობა სწარმოებს მომეტებულ შემთხვევაში რუს პედაგოგების ხელმძღვანელობით.

აღზრდის საქმეც ძველებურად მიმდინარეობს, ამ სფეროში არაფერი არ შეცვლილა, კასოს მიერ შემოღებული ინსტიტუტი კლასის აღმზრდელებისა დღესაც ძალაშია და მოქმედობს სწორედ იმ შინაარსით და სახით, როგორც თვითმპყრობელ და ბიუროკრატიულ რუსეთში. რომ ის დღეს ანაქრონიზმია და შეუფერებელი, -ამის შესახებ კითხვაც არ დასმულა. მოწაფეები დღესაც გარეგან-ფორმალურ მზრუნველობა - ზედამხედველობის ობიექტად არიან დასახულნი. მასწავლებლებს კი ამ სისტემის განხორციელებისთვის დაჟინებით მოუწოდებენ. დღემდის გამოსული ახალი ცირკულიარები ძველი ცირკულიარების ან განმეორებაა ან უფრო ხაზგასმითი დეტალიზაცია, ე.ი ძველი დრომოჭმული სისტემის გაღრმავება, მკვდერითით აღდგომა. ასეთია, მაგ, უკანასკნელი ცირკულიარი დირექტორების უფლებების შესახებ. ის თითქმის აუქმებს იმ შეზღუდულ-შემოკლებულ ავტონომიასაც, რომელიც მიენიჭა ჩვენს საშვალო სკოლას რევოლუციის ხანაში. პედაგოგიურ საბჭოს მიერ არჩეულ მასწავლებლის გამოსარიცხად წარდგენა საბჭოს დაუკითხავად დირექტორების მიერ-ეს ერთგვარი გაუგებრობაა, მეტიც რომ არ ითქვას. ეს კოლეგიალობის დარღვევაა და პერსონალური თვითნებობის წაქეზება. სწორედ ასე იყო ძველს რუსეთში!

აგრეთვე ჩვენს სკოლებს არა აქვს არავითარი ახალი, დროს შესაფერისი გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მოწაფეთა განვითარების საქმე: როგორ და რა სახით უნდა იქნას შეტანილი საგნების სწავლებაში აღმზრდელობითი-განმავითარებელი ელემენტი; რა პასუხის მგებლობით და ვის უნდა დაევალოს ამ საქმის განხორციელება, როგორც ვიცით, ჩვენში დღესაც, როგორც უწინ რუსეთში, სკოლის არსებობა ორ საფუძველზეა დამყარებული: სწავლებაზე გარეგნულ ფორმალურ აღზრდასა და დისციპლინაზე. რომ საჭიროა მესამე საფუძველიც, ე.ი.

განვითარებაც-ეს თითქოს დავიწყებულია, დავიწყებულიც რომ არ იყოს, ისმება საკითხი: მისი აღსრულება, ვის უნდა დააკისროს ხელმძღვანელ ორგანოებმა? -რასაკვირველია მასწავლებელსო, იტყვიან. მართალია, იდეიურად, არსებითად რომ ვიმსჯელოთ, ეს მოვალეობა უნდა დაეკისროს მასწავლებელს, მაგრამ არა იმ მასწავლებელს, რომელიც კასოს ინსტრუქციით და ჩვენი სამინისტროსაგან გამოცემული ამავე ხასიათის და შინაარსის ცირკულიარით შეკრულ-შემოჭვილი ათასნაირ წვრილმან მოვალეობით დატვირთულია, გარეგნულ-კარრიდორულ ზედამხედველობაშია ჩაბმული და პირველ გაკვეთილიდან უკანასკნელ გაკვეთილამდე ინსპექციის როლს ასრულებს...

ამ ნაირად ვიმეორებთ, ჩვენში დღემდის სკოლა არ განახლებულა; ფაქტიურად იგი ისევ რუსულ ელფერისა და ხასიათისაა, ახალ ცხოვრებას, ახალ მოთხოვნილებებს და განცდას მისი სახე არ შეუცვლია.

საჭიროა, სკოლის გაქართულების პროცესი დაჩქარდეს; საჭიროა შემუშავდეს ტიპები სკოლისა, შეიცვალოს სისტემა სწავლა-აღზრდისა.

ეს ეროვნული საქმე უნდა გაკეთდეს და მოეწყოს არა კაბინეტებში და ბიუროკრატიულად მას უნდა მიეცეს ფართე ხასიათი; მის შესახებ მსჯელობისა და გარჩევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებამაც.

იპ. ვართაგავა

05. 04. 1919

N76

ახალი კურსი (გვ.1)

სახელმწიფოსა და თვითმართველობის სხვა და სხვა დაწესებულებაში საქართველოს სახელმწიფო ენას პრესტიჟი და სუვერენობა ეკარგება. მთელი ბრალი ამ ყოვლად შეუწყნარებელის ანტი სახელმწიფოებრივი მოვლენისა ედება მართველ წრეებს: სოც.-დემოკრ.

მთავრობასა და სხვა და სხვა სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის ბატონობას. ცნობილია, რომ ეს ხალხი იმ თავითვე დიდს უგულობას და მერყეობას იჩენდა ცხოვრებაში ნაციონალიზაციის გასატარებლად. მათი ასეთი სულიერი ვითარება ცოცხალი ნაშთი იყო იმ ქაოტიურ ინტერნაციონალურ პსიხოლოგიისა, რომელიც ეროვნულ ერთეულების არსებობას ეჭვის თვალით უყურებდა და მათი ინდივიდუალური მოთხოვნილება-საჭიროების-არც შემოფარგვლაზე ფიქრობდა და არც დაცვაზე. ამის ძალით, არ იყო განსაკუთრებული მონდომება საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაეროვნებისა. მხოლოდ გარემოების ძალდატანებას უთმობდნენ. არ იყო ინიციატურიი წინდასწრება და დაჩქარება, მუდმივი უხასიათობა საჭირო ენერგიული გადაწყვეტილების მისაღებად, ქართული ენის შეთვისების საჭიროებაზედ გულს უცრუებდა იმ რუსის მოხელეებსაც, რომელთაც ლოიალურად სურდათ საქართველოს სამსახურში დარჩენა და მუშაობა.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩვენს მართველ პარტიას და მის მთავრობას ჯერაც ვერ გაუნთავისუფლებია თავისი თავი ძველი ცოდვებისგან. იდეოლოგიურ-პსიხოლოგიური ნაციონალიზაცია მათში ჯერ კიდევ სავსებით არ დასრულებულა. დღესაც, დამოუკიდებლობის ათი თვის თავზედაც, ეს ხალხი მერყეობას და გაუბედაობას იჩენს. მეტიც. ბევრ შემთხვევაში იგი უკან იხევს, და საქმის წარმოების გარუსულება შემოაქვს, სადაც აქამდე ცოტათ თუ ბევრათ ნაციონალიზაცია იყო განხორციელებული. ჩვენ უკვე ვწერდით რკინის გზაში საქმის წარმოების გარუსულების თაობაზედ, თბილისის ქალაქის თვითმართველობამ უკვე ხელი აიღო თავის დაწესებულებების ნაციონალიზაციაზე. იგი ქართულ ენის ცოდნას იმათგანაც არ მოითხოვს, ვისაც სამსახურში ახლად ღებულობს.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები თავიანთ ნაშრომებს რუსულ ენაზედ აქვეყნებენ, ასე მოიქცა საგარეო საქმეთა სამინისტრო,ასე მოიქცა მიწადმოქმედების სამინისტრო. ერთიანად აღებულია ახალი კურსი, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების და საზოგადო სახელმწიფო ცხოვრების დენაციონალიზაციისა. არჩეულია ნაკლები წინააღმდეგობის გზა და ხაზი. შემოქმედი ენერგია არ სჩანს და ამ ხალხს არ აწუხებს. ამ მოვლენას გამართლება ყოვლად შეუძლებელია. თითო-ოროლა არა ქართველი სპეციალისტი თავის ეროვნული ძლიერების ბეჭედს არ უნდა ასობდეს მთელს ჩვენ სახელმწიფო ცხოვრებას ასეთი საჭირო პირების გამოყენება ისე უნდა მოხდეს, რომ არ შეილახოს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ძირითადი პრინციპი, და არ დაიჩაგროს ეროვნული შემოქმედების იმპულსი და გაქანება. ამის მოგვარება არც თუ ძნელი საქმეა. საჭიროა მხოლოდ მტკიცე გადაწყვეტილება და ურყევი რწმენა ჩვენი სახელმწიფოებრივი თვით-არსებობისა. საჭიროა შემომქმედი სიყვარული და ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება დაძლეული იქნება. ჩვენი მართველი წრეების მოქმედების მეთოდში სწორედ ეს შემომქმედი სიყვარული არ მოსჩანს, არამედ მხოლოდ რუსული „კაზიონშჩინა“. ამიტომაც გასაკვირი არაა თუ ნაციონალიზაციის საქმეში უკან-უკან ვიხევთ.

ქრონიკა (გვ.2)

მე-3 კურსი სამკურნალო ფაკულტეტზე. მომავალ წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე გაიხსნება 3 კურსი თუ ამის მსურველნი აღმოჩნდება 50 კაცამდე, არა უგვიანეს ერთი კვირისა. თხოვნას მიიღებენ ყოველ დღე სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში საღამოს 5-7 საათამდე.

„მნათობი“ გამოვიდა ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი-სახელმძღვანელო „მნათობი“. წიგნი შეიცავს 136 გვერდს და ჰღირს 6 მანეთი.

06.04.1919

N77

სკოლის რეორგანიზაციისათვის (გვ.1)

განათლების სამინისტრომ ცხრა თვეში ვერ გამოიჩინა მიზანშეწონილი და აწონ-დაწონილი ინტერნსიურ მუშაობის უნარი. პირობები კი მისთვის უფრო ნორმალური იყო, სანამ სხვა სამინისტროებისათვის. იმ დროს, როდესაც საქართველოს ცხორების ზღვა საშინელი შინაური და გარეგანი ქარიშხალის **ზედგანლენით** ბობოქრობდა და მრისხანედ ტალღებს ტალღებზე ისროდა, იმ დროს, როდესაც ცხოვრების ყოველ მხარეს საშიშარი მოუსვენრობა ეტყობოდა, - ამ დროს განათლების სფეროში, მის დაწესებულებებში და მსახურთა წრეში შედარებით სიწყნარე, დარბაისლობა, მოვალეობის შეგნება ჰსუფევდა. არც გარეშე მტერს და არც შინაგან მუხანათებს მის წინააღმდეგ საგრძნობი იერიშები არ მოუტანიათ. მიუხედავად ამისა, ვიმეორებთ, განათლების სამინისტროს მუშაობა მოდუნებულ ტემპით სწარმოებდა. არც ერთხელ არ გადაუდგამს მას ცოცხალი და ორგინალური ნაბიჯი. ძველებურ ტრაფარეტულ ცირკულიარობას ბრძანება-მოწერილობას არ გასცილებია მისი შემოქმედება. წვრილმანებში ნელდებოდა მისი ენერგია. ჩვენ არ ვაზვიადებთ. ავალაპარაკოთ უტყუარი ნამდვილი ფაქტები.

აი, მაგალითად, სამინისტრომ ვერ შექმნა სწავლა აღზრდის საქმისათვის საჭირო ცენტრალური აპარატები. მართალია, მან მოაწყო საბჭო, -ეს ფაქტიური გამგე და კანონმდებელი ორგანო სკოლისა, -მაგრამ ამ საბჭოს პერსონალური შემადგენლობა, მიუხედავად, შეიძლება, მათის

ძველის დამსახურებისა, ნიჭიერებისა, აქტივობისა და პოლიტიკურის მოწიწოებისა, ვერ შეძლებდა თავისუფალ ქართულ სკოლის მოწყობას, ვერ დაუხატავდა მას სასურველს და სასარგებლო პერსპექტივებს,ვერ აღმოფხვრიდა ძირიან-ფესვიანად ამ ღვარძლს, რომელიც ძველმა რეჟიმმა უხვად დათესა სკოლის ნიადაგზე. მიზეზიო, იკითხამთ. გიპასუხებთ. ჯერ ერთი, ამ საბჭოში, განყენებულად რომ შევხედოთ, არ უნდა არსებულიყო იდეათა, მსოფლ-მხედველობათა, რწმენა-იმედთა და მოლოდინ-ნატვრათა ერთგვარობა და ნათესაობა. მეორე, საბჭოს წევრნი დატვირთულნი იყვნენ სხვა სხვა მოვალეობით და საქმეებით. ზოგი მათგანი რამოდენიმე დაწესებულებაში მსახურებდა. საბჭოში სამსახური მათთვის, უმთავრესად, პრესტიჟის, ავტორიტეტის საქმე იყო. მუშაობას, შრომას, დაუღალავ კვლევა-ძიებას, შემოქმედებას, რასაკვირველია, საბჭოში ადგილი არ ექნებოდა. ეს საბჭო, სჩანს, გადაიქცა ქართულ ჩვეულებრივ მოქანცულ-ინტელიგენტთა კრებად და საფეიქროდ. იგი ამავე დროს იყო სარეკომენდაციო ბიურო საადმინისტრაციო პირთა დასანიშნავათ. აი ამ ფუნქციას იგი პირნათლად ასრულებდა! არც ერთი საბჭოთა წევრების მეგობარ-თანამოაზრე, საყვარელი ყოფილ შეგირდი და თანამსახური, პარტიული ამხანაგი არ დარჩენილა გულნატკენი და უკმაყოფილო.

საგნიანი მუშაობის კვალიც თითქოს არ დარჩენილა სამინისტროს არქივებში. წარმოიდგინეთ, ისიც, რაც კომისარიატობის ხანაში გაკეთდა და შემუშავდა, ესეც არ ჩამოაყალიბა, საქმედ არ აქცია თავისუფალ საქართველოს სამინისტრომ. წინედ საგნობრივი კომისიების და სექციებისაგან დამუშავებულ პროგრამებიც დღემდის არ გამოქვეყნებულა.

მაგრამ შეიძლება, საბჭო პრაქტიკულად მუშაობდა, ცოცხალ საქმეს ხელმძღვანელობდა, თავს დასტრიალებდა და მამობრივ მზრუნველობას უწევდა გაეროვნებულ ქართულ სკოლას, პირადის გამოცდილებით, საქმის და საგნის ცოდნით უადვილებდა მასწავლებლებს ნაციონალიზაციის განხორციელებას, სანიმუშო გაკვეთილებს აძლევდა ქართულს ენაზე, პრესის საშუალებით აშუქებდა სხვა და სხვა საჭირო-ბოროტო პადაგოგიურ კითხებს.

სამწუხაროდ ეს ასე არ იყო. ასეთი ცოცხალ საქმისთვის ვის სცალოდა; ან და მოცლაც რომ ყოფილიყო, ვინ აკადრებდა?! უფროს-ბრძანებლებს და უფლება-მოსილ პირთ მხოლოდ ფორმალურ და ბიუროკრატიული გემოს რევიზორობა შეშვენის! ამ ფსიქიკის ზედგავლენით და არა ცოცხალ ეროვნული საქმისათვის აქა-იქ კიდევაც მოხდა რევიზია თბილისის ზოგიერთ სასწავლებელში.

ქუთაისში კი, როგორც ბევრნი ოხუნჯობით ამბობდნენ, გაემგზავრა მთელი „დამსჯელი ექსპედიცია“ რა მიზნით მოხდა ეს რევიზია, რა მიზანს მიახწია მან, ან რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდნენ მისი მწამოებელნი, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით. მაგრამ თუ იმის მეასედიც მართალია, რაც ქუთათურ გაზეთებში დაბეჭდილია მომხდარ რევიზიის შესახებ, მაშინ შეიძლება მხოლოდ ერთი რამ უტყუარად ითქვას; ეს რევიზია იყო რუსულ ყაიდაზე წარმოებული, ძველებურ შეხედულებათა ზედგავლენით მოგვარებული. ასეთი რევიზიები, შეიძლება აპრიორულად ითქვას, ჩვენს ნორჩს ეროვნულ სკოლას სარგებლობას ვერ მოუტანს და მასში მოღვაწეებს ზნეობრივ-გონებრივ დახმარებას ვერ გაუწევს.

მე მესმის, რა უნდა განეცადა ნეტარ ხსენებულ ი. ოცხელს, როდესაც მის საყვარელ სკოლას სწორედ ასეთი რევიზია გაუკეთეს ამ განახლებულ დროს.

იპ. ვართაგავა.

ქრონიკა (გვ.2)

სასწავლებელთა შტატის წარდგენა. განათლების სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად შემდეგ სკოლების შტატები: ხონის, ფოთის და ბორჯომის სამოხელოსნო სასწავლებელთა, თბილისის საფერშლო, სატეხნიკო და მიწადმზომელთა სასწავლებელთა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფ. ჯავახიშვილის დაბრუნება. ამ დღეებში სტამბოლიდან დაბრუნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ამ დღეებში განაახლებს თავის ლექციების კითხვას.

საღამო უნივერსიტეტის სასარგებლოდ. გუშინ, შაბათს, ქართულ კლუბში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდეტთა გამგეობამ გამართა საღამო უნივერსიტეტის სასარგებლოდ.

სახალხო უნივერსიტეტი. დღეს, საღამოს 6-ს საათზე სახალხო უნივერსიტეტის მე-5 განყოფილების გახსნა დანიშნულია კუკიის წმ. ნინოს უბნის სასწავლებლის შენობაში. ლექციები: ს.ჟორჟოლიანი საქართველოს მწერლობის ისტორია, ინჟ. ალშიბაია- „ელექტრონი და ორთქმავლის ძალა“ და ექიმი ტურიაშვილი-„ხოლერაზე“.

სახელმწიფო უნივერსიტეტი. მომავალ წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე განზრახულია გაიხსნას მესამე კურსი იმ შემთხვევაში, თუ ამის მსურველნი აღმოჩნდებიან 50 კაცამდე, არა უგვიანეს ერთი კვირისა. თხოვნას მიიღებენ ყოველ დღე სახელმწიფო უნივერსიტეტში საღამოს 5-7 საათამდე.

09.04.1919

N78

სკოლის რეორგანიზაციისათვის (გვ.1)

რუსეთშიაც ყველა ახლად დანიშნული განათლების მინისტრი თავის საპროგრამო სიტყვაში სკოლის სასურველ რეორგანიზაციის საკითხს მომავალ სამუშაოს ქვა-კუთხედად აღიარებდა. და მართლაც ფუსფუსი და მუშაობა ამ საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ შეუწყვეტლად და გაუნელებლად სწარმოება ჩამორჩენილ და რეაქციონულ რუსეთშიაც, მაგრამ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების სინამდვილე, მის შექმნელ-ხელმძღვანელთა შეგნებული ბრძოლა ყოველივე თავისუფალ ჰუმანიური სკოლის წინააღმდეგ ხელს უშლიდა იმ გეგმების განხორციელებას, ცხოვრებაში გატარებას, რომლებიც სამინისტროს ინიციატივით და მცოდნე პირთა მონაწილეობით შემუშავდებოდა ხოლმე. სკოლა ისევ ისე რჩებოდა პოლიტიკის მსახურად, მას ისევ ისე იარაღად იყენებდნენ განსაზღვრულ-ეკონომიური და პოლიტიკური იდეათა განსამტკიცებლად.

ჩვენს განთავისუფლებულ საქართველოში, სადაც რუსიფაქტურულმა ექსპერიმენტებმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, სადაც ყოველივე ეროვნული გრძნობა-მისწარაფება ითელებოდა და სადაც ელემენტარული საღი პედაგოგიური და ადამიანური პრინციპი ბარბაროსულ პოლიტიკას ემსხვერპლებოდა. _ მით უფრო მოსალოდნელი და ბუნებრივი იქნებოდა, რომ სამინისტრო პირველ რიგის საკითხად, დაუყონებლივ და ინტენსიურ სამუშაოდ და სამოღვაწეოდ ქართულ ტერიტორიაში რუსული სკოლების რეორგანიზაციას დაისახავდა. მაგრამ სავალალოდ, ეს ასე არ მოხდა. არ ვიცი, რა უფრო კორდინალური, მძიმე და გადაუდებელი საკითხები ჰქონდა სამინისტროს, რომ იგი მხოლოდ ამ

რამოდენიმე თვის წინად შეუდგა ამ საჭირ-ბოროტო საკითხის განხილვას. ამ უმიზეზო და გაუმართლებელ დაგვიანებასაც თავი რომ დავანებოთ, განა ჩვენს სამინისტროს შეშვენის და ეპატიება ეს საქმე აწარმოოს იმ ძალებით, იმ ტეხნიკით, იმ ენერგიით და მაშტაბით, რა ძალებით და ხერხით ის დღეს ამას აწარმოებს? ამ საშვილის-შვილო და პირველ ხარისხოვან ეროვნულ საქმის წმინდა ბიუროკრატიულის სახით მოგვარება და გადაწყვეტა წარმოსადგენი და შესაძლებელია დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკაში? წარმოუდგენელია, მაგრამ ამ ფაქტს მაინც ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში! ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ შესდგა კომისია თბილისის სასწავლებელთა კორპორაციის თითო წარმომადგენელთაგან სამინისტროს წარმომადგენელის თავჯდომარეობით; ვიცით, რომ ეს კომისია სისტემატიურად იკრიბება და მოისმინა რამოდენიმე მოხსენება, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ უმრავლესობას ამ კომისიისას სხვა ტომის პირნი წარმოადგენენ, უმცირესობას-ქართველები; რომ უკანასკნელი უფრო გულგრილობას იჩენენ, ვინემ პირველნი; რომ კრებებზე სჯა-ბაასი, საქმის წარმოება, კამათი რუსულ ენაზე სწარმოებს; რეფერატებიც რუსულად იკითხება და სხვ. დღემდის რა ნაყოფი მოიტანა ამ კომისიის მუშაობამ, ჩვენ, არ ვიცით: გაზეთებში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ ყოფილა. სჩანს, უწინდებურად ეს ცოცხალი საქმე კაბინეტში ჩაუმწყვდევიათ და ბიურო-კრატიულად აულაგმავთ.

ჩვენ ვეჭვობთ, რომ ასე დაწყებულმა საქმემ რამე დიდი სარგებლობა მოუტანოს ქართულ სკოლას და ქართველ ერს. წარმოვიდგინოთ, რომ ამ კომისიაში მონაწილე ქართველ დირექტორთების უმრავლესობამ უკუ აგდპ საბოლოოდ ძველი გზა და მიმართულება, განიწმინდა რუსიფიკატორულ სისტემის ხინჯისგან, გულში აღინთო ჩამქრალ

ჩაფერფლილი ალი სამშობლოს სიყვარულისა და მზად არის მტლად დაედოს განახლებულს,განთავისუფლებულს საქართველოს. წარმოვიდგინოთ, რომ იგი თავისი წარსულის მოღვაწეობით და მოქმედებით, თავისი გონებრივი და პედაგოგიური ავლა-დიდებით ისეა მომზადებული და დატვირთული, რომ ადვილად შესძლებს ჩვენს სკოლას გადაუშალოს და უკლებლივ განაახლოს იგი, სულყველაფერი ეს, რაც ჩვენდა სამწუხაროდ სინამდვილეს არ შეეფერება. წარმოვიდგინოთ, რომ მართალია, უცილობელი ფაქტია. ამ შემთხვევაშიაც, რა უნდა მოაგვარონ და რა უნდა გააკეთონ ქართველებმა იმ ინტერნაციონალურ კრებულში, სადაც მონაწილეთა უმრავლესობა,-ფორმალურადაც საქართველოს არა ქვეშევრდომი, იდეიურად მისი თავისუფალ არსებობის დაუძინებელი მტერი,- რასაკვირველია, სრულებით არ არის დაინტერესებული საქართველოს და მისი სკოლის ბედით. და მხოლოდ გულის ფაცქალით მოელოდა და დღესაც მოელის რუსის ძლიერებისა და ბატონობის დაბრუნებას და დამკვიდრებას საქართველოში?! ნუ თუ ამათის უმთავრესის მონაწილოებით სურდა სამინისტროს გადაეწყვიტა ეროვნული არსებობის ერთი უდიდესი პრობლემა? რასთანა გვაქვს საქმე: უბრალო, ჩვეულებრივ მოუფიქრებლობასთან, თუ რაღაც ჩვენთვის მიუწდომელ, უმაღლეს პოლიტიკურ სიბრძნესთან?!

უცხო ტომის წარმომადგენლების თანამშრომლობა, მათი ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკული უნარი ჩვენთვის, შეიძლება, დღესაც იყოს საჭირო სხვა და სხვა ტეხნიკურს და პროფესიონალურს სფეროებში. ამის წინააღმდეგ რა გვეთქმის. მაგრამ მათი ჩარევა ისეთს არსებითად ეროვნულ საშვილიშვილო და სახელმწიფოებრივ საქმეში, როგორც მოზარდ თაობის აღზრდა-განვითარების საქმეა, შეუწყნარებელი და მიუღებელია.

ნუ თუ სამინისტროს არ შეეძლო ეს საქმე სხვანაირად, სხვა შემადგენლობით და გეგმით მოეწყო? სხვა წრეები და სხვა დაწესებულებებში ამოერჩია საჭირო და სასურველი პირები? რა მაინც და მაინც,დღევანდელ ჩვენი სკოლის ფაქტიურ მდგომარეობაში, მხოლოდ დირექტორ მასწავლებლებიდგან შეადგინა ეს კომისია? ნუ თუ მან წინდაწინ ვერ გაითვალისწინა ამ უკანასკნელის შემადგენლობა? და თუ გაითვალისწინა, ნუ თუ ამ შემადგენლობის მოქმედებიდგან ნაყოფიერ და მიზან შეწონილ მუშაობას მოელოდა?

იპ. ვართაგავა

10.04.1919

N79

სკოლის რეორგანიზაციისათვის (გვ.2)

განათლების სამინისტროსაგან მოწყობილი სარეორგანიზაციო კომისია დღემდის განაგრძნობს მუშაობას, ე.ი. დღემდის იკრიბება და სასკოლო საკითხებზე მსჯელობს და თათბირობს. ამბობენ, ვითომც სკოლის მომავალ ტიპის შესახებ გადაჭრილი დადგენილებაც გამოიტანესო. ჩვენ ვერ მიმხვდარვართ, თუ რისთვის არის ასეთი საიდუმლოებით მოცული ამ კომისიის მუშაობა! არ არის დასმულ საკითხში დასამალი? პირიქით, ამ საკითხის გარშემო სამინისტროს უნდა შემოეკრიფა ყველა ცოცხალი და ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი ინტელიგენტური ძალები, ყველა საქართველოს სკოლის ბედით დაინტერესებული ინტელიგენტი.

ამავე მიზნით მას უნდა მიემართა ქართველ მასწავლებელთა ორგანიზაციებისათვის: დაბალ და საშუალო სკოლების კავშირებისათვის; მხოლოდ ის წინადადება -შეკითხვები უფრო პროფესიონალურის დეტალურის და რეალურის ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, სამინისტრო რომ ასე მოქცეულიყო, უსათუოდ გაჩაღდებოდა სკოლის საკითხის გარშემო სერიოზული შემოქმედებითი მუშაობა.

დაიწერებოდა და წაიკითხებოდა ბევრი მოხსენება და რეფერატი. ბევრი საინტერესო მასალა თავს მოიყრიდა. ამ საერთო მუშაობაში და კოლექტიურ შემოქმედებაში ჩვენი მომავალი სკოლის ტიპიც.

მხოლოდ ასეთი წინასწარი მომზადების შემდეგ უნდა გასძღოლოდა სამინისტრო საქმეს. საჭიროების მიხედვით უნდა შეექმნა მას სამუშაო აპარატიც. დარწმუნებული ვართ,სამინისტროს რომ ამ წესით და მეთოდით ემუშავნა, მაშინ მისგან შემდგარ კომისიაში სულ სხვა პირნი შევიდოდნენ და მაშასადამე, სულ სხვანაირი ხასიათის და შინაარსის მუშაობა გაჩაღდებოდა. მაშინ პროვინცია, რომელსაც დღეს წარმომადგენელი არა ჰყავს კომისიაში, თავის საუკეთესო მუშაკებს გამოუგზავნიდა დედა-ქალაქს. დღეს კი თვით ქუთაისს, ამ ყოველთვის უგრძნობიარეს ნერვს ჩვენის ეროვნული არსებობისა და მისი ეროვნულ შეგნების მებაირაღტარე და დამსახურებულ მასწავლებელს არც ერთი წარმომადგენელი არა ჰყავთ იმ კომისიაში, როგორც უნდა გადაწყვიტოს ბედი მომავალი ქართულ სკოლისა!

იმედია,რომ სამინისტროს ახალი შემადგენლობა არსებითი შეასწორებს მაინც უკვე უკუღმართად მოწყობილ სკოლის სარეორგანიზაციო აპარატში და მით გამოასწორებს მოსალოდნელ ეროვნულ მარცხს.

17.04.1919

N85

ქრონიკა (გვ.2)

ტიციან ტაბიძის საღამო დღეს საღამოს 8 საათზე კონსერვატორიის დარბაზში იმართება ტიციან ტაბიძის პოეზიის საღამო. მოხსნების ახალ პოეზიაზე, წაიკითხავს გერონტი ქიქოძე. პოეზიაზე სიტყვებს იტყვიან: გრიგოლ რობაქიძე. პაოლო იაშვილი ალ. არსენიშვილი, სერგი გოროდეცკი და სხვანი. შემდეგ კონფერენსია პოეტების.

18.04.1919

N86

ქრონიკა (გვ.2)

წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლისათვის.

გადაიდოს მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 30,525 მ წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლის შესანახად 1919 წ. პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე ხოლო აღნიშნულ სასწავლებლის მოსამსახურეთა ჯამაგირების გადადების საკითხი დაკავშირებულ იქმნას საერთოდ სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების საკითხთან.

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი (გვ.3)

ამ ბოლო დროს რუსულმა გაზეთებმა განურჩევლად მიმართულებისა, რწმენისა და მდგომარეობისა ძალიან მოუხშირეს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტზედ წერვა როგორც „ბორბა“, აგრეთვე „კავკაზსკოე სლოვო“, თუ „ნოვოსტი დნია“ ერთსა და იმავეს იმეორებენ: კავკასიისათვის საჭიროა ერთი „ინტერნაციონალური“ უმაღლესი სასწავლებელი, და ეს უმაღლესი სასწავლებელია ეგრედ წოდებული ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი. კავკასიის საერთო ცენტრია თბილისი,

თბილისიც არის სატახტო ქალაქი ამიერ-კავკასიისა, და ამისთვის ამიერ კავკასიის კულტურული დაწესებულება, როგორიც არის ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი უნდა დარჩეს ამიერ კავკასიის სატახტო ქალაქ „ თბილისში“. საჭიროა ჩვენც ვიცოდეთ თუ რა არის ეს „კულტურული“ დაწესებულება ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი, როგორი „ინტერნაციონალურია“ იგი, რა ჯურის ხალხი სწავლობს შიგ და ბოლოს გავარკვიოთ საქართველოსთვის იგი რა ღირებულებას წარმოადგენს. როგორც მოგეხსენებათ საქართველოს პარლამენტმა ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის მოწყალებას რომ აძლევდა, მაშინ იგი დაახასიათა, როგორც საკონკურენციო დაწესებულება ქართულ უნივერსიტეტისადმი. მათის აზრით ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი კონკურენციას გაუწევდა ქართულ უნივერსიტეტს და ამ გვარად ჩვენ უნივერსიტეტს წინ წასწევდა. რამდენად მართალია ეს აზრი ჩვენ ამის გარკვევას არ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ უნივერსიტეტი სავაჭრო დაწესებულება არ გახლავსთ, იგი მეცნიერების ტაძარია, და ქართული უნივერსიტეტი ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის დაუხმარებლივ გააკეთებს ყველაფერს, რის გაკეთებაც კი მას შეუძლიან, ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი კი სამარცხვინო ნაშთია ჩვენის მონობისა, გახრწნისა და გადაგვარების გზაზედ დგომისა, იგი დაარსდა ამ ათიოდე წლის წინად, როგორც სავაჭრო დაწესებულება ქალთა უმაღლესი კურსების სახით, შემდეგ იგი გადაკეთდა თბილისის უნივერსიტეტად, და ბოლოს ის იქცა ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტად. ამ ათი წლის განმავლობაში ამ სასწავლებელს ჩვენი ქვეყნისთვის არ მოუცია არც ერთი ჩვენი გულშემატკივარი, არც ერთი მეცნიერი, არც ერთი ნამდვილი ადამიანი. იგი იყო კერძო სავაჭრო დაწესებულება, მისი მიზანი იყო არა მეცნიერების გავრცელება (მას ის არც გაუვრცელებია) არამედ თავის მსმენელთაგან ოქრო ჩაჩხრიალება, და იმას

არ დაგიდევდა აძლევდა იგი თავის მსმენელს ამ ოქროში რამე ცოდნა-გამოცდილებას თუ არა.

როგორც მეცნიერების ტაძარი ეს „უმაღლესი“ კურსები არარაობას წარმოადგენდა ამ კურსებს არ გამოუშვიათ არც ერთი სამეცნიერო ნაწარმოები არც ერთ დარგიდან, მით უმეტეს კავკასიის შესახებ. იმ კურსებმა, რომელთაც სრული ათი წელიწადი იარსებეს თბილისში უჩინრად, ჩუმად, ხმა ჩაკმენდილად, ჩვენს ცხოვრებას არავითარი დაღი არ დაამჩნიეს, არ მოგვცეს არ ერთი საზოგადო მოღვაწე, არც ერთი სამეცნიერო შრომა, დიახ, ამ კურსებმა დღეს საქართველოს აღორძინების ხანაში წამოყვეს თავი და გვეუბნებიან მეც ნახირ ნახირიო, მეც მეცნიერების ტაძარი ვარო, მეც ადამიანებში ვურევივარო, მე ინტერნაციონალური დაწესებულება გახლავარო თქვენც ინტერნაციონალის მომხრენი ხართ, და ამისთვის მე თბილისში უნდა დავრჩე, და თქვენ კი ყველამ მე უნდა შემინახოთო. სწორედ რომ ახირებული პრეტენზიებია. ათი წელიწადი ჩუმად ეგდო, და როცა ჩვენ ვაპირობთ ჩვენ უმაღლესს სასწავლებელს მკვიდრი საფუძველი ჩავუყაროთ,მაშინ დაიწყო ფართი ფურთობა, შემომხედეთ რა ბიჭი ვარო! ვიცნობთ, რაცა ბრძანდება. შენა ხარ ნაშთი ჩვენის მონობისა,მორჩილებისა,გადაგვარებისა და უნდა გაჰქრე კიდეც,როგორც ეს მონობა გაჰქრა. თუმცა შენ დაწესებულებას გეძახიან,მაგრამ შენ „ინტერნაციონალური“ ხარ მხოლოდ სიტყვით,ნამდვილად კი შენ ხარ ძალიან ვიწრო ნაციონალისტური. შენ ჯერ კიდევ არ დაგიკარგავს იმედი, რომ დაგიბრუნდება ძველი ბატონობა, ელი დროს და ვნახოთ მაშინ რა ენაზედ დაილაპარაკებ.

ჩვენ ესეც ვიცით, რომ მცირეოდენი ქართველობა სწავლობს შენს წიაღში, დაახლოებით 10% ვიცით, რომ ამ 10 პროცენტში ძალიან ბევრია

გზა აბნეული, გადაგვარებული და თავის ერის უარმყოფელი, რომელთაც საქართველოს თავისუფლება, საქართველოს უნივერსიტეტი პირზედ ღიმილსა ჰგვრის, ეს ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით. ვიცით ისიც, რომ დანარჩენი 90 პროც. მოსწავლეებისა შეადგენენ სხვა რესპუბლიკების მოქალაქეებს, მათაც სძულთ საქართველო, მტრობენ მათ. განა ეხლა გაფიცულ ქალაქის მოსამსახურეთა რიცხვში ცოტანი ირიცხებიან ამ უნივერსიტეტში? სწორედ ამ უნივერსიტეტის წიაღში იზრდება და იკვებება საქართველოსადმი მტრობა. ეს უნივერსიტეტი პოლიტიკური დაწესებულებაა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ და როგორც ამისთანა, რაც მალე გაჰქრება იგი, მით უკეთესია.

27.04.1919

N90

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიისგან(გვ.4)

სწავლა-აღზრდის საქმეში დამფუძნებელი კრება მოწოდებულია უდიდესი მუშაობა შეასრულოს: უნდა ჩაეყაროს საძირკველი განათლების საქმის ძირითად გარდამქნას, ახალ საფუძველზე მის აგებას და აღორძინებას, ამ მხრით დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიას დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული. მას შესაფერისი უნარის და ინიციატივის გამოჩენით უნდა შესძლოს სწავლა-განათლების სფეროში ამ დიდ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხების დამუშავება და დამფუძნებელი კრებაში მიღებულ სათანადო დადგენილებიც და კანონების ცხოვრებაში გატარება. მის საზრუნავ საგანს შეადგენს აგრეთვე არსებულ სკოლების შესაფერ სიმაღლეზე დაყენება.

რათა კომისიამ პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, აუცილებელია, რომ ის მჭიდროდ დაკავშირდეს მათ მოთხოვნილებას და საჭიროებას. ამ მიზნისთვის აუცილებელია კომისიას

მოაწოდონ ყოველნაირი მასალები სწავლა-განათლების საქმესთან დაკავშირებულ საკითხების გასაცნობად.

ამიტომ სასკოლო განათლების კომისიამ თავის სხდომაზე 17 აპრილს 1919 წ. გადაწყვიტა მიმართოს რესპუბლიკის ყველა სკოლებს (დაბალ,საშუალო და უმაღლეს), ერობათა და ქალაქთა გამგეობებს, მასწავლებელთა რაიონულ და სამაზრო კავშირებ. მუდმივ მოაწოდონ ხოლმე კომისიას ზემოაღნიშნული მასალები, სადაც-სხვათა შორის აღნუსხული უნდა იყოს:

1. რიცხვი: სახაზინო და არა სახაზინო სახალხო პირველ-დაწყებითი, უმაღლეს პირველ-დაწყებით, ტეხნიკურ პროფესიონალურ, საშუალო და სხვა სკოლებისა განსაზღვრულ რაიონში ან მაზრაში.

2. რა მდგომარეობაში იმყოფებიან საერთოდ ისინი და ცალ-ცალკე თვითეული.

3. არის თუ არა საჭირო ახალი სკოლის დაარსება; თუ არის-სადა და რა ტიპის.

4. როგორია სკოლების ნივთიერი მდგომარეობა და მოწყობილობა.

5. არიან თუ არა მასწავლებლები, სკოლის მმართველები და უფროსები ზნეობის მხრით თავის დანიშნულების სიმაღლეზე თუ არ არიან-ვინ და სად?

6. რამდენი მასწავლებელია თვითეულ სკოლაში და სად; რამდენია მათი რიცხვი მთელ ქალაქში? რაიონში და მაზრაში?

7. სად და რამდენი ბავშვია სასკოლო ასაკისა?

8. სად და რა ტიპის სკოლებია უფრო საჭირო?

9. შეიძლება თუ არა სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესება ადგილობრივი ღონისძიებებით?

10. რაში გამოიხატება ერობათა და ქალაქთა გამგეობებთან არსებული „სახალხო განათლების“ განყოფილებათა მოღვაწეობა.

მასალები და ცნობები გამოგზავნილ იქნას შემდეგი მისამართით: დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიას. თბილისი-სასახლე.

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიის თავჯდომარე ლ. ნათაძე. მდივანი ნ. იმნაიშვილი.

29.04.1919

N91

ქრონიკა (გვ.2)

სასწავლებელთა რევიზია. სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით ამ მოკლე ხანში მოხდება თბილისის ყველა საშუალო სასწავლებელთა რევიზია.

30.04.1919

N92

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

წიგნის გამომცემლობა „კირჩახიბი“. ქუთაისში პოეტებმა დაარსეს წიგნის გამომცემლობა „კირჩახიბი“. გამომცემლობა ჰბედჭდავს და მოკლე ხანში გამოვა: ვალერიან გაფრინდაშვილის - „დაისები“- წიგნი ლექსების. კოლაუ ნადირაძის -„ავზნიანი ქალაქი“. და ახალ პოეზიის ანტოლოგია. „მეოცნებე ნიამორების“ მორიგი ნომერი ამ ორ კვირაში გამოვა.

01.05.1919

N93

სამხატვრო ქრონიკა(გვ.2)

ვასილ ბარნოვი ჰსწერს ისტორიულ რომანს „ხაზართა სასძლო“.

03.05.1919

N94

ქართველ ლიტერატორ -კრიტიკოსთა კომისიის მოქმედება (გვ.3)

ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების გამგეობასთან არჩეულ წიგნების გამომცემელ სექციებთან 2 იანვრიდან(1919 წ) დაარსდა ქართ. ლიტ. კრიტიკოსთა კომისია. რომელშიაც შედიან ი. გომართელი, შ. დედაბრიშვილი, დ. ხოშტარია, ვლ.ბაქრაძე და დ. კასრაძე; ხსენებული კომისია დაარსებიდანვე ყოველ პარასკეობით ჰმართავდა სხდომებს თავის სამოქმედო პროგრამის დასამუშავებლად, თუ პირველ რიგში რადარა წიგნები იყო საჭირო გამოსაცემად. გადასწყდა, უპირველესობა მიეცეს ჯერ ქართულ კლასიკებს და შემდეგ უცხოელებს, იმ კითხვაზე თუ უცხოელ მწერლებიდან რომელი ითარგმნოს პირველ რიგშიო, დ. კასრაძემ ორჯელ ვრცელი მოხსნება წარადგინა, მცირეოდენის შესწორებით მის მიერ წამოყენებული სია მიღებულ იქნა ვრცლად, როგორც სამერმისო სამოქმედოდ, და შემოკლებით სადღეისო სამოქმედოდ, მოგვყავს შემოკლებული სია.

ფრანგული ენით

1) მოლიერი: დონჟუანი; მიზანტროპი; ტარტიუფი; ეჭვით ავადმყოფი; სკაპენის ცუღლუტობა; ქმართა სკოლა; ცოლთა სკოლა და სხვა.

2) ჰიუგო. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

3) ვერჰარნი, მოპასანი, ფლობერი, მირბო, ფრანსი, მეტერლინკი.

გერმანული

1) გოეთე: ფაუსტი, ვერტერი.

2) შილლერი: ყაჩაღები, ორლეანელი ქალი, ვერაგობა და სიყვარული, დონ კარლოსი, ვილჰელმტელი, მარიამ სტუარტი და სხვ.

3) ძმები გრიმები (ზღაპრები)

4) ჰოფმანი

5) ნიცშე: ასე იტყოდა ზარათუსტრა

6) ჰაუპტმან: როზაბერნდ, ჰანელე, ფეიქრები, დაძირული ზარი, ავადმყოფი ხალხი და სხვ.

7) ზუდერმან: მამა, ქვა-ქვის-ქვეშ და სხვ.

8) შნიცლერი: ბეატრიჩეს სამოსელი.

ინგლისური

1) დანიელ დეფო: რობიზონ კრუზოე

2) ჩ. დიკენს: დავით კოპერფილდ.

3) ბიჩერ სტოუ: ძია თომას ქოხი

4) ოსკარ უაილდი: ზღაპრები, დორიან გრეის სურათი

5) შექსპირი: ი. მაჩაბელის ნათარგმნები.

სკანდინაველებიდან

1) იბსენი: ხალხის მტერი, მოჩვენებანი, ნორა და სხვ.

2) კნუტ ჰამსუნი: პანი, ვიქტორია.

3) ანდერსენი: ზღაპრები

პოლონური

1) სენკევიჩი: ქვო ვადის?-

-ამავე კომისიამ შეიმუშავა ნორმა ავტორთა დაჯილდოვებისა. მცირეოდენის შესწორებით მიღებულ იქნა თ. კიკვაძის მოხსნების შემდეგი საფუძველი:

1) თარგმანი რუსულით inquarto ორგინალისა:

ა) პროზა 16გვ. 200 მან

ბ) პოეზია 16გვ. 300 მან

2) თარგმანი ევროპული ენებით:

ა) პროზა 16გვ. 300 მან

ბ) პოეზია 16გვ. 450 მან

3) ორგინ. ნაწარმოებნი:

ა) მეორე ხარისხნოვანი ნაწარმ. 16 გვ. 300 მან.

კომისია პრაქტიკულად უკვე შეუდგა გეგმის განხორციელებას. იგი მხოლოდ შეუდგა როგორც ჩვენი კლასების მოკრებას, ისე უცხოელ ნათარგმნ კლასების მოკრება-შესწორებას.

დ. კასრაძემ კომისიის დავალებით უკვე სთარგმნა მეტერლინკის თეატრის პირველი ტომი, რომელშიაც შედიან შემდეგი პიესები: ა) პრინცესა მალენი, ბ) დაუპატიჟებელი და გ) ბრმები.

მთარგმნელი განაგრძნობს დანარჩენ ტომთა თარგმნას.

04.05.1919

N95

პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მოხსენება თანამედროვე მომენტზე (გვ.4)

სახელმწიფო უნივერსიტეტში 28 და 29 აპრილს პრ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თანამედროვე მომენტზე მოხსენებას თითქმის მთელი სტუდენტობა და პროფესურა დაესწრო. მოხსენება მეტად საინტერესო იყო და პატივცემულ მომხსენებელს სტუდენტობამ მხურვალე მადლობა გადაუხადა. პროფ. ჯავახიშვილი ჯერ ჩვენს ისტორიულ პოლიტიკას შეეხო. იგი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ჩვენი წინაპრები გამოცდილნი იყვნენ აღმოსავლეთ სახელმწიფოებთან (სპარსეთ-ოსმალეთთან) პოლიტიკის წარმოებაში; იმდენად

გულიბრყვილონი იყვნენ ევროპიელებთან პოლიტიკის წარმოებაში. ჩვენ წინაპრებს ეგონათ, რომ ძლიერი ქრისტიანი ერი უანგარო დახმარებას გაუწევს მცირე ქრისტიან ერს, და ძლიერ ერის პოლიტიკაში ვერაგობას, ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. თუ საქართველო თვითონ დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას მაშინ იყო მისი რენესანსიც როდესაც კი საქართველო უახლოვდებოდა რუსეთს მაშინ მისი საქმეები აირეოდა რადგანაც რუსეთის პოლიტიკაში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოსთვის დახმარების გაწევა. რუსეთს თავისი მიზნები ჰქონდა და საქართველოსთვის ზრუნვა მხოლოდ სიტყვის მასალა იყო.

იმპერიალისტური პოლიტიკა რუსეთში დაიწყო პეტრე I დიდის დროს. ჯერ სუეცის არხი არ იყო მაშინ გაყვანილი და ევროპიელები ინდოეთში მიდიოდნენ სავაჭროდ აფრიკის გარშემო. რასაკვირველია ეს ძალიან შორი გზა იყო, ამისთვის პეტრე პირველმა განიზრახა დაეპყრო სპარსეთი და სპარსეთიდან ინდოეთში გადასულიყო. ეს გზა უფრო მოკლე იყო, და ინდოეთის ვაჭრობაც ადვილი ჩასაგდები იყო ხელში. პეტრე დიდის აზრით უნდა დაარსებულიყო კასპიის ზღვის ნაპირას რამოდენიმე ქალაქი. სადა მოეწყობოდა ინდოეთიდან გამოტანილ საქონლის საწყობი. სპარსეთზე გალაშქრებისთვის პეტრე დიდს დასჭირდა საქართველო. 1721 წელს მოულოდნელად თბილისში ჩამოვიდა პეტრე დიდის დესპანი. იგი წარუდგა მეფე ვახტანგ მე-6-ეს დაჰპირდა რუსეთის მფარველობა, საქართველოს გაერთიანება, დახმარება ჯარით, ფულით, იარაღით, და მოუწოდა მას რუსეთთან ერთად სპარსეთისათვის ომი გამოეცხადებინა. ეს გეგმა საერთოდ სპარსეთზე დაცემისა ისეთი მიმზიდველი იყო, რომ ვახტანგ მეექვსე გადიხარა მისკენ. მან მოიწვია დარბაზი (პარლამენტში), დარბაზის უმრავლესობა წინააღუდგა მეფის განზრახვას, დარბაზი

შესდგებოდა აღმოსავლეთ პოლიტიკაში დახელოვნებულ პირებისაგან, და მან გაითვალისწინა ის უბედურება, რომელი ამით საქართველოს დაატყდებოდა. მეფე არ დაემორჩილა დარბაზის დადგენილებას და პეტრე დიდთან ერთად სპარსეთს ომი გამოუცხადა. ვახტანგმა აიღო განჯა გადავიდა ყარაბახს საცა პირობებისამებრ უკვე პეტრე დიდის ლაშქარი უნდა ყოფილიყო,მაგრამ რომ პეტრე დარუბანდიდან უკან გაბრუნებულიყო ვახტანგ მეექვსესათვის კი შემოეთვალა: „შენ ნუ შეშინდები განაგრძე სპარსეთთან ომიო“. ვახტანგი თავისის ჯარით დაბრუნდა უკან, და საქართველომ იწვნია სპარსთა შემოსევა, რომელთაც მოსრეს და მოაოხრეს სრულიად აღმოსავლეთ საქართველო. თვით ვახტანგმა მიატოვა თავისი სამეფო და თავისის მახლობლებით გადასახლდა რუსეთს. ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს პირველად რუსეთთან დაახლოვება. მაგრამ ქართველმა მაშინდელმა პოლიტიკოსებმა მაინც ამით ჭკვა ვერ ისწავლეს და ისევ ისე გულიბრყვილონი დარჩნენ პოლიტიკაში.

დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ საქართველო კვლავ წამოდგა. წელში გაიმართა. თეიმურაზ მეფემ მოამზადა ნიადაგი ირაკლი მეორის სახელოვან მეფობისათვის. ირაკლი გენიოსი იყო, როგორც აღმოსავლეთ პოლიტიკაში, ისე სარდლობაში. საქართველო გაძლიერდა, დამყარდა მშვიდობიანობა, ერეკლეს ჰმორჩილებდა განჯა და ერევანი. მთელ ამიერ-კავკასიაში, და მის გარედაც კი ირაკლის დიდი გავლენა ჰქონდა, და საქართველოს ყველა პატივსა სცემდა. ერეკლეს სწადდა გაერთიანებული საქართველო. აღმოსავლეთი საქართველო რომელშიაც შედიოდა სხვათა შორის ლორი, ბამბაკი, ყახაზი - უკვე გაერთიანებული იყო. ერევნის ხანს და განჯის ხანს ერეკლისათვის არამც თუ არ უღალატნიათ არც როდის, არამედ მუდამ ერეკლესთან ერთად იბრძოდნენ სპარსელების წინააღმდეგ.

დასავლეთ საქართველოც გაერთიანებული იყო მეფე სოლომონის მიერ. მხოლოდ სამხრეთი საქართველო ეჭირათ ოსმალებს და ერეკლეს საზრუნავი იყო როგორმე ეს მხარი ისევ დედა საქართველოსთვის შემოეერთებინა. ამ დროს რუსეთში მეფობდა ეკატერინე მეორე, რომლის დროსაც კვლავ შედგნილ იქმნა პეტრე დიდის მიხედვით გეგმა სპარსეთის და ოსმალეთით დაპყრობისა და ინდოეთთან ვაჭრობის გაჩაღებისა. კიდევ დასჭირდათ საქართველო. ეკატერინის შიკრიკი დაჰპირდა ირაკლის რუსეთის მფარველობა, დახმარება, ჯარი, იარაღი, მხოლოდ ირაკლის უნდა ომი გამოეცხადებინა რუსეთთან ერთად ოსმალეთისათვის. მართლაც თბილისში ჩამოვიდა ასი ბატალიონი რუსის ჯარისა ცნობილ ტოტლებენის წინამძღოლობით, და ირაკლიმ გამოუცხადა ომი ოსმალეთს. საქართველოში არ იცოდნენ არც ზარბაზნების ჩამოსხმა, არც მათი მოხმარება. ტოტლებენის ჯარში მყოფმა ქართველმა ოფიცრებმა რატიშვილმა და თახნიშვილმა დაუწყეს ქართველებს ზარბაზნების ჩამოსხმასა და მოხმარების სწავლება. სწორეთ ბრძოლის დაწყების წინ ტოტლებენმა მიატოვა ირაკლი, თუმცა ირაკლის ეხვეწა მას, მაგრამ ტოტლებენი წავიდა, და მტერს ირაკლი პირში მისცა. ირაკლის გენიოსობამ საქართველო იხსნა განსაცდელისაგან. ტოტლებენმა რატიშვილი და სხვა ქართველი ოფიცრები ციხეში ჩასხა და ციმბირში გადაასახლა იმისთვის, რომ მათ ქართველებს ზარბაზნების ხმარება ასწავლეს. ყველა სახტად დარჩა მოკავშირე რუსეთის ასეთის ქცევით. როგორც საიდუმლო არქივებიდან ირკვევა რუსეთს სრულიათაც აზრად არა ჰქონდა საქართველო გაეძლიერებინა, არამედ უნდოდა იგი სრულიად დაუძლურებულიყო, რომ შემდეგ ადვილი მოსასპობი ყოფილიყო, მაგრამ ამ ვერაგობამ ვერ გაუხილა ქართულ პოლიტიკას თვალები, იგი მაინც გულუბრყვილო დარჩა, და ეგონა რომ ძლიერი უანგაროდ დაეხმარებოდა

მაჰმადიანებით გარემოცულ ქრისტიან ერს. 1783 წლის ცნობილი ხელშეკრებულება დაწერილია როგორც ირკვევა არა ირაკლის თხოვნით, არამედ პოტიომკინის კარნახით. ამ ტრაქტატის დედანიდან ჰსჩანს რომ იგი დაწერილია როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოსთვის, მაგრამ შემდეგ იმერეთის მეფე სოლომონის სახელი წაშლილია და ტრაქტატიც დაიწერა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსთან. განზრახული ყოფილა, რომ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოეწერა იმერეთის მეფე სოლომონსაც, მაგრამ რუსეთსა და ოსმალეთს საქართველო უკვე გაეყოთ და დასავლეთ საქართველო ოსმალეთისათვის გადაეცა რუსეთს. საერთაშორისო უფლების მქონე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ტრაქტატი არის მხოლოდ მოკავშირეების ტრაქტატი, და იგი სრულებითაც არა ჰგულისხმობს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. ეს ტრაქტატი ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს. იმ დროს, როცა ეს ტრაქტატი თბილიში ირჩეოდა, მაშინ აქ იყო აღა-მაჰმად ხანის მიერ გამოგზავნილი დესპანი, აღა-მაჰმად ხანი სთხოვდა ირაკლის, რომ მას თავი დაენებებინა რუსეთთან დაახლოვებისათვის და ჰპირდება აზერბაიჯანს თავრიზამდე.

07.05.1919

N97

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია. წელს მწერალ ქალს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შეუსრულდა 25 წელიწადი, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ქართულ ლიტერატურაში კარგად ცნობილია მისი შესანიშნავი რომანი „მოლიპულ გზაზე“ ან ერისთავ-ხოშტარიას ნაწარმოებიდან აღსანიშნავია კიდევ მეორე რომანი „ბედის ტრიალი“

მოთხრობები „ლაზარემ გადააჭარბა“, „მამა იოსები“, „კერა“ და სხვ. ამ ჟამად სწერს ახალ სოციალურ შინაარსის რომანს „მიწა“-ს.

08.05.1919

N98

განათლების სამინისტროში (გვ.2)

ტანვარჯიშობის მეცადინეობის შემოღება სკოლებში.

განათლების სამინისტრომ დასაბუთებული მოხსენება წარადგინა მთავრობაში ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში ტანვარჯიშობის გაკვეთილების შემოღების შესახებ. სამინისტროს აზრით ერის აღდგენისა და აყვავების საკითხში ერთი დიდი როლთაგანი შეიძლება ითამაშოს მიზან შეწონილად დაყენებულმა ტანვარჯიშობაში მეცადინეობამ, რადგან, საკმარისად ცნობილია, რომ ტანისა და გონების ჰარმონიულათ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. იგი აჩვევს ადამიანს საკმაო თავდაჭერილობას და სიმამაცეს საშიშროების წინაშე, აჩვევს მას მუყაით და სისტემატიურ შრომასა და სასწავლებელში კი ჯგუფური ფიგურების ასრულებით აჩვევს მას საზოგადოებრივ ცხოვრებას. ხსენებული მოხსნების თანახმად სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში შემოღებულ იქნეს ტანვარჯიშობის გაკვეთილები. ერთის მხრივ მოხსენებულ საგნის სწავლება ხელს შეუწყობს მოწაფეებში ჰარმონიულად გონებისა და ტანის განვითარებას და მასთან გააჯანმრთელებს მის აგებულებას, და შეაჩვევს სამკვირცხლეს. ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა დანიშნულ იქნეს ერთი მთავარ-გამგე, რომელსაც ორი თანაშემწე ეყოლება და რომელნიც სპეციალურათ გაუწევენ ხელმძღვანელობას ამ საკითხის ცხოვრებაში გატარებას.

მთავარ-გეგმას ჰნიშნავს მინისტრი ქართულ საგიმნასტო საზოგადოების „შევარდენის“ წარდგენით. მთავარ-გამგესთან იარსებებს საბჭო სპეციალისტებისა, რომელიც შეიმუშავებს ხოლმე ხსენებულ საგნების გაკვეთილების სათანადო გეგმებს და იზრუნებს სათანადო სახელმძღვანელობის გამოცემაზე. განათლების სამინისტროს აზრით ხსენებული ზომის გატარება, რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა მოხდეს.

ქრონიკა (გვ.2)

უფასო პირველ-დაწყებითი სწავლის შემოღებისათვის.

განათლების სამინისტროს განზრახული აქვს შემოიღოს საერთო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლა. ამისათვის საჭიროა გამოცდილი სახალხო მასწავლებლები. იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა რესპუბლიკის საოსტატო სემინარებს, წარმოადგინონ მოხსენება თუ რამდენი პარალელური განყოფილების გახსნაა საჭირო მასწავლებლების მოსამზადებლად.

13.05.1919

N102

სამხატვრო ქრონიკა (გვ.2)

ვასილ ბარნოვმა დასწერა ახალი მოთხრობა „კერძო ბედნიერება“. მოთხრობა პატარაა და კარგი იქნებოდა ვისმეს ცალკე გამოეცა მწერლის დღესასწაულის აღნიშვნის დროისთვის.

28.05.1919

N108

ჩვენი საშუალო სკოლის გარშემო (გვ.3)

ჩვენი საშუალო სკოლის ცხოვრება, ჭეშმარიტად, უნუგეშო მდგომარეობაშია. აწინდელ ჩვენს განათლების მესვეურთ დიდი შრომა, მოთმინება და გამსჭრიახობა დასჭირდებათ ამის ასე თუ ისე მოგვარებაში,

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სკოლის აღორძინება შეუძლებელია. ზემოხსენებულ არევდარევის წარმომშობითი მიზეზები ჩვენს სკოლაში ორი გარემოებისაა: პირვ., რევოლუციის, რომელმაც ღირებულებათა შეფასება გამოიწვია ცხოვრების ყველა დარგში და მეორე, ჩვენი განათლების სხვა და სხვა უმაღლეს ორგანოთა ორჭოფულ მოქმედებას. ამ მიზეზებზე ჩვენ მეტს არაფერს ვიტყვით, ვინაიდან მასზე ლაპარაკი არაფრათ დაგვეხმარება, ხოლო მათი შედეგები სამწუხაროა და პასუხსაგები. ასე თუ ისე ამ გარემოებამ სკოლას რევოლუციის პირველ დღეებშივე დაუკარგა ნიადაგი.

ამას წინად ერთს ჩემს მეგობარს, სხვათა შორის, ვკითხე: „ შენი ბავშვები რომელ გიმნაზიაში სწავლობენ მეთქი, მან მიპასუხა, რომ არც ერთ გიმნაზიაში. მე თვითონ ვასწავლიდი. ასეთმა ლოგიკურმა პასუხმა მე გამაოცა და ვუთხარი, რომ სანამდე შეგიძლია და დრო გექნება შენ თვით ასწავლო ბავშვებს მეთქი. მან მიპასუხა, რომ სანამ სკოლა არ მიიღებს სახეს. იქ სწავლას სჯობიან სულ არ ისწავლონ, ვინაიდან, მითხრა მან, სკოლაში ესენი არაფერს ისწავლიან და გაზარმაცდებიან და ყოველივე გარყვნილებას მიეჩვევიანო.

გულწრფელი იყო ჩემი მეგობრის აზრი.

პირველად ყოვლისა სკოლა ისეთი ინსტიტუტია, რომელიც შეცდომებსა და სიყალბეს ვერ ითმენს; ის უნდა ემყარებოდეს თეორიულად მეცნიერებაზე, ხოლო პრაკტიკულად კი ერთფეროვან სისტემაზე ამას კი ჩვენ დღესდღეობით ვერ ვხედავთ ჩვენს საშუალო სკოლაში, რის გამო მას არა აქვს მკვიდრი ორგანიზაციული წყობილება, რომლის შექმნას ჩვენმა სამინისტრომ აქედანავე უნდა მიჰყოს ხელი.

ყოველ დიდ საქმეში, როგორიც არის მაგ. სკოლის რეორგანიზაცია, საჭიროა საუკეთესოა მაგალითებით სარგებლობა. ამ მხრივ ჩვენ არა ვართ

უმწეო: ჩვენ წინ არის მოწინავე ხალხების სასკოლო სისტემების მაგალითები, რომლით სარგებლობა აუცილებელია, რადგან ჩვენ არავითარი საკუთარი სასკოლო მშენებლობა წინეთ არ გვქონია, არავითარ მემკვიდრეობითი ორგანიზაციურ შრომას ამ მხრივ არა ვართ შეჩვეული და ისეთ სათუთ საქმეში, როგორიც არის სკოლა, ჩვენ დავიბნევით. კიდეც ასე მოხდა.

რო გადავავლოთ პედაგოგიის ისტორიას თვალი დავინახავთ, რომ იეზუიტების სკოლების მთელი სიდიადე მდგომარეობდა მათ ორგანიზაციულ უნაკლულობასა და ადმინისტრატიულ მდგომარეობაში. პედაგოგიაში, ამბობს პროფ. მონრო, იეზუიტების სასკოლო ორგანიზაციამ შექმნა ისეთი უნაკლო სისტემა, რომლის მსგავსი არსათ სხვა პედაგოგიურ სფეროში არ ყოფილა. ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორ უნაკლოდ გამომუშავებულ სასკოლო ორგანიზაციით აღწევდენ ისინი მოზარდ თაობის აღზრდას ისე, როგორც მათ გაზრახული ჰქონდათ.

ჩვენ ეს მაგალითისთვის მოვიყვანეთ.

თუ ეს შესაძლებელი იყო სამ-ოთხს საუკუნის წინეთ, ჩვენ დროში უფრო შესაძლებელია, ვინაიდან საშუალებაც ამისთვის ახლა მეტი გვაქვს. ახლა გადავავლოთ თვალი -არის თუ არა ჩვენს საშუალო სკოლაში რაიმე ორგანიზაცია, სისტემა სწავლა-აღზრდის საქმეში? რასაკვირველია არავითარი, რამდენი საშუალო სკოლა გვაქვს, იმდენი სხვადასხვანაირობას აქვს ადგილი. მაგრამ ამაზე შემდეგ.

01.06.1919

N111

განათლების სამინისტროში (გვ.2)

საზღვარ-გარედ სტუდენტების გაგზავნის შესახებ. განათლების სამინისტროში აუარებელი თხოვნები შედის სტუდენტობიდან საზღვარ გარედ გაგზავნის შესახებ.

ცაგერის სკოლისთვის. ლეჩხუმის სამაზრო ერობა სთხოვს განათლების სამინისტროს მისცეს მათ 20,000 მ. იმ ზარალთა ასანაზღაურებლად რომელიც ბოლშევიკებმა მიაყენა ცაგერის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელს.

06.06.1919

N115

განათლების სამინისტროში (გვ.2)

მოსწავლეთა დათხოვნა. განათლების სამინისტროს დადგენილების თანახმად, ყველა საშუალო სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც ღირსნი იყვნენ გამოუცდელად შემდეგ კლასში გადაყვანისა, დაითხოვეს 31 მაისს. ხოლო სუსტ მოსწავლეებს ამაცადინებენ 15 ივნისამდე რომლის შემდეგაც გამოცდები დაიწყება.

უფასო საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ. სახალხო განათლების სამინისტროსთან მინისტრის ამხ თავჯდომარეობით შესდგა ერობათა წარმომადგენლების ყრილობა, უფასო საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ. ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა დაბალ სკოლების უფროს გამგე-ჭუმბურიძემ. იყო აგრეთვე მოხსენებები სხ. და სხ. ადგილობრივ ერობათა წარმომადგ. მომხსენებლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან, როგორც მატერიალურობის მხრივ ისე მასწავლებელთა მომზადების მხრივ. ერობათა

წარმომადგენელთ დაევალათ სასწრაფოთ წარმოადგინონ ცნობები, თუ რამდენი სკოლაა მათ რაიონში, ან რა მდგომარეობაში არიან ხსენებული სკოლები და სხ. დაადგინეს დააჩქარონ უფასო, საყოველთაო სწავლის შემოღების საქმე.

11.06.1919

N118

განათლებ. სამინისტროში (გვ.3)

ყალბი მოწმობები. განათლების სამინისტრომ აცნობდა საშუალო სკოლების გამგეთ, რომ მოწმობები რომელთაც აზით ბეჭედი „თევზაძის გიმნაზია“ არ მიიღონ. ყველა ასეთი მოწმობები გაუქმებულად ითვლებიან. ასეთ მოწმობების პატრონნი ვალდებულნი არიან თავიანთი მოწმობები განათლების სამინისტროში წარადგინონ და გამოსცვალონ.

საზღვ. გარედ წამსვლელ სტუდენტთა შესახებ. მთავრობამ საზღვარ-გარეთ-გასაგზავნ სტუდენტთა სტიპენდიებისათვის 1 მილ გადასდო და დასამტკიცებლად გადასცა დამფუძნებელ კრებას, უკანასკნელის მიერ დამტკიცების შემდეგ შესდგება საგანგებო კომისია, გზათა, მიწად-მოქმედების ფინანასთა და განათლების სამინისტროთა წარმომადგენელთაგან, და შეიმუშავებენ თუ როგორი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ხალხია საჭირო საქართველოსთვის. ამის შემდეგ გაირჩევა მსურველთა თხოვნები.

15.06.1919

N122

ქართ.ისრაელთა სწავლა-განათლებისათვის (გვ.3)

ამას წინად ჩვენ შევეხეთ ქართველ ისრაელთა სწავლა-განათლების კითხვას, რამაც სამართლიანი გამოძახილი ჰპოვა ქუთაისის პრესაში.

სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული ვართ კვლავ დაუბრუნდეთ ამ მეტად მარტივსა და ნათელ კითხვას, ვინაიდან ჩვენს ყურამდე ისეთმა აღმაშფოთებელმა ამბებმა მოაღწია, რომელზედაც შეჩერებას ჩვენს მოვალეობათა ვრაცხთ. ქუთაისში არსებობა საშუალო კომერციული სასწავლებელი, სადაც რამოდენიმე ათეული ქართველი ისრაილის ბავშვი სწავლობს. ესენი საუკეთესო მოწაფეთა რიცხვში ითვლებოდნენ და ამ მხრით მასწავლებელთა განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს შეადგენენ. ამ ბოლო ხანებში კი ისინი საშინლად დაქვეითებულან. სწავლას გულს აღარ უდებენ, არც თუ იმის შიში აქვთ, რომ შესაძლოა ისინი სრულიად გამოირიცხონ სასწავლებლიდან.

ამ სასწავლებლის დამაარსებელი ერთერთი პატივცემული საზოგადო მოღწავე გულნატკენი მომითხრობს ამ ფაქტსა და აღნიშნავს, რომ თვით მოწაფეები აქ არაფერი შუაში არიან, არც თვისი სწავლის უნარის მხრით, არც თვისი შეგნებით.

ქართველ ისრაელთა შორის მრავლად მყოფ ფანატიკოსებს დაუარსებიათ ერთგვარი, ასე ვთქვათ,ორგანიზაცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს ქართველ ისრაელთა ბავშებს გული აუცრუოს სწავლა-განათლებაზე და ჩვეულებრივი პარაზიტები გახადონ. ისინი ეწევიან სიტყვიერ და წერილობით პროპაგანდას, სალოცავში, ოჯახში, ქუჩაში და ყველგან, სადაც კი მოუხერხდებათ. მათ ესმით, რა დიდი ზნეობრივი გავლენა აქვსთ დედებს თავის შვილებზე და შეუშინებიათ, როგორც დედები, ისე მამები, რომ უკეთუ ისინი შვილს სასწავლებლიდან არ გამოიყვანენ, ღმერთიც, კაციც და რჯულიც მათ შეაჩვენებს, დაასნეულებს, სახადს შეყრის, შვილებს დაუხოცავს და სხ... შეშინებული მშობლები რას არ იზამენ შვილის სიცოცხლისთვის, თუნდაც სულ უსწავლელი დარჩეს, ოღონდ სიცოცხლე კი შერჩეს. ბავშვს სწავლა სწყურია და ერთბაშად მისი

უარზე დაყოლიება არც ისე ადვილია. გადის დრო, დღეები და ბავშვს ლურსმანივით ეჭედება ტვინში ის აზრი, რომ სწავლა-ცოდვაა, დანაშაული ღვთისა და სარწმუნოების წინაშე და რაკი ასეა, არც თავს შეიწუხებს გაკვეთილების მოსამზადებლად. გაოცებულ მასწავლებელს ის ასე უპასუხებს: „ვინც ისწავლეს რა გააკეთეს, მათ რჯულიც დაივიწყეს, ღმერთიც და დღე-მუდამ ჩვენი ხახმები მათ წყევლა-კრულვას უნდებიან; მე კი არ მინდა რომ თორის მასწავლებელმა დამწყევლოს,რადგან ყველა უბედურება ცხოვრებაში ამ წყევლას მოაქვსო“. აი რას ეუბნება თავის მასწავლებელს ქართველი ისრაელის ბავშვი და ასეთი აზრებით გაჟღენთილი იგი სწავლას თავს ანებებს და ქუჩაში განაგრძობს თავის განათლებას და ან კიდევ ხახმებს უვარდება ბრჭყალებში. ხახმებმა იციან, თუ როგორი სწავლა უნდა ამ ბავშვს და ასე ამგვარად თანდათანობით აძლიერებენ თავის მიმდევართა წრეს.

ჩვენ არ მივმართავთ ამ ხახმებს; ვიცით, რომ კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს, მაგრამ ჩვენ მივმართავთ ყველას, როგორც ქრისტიან, ისე ისრაელ ქართველთა მშობლებს, მოწაფეებს, მასწავლებლებს, კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას, ნუ დაზოგავენ ნურავითარ, თუნდაც უსასტიკეს საშუალებს, რომ ასეთ ტრაღიკულ, საზიზღარ, აღმაშფოთებელ მოვლენას შეებრძოლონ. ჩვენ არ გვინდა საბოლოოდ დაიღუპოს ის ნაწილი ქართველი ერისა, რომელიც დიდს შემოქმედებით ენერგიას, პოტენციურად ატარებს თავის არსებაში და რომელსაც ასე ხელოვნურად უღვთოდ და ურჯულოდ აღრჩობენ საშოშივე. ჩვენ ვიცით ეს შემოქმედებითი ენერგია პარაზიტულ, მავნე ენერგიად იქცევა, უკეთუ ამ თავითვე არ იქნება მოსპობილი ეს საზარი პროპაგანდა და სიძულვილი სწავლა-განათლებისადმი.

ყოველ შემთხვევაში მე ვიცი, რომ ქართველ ისრაელთა წრეში საკმარისად მოიპოვებიან ისეთი ინტელიგენტური ძალები, რომელნიც მიუხედავად თავისი პოლიტიკური ანტაგონიზმისა, ერთ აზრად მოევლინებიან საზოგადოებას ამ კითხვაში და ყოველგვარ საშუალებას მიჰმართავენ ამ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში. ვინც ამ კითხვაში ჩვენთაც არ იქნება, ის არის ჩვენი მტერი და სათანადოდ მოვეპყრობით მას.

22.06.1919

N128

სახალხო განათლების სამინისტროში (გვ.3)

კონს. დოდაშვილის სამეცნიერო მოგზაურობა. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობა აცნობებს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, რომ ორივე დაწესებულება შესაძლებლად სცნობენ ბ-ნ კონსტანტინე დოდაშვილის თხოვნას, ათ მილიონიან ფონდიდან სამეგრელო-სამურზაყანოში სამეცნიერო კვლევაძიებისათვის 1810 მანეთის გადიდების შესახებ, შეწყნარებულ იქმნეს იმ პირობით კი რომ ბ. დოდაშვილმა ანგარიში თავის სამეცნიერო მოგზაურობის თაობაზე ერთ ერთს დაწესებულების(ან უნივერსიტეტს ან საისტორიო საზოგადოებას) წარუდგინოს. ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო კონტროლიორი, თანახმად ასეთი დასკვნისა, თანახმანი არიან ხსენებულს მკვლევარს დოდაშვილს მიეცეს 1810 მანეთი, რაიც უკვე აცნობეს განათლების სამინისტროს.

25.06.1919

N130

მთავრობის ცნობები(გვ.2)

სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვის პროექტი(1919 წ. 1 ივნისიდან) და 1 იანვრიდან ა.წ. 1 ივნისამდე პირადი შემადგენლობის დამატებითი ჯამაგირების მისაღებად. 172,635 მან. გადიდების შესახებ მოწონებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

26.06.1919

N131

სტუდენტთა ცხოვრება(გვ.3)

სამეცნიერო ჟურნალის დაარსებისათვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ვიწრო წრემ განიზრახა მომავალ სასწავლო წლიდან გამოუშვას, რომელშიაც მოთავსდება ყოველივე მასალა სამეცნიერო ხასიათისა. ამ წრის ინიციატორობით შაბათს, სტუდენტთა სასადილოს კანტორაში შესდგა კრება. გამოცემაში მონაწილეობის მიღების მსურველთა იმსჯელეს ჟურნალის მოიწვიონ მომავალ კვირეს უფრო ფართო კრება და საბოლოვო დადგენილება გამოიტანონ ჟურნალის გამოცემის შესახებ.

27.06.1919

N132

(თბილელ ქალთა წრეების მართველთა საყურადღებოდ)

ყველას მოეხსნება, რომ თბილისში დიდი ხნიდგან არსებობს ქალთა ერთი პატარა წრე, რომელიც აწარმოებს ქალთა პროფესიონალურ პატარა სკოლას, საიდანაც ყოველ წლივ უგზავნის ქართველ საზოგადოებას ოცდა-ათიდან ორმოცდა ათამდე, რიგიანად მომზადებულ ხელოსან ქალებს.

დღეს, როდესაც ჩვენი დედა ქალაქი ხვთის და გარემოების წყალობით თავისუფალ მოქალაქეობრივ ცენტრად იქცა, სადაც ყოველი ხელოვნება და ხელოვნება შეერთებულის ძალით აგანიერებს თავის დარგს მუშაობისას, ქართველ ქალთა პროფესიონალური სკოლის გამგეობაც მიმართავს სხვა ქალთა წრეებს, რომელნიც კარგა ბლომად მოიპოვებიან თბილისში და სთხოვს ამათ შეჰკრან საერთო კავშირი და შეერთებულის ძალით გააფართოვონ აუცილებელი და ფრიად საჭირო საქმე.

ქალთა წრეები აწარმოებენ: „ძმურ ნუგეშის“საჩაიეს, სასადილო „იმედს“ „განათლებას“. ქალთა წრე. კავკასიელ ქალთა ქართული განყოფილების წრე და სხვა. რასაკვირველია, ყველა ეს წრეები პატიოსნად და წარჩინებით აწარმოებენ თავიანთ საქმეს, მაგრამ ისევე პატარას და განმარტოვებულად, როგორც „ჭრა-კერვის“ მაწარმოვებელი საზოგადოება.

რომ შეერთდნენ კი ეს წრეები, მაშინ მათი ძალა და მნიშვნელობა ერთი-ათად გაღონიერდებოდა და მოიტანდა შესანიშნავ შედეგს თვალსაჩინო გახდებოდა ქართველ, ქალთა სახელობით არსებული დაწესებულება და სამაგალითო ცენტრად იქცეოდა პროვინციისთვის, რომელიც ყოველთვის გაფაციცებით ადევნებს თვალს ქალაქში დაწყებულ საქმეს.

ამ ოცი წლის განმავლობაში ქალთა წრეები მრავლად აღმოცენდნენ ჩვენ დაბა ქალაქებში და თითქმის ყოველგან აწარმოებენ პროფესიონალურ სწავლის დარგვას, თბილისის ქალთა წრის მიხედვით, ვგონებ. ქართლი, კახეთი, იმერეთი ერთმანეთს ეჯიბრება ამ შემთხვევაში და მთაშიაც კი გაიხსნა რამდენიმე საპროფესიონალო ქალთა სკოლა. ეს მოვლენა დიდად საყურადღებოა და ჩვენ თბილელმა ქალებმა უთუოდ

უნდა სისტემატიურად მოვაწყოთ და გავაგანიეროთ პროფესიონალური აღზრდის საქმე, რომ ხელმძღვანელობდეთ პროვინციას.

ამისთვის უთუოთ საჭიროა შეერთებული ძალა და ერთი დიდი თვალსაჩინო საქმის წარმოება მაგალითად, დღეს არსებული პატარა „ჭრა-კერვის“ სკოლის პროგრამა ისე უნდა გაფართოვდეს, რომ ყოველი ქალთა საჭირო სამკაულის განყოფილება, მაგალითად ბაშმაკებიც, ჩულქების, საცვლების, ტანისამოსის, ქუდებს და ხელოვნურად სახელოსნოები აკმაყოფილებდნენ, თუ სრულებით არა, თვალსაჩინოთ მაინც, ჩვენ მოთხოვნილებას და თან ამ სახელოსნო სკოლებში მზადდებოდნენ მასწავლებელნი პროვინციისთვის.

ამავე გაფართოვებულ საქმესთან და ფართე სადგურში მოწყობილთან, მოეწყობოდა „საჩაიე“, სასადილო, ქალთა კლუბი, რომელთა წევრები ამასთანავე იქნებოდნენ წევრებად და მზრუნველობად ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილ დაწესებულ სახელოსნო სკოლების.

ჩვენი ბევრი გიმნაზიები გვაქვს, სადაც იღებენ საზოგადო განათლებას და შემდეგ მიდიან მოხელეებათ, მასწავლებლებად და კერძო კანტორებში სამუშაოდ. საპროფესიონალო განათლება კი, თითქმის უყურადღებოდ არც მიტოვებული. უმრავლესობა ხალხისა კი,თხოულობს იმისთანა ცოდნას, რომელიც გაუმჯობესებს ხელოსნობას, ოჯახში შეიტანს აუცილებლად ცოდნას შეგნებულად და ხელოვნურად მიღებულს.

რასაკვირველია, ფრიად საჭირონი არიან ჩვენთვის საზოგადო განათლების და უმაღლეს განათლებით აღჭურვილი ქალნი, მაგრამ ხელოსანნი და კულინარნი ქალები ერთი ათასად უფრო მომატებულნი უნდა გვყავდეს, თუ გვინდა ხალხში შევიტანოთ კულტურულად მოწყობილ საქმიანობა.

ქალთა ამხანაგობის „ჭრა კერვის“ სკოლის საზოგადო წლიური კრება დანიშნულია კვირას 29 ივნისს, სკოლის სადგურში. (გაბაან ქუჩა N3) 12 საათზედ. საჭიროა ამ წრის წევრების გარდა, შეიკრიბნენ სხვა ქალთა წრეების წარმომადგენლებიც და საერთო მსჯელობა იქონიონ ამ ჩემ წინადადებაზედ.

ვგონებ დროა ცალცალკე კუთხეებში ჯდომას და პირად თავმოყვარეობას თავი დავანებოთ და შეკავშირებულნი ერთობით ერთი დიდი რამ და მშვენიერი შევქმნათ ჩვენ დედა ქალაქში, რომ პროვინციამ იცოდეს ვის მიმართოს ხელთმძღვანელებისათვის და ვისგან შეიძინოს მომზადებული მასწავლებელი, რომლებთა მოთხოვნილება დიდია და დაკმაყოფილება კი პატარა სკოლას არ ძალუძს.

„ჭრა კერვის“ სკოლას აუარებელი წერილები მოსდის დახელოვნებული ხელოსნის მოთხოვნილებით, მაგრამ იშვიათად ახერხებს ასრულებას, რადგან ძლიერ ცოტანი არიან და ვინც არიან დიდ ქალაქებს ამჯობინებენ ბევრნი კი რომ იქნებიან და დიდი ქალაქები აივსებიან, მაშინ მომატებულნი პროვინციას მიატანენ.

მაშ ასე, კვირას 29 ივნის, 12 საათზედ ქართველ ქალთა ჭრა კერვის სადგურში შეიკრიბებიან ყველა ქართველ წრეების წარმომადგენლები და შეეცდებიან მოაწყონ ის საქმე, რომელიც მე ზემოთ აღვნიშნე და, რომელიც, უეჭველია, ყოველი ქართველი დედაკაცის თანაგრძნობას იპყრობს.

გამგე ქართველ ქალთა ჭრა კერვის სკოლისა **ეკატ. გაბაშვილისა.**

25.07.1919

N156

ქართველ მწერალთა კავშირის მემორანდუმი (გვ.1)

ამ დღეებში მთავრობის თავჯდომარეს წარუდგა დელეგაცია ქართველი მწერლებისა მწერალთა კავშირის თავჯდომარის კოტე

მაყაშვილის მეთაურობით და გადასცა მემორანდუმი, რომელიც მწერალთა საერთო კრების მიერ იქმნა მიღებული.

მემორანდუმში დახასიათებულია საერთო მწერლობის მდგომარეობა საქართველოში და ის არა ნორმალური პირობები,რომელშიაც უხდებათ დღეს ქართველ მწერლებს მუშაობა, მოყვანილია ისეთი ფაქტი, რომელნიც თავისთავად ლაპარაკობენ თუ რა კრიზისს განიცდის მწერლობა.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ფაქტიურათ კი მესამე წელზე მიდის რაც განთავისუფლებული საქართველო აწყობს თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რაც გაკეთდა, რითაც სახელმწიფოს დანგრეულმა ორგანოებმა მიიღეს ახალი სიცოცხლე და ენერგია და ქართველი ხალხი შემოქმედებით მუშაობაში ჩაება.

მოწყობილია კიდეც არა მარტო საერთო სახელმწიფოებრივი აპარატი, როგორც სამხედრო, ფინანსური და სხვა, არამედ მოწყობილია სახელმწიფო უნივერსიტეტი, და თეატრი.

მთავრობის დახმარებით უხვათ ისარგებლეს ქართველმა მემუსიკეებმა და მხატვრებმა და მხოლოდ მწერლობას დღემდე არ დატყობია მზრუნველი ხელი.

მემურანდუმში აღწერილია, თუ რა დამსახურება აქვს ქართულ მწერლობას საქართველოს წინაშე იმ იდეების შექმნით და განმტკიცებით, რითაც საქართველო ინახავდა თავის ეროვნულ სულს, აღნიშნულია აგრეთვე, რომ თვით დღევანდელი დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელნიც გამოსული არიან მწერლების წრიდან და იცნობენ მის მოთხოვნილებას. და დღეს მწერლებს ერთი ჟურნალიც კი არ აქვთ, რომ

თავიანთი ნაწარმოები დაბეჭდონ, რაც უკვე ეროვნულ სირცხვილს უახლოვდება.

მემორანდუმში ჩამოთვლილი მწერლების პირველ საჭირო და აუცილებელი მოთხოვნილებანი, რომელთა დასაკმაყოფილებლათ მწერალთა საბჭო სთხოვს მთავრობას, გადადებული იყოს თანხა ერთ მილიონამდი.

უეჭველია დღეს საქართველო განიცდის ფინანსურ კრიზისს, მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ მწერლობის კრიზისიც ერის სულიერი შემოქმედების კრიზისია, არაფერ ხარჯს არ უნდა დაერიდოს მთავრობა, რომ თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნეს.

საქართველოს მთავრობას ბევრი პრეცედენტი შეუქნია იმის, რომ კულტურულ დაწყებისთვის ხარჯი გაეღოს და თან საგრძნობი თანხაც. როცა მთავრობამ ნაციონალურ გალერეისთვის შეიძინა სომხის და რუსის მხატვრების სურათები რამდენიმე ათი ათასი მანეთის -ეს აქტი ყველას მიერ დაფასებული იქნა, როგორც უკეთილშობილესი საქციელი.

თუ რამდენიმე ათი მილიონი გაიღო ჩვენმა მთავრობამ რუსების დასაკმაყოფილებლად, რაზედაც დამოუკიდებლობის ნახევარ წლის თავზე ლაპარაკობდა მთავრობის თავჯდომარე, ბ-ნი ნოე ჟორდანია და რუსები მაინც უმადურობას იჩენდნენ. მთავრობის ახალმა მეცენატობამ რუსეთის საზოგადოებაში და მხატვრულ წრეებში შეჰქმნა ისეთი ნდობის და პატივისცემის ატმოსფერა, რომელიც ამაგრებს როგორც მთავრობას, ისე საქართველოს პრესტიჟს. ასე მიიღო ეს ქართველმა დემოკრატიამაც, აგრეთვე, რაც უნდა დიდი თანხა იქნეს გაღებული მწერლებისთვის მაინც ცოტა იქნება საჭიროების დასაფარავათ და არასდროს საზოგადოების არც ერთ წრეში არ გამოიწვევს უკმაყოფილებას.

რომ არაფერი არ ითქვას საბჭოთა რუსეთზე, სადაც ხელოვნების დახმარებამ სახალხო კომისრების მიერ ისეთი სახე მიიღო, რომ დაჩრდილა ყველაფერი, რაც აქამდი გაკეთებულა ამიერ კავკასიის რესპუბლიკებშიც შეიქნა უკვე ამის პრეცედენტი.

სომხეთის მთავრობა, რომელიც ვერ აუდის ლტოლვილების გამოკვებას და საერთაშორისო მათხოვარათ გადაიქცა, რომ ხალხი უპუროთ არ დაიმშეს, მაინც ახერხებს და სომხების მწერლებისათვის სდებს ასი ათას მანეთს, და როგორც ირწმუნებიან ეს თანხა მარტო თბილისელებისთვის არის გადმოგზავნილი და ერევანში ახალ დახმარებას ელიან.

ამიტომ არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მთავრობა დაჩქარებით განიხილავს მემორანდუმს და სათანადო დეკრეტით გადასდებს იქ ნათხოვნ თანხას.

აქამდის ქართველი ხალხი არაფერს არ ზოგავდა,რომ თავისი ყურადღება და პატივისცემა გამოეთქვა მწერლებისადმი და მთავრობაც გააგრძელებს ალბათ ამ ტრადიციას.

30.07.1919

N160

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და წიგნთ-საცავი(გვ.4)

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა, პროფეს. ივანე ჯავახიშვილმა შემდეგი შუამდგომლობით მიმართა სახალხო განათლების მინისტრს.

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ბერიტაშვილმა, რომელიც ამ ჟამად ქ. ოდესაში იმყოფებოდა და თბილისისკენ გამოსამგზავრებლად მზად არის, უნივერსიტეტის დავალებით ადგილობრივ, ოდესაში, შეიძინა პროფ. მედვედევისგან

ძვირფასი წიგნთ-საცავი ფიზიოლოგიისა და ფიზიოლოგიურ ქიმიის დარგებში; ეს ბიბლიოთეკა წონით 40-50 ფუთამდე იქნება და შესყიდულია ქართული უნივერსიტეტის საჭიროებისთვის, მაგრამ უკრაინის ადგილობრივი მთავრობა პროფ. ბერიტაშვილს ნებას არ აძლევს თბილისში გადმოიტანოს ეს ბიბლიოთეკა და ამ მიზნით იგი სახელმწიფო საკუთრებათ გამოაცხადა.

სახალხო განათლების სამინისტრომ ქართულ უნივერსიტეტის რექტორის ასეთი განცხადება აცნობა გარეშე სამინისტროს და სთხოვა სათანადო ზომების მიღება, რათა პროფ. ივ. ბერიტაშვილმა შეძენილი ბიბლიოთეკა თბილისში დაუბრკოლებრივ გადმოიტანოს და თვითონაც შეუფერხებლივ გამოემგზავროს.

01.08.1919

N162

ქართველ მწერლებისადმი (გვ.3)

ქართველ მწერალთა კავშირის გამგეობას განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს დიდი ფორმატის ლიტერატურული კრებულის პირველი ნომერი.

ასეთი კრებულის გამოცემის აუცილებლოას საბჭო თავიდანვე გრძნობდა,მ აგრამ მრავალთა დამაბრკოლებელი მიზეზები, - ტეხნიკური, მატერიალური და სხვ. ხელს უშლიდნენ ამ აზრის განხორციელებას.

ამ ჟამად ეს დაბრკოლებანი თითქმის გადალახულია, ვინაიდან ხსენებულ კრებულის გამოცემის საქმე თავს იდვა ამიერ კავკასიის კორპერატივთა კავშირმა.

სდგება რა ამგვარად მკვიდრ ნიადაგზე საქმე კრებულის გამოცემისა კავშირის გამგეობა მიმართავს ქართველ მწერლებს თხოვნით, - გამოგზავნონ თავიანთი ნაწარმოებები კრებულში მოსათავსებლად

პირველ სექტმბრამდე. კრებულში იქნება შემდეგი განყოფილებანი: პოეზია, ბელეტრისტიკა, ესთეტიკური მხატვრობა,(მუსიკა, თეატრი, მხატვრობა, ქანდაკება და სხ).

თანახმად მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებისა, უკვე არჩეულია სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედიან ბ.ს. აბაშელი, აკ. პაპავა, გრიგოლ რობაქიძე და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის წარმოდგენილი ბ.ნი ივ. ცაგარელი.

ვინაიდან მისალმების გასაცნობად და შესაფასებლად რედაქციას ერთი თვე მეტად მცირე დროით მიაჩნია, -საბჭო სთხოვს მწერლებს კრებულისათვის გამოგზავნონ მეტად შერჩეული მასალები. მასალები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: თბილისი, ქალაქის გამგეობა, გამგეობის წევრს აკაკი პაპავას. კრებულისათვის.

ქართველ მწერალთა კავშირის გამგეობა.

10.08.1919

N170

ახალი ინგლისური გაზეთი თბილისში (გვ.1)

გამოვიდა ახალი ინგლისური გაზეთი „ჯორჯიენ მაილ“. გაზეთს თვით ინგლისელები სცემენ, ის ჯგუფი, რომელიც წინედ „тифлисский Листокы“-ის უკანასკნელს გვერდზე ინგლისურს განყოფილებას აწარმოებდა.

ამ გაზეთის გამოსვლა ქართველ ინგლისელთა დაახლოების საქმისათვის დიდ-მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

გაზეთის მოწინავე ფრიად საინტერესოა და მას სავსებით მოვიყვანთ ჩვენი გაზეთის შემდგომ ნომერში.

12.08.1919

N171

სახალხო მასწავლებლები შიმშილობენ (გვ.4)

რედაქციას მოუვიდა დასაბეჭდად ერთ-ერთ პროვინციელ მასწავლებლისაგან შემდეგი წერილი: „ოთხი თვის განმავლობაში ჯამაგირები არ მიგვიღია. ნუ თუ მთავრობა არ ჰფიქრობს იმას, რომ ჩვენ სახალხო მასწავლებლებმა რით უნდა დავაკმაყოფილოთ საკუთარი და ოჯახური მოთხოვნილებანი? მათ ჰგონიათ,რომ მასწავლებლები ეხლა სცხოვრობენ თავიანთ ოჯახებში და აღარაფერი სჭირდებათო. მართალია ჩვენ შინ ვცხოვრობთ ეხლა, მაგრამ აქაც ისეთივე მოთხოვნილებანია როგორც სხვაგან სამსახურის დროს. ჩვენ ხომ ქურდობას ვერ დავიწყებთ და სხვა ბოროტ საქმეს ვერ ჩავიდენთ მარტო ჯამაგირების იმედი გვაქვს და იმას შევჩერებივართ, ძველ დროში ბევრად უკეთესი იკო,რასაც ვიღებდით თავის დროზე ვიღებდით. გვპირდებიან მომატებულ ჯამაგირს მიიღებთო, მაგრამ ნათქვამია: „პეტრეს მოსვლამდი, პავლეს ტყავი გააძვრესო“ ასეა ჩვენი საქმე. აღარ გვეღირსა რაც არის ისიც. დროა მოგვაქციოს ყურადღება მთავრობამ და დააკმაყოფილოსს ჩვენი მცირე მოთხონილება. მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლია, აუტანელია ეხლა ჩვენი ცხოვრება! ბევრად სიკვდილი სჯობს ასეთ სიცოცხლეს. ხაზინაში ფული არ არისო, იმით თუ იმართლებენ თავს, ნუ თუ მარტო ჩვენთვის არაა? სხვა თუ თვის თავზე იღებს? ისმინეთ ჩვენი ვედრება, უზომოდ ვიტანჯებით.

მასწავლებელთაგანი.

22.08.1919

N179

სამეცნიერო ნაშრომი (გვ.2)

საქართველოში ახლად ჩამოსულ ახალგაზრდა პროფ. ნიკოლოზ კახიანს უკრაინაში ყოფნის დროს რუსულად დაუწერია შემდეგი სამეცნიერო შრომა: „შედარებით განმეორება ადამიანის ნორმალ. ანატომისაა“ 2. მოსახერხებელია თუ არა მოწინავე პოზიციებზე თავში დაჭრილთა ოპერაცია? 3. „ებრაელთა ანტრეპოლოგია“ უკანასკნელ სამეცნიერო შრომისათვის ბ. კახიანს დაუმზადებია 120 ებრაელური თავის ქალა და ორი კიდევ სხვა ნაშრომი ანატომიის დარგში.

ამ ნაშრომებიდან რამდენიმე გამოცემულია კიდევ უკრაინაში. ბ-ნ კახიანს გადაწყვეტილი აქვს ყველა თავის ნაშრომში გადმოაქართულოს და ჩვენი უნივერსიტეტისათვის გამოსცეს.

09.09.1919

N218

ქრონიკა (გვ.3)

ჟურნალ „განათლების“ გამოსაცემად. განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე რათა თბილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის გამგეობას აღმოეჩინოს 30,000 მან. დახმარება პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ გამოსაცემად.

ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციას. განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ყოველთვიურად აღმოეჩინოს დახმარება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციას.

17.09.1919

N224

ქრონიკა(გვ.2)

ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის „საქართველოს მოსპობა და ქართველი ერის გარუსება“ წიგნი ღირს სამი მანეთი.

სტუდენტთა ცხოვრება (გვ.2)

სტუდენტთა შუამდგომლობა. სახ.უნივერსიტეტის სტუდ. კავშ. გამგეობამ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობას თხოვნით მიმართა გადასდონ სტუდ. სასადილოს ფონდის გასაძლიერებლად რამოდენიმე ათასი მანეთი, ყრილობამ თხოვნა დასკვნისათვის გადასცა გამგეობას, უკანასკნელი ამ დღეებში განიხილავს თხოვნას.

18.09.1919

N225

ცოტა რამ ყოფილ თბილისის მე-8 გიმნაზეის შესახებ. (გვ.4)

რევოლუციამ ბევრი ისტორიული ნაშთი იმსხვერპლა. რევოლუციამ არ დაინდო ისტორიული სასწავლებელიც.

საზოგადოებას მოეხსნება, რომ თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც გადაკეთდა მე-8 ვე ვაჟთა გიმნაზიად დახურულ იქმნა.

მასწავლებელნი მისნი გადაყვანილ იქმნენ მე-7 ვაჟთა გიმნაზიაში; ხოლო მასწავლებლები რესპუბლიკის სხვა და სხვა გიმნაზიებში დაქსაქსეს.

ყველამ იცის თბილისის ყოფილ მერვე ვაჟთა გიმნაზიის დაარსების ისტორია. ყოფილი გიმნაზია წარმოადგენდა სიმბოლოს ქართულ სემინარიისას, როგორც ერთად ერთი სასწავლებელი, რომელიც რუსეთის შავბნელ რეაქციის დროსაც მედგრად იდგა და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ზედმეტია იმის ჩამოთვლა თუ რა ღვაწლი მიუძღვოდა მას. ამ სასწავლებლიდგან გამოდიოდნენ სამშობლოს მოღვაწენი. ამ სასწავლებლიდგან გამოვიდნენ ჩვენი ერის და დემოკრატიის მესვეურნი.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ამ სასწავლებელში ტრიალებდა ეროვნული შეგნება და სული, რის წყალობითაც აიხსნება ის გარემოება, რომ სემინარიაში სრულებით უმტკივნეულოდ ჩატარდა ნაციონალიზაცია იმ დროს, როცა მთავრობის გიმნაზიებში საჭირო იყო ათეული წლეები, რომ აღმოეფხვრათ ძირიან ფესვიანად რუსოფიზმი.

ბევრი საგმირო მოქმედებების მოწამე არის სემინარიის კედლები... ბევრი ჭაღარა მამულიშვილების და რევოლუციონერების ამღზრდელია, მაგრამ რევოცულიამ არ დაინდო თავის აღმზრდელი.

დემოკრატიულ ხანაში სემიარია გადაკეთებულ იქმნა მერვე ვაჟთა გიმნაზიად. რადგანაც სასულიერო ხასიათის საგნები ზედმეტ ბარგად იქმნა ცნობილი, შეტანილ იქნმა საერო ხასიათის საგნები. (გიმნაზიური) სემინარიის რეორგანიზაციის შემდეგ, გადასცა იგი სახალხო განათლების სამინისტროს დიდი შენობით, მდიდარი სამკითხველოთი და მრავალი ძვირფასი განძეულობით.

ყოფილ სახალხო განათლების სამინისტრომ, რომლის სათავეში იდგა მაშინ ბ-ნი გ. ლასხიშვილი, დანიშნა ამ ახლად გადაკეთებულ გიმნაზიის დირექტორად ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ყოფილი მათემატიკის მასწავლებელი აი სპ. ჯორჯიკაია რომლის დანიშვნისა დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. დირექტორობა მისი აზრით განისაზღვრებოდა მხოლოდ „გეომეტრიულ მოხაზულობით“. სასწავლებლის ინტერესი მოითხოვდა კი გამოცდილ, ენერგიულ ადმინისტრატორს, რომელიც დააყენებდა სასწავლებელს მკვიდრ ნიადაგზე. მაგრამ ახალ მე- 8 ვაჟთა

გიმნაზია უდღეური გამოდგა. ცხრა თვის ავადმყოფობის შემდეგ მიიცვალა.

ყოფილი მერვე ვაჟთა გიმნაზიის მოწაფენი შეერთებული იქმნა მეშვიდე ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებთან; მაგრამ საჭიროა ერთი რისამე აღნიშვნა: პედაგოგიკის უმთავრესი მოთხოვნილება არის სულიერი კავშირი მასწავლებლებისა მოწაფეებისადმი, რის შემწეობით მასწავლებელი მიიზიდავს თავისკენ მოწაფეს და გაეცნობა მის ფსიხიკას, მის ტრადიციას. როდესაც თვით მასწავლებელი იცნობს მოწაფეს, იცნობს მის ფსიხიკას, მდგომარეობას, განვითარებას და ტრადიციას, თანამედროვე საღი პედაგოგიკის თვალსაზრისით ასეთი სულიერი კავშირის გაწყვეტა შეუძლებელია. მაგრამ სინამდვილეში რას ვხედავთ: მთელი გიმნაზიის მოწაფეები ერთბაშად და უეცრივ მოშორდა თავის სულიერ აღმზრდელ მამებს... მოწაფე ვერ იცნობს "alma matrad" იმ მასწავლებელს, სადაც არცერთი აღმზრდელი თავის სასწავლებლიდგან არ გამოყოლია.

რით აიხსნება ის მიზეზი, რომ ყოფილა მერვე გიმნაზიის მასწავლებლები და მოსწავლენი იმყოფებიან რუსულად, რომ ვსთქვათ „опало" -ში?

მივიღოთ მხედველობაში, რომ სახელმწიფოს ფინანსური გასაჭირის დროს მიღებულ იქმნას სახელმწიფოს გასავლის შემოკლება, მაგრამ რა სახელმწიფოებრივი მიზეზები უკარნახებდნენ ჩვენს ეხლანდელ განათლების სამინისტროს, რომ ასე დაქსაქსა ყოფილ მერვე გიმნაზიის მასწავლებლები, როდესაც მასწავლებელნი საჭირო იყვნენ მე 7 გიმნაზიაში?

14.05.1919

N103

სახალხო განათლების სამინისტროში (გვ.2)

მცხეთის კერამიკული სკოლა.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ შინა მრეწველობის განსავითარებლად სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მას გადაეცეს მცხეთის კერამიკის სკოლა სახალხო განათლების სამინისტრომ, თანახმად პარლამენტის, 19 ნოემბრის დადგენილებისა, ყველა სკოლები გარდა სასოფლო სამეურნეოსი ვერ დაინახა საჭიროთ აღნიშნულ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

05.10.1919

N240

ქრონიკა (გვ.3)

ქართულ მწერალთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე რათა ნება დაერთოს ადგილობრივ კლუბებში თავის სასარგებლოდ ლოტოს მოწყობისა ისე როგორც დღემდის ხდებოდა ქართულ ლატარიის სასარგებლოდ. რადგან ამავე შინაარსის თხოვნა შემოტანილი აქვს კიდევ საქველმოქმედო საზოგადოებას თვითმართეულობამ მწერალთა კავშირის თხოვნა ჯერჯერობით გადასდვა.

ახალი წიგნები. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ბეჭდავს და მოკლე დროში გასასყიდათ გამოვა შემდეგი წიგნები, რომელნიც ბაზარზე აღარ მოიპოვება: 1) „კაცია ადამიანი“? ი ჭავჭავაძისა, 2) მისივე „გლახის ნაამბობი“ 3) „ს. მეჯღანუაშვილი“ არდაზიანისა, 4) შ. არაგვისპირელის მოთხრობები-I წიგნი, 5) მისივე 11 წიგნი, 6) მისივე 4

წიგნი. 7)“ინგლისის მოკლე ისტორია“, ახლად შედგენილი გ. ნათაძის მიერ.

07.10.1919

N242

განათლების საქმე (გვ.2)

მასწავლებელთა კონტიგენტისათვის. რადგან გადაწყვეტილია საერთო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღება, ამიტომ დამფუძნებელ კრების განათლების კომისია იხილავს საკითხს სახალხო მასწავლებელთა სათანადო კონტინგენტის მოსამზადებლად საშუალებათა გამონახვისთვის.

11.04.1918

N 83

„ქართული უნივერსიტეტი“

ქართული უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო ამ უნივერსიტეტის სასარგებლოდ: 1) ქუთაისის ქართველ ისრაელთა შორის შეგროვილი განსვ. კიტა აბაშიძის ხსოვნის აღსანიშნავად ორასი მან. (200მ.) 2) მეჯვრისხევის მომხმარებელ საზოგადოებისგან „წარმატება“ ას თხუთმეტი მან. 1 (115 მან.), 3) ახალ-სენაკის საზოგადო საკრებულოს საზოგადო კრების მიერ გადადებული ათასი მან. (10 0 მ.), 4) სამტრედიის 4-კლასიან გიმნაზიის მოწაფეთა შორის შეგროვილი ასი მან. (100). 5) სამტრედიის უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლაში მოწაფეთა შორის შეგროვილი სამას ოთხმოც-და-ორი მან. და 60 კაპ.(382 6), ამათ შორის მეორე კლასის მოწაფემ ლეონტი ანჯაფარიძემ შემოსწირა ოც-და-ათი მან. (30 მ.), 6) ნადეჟდა გიორგის ასულმა თარხანიშვილმა შემოსწირა 6 დიდი წიგნი: ლათინურ ენაზე გალენის ხუთი წიგნი და ფრანგულ ენაზე: „წმინდა ცხოვრება.“ 7) თ. ა. მთვარიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან

შემოწირული 16 ცალი წიგნი საკუთარი გამოცემანი, ამავე ამხანაგობამ დაადგინა ყოველივე თავის გამოცემის თითო ცალი უთავაზოს უნივერსიტეტს. 8) ქ-ნმა ბარბარე ყიფიანმა შემოსწირა 25 ცალი სხვა და სხვა წიგნი და ჟურნალი ფრანგულ ენაზე.

09.08.1918

N167

ულმობელი ლოღიკა (გვ.1)

ჩვენი რუსი ამხანაგების ერთი ჯგუფი, რომელმაც გაზეთი „სოციალ დემოკრატი“ დააარსა, თანდათან შორდება მარქსისტულ მსოფლმხედველობას. დ. გ. არჩევს ირ. წერეთელის სიტყვას მიმდინარე მომენტის შესახებ და უკვირს: როგორ შეუძლია წერეთელს ამტკიცოს, ვითომ გერმანიის მოწვევა საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ წესის დამყარებას უწყობდეს ხელს. თავისი აზრის ნათელსაყოფათ დ. გ. ასახელებს გერმანიის მოქმედებას უკრაინაში, ყირიმში, დონის ოლქში.

ვინ არის მართალი: წერეთელი თუ დ. გ.? დ. გ. რომ არ ივიწყებდეს მარქსისტულ მეთოდს, ის მიხვდებოდა, რომ ესა თუ ის სახელმწიფო სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა გზით ანხორციელებს თავის მიზანს. მაგალითად, ინგლისი სრულს თავისუფლებას აძლევს ბურების რესპუბლიკას და საშინლათ ავიწროებს ინდოეთს. ასეთ მაგალითებს ბლომათ იპოვიდა დ. გ., რომ ერთნაირის წინასწარ აკვიატებულ აზრით არ იყოს შებორკილი. რა აზრია ეს? დ. გ მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ საქართველო რუსეთს ჩამოშორდა. ამ საკითხში დ. გ. სავსებით გაჟღენთილია იმპერიალისტურ სულისკვეთებით, თორემ როგორ შეუძლია სოციალისტს ხმა ამოიღოს, მაგალითად, ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. დ. გ-კი პატეტიურათ კითხულობს: გვითხრას წერეთელმა

სასარგებლოა თუ არა სახელმწიფოსთვის ის ნაციონალიზაცია, რომელიც დღეს მმართველობის ყველა დარგში ხდება?

ჩვენ თვითონ ვეკითხებით დ. გ: მაშ როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო? ხომ თითონ დ.გ. ამბობს, რომ არა ქართველები 30 პროცენტს შეადგენდნენ. ვთქვათ, ეს რიცხვი არ არის გადამეტებული. ნუთუ 70 კაცმა 30 კაცის გულისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე უნდა აწარმოოს საქმე, თუმცა ამ ოცდა ათიდანაც დიდმა ნაწილმა-სომხებმა და მუსულმანებმა რუსული არ იციან? ეს იქნებოდა, ალბათ, დ. გ. აზრით დემოკრატიზმი. და ალბათ დ.გ და მის ამხანაგებს იდეიურ გავლენას უნდა მიეწეროს ნ. ა-ს აზრი, იმავ „სოციალ-დემოკრატში“: „ნაციონალიზაცია რამდენიმეთ კიდევ არის დასაშვები მართველობის ზოგიერთ დაწესებულებებშიო“.

კითხვა, რომ პრაქტიკულათ დავსვათ, გამოდის შემდეგი: დღეს ყველა დაწესებულებებში მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისათვის გაუგებარი რუსული ენაა გაბატონებული. „სოციალ დემოკრატი“ კი გამომდგარა და ცინიზმით აღსავსე კილოთი მსჯელობს: ნება აქვთ თუ არა ქართველებს გასაგები ენა შემოიღონ?

ჩვენ არ ვიზიარებთ იმპერიალიზმს. იქნებ უფრო მისაღები უნდა იყოს ის ჩვენთვის, როცა მას „სოციალისტები“ გვაჩეჩებენ? ყველაფერს აქვს თავისი ლოღიკა.

10. 08. 1918

N168

პრესის თავისუფლება (გვ. 1)

ჩვენი რესპუბლიკის და მთავრობის წინააღმდეგ სასტიკათ ამხედრდენ რუსი მონარქისტები და მოხელეები, კადეტების და მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების სახით, სომხის შოვინისტები და ქართველი ნაციონალ-დემოკრატები. ამ ჟამით ყველას გადააჭარბა კადეტების გაზეთმა „ნაროდნაია სვობოდამ“. ეს პატივცემული ორგანო არავითარ ანგარიშს არ უწევს არც საერთაშორისო ურთიერთობას და არც ამ ურთიერთობით გამოწვეულ შინაურ გასაჭირს და ცხოვრების მოუწყობლობას. მისთვის ეს არ არსებობს. მას მიზანში ამოუღია საქართველოს რესპუბლიკა და რადგან მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა მოუხერხებლათ მიაჩნია, ამიტომ ის ამხედრებულა საქართველოს პარლამენტის და მთავრობის წინააღმდეგ. რა დააშავა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ? რითი შესცოდეს დემოკრატიის წინაშე ჩვენმა მთავრობამ და სახალხო გვარდიამ?

ამათ იხსნეს მოქალაქე ბალშევიკთა თარეშისაგან და ოსმალთა ურდოების შემოსევებისგან. ნუ თუ ასეთი მოღვაწეობა დასაძრახისია? მაგრამ კადეტები ხომ ხალხის ინტერესებს არ დაგიდევენ. მათ ვერ მოუნელებიათ ჩვენი რესპუბლიკის არსებობა, რადგან ამით ნიადაგი ეცვლება რუს ჩინოვნიკებს. და აი კადეტებმაც მოსძებნეს ჩვენი ცხოვრების სუსტი ადგილი: ეს არის პურის და სხვა სანოვაგის სიძვირე. ყველა რიგიანი მოღვაწე შეეცდებოდა ამ მოვლენის ახსნას, ყველა რიგიანი პოლიტიკოსი დაინახავდა, რომ პურის გაძვირებაში არავითარი წილი არ უდევს ჩვენს მთავრობას და პარლამენტს, რადგან უპურობა გამოწვეულია ომით, ხოლო ომი ჩვენს მთავრობას არ დაუწყია, მაგრამ კადეტების

ორგანო მაინც სარგებლობს ამ შემთხვევით და ხალხს, მშიერს ხალხს, უწესოების მოსახდენათ იწვევს. და რომ უფრო გასაგები იქნეს მასისთვის მთავრობის დანაშაული, კადეტების ორგანო იხსენიებს ახალს კანონს სიკვდილით დასჯის შესახებ. თურმე მთავრობა სიკვდილით სჯის კონტრ-რევოლუციონერებს და იმავე დროს სპეკულიანტები ნელის სიკვდილით სჯიან მშიერ ხალხს, რასაც მთავრობა ყურადღებას არ აქცევს. „ნაროდნაია სვობოდას“ აგიტაციის ცხადსაყოფათ მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ზოგი ადგილი ამ გაზეთის 9 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ ერთი წერილიდან („ვინ არის დამნაშავე“?).

„ნუ თუ თქვენ არ გესმით, რომ თქვენი პასივობით ხელს უწყობთ ვაჭრების გამდიდრებას და სიბოროტეს და სიძულვილს აღვივებთ იმ მასაში, რომელიც რევოლუციასაც ახდენს და კონტრევოლუციასაც? ყოველ დღე მატულობს პურის ფასი და ჩქარა, ძალიან ჩქარა დადგება დღე, როცა მცხოვრებლებს ყიდვის საშუალება გამოელევათ და მშივრები დარჩებიან. მშიერ კაცს კი თავის შეკავება არ შეუძლია...

და რომ ვინმე აღსდგეს თქვენს წინააღმდეგ შიმშილის გამო, რომელშიაც ის თქვენ თითონ ჩააგდეთ?..

დააყენეთ ყოველ მაღაზიასთან სამი-ოთხი, წითელ გვარდიელი და დამხვრიტეთ ყველა, ვინც პურისთვის მოვიდეს. ეს უფრო ჰუმანური იქნება, ვინემ ხელის შეუშლელათ შეუშვათ მაღაზიაში პურისათვის მოქალ.. უკაცრავათ, „ობივატელი“. მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას „ობივატელი“, რადგან არ მოგახსენებ ვაჭრის, მინისტრის ან წითელ გვარდიელის, არამედ უბრალო მომაკვდავის შესახებ, რომელიც ასე შორს არის მოქალაქის პრივილეგიებისგან“.

დიდი კომენტარები არ ესაჭიროება „ნაროდნაია სვობოდას“ აღნიშნულ წერილს. ასე სწერენ „ტროდოვოე ზნამია“ და „სოც-დემოკრატი“

და „ორიზონ“-აშხატავორი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის, რაც ამ გაზეთის ფურცლებზე ხდება არ არის პრესის თავისუფლება, არამედ ეს არის აღვირ ახსნილი აგიტაცია ჩვენი სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენმა მთავრობამ, რომელიც მოწოდებულია ქვეყნის ბედ-იღბალი განაგოს.

15.08.1918

N172

უცხო სიტყვათა ლექსიკონი (გვ.4)

მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა აწყობილია უშპონით (მჭიდროთ)(...) დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1100 სვეტს, განმარტავს ყოველგვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. ფასი ხელისმომწერთათვის (ვინც წინათ დაიკვეთა) მშვენიერი კალენკორის ყდით, ოქროს ვარაყიან ასოებით ამობეჭდილი 20 მან; უყდოთ-15 მან. (წინათ შემოტანილის გამორიცხვით); არახელმომწერთათვის - ყდით 30 მან, უყდოთ - 25 მან. ფოსტის ხარჯი - 2 მან. (ვინც **თფილისში** გამომცელობისგან შეიძენს, ეს ხარჯი არ გადახდება). მსურველთ მოგვმართონ: **თბილისში**, ბაზრის ქუჩა, N20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, „თეთრი და ცხოვრება“-ს რედაქციას, იოსებ იმედაშვილს.

31.08.1918

N185

მეცნიერული წრეები მუშათა კლუბებში (გვ.2)

რუსეთის რევოლუციამ მუშათა კლასი გამოიყვანა საზოგადოებრივ ცხოვრების მოწინავე პოზიციაზე. მოკლებული საჭირო განათლებას და კულტურას, ის მოუმზადებელი შეუდგა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. დამარცხება რუსეთის რევოლუციისა არის ერთ-ერთი შედეგი მუშათა ასეთი მოუმზადებლობისა. ისტორიის მწარე გაკვეთილმა

უნდა აამოძრაოს მუშები განვითარება-განათლების შესაძენად. ეს როლი ამ ჟამად უმთავრესად უნდა იკისროს მუშათა კლუბებმა. მუშათა კლუბები არსდება ჩვენში და დასავლეთ ევროპაში არა მარტო იმისთვის, რომ მიაწოდოს მუშებს გონიერი გასართობი დასვენების დროს, არამედ იმისთვისაც, რომ მუშებს მიეცეს საშვალება მეცნიერების ამა თუ იმ დარგიდან ცოდნის შეძენისა. რა გზით, როგორ უნდა მიაწოდონ ცოდნა მუშათა კლუბებმა თავის წევრებს? ამ საკითხის გადაჭრის დროს უნდა მხედველობაში გვქონდეს შემდეგი დებულებანი: მუშათა კლუბების დამაარსებელი არიან თვით მუშები. მუშების უმრავლესობა ჯერ არ არის მომზადებული,რომ დამოუკიდებლად გაარჩიონ ესა თუ ის მეცნიერული პრობლემა. სამუშაო დღის შემდეგ დიდი ძალაა საჭირო, რომ რომელიმე სერიოზული წიგნის შესწავლას შეუდგე. მუშა მიჩვეულია ყოფნას და შრომას კოლექტივში. კოლექტივი მას იზიდავს და აბამს მუშაობაში.

საუკეთესო გზა, რომელთაც მუშები ცოდნას შეიძენენ, ეს არის კოლექტიური მეცნიერული შრომა მოწყობილი სხვადასხვა თვითგანვითარების წრეების სახით: მეცნიერული კოლექტივი იძლევა სრულ საშუალებას პიროვნების გასანვითარებლად. აქ აშკარავდება ინტერესი, მისწრაფება და შეხედულება კერძო პიროვნებათა, აზრთა გაცვლის დროს პიროვნება თავის ცოდნას ადარებს სხვის ცოდნას, არკვევს ხარისხს თავის განვითარებისა და ამისდამიხედვით ცდილობს შეავსოს თავისი დანაკლისი. პრაქტიკა ყოფილ და ამ ჟამად არსებულ მეცნიერულ წრეებისა ამტკიცებს სისწორეს ზემოდ მოყვანილ დებულებისა. მაგრამ ორგანიზაცია ასეთი წრეებისა გულისხმობს კლუბის წევრებში უკვე შემუშავებულ ინტერესს მეცნიერების ამა თუ იმ დარგისადმი და სურვილს იმის დამოუკიდებლად შესწავლისა დაინტერესებულ პირებთან ერთად. კლუბის წევრებში მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვიძება-ცდა

მათ მიერ მეცნიერულ პრობლემების თავისი ძალებით გარჩევისა, არის განხორციელება იმ მიზნისა,რომელსაც ისახავს მუშათა კლუბი და სახალხო უნივერსიტეტი. ამისათვის კლუბის ცხოვრების ამ მხარეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

თუ როგორ უნდა მოეწყოს მუშათა კლუბებში მეცნიერული წრეები, ამის მაგალითს გვაძლევს თფილისის ც. ს. უნ. მსმენელთა კლუბი. ჯერ-ჯერობით აქ დაარსებულია შემდეგი მეცნიერული წრეები: მარქსისტული, მხატვრულ-ლიტერატურული, ენათ მცოდნეთა, პოლიტიკურ მოკამათეებს და სხ.

წრეებს და კლუბის ურთიერთობას განსაზღვრავს რეგლამენტი. რეგლამენტი ავალებს ყველა წევრებს ჩაეწერონ რომელიმე წრეში. წრეს უნდა ქონდეს საკუთარი წესდება, რომელიც უნდა წარედგინოს კლუბის გამგეობას რეგისტრაციისათვის, მეცნიერულ წრეებს ევალებათ წარმოდგენა მომხსენებლებისა კლუბის ყველა წევრებისთვის. წრეებს აქვთ უფლება მოიწვიონ გამოცდილი ხელმძღვანელები.

კლუბის გამგეობა უნდა ეცადოს, რომ კლუბის წევრები დაინტერესდენ მეცნიერულ წრეებში მუშაობით. ამისთვის საჭიროა ლექციის და მოხსენების შემდეგ დისკუსია. კამათის მოწყობა სხვადასხვა ლიტერატურულ საკითხის, პოლიტიკის, ხელოვნების, ისტორიის შესახებ. ამ გზით გამოირკვევა თუ ვის რა აინტერესებს. და ამის მიხედვით შედგება მეცნიერული წრეები. დრო გამოშვებით უნდა მოხდეს კრება სხვადასხვა კლუბების ერთგვარ მეცნიერულ წრეებისა. და შეერთებული ძალით საღამოს მოწყობა, გამოყვანა საკუთარ მომხსენებელისა და მათი გატოლება.

მეცნიერულ წრეების მოწაფეები უნდა გაიმსჭვალონ იმ აზრით, რომ სანამ გახდებოდე მასწავლებელი, საჭიროა იყო მოწაფე, მხოლოდ დიდი

ხნის მუშაობის შემდეგ გამოდიან მუშათა კლასიდან ისტორიის ავან-სცენაზე: საკუთარი პოლიტიკური მოღვაწენი, მეცნიერნი და მწერლები.

ერ. თალაკვაძე

03.09.1918

N187

„ქართული უნივერსიტეტი“ (გვ.1)

ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27 გამოცხადდა: „თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტათ“ უკვე არსებულ სიბრძნის მეტყველების (საისტორიო საფილოლოგიო) ფაკულტეტს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები. სტუდენტებათ მიღებისას: 1)ყოველგვარი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი, 2) ყოველგვარი ტიპის საშუალო სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური, საკომერციო, სამიწისმზომელო და სააგრონომიო, საეპარქიო და წმ.ნინოს სასწავლებელში, სამასწავლებლო და ქალთა ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სემინარიები მართლმადიდებელთა (ოთხი კლასი) და გრიგორიანთა და სამასწავლებლო სემინარიები (1918 წელზე უფრო ადრე კურსამთავრებულნი მხოლოდ სიბრძნის მეტყველების საპედაგოგიო და საფსიქოლოგიო დარგზე მიიღებიან). სტუდენტათ ჩასარიცხავათ საჭიროა: 1) თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზე (უნდა აღნიშნული იყოს ფაკულტეტი და მთხოვნელის მისამართი); 2)მოწმობა განათლების ცენზის შესახებ (დროებით შეიძლება დედნის მაგივრად პირი გამოიგზავნოს ფოსტით) და 3) მეტრიკული მოწმობა. მსმენელად ჩაწერისთვის განსაზღვრული ცენზი სავალდებულო არ არის და ასეთ პირთაგან საკმარისია მხოლოდ თხოვნისა და სწავლის ფულის შემოტანა.

სწავლის ფული ყველასთვის (სტუდენტებისა და მსმენელთათვის) სემესტრში (ე.ი. ნახევარი წლისა) ათი თუმანია, რომელიც თხოვნასთან ერთად უნდა იქნას შემოტანილი. უნივერსიტეტის კანცელარია ღიაა საღამოს 6-8 საათამდის, გარდა კვირა-უქმეებისა. თხოვნების მიღება ენკენისთვის ბოლომდის; სწავლის დაწყება 1 ოქტომბერს. ფოსტით: თფილისი, ვაკე, თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გამგეობა.

26.09.1918

N205

განათლების მინისტრის საყურადღებოთ (გვ.3)

წერილი ხონიდან

როგორც ხონის სავაჟო გიმნაზიის დირექტორმა გამოგვცა, მას სამინისტროდან მიუღია ცნობა, რომ ქართული ენის მასწავლებლათ აღნიშნულ გიმნაზიაში მიმდინარე წლის 1 იანვრიდან დამტკიცებულნი არიან: ამავე გიმნაზიის კლასის დამრიგებლის თანაშემწე გიორგ. მირ. ბერიძე და მღვდელი ივანე რუხაძე.

გ. ბერიძეს დამთავრებული აქვს კურსი ხონის საოსტატო სემინარიაში, რამდენიმე წელს სოფლის მასწავლებლათ იმსახურა, შემდეგ დანიშნულ იქნა ხონის გიმნაზიაში კლასის დამრიგებლის თანაშემწეთ და დროგამოშვებით ასწავლიდა სუფთა წერას და დაბალ კლასებში ქართულ ენას. ეს იმ დროს იყო, როდესაც ქართული ენა აბუჩათ იყო აგდებული და მთავრობისათვის სულ ერთი იყო,თუ ვინ ასწავლიდა ამ არასავალდებულო ენას.

მღვდ. ი რუხაძე ხონის გიმნაზიაში მოწვეულ იქნა, როგორც თავისუფლად დაქირავებული მასწავლებელი ქართული ენისა 1916 წელს. იმ ხანებში ამ ენის ცოდნას ყურადღებას არავინ არ აქცევდა და რა ცოდნის

პატრონიც არ უნდა ყოფილიყოს მასწავლებელი, სულ ერთი იყო ქართული ენის კურსის არას წარმოადგენდა.

დღეს ბერიძე და მღვ. რუხაძე გიმნაზიის სრულუფლებიან მასწავლებლებათ არიან დამტკიცებული და ამ მტკიცების ძალით უფლება აქვთ გიმნაზიის ყველა კლასებში ასწავლონ ქართული ენა. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არც ერთ მათგანს არა აქვს შესაფერისი ცოდნა. დღეიდან ჩვენს სასწავლებელში ქართულ ენას უმთავრესი ადგილი უკავია და ამ უკანასკნელის მასწავლებელი აღჭურვილი უნდა იყოს ყოველმხრივი განვითარებით და ქართული ლიტერატურის, მწერლობის ზედმიწევნით ცოდნით. ამ მხრივ ვერც ერთი მათგანი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მეასედსაც კი.

მეორეს მხრივ, ყურადღების მიქცევის ღირსია ის გარემოება, რომ აღნიშნული პირები ამ თანამდებობაზე დამტკიცებულნი არიან 1 იანვრიდან, ეს კი მოითხოვს ღარიბ გიმნაზიის კასიდან რამდენიმე ათას მანეთის გაღებას: 1 იანვრიდან დღემდე ბერიძე იღებდა ჯამაგირს, როგორც კლასის დამრიგებელი, მღვდ. რუხაძე, როგორც თავისუფალ დაქირავებული შტატს გარეშე მყოფი მასწავლებელი. ახლა კი, რაკი ისინი დამტკიცებული არიან 1 იანვრიდან, უნდა მიიღონ გიმნაზიიდან დამატებითი ის განსხვავება, რომელიც არის გიმნაზიის შტატში მყოფ მასწავლებლის ჯამაგირსა და იმ ჯამაგირისა, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირები. ეგ განსხვავება კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რამდენიმე ათას მანეთს შეადგენს. ამნაირად გიმნაზია, და ისიც ღარიბი, უნდა დაზარალდეს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ განათლების მინისტრი შეცდომაშია შეყვანილი ვიღაცის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფაქტს, რომელიც დიდ მითქმა მოთქმას იწვევს ხონში, ადგილი არ ექნებოდა.

ჩვენ გვწამს, რომ ამ შენიშვნას ყურადღებას მიაქცევს განათლების მინისტრი და შესაფერ განკარგულებას მოახდენს. ჩვენის აზრით პასუხი უნდა მოეთხოვოს იმასაც, ვინც ინება მინისტრის შეცდომაში შეყვანა და ისეთი საქმე ჩაადენია, რომელიც სავალალო მდგომარეობაში აგდებს, როგორც ქართული ენის სწავლების საქმეს აღნიშნულ გიმნაზიაში, ისე ამ უკანასკნელის ღარიბ კასას.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს და ანგარიში გაუწიოს აგრეთვე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ და განსაკუთრებით ხონის ქალაქის თვით მართველობამ.

ჩვენ გვჯერა, რომ შეცდომა დროით იქნება გასწორებული.

პ. ივანდიდელი

29.09.1918

N208

ეროვნულ უმცირესობათა ენა (გვ.1)

საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი სახელმწიფო ენის ხმარებისა და ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებისა. კანონი აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, ამავე დროს პარლამენტმა ხაზი გაუსვა მეორე პრინციპსაც: უზრუნველყოფილი უნდა იქნას უმცირესობათა უფლებაც. მაგრამ პრინციპის აღიარება კიდევ არ ნიშნავს კითხვის გადაჭრას, არც ავსტრიის კონსტიტუცია უარყოფს ენების უფლებას, მაგრამ ვერავინ იტყვის, ვითომ ავსტრიაში ყველა ენას თანასწორი უფლება ჰქონდეს. საქმე პრინციპის პრაქტიკული განხორციელებაა. ჩვენი კანონმდებლობა უკვე შესდგა ასეთს განხორციელების გზაზე: მომრიგებელ მოსამართლეთა კანონი აწესებს,რომ იქ, სადაც მცხოვრებლები საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენენ, მოსამართლემ უნდა იცოდეს უმცირესობის და

ქართულთან ერთად ამ ენაზე უნდა იქნას საქმის წარმოება, დაინტერესებულ პირს ნება აქვს ქაღალდები მიიღოს თავის ენაზე და სხ. ამაზე შორს წასვლა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან საქართველოს რესპუბლიკის დიდმა უმრავლესობამ იცის ქართული ენა და ამიტომ ყველა ენების ოფიციალურ ენებათ გამოცხადება შეუძლებელია და მავნებელიც. ჩვენი პარლამენტის ახალ კანონშიც უდაოდ არის მიღებული ის დებულება, რომ სახელმწიფო ენის უფლება მხოლოდ ქართულ ენას აქვს. საკითხის ამ მხარეს არავითარი გაუგებრობა არ გამოუწვევია და შეიძლება ითქვას, რომ ის საქართველოს პარლამენტის ერთსულოვან შეხედულობას შეადგენს.

სამაგიეროთ დიდი აურზაური გამოიწვია საკითხმა თუ რომელი ენა უნდა იყოს პარლამენტის ენა; თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა ყველანი შეთანხმდენ იმაში, რომ პარლამენტში საქმის წარმოება და კამათი უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე. აქედან ლოღიკურათ გამომდინარეობს ისიც, რომ ქართული ენის ცოდნა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პარლამენტის დეპუტატისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ დებულებას ქართული ენის შესახებ ყოველივე ძალა და მნიშვნელობა ეკარგება. ასე ესმის ეს კითხვა სოციალ-დემოკრატიას და ეჭვი არ არის, სხვა პარტიებიც ამ აზრს იზიარებენ. მართალია, ჩვენში არიან ისეთებიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ ქართული ენის ცოდნა დეპუტატისთვის საჭირო არ უნდა იყოს, მაგრამ ეს უბრალო გულუბრყვილობით უნდა აიხსნას და სერიოზული საბუთი ამათ არ მოეპოვებათ მით უმეტეს შეუძლებელია ეს, რომ ჩვენ კანონით უკვე სავალდებულოთ გავხადეთ ქართული ენის ცოდნა მომრიგებელ მოსამართლისათვის და დეპუტატისათვის ხომ კიდევ უფრო საჭირო უნდა იყოს ის. მიუხედავათ ამისა 27 ენკენისთვის სხდომაზე საქართველოს პარლამენტში დიდი

შეხლა-შემოხლა მოხდა აღნიშნულ კითხვის გარშემო. აქ თავი იჩინა დაგუბებულმა ეროვნულმა გაწიწმატებამ და სოციალდემოკრატიულ ფრაქციის წინააღმდეგ ყველა ფრაქცია გააერთიანა.

ცნობილია, რომ ყოველი ძალადობა იწვევს წინააღდეგობას. ეს ძალადობა გამოიწვია საქართველოს წვრილ ეროვნებათა ნაციონალისტების შეერთებამ და მათმა ყოვლად შეუწყნარებელმა პრეტენზიებმა: მათ განუზრახავთ ქართულ ენის გვერდით შექმნან მეორე სახელმწიფოებრივი ენა - რუსული იმ საბუთით, რომ ეს ენა ყველას ესმის. ამან აავსო ჩვენი ნაციონალისტების მოთმინების ფიალა და მათმა-ბოღმამ ასე ძლიერათ გადმოხეთქა 27 სექტემბრის სხდომაზე.

ჩვენც სასტიკათ ვზრახავთ იმ წვრილ ერების ნაციონალისტებს, რომელთაც თითქო თავი მოაქვთ სამშობლო ენის უცოდინარობით და დემონსტრატიულათ მოითხოვენ, რომ მათ რუსულ ენაზე ლაპარაკის უფლება ქონდეთ. ამ ნებსით თუ უნებლიეთ გადაგვარებულ ჯგუფისთვის ჩვენ არავითარ უფლებას მიცემა არ გვსურს, რადგან უფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს და არა მის გადაგვარებულ ნაწილს. ეს ჩვენ აშკარათ უნდა განვაცხადოთ. ამიტომ შევიტანეთ ჩვენ წინადადება, რომ კანონპროექტში ამოშლილიყო ის მუხლი შენიშვნით, სადაც სიტყვის წარმოთქმის უფლებაზე იყო ლაპარაკი. ჩვენ გვინდოდა რეგლამენტისათვის მიგვენდო ერთნაირი მოდუსის შემუშავება, თუ ვინიცობაა მართლა მოვიდოდნენ ისეთი დეპუტატები, რომელნიც თავის წარმომგზავნ ერის ენას უარყოფდენ.

ერთი სიტყვით, პარლამენტის ენა ქართული ენა უნდა იყოს. თუ ეროვნული უმცირესობა მაინც მოისურვებს გამოგზავნოს ისეთი დეპუტატი, რომელმაც ეს ენა არ იცის - დეე გამოგზავნოს. ეს მისი ნებაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დეპუტატი თითონ იგრძნობს უხერხულობას

და არ მოისურვებს იჯდეს ისეთს დაწესებულებაში, რომლის ასავალ-დასავალი მას არ ესმის. რეგლამენტით მხოლოდ დროებითის წესების შემუშავება შეიძლება, უფლება კი ასე თუ ისე მუდმიობას გულისხმობს. ამიტომ გვინდოდა ჩვენ აღნიშნულ მუხლის ამოშლა. ვიმეორებთ: ხალხს ეკუთვნის უფლება აირჩიოს ის, ვინც მას უნდა. დეპუტატის მოვალეობა კი ის არის, რომ ხალხს ემსახუროს და არა თავის თავს.

17.10.1918

N222

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი (გვ.3)

მკითხველს მოეხსენება, რომ ძველად რეაქციის დროს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი ითვლებოდა ერთ დემოკრატიულ დაწესებულებათ, რომელსაც თვითგანვითარების სხივი შექონდა აქაურ მუშებში - იმ ხანებში ეს დაწესებულება თავისი კულტურულ მუშაობით მეტად ცოცხალ დაწესებულებათ ითვლებოდა. მაგრამ რევოლუციის პირველ დღეების შემდეგ ამ დაწესებულების მუშაობა მინელდა, თითქმის სრულიად აღარ ჩანდა ამ ორგანიზაციის მუშაობა. ამას რასაკვირველია ქონდა თავისი გასამართლებელი საბუთები. მთელი ის ძალები, რომელნიც თავს იყრიდნენ ამ ორგანიზაციაში, რევოლუციამ მოთხოვა თავის ორგანიზაციებში სამუშევრათ. აი ამ გარემოებამ შეაჩერა ამ დაწესებულების მუშაობა ამ რევოლუციის დროს. ამ უკანასკნელათ კვლავ მეტად საჭირო შეიქნა კულტ. მუშაობის გაჩაღება. ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრებმა, რომლებიც ქუთაისში იმყოფებოდნენ. 5 ოქტომბერს შრომის ბირჟის ბინაზე მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება ამხ. ვლ. ქუთათელაძის თავმჯდომარეობით კრებამ იქონია მსჯელობა მომავალი მუშაობის შესახებ და დაადგინა შემდეგი: მოეწყოს საღამოს კურსები და

აგრეთვე სისტემატიურათ ლექციების კითხვა. საერთოდ მუშაობის შესახებ მოწვეული იქნას ლექტორთა კრება გამგეობასთან ერთად მუშაობის გეგმის შესამუშავებლათ. რადგანაც გამგეობის პრეზიდიუმის წევრები აქ არ იმყოფებიან, ამიტომ კრებამ საჭიროდ დაინახა არჩეული იქნას ახალი დროებითი პრეზიდიუმი, რომელიც უხელმძღვანელებს გამგეობის მუშაობას. პრეზიდიუმში არჩეული იქნა შემდეგი პირები: თავჯდომარეთ ვლ. ქუთათელაძე, მდივნათ ი.წიქორიძე და მოლარეთ ლ. მეძმარიაშვილი. ამასთან ერთად დადგენილ იქნა, იმ გამგეობის წევრები, რომლებიც ირიცხებიან გამგეობაში, ეცნობოს მომავალი კრების დრო და თუ არ გამოაცხადებენ იმ შემთხვევაში ოფიციალურად ეცნობოს გამგეობას, სურთ თუ არა მუშაობა, რათა შესაძლებელი იქნას კომიტეტების მოწვევა. როგორც ამ კრების ანგარიშიდან სჩანს გამგეობას განუახლებია მუშაობა. ეს მეტათ სასიამოვნო არის. გამგეობამ ჩემის აზრით მეტი ყურადღებით და დაჩქარებით უნდა მოაწყოს საღამოს კურსები. სადაც სისტემატიური მეცადინეობა უნდა მოეწყოს. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა ნაყოფი მოუტანა წარსულში საღამოს კურსებმა ქუთაისის მუშებს, და დარწმუნებული ვართ ეხლა უფრო მეტი ნაყოფიერი იქნება. დარწმუნებული ვართ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა დააჩქარებს მუშაობას და ამით საშუალებას მისცემს ქუთაისის დემოკრატიას დადგეს გათვითცნობიერების გზას. ამ მხრივ საჭიროა ყველამ დახმარება აღმოუჩინოს სახ. უნივერსიტეტის გამგეობას თავის მუშაობაში.

ი. სადემეტროველი

17.10.1918

N222

განათლების სამინისტროს (გვ.3)

მდივნის ა. ჭუმბაძის საპასუხოთ

განათლების სამინისტროს სახელით მინისტრს მდივანი ბ_ნი ა. ჭუმბაძე გრძელი განმარტებით გამოეხმაურა ჩემს წერილს; მაგრამ პასუხის ღირსება მის სიგრძეში არ გამოიხატება. ბ_ნი ჭუმბაძე გვერდს უვლის პირდაპირ დასმულ კითხვებს და მათ წაფუჩეჩებას სცდილობს, რაც სრულიად არ შეეფერება განათლების სამინისტროს. მე ჩემს წერილში არც ერთხელ არ მიხსენებია ცენზი, რომლის მოტრფიალე არა ვარ: ქაღალდის ნაკუწს ჩემს თვალში დიდი ფასი არა აქვს; მე ჩემს წერილში მოგახსენებდით მასწავლებლის მომზადებაზე და არა მის ცენზზე. ბ_ნი ა. ჭუმბაძე კი ამტკიცებს, რომ უცენზო მასწავლებლების დამტკიცებაც შეიძლება, რაკი ცენზიანები არ გვყავსო. დიახ, შეიძლება, მაგრამ არა ყველა უცენზოსი, არამედ იმათი, რომელთაც შესაფერისი მომზადება აქვთ.

შემდეგ განათლების მინისტრის მდივანი გადადის გ. ბერიძეზე და მოჰყავს პედაგოგიურ საბჭოს და დირექტორის მიერ მიცემული ატესტაცია. უკანასკნელთ ვეთანხმები, რომ ბერიძე შრომის მოყვარე კაცია მაგრამ ატესტაცია კი მაინც გადაჭარბებულათ მიმაჩნია,-ასეთი ატესტაცია თვით პესტალოცსაც კი შეეხარბებოდა. აქ საინტერესოა ერთი რამ: როგორც განათლების მინისტრის მდივნის წერილებიდან სჩანს გ. ბერიძის შესახებ შუამდგომლობაზე „მინისტრის ამხანაგის წარწერაა: დამტკიცდეს თანახმათ შუამდგომლობისა უმცროს კლასების მასწავლებლად. მინისტრის მდივანი კარგს იზამდა, რომ მას წაეკითხა რემარკა იმ ქაღალდის, რომელიც ხონის გიმნაზიის დირექტორს გაეგზავნა სამინისტროდან; ამ ქაღალდში სწერია, რომ გ. ბერიძე მტკიცდება გიმნაზიის ქართულ ენის მასწავლებლად, მაშასადამე ზედა კლასებისაც, მხოლოდ აღნიშნული არ არის, რომ უმცროს კლასების მასწავლებლად. განა დასაშვებია ასეთი „შეცდომა“?

ა. ჭუმბაძე ბრძანებს, რომ „სამინისტრო დიდის სიფრთხილით ეკიდება ყოველ უცენზო მასწავლებლის დანიშვნას: განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს მასწავლებლის საერთო მომზადებას, საგნის ცოდნას და ამ შემთხვევაში სავსებით ემყარება სკოლის ხელმძღვანელისა, პედაგოგიურ რჩევისა და სათანადოთ დანიშნულ კომისიების ატესტაციას“. ვთხოვ მინისტრის მდივანს მიპასუხოს, - რას ემყარებოდა სამინისტრო მღვ. ი. რუხაძის შტატის მასწავლებლად დამტკიცების დროს? იქნებ ამ უკანასკნელის შუამდგომლობაზეც არის დირექტორის წარწერა, რომ ი. რუხაძე პესტალოცს არ ჩამოუვარდება?

საინტერესოა ვიცოდეთ აგრეთვე, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სამინისტრო, როდესაც ზევით დასახელებულ მასწავლებლებს შტატის მასწავლებლებათ ამტკიცებდა 1918 წლის 1 იანვრიდან და არა დღიდან დამტკიცებისა? როგორც ჩემს პირველ წერილში განვმარტე, ასეთი წესი გიმნაზიას ვალდებულს ხდის რამდენიმე ათასი მანეთი ზედმეტი დახარჯოს. სასურველია აქ დასმულ კითხვებზე მივიღოთ პირდაპირი და ნათელი პასუხი. დასასრულ არ შემიძლია უპასუხოთ დავსტოვო განათლების მინისტრის მდივნის მითითება იმაზე, რომ ხონის საოსტატო სემინარიაშიც უცენზო პირია ქართული ენის მასწავლებლად. ეს მასწავლებელი გახლავთ სასკოლო კომიტეტის კანდიდატი. სასკოლო კომიტეტი მისი არჩევის დროს ხელმძღვანელობდა შემდეგი მოსაზრებებით:

1) გარდა ამისა, რომ მას აქვს რამდენიმე წლის პედაგოგიური გამოცდილება, გავლილი აქვს ლიტერატურული სტაჟი. გარდა ბელეტრისტულ ნაწარმოებებისა მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ფრიად მოხდენილი და შინაარსიანი კრიტიკული წერილები ჩვენს ლიტერატურაზე.

2) იმ პირმა მოისმინა სრული კურსი მოსკოვის შანიავსკის სახელობის სახალხო უნივერსიტეტში, სადაც ლექციებს კითხულობდნენ გამოჩენილი პროფესორები; ამავე უნივერსიტეტში მან წაიკითხა, ქართულ სახალხო პოეზიაზე რამდენიმე რეფერატი, რომლებიც მეტად მოიწონა სიტყვიერების გამოჩენილმა მცოდნემ გრუზინსკიმ.

ასეთ მომზადებულ „უცენზო“ მასწავლებლის დანიშვნას ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით შევხვდებით.

პ. ივანდიდელი.

25.10.1918

N 229

საშუალო სასწავლებელი ოჩემჩირეში (გვ.3)

ქ. ოჩემჩირეს თვითმართველობამ ამ ერთი თვის წინეთ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განათლების მინისტრის წინაშე, რათა ქ.ოჩამჩირეში გაეხსნათ სავაჟო გიმნაზია. შუამდგომლობა ჯერ-ჯერობით სახალხო განათლების სამინისტროს არ შეუტანია განსახილველად მინისტრთა საბჭოში, მიუხედავათ იმისა, რომ ამ კითხვად გადაჭრა ჩვენთვის მეტად საჩქარო და მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ცხადია განათლების მინისტრს არ შეეძლო პირველ რიგზე ოჩემჩირის გიმნაზიის კითხვა დაეყენებია და სხვა საქმეები კი უკან რიგზე გადაედო. მე მაინც, როგორ უფრო ახლო გაცნობილი ოჩემჩირეზე და მის რაიონზე, მსურს აღვნიშნო ზოგიერთი საბუთები რაც გვაიძულებს ხელ ახლა მივაქცევინოთ ყურადღება ამ კითხვაზე. საქმე იმაშია, რომ ქ. ოჩემჩირე, წარმოადგენს ცენტრს სამურზაყანოსა და კოდორის ნაწილებისას, დაახლოებით 120,000 სული მცხოვრებლებით. ეს ამოდენა რაიონი მოკლებულია საშუალო სასწავლებელს და სოხუმში ან სხვა ქალაქებში მოწაფეების შენახვის საშუალებას დღევანდელი სიძვირის

გამო, უმეტესობა რა თქმა უნდა მოკლებულია. ამიტომაც აუარებელი ახალგაზრდობა, რომელთაც სხვა პირობებში საშუალება ეძლეოდათ სოხუმში ან ქუთაისში წასულიყვნენ, იძულებულნი არიან უარი სთქვან სწავლის გაგრძელებაზე. ოჩემჩირეში ესენი ადვილად მოახერხებდენ სწავლის გაგრძელებას ერთის მხრით ცხოვრების შედარებით სიიაფის გამო და მეორეს მხრით კი მათ შეძლებოდათ სახლიდან წამოეღოთ იქ ყოველ გვარი სურსათი. ყველას მოეხსენება, რომ აფხაზეთის ბრწყინვალე წოდება და ერთი ჯგუფი წვრილი ინტელიგენციისა სასტიკი წინააღმდეგი არიან, საქართველოს ორიენტაციისა, რასაც ასაბუთებენ გულწრფელი მსჯელობის დროს რესპუბლიკის დემოკრატიული პრინციპების შეურიგებლობით გლეხებს, რა თქმა უნდა ამავე აზრს სხვა სახით უსურათებენ და ასე ამ მხარეს, აფხაზეთს, ხან ბრწყინვალე პორტას, ხან მთიულებს და ხან ალექსეევს სთავაზობენ. გლეხობა კი ამის წინააღმდეგია, მაგრამ საუბედუროდ ისინი ჯერ ფაქტიურად ისევ ბრწყინვალე წოდების განკარგულებაში არიან და ამიტომაც საჭიროა აქ ჩარევა და ჩარევა არა მარტო ცეცხლით და მახვილით, თოფითა და ზარბაზნებით, არამედ სწავლა განათლების ლამპარით, კულტურითა და პროგრესით. საჭიროა ჩვენ გავხდეთ ნამდვილი ქომაგი აფხაზეთის გლეხებისა და მაშინ ისინიც უარს ეტყვიან მათ ძველ „აპეკუნებს“ თავად-აზნაურთ და ჩვენ ამოგვიდგებიან გვერდში. მოგეხსენებათ, მოღალატეთა მიერ შემოყვანილ ასკერთა გავლენით აფხაზეთმა საქართველოს წინააღმდეგ აიღო იარაღი, ისინი დამარცხდნენ, მაგრამ მართალი უნდა ითქვას, აფხაზეთის ხალხს კი არ გაუგია მიზანი ჩვენი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლისა, იმიტომ რომ ჯარი, რომელსაც საუბედუროთ გვერდში ედგა 400 კაზაკები, შეესია სოფლებს და განურჩევლად სისასტიკით მოექცა დამნაშავეთ და მართალთ. გლეხებმა მართალია

იგრძნეს სუსხი მთავრობისა და დაწყნარდნენ, მაგრამ საუბედუროდ ის მეთაურნი, რომელნიც აწყობდნენ აჯანყებას, დღესაც სათავეში უდგანან გლეხობას, რატომ? - აი რატომ: ჩვენმა ჯარმა გაიარა და წავიდა. მართლია გამგეობა ისევ ძველ ადმინისტრატორთ შერჩათ ხელში, დამნაშავენი ისე ძველებურ აგიტაციას ეწევიან საქართ. წინააღმდეგ და ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ მხარეს. საჭიროა სასწავლებლის გახსნა, სადაც ახალგაზრდა აფხაზებს დაუბრკოლებლივ შეეძლებათ შესწავლა მათთვის შეღავათიან პირობებში. სასწავლებლებს რა თქმა უნდა მასწავლებლების სახით ეყოლება ინტელიგენტური ძალაც, რომელსაც შეეძლება მონაწილეობა მიიღოს საერთო კულტურულ მუშაობაში. ქალაქის გამგეობას თვით სურდა ეკისრა ამ სასწავლებლის გახსნა, მაგრამ საუბედუროთ ქალაქის მეურნეობა მუდმივ ანარქიის გამო გადაქცეული იყო ჯარის დასაბანაკებელ ბაზათ, რის გამო ბევრი არა პირდაპირი მოვალეობანი შეასრულა, რის გამოც დღეს დანგრეულ დავალიანებულია. ამიტომაც ქალაქის გამგეობა ზემო აღნიშნულ გარემოების გამო იძულებულია მიმართოს მთავრობას, განსაკუთრებით კი განათლების მინისტრს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ კითხვას, რადგანაც მთავრობას, როგორც ვიცით, გადაწყვეტილი აქვს გახსნას რაც შეიძლება მეტი სპეციალური სასწავლებლები, ამიტომ ვშიშობ არ გვითხრან: „მოითმინეთ, შევიმუშავებთ საერთო გეგმას და შემდეგ თქვენც გაგიხსნით სასწავლებლებსო“. ჩემის აზრით ეს პასუხი არ იკმარებს. შეიძლება პირველად გაიხსნას გიმნაზია და შემდეგ გადაკეთდეს სპეციალურ სასწავლებლად. მხოლოდ ამ კითხვის შემდეგისთვის გადადება კი აფხაზეთის წინაშე დანაშაული იქნება. უკიდურეს შემთხვევაში ქ. ოჩამჩირეს შეუძლია თუ მთავრობა გახსნის თავის სახელზე

სასწავლებელს, თავის მხრით გასწიოს საჭირო ხარჯები სასწავლებლის იანვრამდე შენახვისთვის, რა თქმა უნდა სწავლის ფულიანათ, რომელიც გადახდებათ მოწაფეთ, სრული იმედი მაქვს განათლების მინისტრი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ კითხვას და ერთი თვის განმავლობაში ოჩამჩირეში გვექნება სავაჟო საშუალო სასწავლებელი.

ოჩამჩირის ქალაქის თავი ბ. ჟორჟოლიანი.

II.II გაზეთი „ერთობა“

06. 01.1920

N4

„მატყუარების შკოლიდან“ (გვ.4)

ბოლშევიკების შემოსვლამდე გიორგი ბურდიაშვილი ალბათ ერთი უენო სოფლელი იყო. ბოლშევიკებმა საბჭოთა რუსეთის ფულებით შემოსვლისთანავე სიცრუის სკოლები დაარსეს. ერთს ასეთ სკოლაში მოხვდა საბრალო გიორგი ბურდიაშვილიც.

აქ მას ასწავლიდნენ, რომ საქართველოს მთავრობა ქართველ ხალხს ღალატობს, ის თავად-აზნაურობის ინტერესებს იცავს, თავად-აზნაურობამ დაიქირავა გვარდია, უნდათ ბატონ-ყმობა შემოიღონო და სხ. იმდენათ დამარწმუნებელი დარჩა ბურდიაშვილისთვის ეს ქადაგება, რომ მათ იარაღს სტაცეს ხელი და გამოვიდენ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ჩამოსაგდებათ: რა სიცოცხლე და რა სიკვდილი, თუ ასეთი მთავრობა გვეყოლებაო!.. ვიცით, როგორც გათავდა დუშეთის აჯანყება. ზის ახლა ბალშევიკების სიცრუის სკოლაში აღზრდილი გიორგი მეტეხის ციხეში და განაგრძობს „მეცადინეობას“ ისეთი გამოცდილი მატყუარა მასწავლებლების ხელმძღვანელობით, როგორიც ბრძანდებიან ფილიპე

მახარაძე და სერიოჟა ქავთარაძე. თუ რა შეუსწავლია მას მეტეხში, ამას მისი წერილიდან დავინახავთ. ის სწერს სიკოს და სწუხს,რომ გაგზავნილი წერილები ვერ მივიდოდა დანიშნულებისამებრ, ვინაიდან „სათავეში ძაღლები არიან“. სთხოვს ამასთანავე წაუკითხოს დედას ეს წერილი თავიდან ბოლომდე. სხვათა შორის, გიორგი სწერს სიკოს იმ შიმშილობის შესახებ, რომელიც ბალშევიკებმა მეტეხში გამოაცხადეს-მოაგონებს, რომ გაზეთებში ამის შესახებ იყო წერილები, და, ალბათ, წაკითხული გექნებაო.

უფრო საინტერესო წერილის შემდეგი ადგილია: „ჩვენ ვართ მეტეხში 300 პოლიტ. ტუსაღი - სწერს გიორგი. ეხლა როგორ უნდათ ამ მენჩივიკებს საბჭოთა რუსეთი რომ მოდის აქეთ. ამათ რის იმედი აქვთ. მგონია ბოღჩები სულ დედაკაცურად აქვთ შეკრული გასაქცევად. ამერიკაში იყვენ გემის საყიდლათ. გემიც გაიმზადეს. ეხლა გზას ათვალიერებენ გასაქცევათ ჩვენი ხულიგანი მთავრობა. გაზეთში სწერენ ისინი, რომ ყაჩაღები ყავთ დაჭერილიო. ერთხელ აქ მოვიდა რამიშვილი მინისტრი. იმან დაიბარა ჩვენი მოთავეები. უნდოდა მოელაპარაკათ რამე შერიგების, მაგრამ აქ არის ერთი დაჭერილი ჩრდილოეთის მხრისა შარშან რომ დუშეთში იყვნენ ბალშევიკები იქ დაჭერილი ძალიან ნასწავლი არის სერიოჟა ქავთარაძეა გვარათ და იმან უთხრა ვაენი მინისტრს მე რა მოგირიგდე დაჭერილი ვარ წადი და მორიგდი გარეთა თქვენ გაფუჭებულ საქმეს მე ვერ გავაკეთებო. აი რა უსწავლებიათ გიორგი ბურდიაშვილისათვის მეტეხში „ძალიან ნასწავლ“ ბალშევიკებს!.. ბევრის მხრით არის საყურადღებო ეს წერილი. უმთავრესად ის ახასიათებს ბალშევიკების მოღვაწეობას ჩვენში ჭორები, სიცრუე, ხალხის მოტყუილება, ყოველი ფეხის გადადგმაზე. აი რა არის ბალშევიკური მოღვაწეობის ნიმუშები!.. მეტეხის ციხიდან სწერენ გარეთ მყოფთ, რომ მთავრობამ გემი შეიძინა ამერიკაში და გასაქცევად მზად არისო, მეტეხში მინისტრი რამიშვილი იყო და შერიგება ითხოვა, მაგრამ

„ძალიანი ნასწავლი“ სერიოჟა ქავთარაძე არ დაეთანხმაო. არაფერი ამისი მსგავსი, რა თქმა უნდა არ ყოფილა. არავინ ბალშევიკებთან არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებს. გიორგი სწერს აგრეთვე სიკოს ეს წერილი დედას წაუკითხე „თავიდან ბოლომდეო“. ჩვენში ბალშევიკები თავიდანვე მუშაობას იწყებდნენ ხოლმე ნათესავებიდან. პირველად აბალშევიკებდნენ დედ-მამას, შემდეგ - დეებს, ძმებს, ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, მეგვარეებს და სხ. თითოეულ მათგანს ჰყავდა მოყვარე-ნათესავი და ასე მიდიოდა საქმე. მეტეხის ციხიდანაც ამავე გზას ადგიან... ერთ მშვენიერ დღეს გიორგის წერილი მიუვა დედას, სადღაც მიყრუებულ დუშეთის მაზრაში, წაიკითხავს ან წააკითხებს ვისმეს და ჭორიც დაგორდება სოფელ სოფელ... სხვათა შორის, წერილი ასეთ მუქარას შეიცავს... „მაგრამ ღმერთი მოწყალეა. პატივისცემას სარგებლით მიიღებენ, რაც გავალებული ექნებათ“. შემცდარი ვიქნებით, თუ გავიფიქრებთ, თითქოს მარტო გიორგი ბურდიაშვილი იმუქრებოდეს ეგრე. ეს საერთოდ ციხეში გამომწყვდეულ ბალშევიკების მუქარაა. ამიტომაც სხედან ისინი ციხეში და დარჩებიან მანამდე, ვიდრე თავს არ დაანებებენ მატყუარობას, თაღლითობას და არ აღიარებენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის დამფუძნებელ კრებას და მთავრობას...

ერთხელ და სამუდამოდ უნდა აიღონ ხელი ბ. ბალშევიკებმა უცხო ძალის - საბჭოთა რუსეთის დახმარებით საქართველოს დამორჩილებაზე. შინაური ძალა რომ მათ მხარეზე არ არის, ამაში რამდენჯერმე დარწმუნდნენ.

01.01.1920

N1

ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წ. (გვ.1)

ძვირად, მეტად ძვირად შეხვდება წილად ერთ თაობას ისეთი ბედნიერება, როგორიც ჩვენ გვარგუნა ცხოვრების ტრიალმა. ბრძოლა ამა თუ იმ მიზნებისთვის, მიზნის მიღწევა, სხვადასხვა განცდანი ამ ბრძოლის გზაზე, სხვადასხვა საფეხურები გამარჯვებისა, - ყველა ეს ცალ-ცალკე აღებული დიდი ბედნიერებაა ყოველი ადამიანისთვის, რომელიც აზროვნებს, ეძიებს და მიისწრაფის. ყოველივე ეს ჩვენ განვიცადეთ და ჩვენი ბრძოლა დავაგვირგვინეთ მეტად დიდი შედეგით: საქართველოს ხალხს მოვუპოვეთ დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა. განსაკუთრებული გამოხმაურება ასეთ დიად მოვლენას უნდა გამოეწვია ჩვენი პოეტების სულში. ჩვენი პოეზია უნდა გადაშლილიყო მეტად ფერად და წარმტაც თაიგულად. სინამდვილეში ასე არ მოხდა. წარმოდგენილი მაქვს, რა იქნებოდა მოხუცი აკაკის ჩანგი, თავისუფალ საქართველოს რომ მოსწრებოდა. როდესაც მოგესმით იმისი სიტყვები:

ცა ფირუზ,ხმელეთ ზურმუხტო!

ჩემო სამშობლო მხარეო!

შენი ვარ,შენთვის მოვკვდები

შენზედვე მგლოვიარეო!

შეუძლებელია, ერთგვარი სულიერი განცდის ჟრუანტელმა არ დაგიაროთ ტანში. ბორკილ აყრილმა საქართველომ, ნორჩმა, კოპწია დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც გასაშტერებელი ენერგიით ებრძვის ათასგვარ დაბრკოლებას და მიისწრაფის მზისაკენ, ვერ ათქმევინეს პოეტებს ვერაფერი ამის მზგავსი. საქართველოს ცხოვრების დიადმა მოვლენებმა თითქოს გვერდზე ჩაუარეს მათ. მიუხედავათ ამ

დიდი ნაკლისა, წარსული წლის სიტყვაკაზმული მწერლობა მაინც ნაყოფიერი იყო. დაისტამბა ვასილ ბარნოვის დიდი რომანი ისტორიული შინაარსის ტრფობა წამებული. ბარნოვი დიდი მხატვარია და მეტად ნაყოფიერი, მაგრამ თავისებური. და ეს თავისებურობაა მიზეზი, რომ მას ხალხი არ იცნობს იმდენად, რამდენადაც მწერალი ამისი ღირსია. ბარნოვი მეტად შინაარსიანი, ლამაზი წიგნია, მაგრამ ძველი წიგნი. ძველს წიგნს კი და ისიც ჩვენს დროში მეტად მცირე რიცხოვანი მკითხველი ჰყავს. ბარნოვს იზიდავს საქართველოს სიძველე, მისი წარსული ცხოვრება; მისი შემოქმედება განსაკუთრებით მტვრიან წარსულში ეძებს მასალას და არა მზიან აწმყოში. მას უყვარს წყნარი, ჩუმი, მოსვენებული სახე წარსულისა და არა აღელვებული, აბობოქრებული, მოუსვენარი თანამედროვეობა. მას უფრო ეხერხება მკვდრების აღდგენა და ამეტყველება, ვიდრე თანამედროვე ცხოვრების დუღილში ძებნა შესაფერისი გმირებისა. დღეს კი ჩვენი ფიქრი და გრძნობა, მთელი ჩვენი არსება აწმყოთია შეპყრობილი. წარსული ჩვენ დროებით დავივიწყეთ; ჯერ ჩვენ მხოლოდ დღევანდელი დღე გვაღელვებს, გვაფიქრებს, გვიზიდავს, გვიმონებს. დამშვიდდება ცხოვრება, გადიწმინდება დიდი ხნით ჩვენი ცა და მაშინ ინტერესი წარსულისადმი უფრო გაიღვიძებს. მაშინ უფრო გაიცნობს მკითხველი საზოგადოება ბარნოვს, რომელიც ღირსია ცნობისა და აღიარებისა.

შიო არაგვისპირელმა დაარღვია თავისი დიდიხნის სიჩუმე და „ცისარტყელა“-ში დაბეჭდა ნაწილი მისი დიდი მოთხრობისა. ჩვენც მწერლობაში შიოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მისი ყოველი ნაწარმოები სავსეა მხატვრული სახეებით, სულიერი მოძრაობის ანალიზით და ავტორის ტანჯვით. შიო დედაბრიშვილი მართლა რომ ტანჯული ხელოვანია, ტანჯული ნიჭი. ბუნებას მისთვის მიუცია უხვი და ნაზი გრძნობა, სპეტაკი გული, ცხოვრების სიდუხჭირე, ადამიანის

სიბეჩავე, არარაობა, ფუქსავატობა და უზნეობა ღრმა სევდით ავსებს იმის გულს და ამიტომ ყოველი ნაწარმოები არაგვისპირელისა ატარებს ბეჭედს ხელოვანის ტანჯვისა და მწუხარებისას, ხელოვანის წმინდა ცრემლებისას. არაგვისპირელი არ ჰქმნის მარტო გონებით, როგორც ილია, არამედ გულითაც, ამიტომ შიოს ნაწარმოებში ბევრჯერ ტენდენციურია; ის არის ხშირათ სასტიკი, მკაცრი მამხილებელი და მქადაგებელი ზნეობრივი განწმენდისა. უმთავრესი საგანი არაგვისპირელის შემოქმედებისა არის ადამიანის სული და მისი განცდანი. შიო არაგვისპირელი იღებს ჩვეულებრივ ადამიანებს, აყენებს მათ სრულებით ჩვეულებრივ პირობებში და გვაძლევს საშუალებას ჩავიხედოთ ადამიანის სულის ყველა კუნჭულში.

არაგვისპირელმა შემოიტანა ჩვენს მწერლობაში ფსიხოლოგიური მიმართულების ძლიერი ნაკადი და მასდღეს აქეთ მისი მიზანი იყო და არის ადამიანის ზნეობრივათ ამაღლება და ცხორების გარდაქმნა, ახალი ცხოვრების დამყარება. და დღეს, როდესაც ახალს ცხოვრებას ყველგან საფუძველი ეყრება - როგორც სხვაგან, ისე ჩვენში - შიოს დადუმებული კალმის ამეტყველება ფრიად სასიხარულო მოვლენით უნდა ჩაითვალოს. მოთხრობა ჯერ დამთავრებული არ არის, ის დამთავრდება „ცისარტყელას“ შემდეგ ნომრებში, მაგრამ დასაწყისი უკვე გვიმტკიცებს, რომ ეს მოთხრობა არაგვისპირელის ნიჭის ყველა ღირსებას ატარებს. გასულს წელს გამოვიდა თურდოსპირელის „გაწყვეტილი ზღაპარი“ ჭეშმარიტ ნიჭის უტყუარი თვისება გულწრფელობაა. როდესაც მწერალი ფერუმარილით გვევლინება და ცდილობს თავი იმათ მოგვაჩვენოს, როგორც არის ნამდვილათ, ეს უნიჭობის მომასწავებელია, ზოგჯერ უჭკუობისაც. როდესაც მწერალი ცდილობს კვნესა საკუთარი გულისა მთელი ჯოჯოხეთის ტანჯვათ წარმოგვიდგინოს, ეს მეტად ყალბი

ხელოვნებაა. თურდოსპირელი ყველა ამ ნაკლს, რაც ხშირათ თანდასდევს ახალგაზრდა ნიჭს, სრულებით მოკლებულია. გულწრფელობა, სისადავე, მარტივობა მისი ნიჭის თვისებაა. მისი ნოველები გრძნობით სავსე თაიგულებს წარმოადგენენ. ავტორს აქვს თავისებური სტილი, თავისებური ხასიათი წერისა და იმის პროზაში ბევრგან საუცხოვო პოეზიაა.

წარსულ წელს გამოვიდა თაგუნას პირველი წიგნი. ჩვენს მწერლობაში თაგუნა უკვე საკმაოდ ცნობილი სახელია. როდესაც ტარიელ და ავთანდილი ფრიდონთან წავიდნენ, ფრიდონის მეჯოგეებს შეხვდენ, ტარიელი ავთანდილს ეუბნება: ფრიდონს გავლაღობნეთ, მისი ჯოგი მოვიტაცოთო და თან დასძენს:

ამოა კარგი ლაღობა ლაღსა შევეიქმს ლაღებად.

ეს ადგილი მე იმიტომ ამოვწერე, რომ აქ არის ამავე დროს თაგუნას ნიჭის უმთავრესი თვისება: კარგი ლაღობა.

დაცინვა შეიძლება იყოს მეტად გესლიანი, ბოროტი, მიწასთან გამასწორებელი, ბრაზიანი, ღვარძლიანი. შეიძლება იყოს მხიარული, კეთილი, ზოგჯერ საკმაოდ მწარე, მაგრამ ყოველთვის უბოროტო, უწყინარი. იუმორისტულ მწერლობაში ორივე ამ დარგსა აქვს ადგილი და ესა თუ ის მიდრეკილება მხოლოდ თვისებაა ნიჭისა და ინდივიდუალობისა. პირადად მე მეორეგვარ იუმორს უფრო მაღლა ვაყენებ, რადგანაც მასში მეტია მიუდგომლობა, მხატვრული ზომიერება, სამართლიანობა, გულწრფელობა, სიყვარული - და მაშასადამე ხელოვნებაც.

თაგუნას იუმორი სწორეთ ამგვარი თვისებისაა. მასშია მხიარული სიცილი, ოხუნჯობა, გულკეთილი დაცინვა, მწარე სინამდვილე - ბრაზი და ღვარძლი კი არსად არ არის.

პირველი ტომი თაგუნას ნაწარმოებისა საკმაოდ მდიდარია შინაარსით, აქ მკითხველის წინაშე ამართულია ჩვენი ცხოვრების სარკე და შიგ დაინახავთ მრავალ სასაცილო, სამწუხარო და დამაფიქრებელ სახეებს, მდგომარეობას, შეხედულებას და მოვლენას.

წარსული წელი განსაკუთრებით მდიდარი იყო პოეზიით. გამოვიდა მრავალი პატარ-პატარა ჟურნალი: თოლაბულისის სარტყელი, ხელოვნება, სმარაგდი, კრონოსის სარკე, მეოცნებე ნიამორები და სხვ. აქ ნახავთ უკვე ცნობილ პოეტებს და სრულებით უცნობებსაც, მაგრამ ყველას აერთებს საერთო მიმართულება-ეგრეთ წოდებული სიმვოლისტური.

სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ყოველგვარ მიმართულებას აქვს თავისი ადგილი. არ შეიძლება უარყოფა ამა თუ იმ მწერლისა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რეალისტია, სიმვოლისტია, ფუტურისტია და სხვ. თუ პოეტის შემოქმედებაში პოეზია არ არის, ესა თუ ის მიმართულება მას ვერ იხსნის.

და თუ არის პოეზია, ამით მას უკვე აქვს კარი გახსნილი ხელოვნების სამეფოში, რადგანაც ესა თუ ის მიმართულება, სკოლა წარმავალია, ჭეშმარიტი ხელოვნება კი უკვდავია.

შოთას აქვს ზოგიერთი ისეთი აზრი, რომელიც დღეს ნამდვილი შავრაზმულია; მაგალითად:

ჰხამს მეფეთა ერთგულება ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად

ან-

ვინცა მოჰკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას ჰრბიან.

მაგრამ რომელი გიჟი უარჰყოფს ამის მიხედვით ვეფხის ტყაოსანს? პირადად მე სიმვოლიზმს არ ვიზიარებ,მაგრამ პოეზიის სამფლობელოში მასა აქვს თავისი ადგილი.

სამწუხაროთ ყველა ჩამოთვლილი ჟურნალების ახალგაზრდა პოეტთა უმრავლესობა მეტათ უხეირო პოეტია. მათ საშინლად უყვართ მანჭვა გრეხა და უბრალოდ სიტყვის თქმა თავის დამცირებათ მიაჩნიათ.

ნიკო ირქმევს კოლაუს, რაჟდენი-რაუდს, ტერენტი-ტერენტუსს, ვიღაცა კონნე სპერელლის, ჰერკულესს და სხვა. კაცია და გუნებაო, ნათქვამია. თუკი ეპრიანება, დაირქვას კოლაუ, ტერენტუსი, ჰერკულესი, კონნე და ჯანდაბა, მაგრამ ეს ხომ მაიმუნობაა, ყალბი მარკაა და ასეთ რამეს პოეზიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სიმვოლისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ლექსში მუსიკას, რითმსა და რიფმას.

ეს ღირსებაა.

მაგრამ ჭეშმარიტი პოეზია მარტო ამითაც არ განისაზღვრებს: მასში აზრი უნდა იყოს და, თუ მაინც და მაინც აზრი არ იქნება დიდი, სისულელეს მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ახალგაზრდა სიმვოლისტების პოეზიაში კი აქვს ამას ადგილი, როცა ისინი რითმების ძებნაში ყოველისფერს ივიწყებენ, რითმა მაშინ არის მომხიბლავი, როცა ის ბუნებრივია, ბუნებრივი კი მარტო მაშინ არის, როცა აზრს მოსდევს თავისუფლად და ადვილად.

კრონოსის N2-ში არის სონეტი ტ. წალენჯიხელისა, სადაც ვკითხულობთ:

ჩემი სონეტი ოქროს ტყეში ზეიმს აპირებს

მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება

ლოთი ჰამლეტი გადამიშლის მარცხენა პირებს.

ერთი მიბრძანეთ, მთელი უკანასკნელი სტრიქონი სისულელე არ არის? და ეს ჩაიდანა ავტორმა რითმის გულისათვის.

აი უკეთესი ნიმუშები

მეოცნებე ნიამორების პირველ ნომერში არის ლექსი შალვა კარმელისა „ღამის ფრაგმენტი“, სადაც სწერია:

რა მიკლავს სევდას - ყრუ სიგიჟე თუ ალკოგოლი?

მახინჯ მოწყენით დადიოდა ქვეყნად გოგოლი!

აბა ამაზეა ნათქვამი, სად ერეკლე, სად თეკლეო.

რა შუაშია აქ გოგოლი? იმ შუაში, რომ ალკოგოლის რიფმად მოეწონა ავტორს და სისულელე გამოვა თუ არა, რას დაგიდევსთ, ოღონდ ლამაზი რიფმა გამოვიდეს.

აიღეთ ხელოვნება N2

აქ არის რაჟდენ გვეტაძის „სინანული“. იწყება ასე:

გამაცნეს. ხელი მას ჰქონდა ვით ღადარი

და შემდეგ ვერ ვნახე, ვერ შევხვდით ერთმანეთს.

მარტოა, თუ სხვასთან, არ ვიცი სად არი

ქუჩაში მათხოვარს ვაჩუქებ ერთ მანეთს.

ამაზე მეტი უაზრობა წარმოუდგენელია.

რა შუაშია აქ მათხოვარი და მანეთიანის ჩუქება! უკანასკნელი სტრიქონები ისე არ ეგუება ლექსს, როგორც უნაგირი ძროხას, მაგრამ მათხოვარი და ერთი მანეთი პოეტს დასჭირდა ლამაზი რიფმისთვის.

თუ ამას სჩადის რაჟდენ გვეტაძე, რომელსაც უცილოდ ეტყობა პოეტის ნიჭი, რაღა უნდა მოვთხოვოთ სხვებს...

ივ. გომართელი

03.01.1920

N2

ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919წ.(გვ.3)

-(დასასრული)

გასულ წელს გამოვიდა ობოლი მუშას პოემა „წამების ჯვარზე“, ეს ახალგაზრდა მგოსანი დემოკრატისის წრიდან არის გამოსული და მთელი თავისი მისწრაფებით დემოკრატიას ეკუთვნის.

მის ნიჭს გასულ წელში წინმსვლელობა დაეტყო და ამის მაჩვენებელია მისი ახალი პოემა. პოეზიის მუსიკისა, რითმისა და რიფმის მხრივ აქ მგოსანს საკმაო ნაბიჯი გადაუდგამს წინ წინანდელ ნაწერებთან შედარებით.

ერთი ნაკლი უნდა მოიშოროს: ერთობ უყვარს - ახ, ოხ, ეჰ, პოეზიაში გრძნობისა და მწარე განცდის გამოსახატავათ ეს სიტყვები სრულებით უძლურნი არიან და წრფელი გრძნობის მაგიერად მხოლოდ ცრუ გრძნობიერებას ააშკარავებენ. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა ლექსები ჩვენი ცნობილი პოეტების, მაგრამ შესამჩნევი ნაყოფიერება არავის გამოუჩენია გარდა ვარლამ რუხაძისა, გაფრინდაშვილისა და გალაქტიონ ტაბიძისა.

რუხაძემ გამოსცა თავისი ლექსების მესამე წიგნი-ცხოვრების ყვავილები.

ეს მგოსანი ჩვენში უკვე საკმაოდ ცნობილი და სახელმოხვეჭილია. მისი მიმართულება ყველამ იცის და მესამე წიგნშიაც თქვენს წინაშე არის ამართული დემოკრატიის იდეალების მომღერალი პოეტი.

რა ახასიათებს დემოკრატიას?

ბრძოლა, სიმტკიცე და იმედი.

ეჭვები იცის დემოკრატიამ, სევდაც. მაგრამ უიმედო წუწუნი და გულგატეხილობა, სასოწარკვეთილება კი არასოდეს. დემოკრატიის ბრძოლას თან დასდევს ცხოვრების სიყვარული - ის იბრძვის იმიტომ, რომ უყვარს ცხოვრება და უნდა ეს ქვეყანა დაიმორჩილოს, თვითონ გახდეს ბატონი. ნაყოფიერი ბრძოლისა და გამარჯვებისათვის საჭიროა

სინამდვილის შესწავლა, მისი ცოდნა. ყველა ამ თვისებას დემოკრატიისას თქვენ ჰპოვებთ ვარლამ რუხაძის მესამე წიგნში აქ არის იჭვი, სევდა, მაგრამ მთელი პოეზია საერთოდ ბრძოლის, სიმტკიცის, იმედის, გამარჯვების და სინამდვილის პოეზიაა.

დემოკრატიას არ უყვარს ოცნება სინამდვილე მისი კერპია.

ეს ნაკლია, ოცნება არ უნდა ჰყლაპავდეს სინამდვილეს, სამაგიეროთ არც სინამდვილე უნდა ჰყლაპავდეს ოცნებას. სინამდვილეში უნდა ერიოს ოცნება; ეს აძლევს სინამდვილეს მოძრაობასა და სინამდვილეს.

ვ. რუხაძის პოეზიის ღირსებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილეს მასში ვერ ჩაუკლავს მეოცნებე, მაძიებელი სული, პოეტი ორივე ფეხებით, მთელის თავისი შემოქმედებით მიწადე დგას, მაგრამ ამავე დროს ის მარტო მიწით არ კმაყოფილდება, მისი მუზა ხანდახან ცისკენ გაინავარდებს ხოლმე. დემოკრატიას არ უყვარს ქაჯური ლაპარაკი, მას მოსწონს ნათელი აზრი, ნათელი ენა.

რუხაძის პოეზია იმითია დემოკრატიული, რომ აქ აზრი მგოსნისა ცხადია, მისი ენა სადა, მარტივი, უბრალო. ცხოვრების ყვავილები მდიდარია გრძნობით, აზრით, პოეტური სურათებითა და განცდით. მუსიკა, რითმი და რიფმა აქ იმდენად გამშვენებულია, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში ამ მხრივ უნაკლულოა, როგორც მაგ. „მზეთამზე“.

ვ. გაფრინდაშვილის დაისები რუხაძის „ცხოვრების ყვავილების“ სრული წინააღმდეგობაა. გაფრინდაშვილი სიმვოლიზმის ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მასში განსაკუთრებით არის თავმოყრილი როგორც ნაკლი, ისე ღირსება ამ მიმართულების მგოსნებისა. მათ არ უყვართ სინამდვილე, სიცხადე; ისინი ეტრფიან მოჩვენებას, ლანდს, უცნობს, გაუგებარს.

აქედან წარმოსდგება უარყოფა ნათელი, მარტივი აზრისა და ბუნდოვნათ, გაუგებრად წერა. თუ შენი აზრი ყველას ესმის, აქ არ არის პოეზია; თუ ძალიან ცოტას ეყურება,- აი ჭეშმარიტი პოეზია ასეთია სიმბოლისტების შეხედულება ჩვენში. ბუნდოვნად წერა განსაკუთრებით ეხერხება ვალ. გაფრინდაშვილს. უმწვერვალესი განვითარება ბუნდოვანი აზროვნებისა არის ბოდვა.

დაისებში მკითხველი ალაგალაგ უსათუოდ ნახავს იმას, რასაც ჩვეულებრივ ენაზე ბოდვა ეწოდება. მაგრამ ეს „ბოდვაც“დაისებისა მეტად ლამაზია ასეთ გამოუცნობ, ბუნდოვან ლექსებს დაისებში პატარა ადგილი უჭირავთ, უმეტესი მათგანი მისაწდომია და ააშკარავებს პოეტის დიდ ფანტაზიას; მაგრამ ამ ფანტაზიას ავათმყოფის დაღი აზის: პოეტს განსაკუთრებით იზიდავს ლანდები, ორეულები, კოშმარები, დამხჩვალები, თავის მკვლელები, შეშლილები და სხვ.

ჩემი ოცნება თვითონ ვიცი - უცნაურია. სწერს პოეტი ერთ თავის ლექსში.

მე კი მგონია, რომ ეს უცნაურობა სისაღის მატარებელი კი არ არის, არამედ სნეულების.

საღი უცნაურობა ჩემთვის მისაღებია, სნეული კი არა.

პოეტი სრულებით უარჰყოფს სინამდვილეს, მას სძულს ეს სინამდვილე და სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ ქალში მას განსაკუთრებით მოსწონს ჩაჟენილი, ხელოვანი თვალი.

ო, რა უცხოა შენი თვალი, მხიბლავი ყალბად,

ნეტავი იმას, ვინც თვალზე ნაზათ გაკოცებს!

თვალის მაგივრად შენ ძვირფ ას ქვას მუდამ ატარებ,

რომ მე ყოველთვის ვიოცნებო ხელოვნურ თვალზე.

ამიტომაც პოეტი ეტრფის ყველასა და ყოველივეს, რაც სინამდვილეს ასხვაფერებს: ქარს, ლოთს, მთვარეულს, აშორდიასაც კი!

ასხვანაირებ სინამდვილეს, როგორც მგოსანი! - უგალობს ის აშორდიას.

სინამდვილის გასხვანაირება მეტად მიმზიდველი შემოქმედებაა, მაგრამ ამ გასხვანაირებას ერთადერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: სინამდვილის გამშვენიერება, უკეთესი სინამდვილის შექმნა თუნდაც მარტო ოცნებაში. ვალერიან გაფრინდაშვილი ჩვენი სინამდვილის ალაგას უკეთესს კი არა საშინელ სინამდვილეს გვაძლევს თავის შემოქმედებით წარმოდგენაში: ორეულებს, მთვარეულებს, დამხჩვალთა და თავისმკლელთა აჩრდილებს. ეს არ არის ლამაზად გასხვანაირება სინამდვილისა, არამედ მახინჯად გასხვანაირება. ვალ. გაფრინდაშვილს კი შეუძლია ლამაზად გადასხვანაირება სინამდვილისა და თავისი მძლავრი ნიჭი და ფანტაზია აქეთკენ უნდა გადმოიხაროს. რომ ამას თვითონ პოეტიკა გრძნობს, ეს აშკარაა იმის „იავ-ნანა სამგლოვიარო“-ში;

უწინ უსმენდი ტკბილ იადონებს
და იყო ტკბილი შენი დორანი
ახლა ადიდებ წითელ ბატონებს
დაუღალავი გხიბლავს ყორანი.

დაე იყოს წითელი ბატონები და ყორანი გაფრინდაშვილის დროებითი თანამგზავრი-მუდმივი კი - მხოლოდ ტკბილი იადონები. დაისებში მდიდარი შემოქმედებაა, მდიდარი ენა, მომხიბლავი მუსიკა და საუცხოვო რითმა. დაისები ნაყოფია დიდი პოეტური ნიჭისა, ხოლო ამ ნიჭს გაჯანსაღება ესაჭიროება.

პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ გალაქტიონ ტაბიძე დიდხანს სდუმდა. ის გარემოება განსაკუთრებით იყო საწყენი ჩემთვის, რადგანაც

პირველ ტომში უტყუარი ნიჭი სჩანდა და ამავე დროს ბარათაშვილის მონათესავე სული. მეორე წიგნში გალაქტიონი იმდენათ გაიზარდა, რომ ასეთი დიდი ნაბიჯი ჩვენს მწერლობაში მეტათ იშვიათი მოვლენაა.

ჩვენში უფრო ხშირად მწერალი დიდ იმედებს იძლევა თავში, შემდეგ კი ეს იმედი აღარ მართლდება. მწერალს ან აღარ ეტყობა ზრდა, ან ის კუს ნაბიჯით მიდის წინ.

ამის მიზეზი ქართველი მწერლის ნიჭის თვისებაში არ იყო, არამედ ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრების პირობებში. მომავალი მწერლები ამ მხრივ გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებიან: თავისუფალი საქართველო და დემოკრატიული წყობილება საუკეთესო ნიადაგი იქნება მათი ნიჭის გასაშლელად. გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება ცხოვრებამ ვერ ჩაკლა, მიუხედავად იმისა, რომ ის თავიდანვე ცუდ პირობებში იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა ის საგრძნობლად გაიზარდა და მისი მეორე წიგნი ჩვენი ახალი პოეზიის ერთი საუკეთესო თვალია. გრძნობათა სიმდიდრე, სიღრმე და სიწრფელე, განცდათა სიუხვე და სილამაზე, ფორმას მრავალფერობა და სისრულე, მუსიკისა და რითმის სინაზე და კეთილშობილება, მოცეკვავე, მომღერალი რითმების ნაირ-ნაირობა და სილამაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან და ასეთი ყოველმხრივი სიმდიდრე ხელოვნებისა პირველად მკითხველს ათრობს, აბრუებს(...)

პირველად როცა ჰკითხულობთ გალაქტიონის მეორე წიგნს, ის თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებისა გამო გაურკვეველ შთაბეჭდილებას სტოვებს.

როდესაც რამდენჯერმე წაიკითხავთ, მხოლოდ მაშინ შესძლებთ იმის ჩაწდომას, გაცნობას დაფასებას და მისი პოეზიით დატკბობას.

გალაქტიონის ახალი წიგნი სარკეა პოეტის სულისა, აქ მან ჩაგვახედა იშვიათი ლირიზმით გაჟღენთილ პოეზიაში.

ამდენად ნაზი, სათუთი, ფაქიზი, წმინდა და მომხიბლავი გრძნობა, ხან ჩუმი და წყნარი, ხან კი უსაზღვრო, უძირო სევდით დათალხული, - გრძნობა, რომელიც სულისა და გულის სიღრმეში გწვდებათ და მთელს არსებას იპყრობს, იმონებს, ბარათაშვილის შემდეგ პირველად არის ჩვენს პოეზიაში. გალაქტიონ ტაბიძემ გადაგვიშალა დიდი ესტეტიური ნიჭი, რომელიც ყოველისფერს ზომავს, წონის და აფასებს ესტეტიურის თვალსაზრისით.

გალაქტიონი რიფმის, სიტყვათა მუსიკისა და კეთილ ხმოვანების ბატონია.

ვალერიან გაფრინდაშვილი რიფმის ჯამბაზია, მაგრამ ალაგ ალაგ მასაც ეტყობა ნაძალადეობა - ჭკუა ფიორი-კუაფიორი და სხვ.

გალაქტიონის მეორე წიგნში ვერ ნახავთ ვერც ერთ ნაძალადევ რიფმას. რითმები და ასონანსები აქ ერთი მეორეს ეჯიბრებიან და რითმათა გადაჯგუფებაში მას ტოლი არა ჰყავს. აიღეთ მისი ლექსები: ლურჯა ცხენები,voilos,ატმის ყვავილები,ის.აქ რითმები მარტო ბოლოში კი არ არიან,არამედ შიგ სტრიქონების შუაგულში.

რტოებში ავობს ბებერი ქარი

ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს

ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი

ნანაობს ქარი და მიქანაობს.

ჩაუკვირდით მარტო ამ ერთ ტაეპს „ატმის ყვავილი“-დან და დარწმუნდებით, როგორის ხელოვნებითა აქვს ავტორს აწყობილი რითმები შიგ შუა გულ სტრიქონებში.

ასეთი რითმებით მოქარგული ლექსები ჩვენს ახალ პოეზიაში მხოლოდ გალაქტიონს აქვს. გალაქტიონის სული მეტად ნაზია, გრძნობით აღვსილი. ამიტომ ის ვერ ასცდა გავლენას. და იმის მეორე ტომს საკმაოთ აჩნევია კვალი სიმვოლიზმისა.

თუ გაფრინდაშვილის პოეზიას ახასიათებს ერთგვარი მისტიური შიში, აქა იქ ამასვე ვხედავთ, ან ვგრძნობთ გალაქტიონის შემოქმედებაში. სიმვოლისტებს სჩვევიათ ბუნდოვნად, გაუგებრად წერა.

გალაქტიონის მეორე წიგნშიაც არის რამოდენიმე ლექსი, რომლის აზრი მეტად ბუნდოვანია.

ყოველივე ეს არის შედეგი მიბაძვისა და არ წარმოადგენს გალაქტიონის ნიჭის თვისებას. ამიტომ რაც ადრე მიატოვებს პოეტი ამ დროებითს ნახტომს განზე და მიენდობა მხოლოდ თავის ნაზ და ლამაზ, ტკბილის სევდით დათენილ აღმაფრენას, მით უფრო ნაყოფიერი და უფრო სხივოსანი იქნება მისი შემოქმედება.

საზოგადო მიმოხილვაში უალაგოა ვრცლად დახასიათება გალაქტიონის პოეზიისა. იმის სევდას, ისე როგორც ბარათაშვილის გულის კვნესას, ხშირად საპირადო სარჩული უძევს.

გალაქტიონი გრძნობს თავის ნიჭს და სულიერ ძალას. იმას საკმაოდ განვითარებული თავმოყვარეობა აქვს და ამავე დროს მეტად ნაზი გრძნობა. სინამდვილე ჯერ არ აძლევს მას, რაც საჭიროა, რომ მისმა ნიჭმა დაუბრკოლებლად გაშალოს ფრთები.

აი აქ არის ახსნა იმისი, თუ რად იმეორებს პოეტი:

რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ.

გალაქტიონ ტაბიძე დიდი ნიჭია და მას დიდი ყურადღება უნდა, სხვანაირი მოპყრობა.

ეს ყურადღება და მოპყრობა მან დაიმსახურა.

თავისუფალ საქართველოში რომ კიდევ ამოიკვნესოს მან: რადგან არ მაქვს სამშობლოვო, ეს უკვე ჩვენი სირცხვილი იქნება. გასულ წელს გამოვიდა ს. გლახიშვილის პირველი ტომი, აქ თავმოყრილია ლექსები, მოთხრობები და პიესები. ლექსები არაფრად არ ვარგა. მოთხრობებს და პიესებს ეტყობა დაკვირვება და პოეტური ტემპერამენტი.

საერთოდ დრამატიული ხელოვნება გასულ წელს მეტად მიმქრალი აღმოჩნდა, უმთავრესად იმიტომ, რომ სეზონი არა გვქონდა. უნდა მართალი ვთქვათ: თავისუფალ საქართველოში და ისიც დედა ქალაქში რომ ქართულ დრამას თავშესაფარი არა ჰქონდეს, სირცხვილია. დრამატიულ მწერლობას სცენა ასაზრდოებს და ახალისებს. თეატრში ჩვენი საზოგადოების გათვითცნობიერებაში მეტად დიდი საქმე გააკეთა და თავისუფალი საქართველოს ხელოვნებაში ის საპატიო ადგილს დაიჭერს.

გასულ წელს მეტად ცოცხალი კომედიით მოგვევლინა ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი ტრიფონ რამიშვილი. ეს ჩუმი, უჩინარი და წყნარი მუშაკი დიდი მცოდნეა ჩვენი ცხოვრებისა და ამიტომ მისი ყოველი ნაწარმოები მხატვრული შინაარსით არის მდიდარი.

„სტუმარ მასპინძელი“-ც ღირსეულ ალაგს დაიჭერს ჩვენს სცენაზედ.

შალვა შარაშიძის „ავგაროზ“-ს ვუცადეთ, ვუცადეთ, მაგრამ ბებერი წელიწადი მოკვდა და მისი ჯავრი მიწაში ჩაიტანა: ვერ ეღირსა „ავგაროზი“-ს ხილვას. იქნება ახალი წელი უფრო ბედნიერი გამოდგეს და მოვახერხო მაშინ ამ პიესის განხილვა.

ივ. გომართელი

10. 01.1920

N6

მასწავლებელთა ყრილობა (გვ.1)

წყნარად, უხმაუროთ, ურეკლამოთ შეიკრიბა და გაიხსნა სრულიათ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა. შეიძლება ეს ძლიერ კარგი იყოს, შეიძლება იმ ჩუმ მუშაკთა ბუნების, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროში მუშაობენ, კიდევაც შეეფერება ასეთი წესი, მარა ჩვენ გვინდა და ჩვენი სურვილია,რომ როცა ჩვენი ახალთაობის აღმზრდელნი იკრიბებიან - ეს იცოდეს მთელმა ერმა, ეს უდიდესი დღესასწაული იყოს ჩვენი ხალხის და ღირსეულთ ღირსეულათ შეხვდნენ და დაუხვდენ. და ეს იქნება არა მხოლოდ პირადი პატივისცემა მასწავლებელთა, არამედ ნიშანი ჩვენი ხალხის კულტურული ზრდა-განვითარების, რადგან არ არის სხვა რომელიმე პროფესია, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა ქონდეს ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის.

მრავალი სერიოზული კითხვები აქვს ყრილობას გასარჩევი და უნდა ვიფიქროთ, ყრილობა მას სათანადოთაც გადასჭრის. მართალია, ჩვენ დემოკრატიულ წყობილებაში სწავლა აღზრდის საქმის დიდი ყურადღება აქვს მიქცეული და ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ყოველივე საშუალებას ხმარობს მის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ, მარა ჩვენ ვიცით,რომ ყოველივე იდეა პირველ ყოვლისა ისახებოდა, ვითარდებოდა ცხოვრების მსვლელობის პროცესში და მხოლოდ შემდეგ პოულობდა იურიდიულ გამოხატულებას. ამიტომ ჩვენ გვჯერა, რომ მასწავლებელთ კოლექტიური აზროვნება და მუშაობდა მტკიცე საფუძველს ჩაუყრის სწავლა-აღზრდის საქმეს ჩვენში. საგრძნობლათ გაუადვილებს მუშაობას ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს და საშუალებას მისცემს მას ფეხდაფეხ გაჰყვეს ცხოვრების მოთხოვნილებას და ეს მოთხოვნილება კი მეტად დიდი და მეტად მრავალფეროვანია. სკოლის რეფორმა, მისი დემოკრატიულ საფუძველზე აგება-ეს მეტად მძიმე და რთული საქმეა და თუ აქ არ

მოეშველა მასწავლებელთა კოლექტიური აზროვნება, ცოდნა და გამოცდილება, ფხა და უნარი-მისი დაძლევა არც თუ ისე ადვილი იქნება.

ჩვენდა საბედნიეროთ სწავლა განათლების წყურვილი ამ ჟამად იმდენათ დიდია ჩვენში,რომ ვეჭვობ, ისტორიას არ ახსოვს ასეთი რამ. თვით მივარდნილ კუთხეებშიაც კი, ისეთ კუთხეებში, სადაც წინათ არამც თუ გაურბოდენ სკოლას, მტრულათაც კი უყურებდენ - დღეს სკოლა ვერ იტევს მსურველთ და ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს და ამძიმებს მასწავლებელთა მოვალეობას და ჩვენ გვჯერა, ჩვენი მასწავლებლები შესძლებენ ამ წყურვილის, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ჩვენ ვიმყოფებით და განვიცდით ისეთ ხანას, როცა ჩვეულებრივი, ნორმალური დროის შესაფერისი შრომა მეცადინეობა და მეთოდი თითქმის შეუფერებელი ხდება. ახლა საჭიროა ჩქარი და სწრაფი ნაბიჯები, რომ ვითარებათა რბენას დავეწიოთ. ჩვენ არ შეგვიძლია ჩავიკეტოთ განსაზღვრულ სფეროებში და აქ მუშაობით დავკმაყოფილდეთ. ახლა ყველაფერს უნდა წამოვკრათ ხელი, რომ ფეხზე დავაყენოთ. ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მარტო სკოლით. სკოლა-ეს მომავალი თაობაა. მაგრამ ამ თაობისთვის გზის გაკაფვა დამოკიდებულია დღევანდელ თაობაზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი რამ აკლია, ძალიან სუსტობს გაერკვიოს მის ირგვლივ დახლართულ მდგომარეობაში, ამიტომ სკოლის გარეშე განათლება საპატიო ადგილს იჭერს და ზედმეტ ყურადღებას ითხოვს.

ეს გარემოებაც უდიდეს მოვალეობას აკისრებს ჩვენს მასწავლებლებს, და ჩვენ იმედი გვაქვს ყრილობა ყველა ამ კითხვებს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. ამ იმედით და ამ რწმენით უსურვებთ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

განი (ერთობა, 10.01.1920).

სახალხო უნივერსიტეტი (გვ.2)

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა და ქართულ განყოფილებათა ლექტორთა საბჭო მხურვალე მიწოდებით მიმართავს ყველა მომზადებულსა და შეგნებულ მოქალაქეთ, რომელნიც ჩვენი დემოკრატიის გათვითცნობიერებაში საქმითაა დაინტერესებული, ჩაიწეროს ლექტორთა სიაში, დაუთმოს მისი დროიდან, შესაფერის ჯილდოთი ანაზღაურებულ, კვირაში ერთი საათი მაინც ლექციის სახით მეცნიერების რომელიმე დარგიდან, განაცხადოს ამის სურვილი ლექტორთა საბჭოს თავმჯდომარესთან (სასახელ ტელ 3_87, სერ. ჟორჟოლიანთან) და კვირას, დილის 11 ს. გამოცხადდენ სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში (პლეხანოვის პრ., სახლი N123) ლექტორთა შეერთებულ სხდომაზე.

11.01.1920

N7

სტუდენტის დღეს (გვ.3)

სტუდენტთა კავშირის გამგეობის და საზოგადო მოღვაწეთა შეერთებული სხდომის დადგენილებით 26 იანვარს მოწყობილი იქნება „სტუდენტის დღე“.

ამ დღეს დღესასწაულობს მთელი საქართველო ყველა დაბა ქალაქებში გაიმართება სადღესასწაულო საღამოები უღარიბეს სტუდენტთა სასარგებლოდ.

თფილისში კი, ყველა უბნის თეატრკინემატოგრაფებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები. არტისტიულ საზოგადოების ყველა დარბაზებში გაიმართება სტუდენტთა დიდი ტრადიციული ეროვნული საღამო ქ-ნ მ. რამიშვილის და ო. სვანიშვილის მხურვალე მონაწილეობით.

საგანგებო კომისია სთხოვს უნივერსიტეტის მეგობართ და საზოგადოებას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ დღის ღირსეულად ჩატარებაში.

ყოველგვარი ცნობების, შემოწირულობის და რჩევის მიღება შეიძლება სტუდენტთა სასადილოში ყოველ დღე მთავარ კომისიის მდივანთან სტ. დავით წერეთელთან. დილის 11-1ს.და საღამოს 5-7ს. საგანგებო ბარათები და სათანადო ინსტრუქციები უკვე დაეგზავნა ყველა პროვინციებს.

28. 02.1920

N47

„ახალი წიგნი“ (გვ1)

დაიბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა თ. ჭუმბურიძის ახალი წიგნი

„კრიტიკული ანუ მეცნიერული სოციალიზმი“

წიგნი არის ხაშურის ს-დ. მ. ჰ. ორგან. გამოცემა, შეიცავს 104 გვერდს და ღირს 15 მანეთი; ვისაც სურს შეიძინოს ეს წიგნი მიმართონ შემდეგ ადრესზე: ხაშური, სოც-დემ. ორგანიზაციის ბიუროში. დაკვეთა შეუძლიათ მხოლოდ ორგანიზაციებს. კომიტეტი (ფფ.3-2)

19.05.1920

N111

„სალიტერატურო საღამო“ (გვ.1)

III

პოეტები: დუტუ მეგრელი, ვარლამ რუხაძე, ობოლი მუშა, ნიკოლოზ მიწიშვილი, ბარის კორნეევი, გ. ლეონიძე, ივ. ყიფიანი, ხარიტონ ვარდოშვილი, გ. ქუჩიშვილი, წაიკითხავენ თავიანთ ლექსებს. ან. კაციაშვილი წაიკითხავს გურულ სცენებს.

01.06.1920

N120

26 მაისი (გვ.3)

პროვინციაში

ახალ-სენაკი. 26 მაისის დღესასწაული აქ კარგა ჩატარდა. დილიდან გაიმართა მიტინგი. დაკეტილ იქნა ყველა სავაჭროები, დაწესებულებები, სახელოსნოები და გამოფენილ იქნა ეროვნული დროშები. დაწესებულებები და სახლები დღის შესაფერისად მორთულ იქნა ყვავილებით და გირლიანდებით „26 მაისის“ წარწერით ცოცხალი ყვავილებისგან. დილის 11 საათზე ყველა დაწესებულებების და ორგანიზაციების წევრებმა თავი მოიყარა თავისუფლების მოედანზე, სადაც მიტინგი იყო გამართული. წაკითხულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი მოლოცვებით. აქტის წაკითხვის დროს მუსიკა და ხორო ასრულებდა ეროვნულ ჰიმნს. წარმოითქვა სიტყვები დამფუძნ. კრების წევრ ი. სალაყაიას და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების მიერ მიტინგის შემდეგ პროცესიამ შემოიარა ქალაქის ქუჩები და გაემართა ძმათა სასაფლაოსკენ, სადაც ადერბაიჯანის ფრონტზე გმირულად დაცემული გვარდიელები განისვენებენ. პროცესიას წინ მიუძღოდა მხედარი ეროვნულ ტანისამოსში და დროშით ხელში, მას მიყვებოდენ თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვები, რომლებიც ყვავილებს უფენდენ ემბლემას, მას მოყვებოდა ავტომობილი მორთული ყვავილებით და მასში ემბლემა ეროვნული ტანისამოსში გამოწყობილი ქალი.

შემდეგ ცხენოსან მომღერალთა გუნდი, რევოლიუციონური დროშები, მუსიკა, მოწაფეები, გვარდია და ხალხი. „ძმათა სასაფლაოზე“ მხედარმა მედროშემ, ნიშნად საქართველოს დამოუკიდებლობის

დაცვისათვის დაცვისათვის დაღუპულ გმირებისადმი პატივისცემისა დროშა დახარა მათ საფლავის წინ. ქალმა ებლემამა შეამკო საფლავის გვირგვინით. თეთრებში მორთულმა ბავშვებმა რამოდენიმეჯერ შემოუარეს საფლავს, დაიჩოქეს მათ წინ, შეამკეს ყვავილებით და ყვავილებისგანვე გაკეთებული ასოებით: „გმირები“. ამ დროს მუსიკამ დაუკრა სამგლოვიარო მარში და ხორომ შეასრულა „მსხვერპლად დაეცით“. საფლავზე მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რ. გამსახურდიამ, რომლის შემდეგ პროცესია დაიშალა.

ოთხ საათზე გამართულ იქნა ცხენების მარულა. ხუთ საათზე - მიქელაძის ეზოში ფასიანი სხვადასხვა გასართობები. დილიდან საღამომდის სწარმოებდა ყულაბებით და სხვა საშუალებებით ფულის მოგროვება. საღამოს გაიმართა წარმოდგენა, რამაც საგრძნობი შემოსავალი დასტოვა. მთელი დღის შემოსავალი გადაიდო ფრონტისთვის. აღსანიშნავია,რომ ამ დღესასწაულში ყველა ღებულობდა მონაწილეობას: დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ყველა ვალდებულად ხდიდა თავს, თავისი წვლილი შეეტანა, რაც აიხსნება მით, რომ ყველა კარგათ გრძნობდა დღის შემოსავლის დანიშნულებას. წინეთ თუ სამეგრელოს დემოკრატიაში ასეთი საქმის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყო, ეხლა მსგავსის არაფერია. წინეთ თუ უბრალო პროვოკატორი წყალს ამღვრევდა, ეხლა ხმის ამოღებას ვერ ბედავს, ვინაიდან სამეგრელოს დემოკრატიამ ამ რევოლუციის პროცესში კარგად გაიცნო ისინი, რა ვაჟბატონები არიან და საერთო საქმეს ყველა ისე ეკიდება, როგორც საკუთარ თავიანთ ოჯახს. წინეთ თუ სამეგრელოს ხალხი ჩაფითობდა საერთო საქმეში თავისი წვლილი შეეტანა, ეხლა არამც თუ პირნათლად ასრულებს მას, არამედ მასთან ერთად თავის ღვიძლ შვილებსაც ხმის ამოუღებლად გზავნის ბრძოლის

ველზე და თუ რამე აბადია, უგზავნის ფრონტზე მეომრებს, რომ ამით გაამხნეოს და უთხრას: „ნუ გეშინიათ, ჩვენც თქვენთან ვართ“-ო.

ივლიანე

05.06.1920

N124

კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ჯარში (გვ. 3)

კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება ხსნის სახალხო გვარდიის ყველა მუდმივ არსებულ ნაწილში ელემენტარულ ცოდნის და წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლებს. განზრახულია თფილისში 4 ასეთი სკოლა გაიხსნას. ხუთი სკოლა გაიხსნება ახალციხის, ახალქალაქის, დუშეთისა და სხვა რაიონებში. გარდა ამისა, ამ დღეებში მოეწყობა თფილისში განსაკუთრებული სცენა-კლუბები. ამავე დღეებში დასრულდება 7 კლუბის მოწყობა პროვინციებში. დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება დაღუპულ ჯარისკაცთა ბავშვების აღზრდას და აგრეთვე იმ გვარდიელთა ბავშვების აღზრდას, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს განყოფილება აწარმოებს ფართო სააგიტაციო მუშაობას სოფლებში. განყოფილება გზავნის ცენტრიდან სოფლებში აგიტატორების, რომელთა მოვალეობას შეადგენს არსებულ მდგომარეობის ახნა-განმარტებას. ამავე მიზნით გამოყენებული იქნება ყველა ადგილობრივათ მცხოვრები ინტელიგენტური ძალა. ამ საქმეში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ერობათა თვითმართველობანი, პარტიული ორგანიზაციები და სხ. და ბოლოს განყოფილება აწარმოებს განსაკუთრებულ სამხედრო ეპიზოდების სტატისტიკას, რის გამოც გვარდიის მუდმივ ნაწილებში დაგზავნილია ცირკულიარები წინადადებით, რომ მას შეატყობინონ

გვარდიის სამხედრო მოქმედებანი, ცალკე ჯარის კაცთა თავდადებანი, გვარდიელთა გარდაცვალება და სხ. განყოფილების მიერ შედგენილი ანგარიში თფილისში მის მოღვაწეობის შესახებ. ანგარიშში აღნიშნულია სხვათა შორის გვარდიელებისა და ჯარისკაცთათვის ოპერების დადგმა, რომელსაც დაესწრება 12,000 სული. გარდა ამისა, მოწყობილი იყო 12 დრამატიული დასი, რომელმაც გამართა რიგი წარმოდგენებისა რესპუბლიკის სამხრეთ დასავლეთის რაიონებში. გარდა ამისა, მოწყობილი იყო პოლიტიკური შინაარსის ლექციები, რეფერატები და სხ. კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება იღებს ყოველგვარ ზომებს მიაწოდოს ფრონტს ლიტერატურა. ამავე დროს იღებს კინემატოგრაფიულ სურათებს ჯარის ცხოვრებიდან, სამხედრო (..) და სხ. (სდს).

23.06.1920

N139

მასწავლებელთა საყურადღებოთ (გვ.4)

კარგა ხანია გამოირკვა, რომ ჯამაგირების მომატება ვერ დაეწევა ფასების ზრდას პირველ-საჭიროების საგნებზედ. ეს გარემოება აუტანელ პირობებში აყენებს იმ პირთ, რომელთა ერთად ერთი შემოსავალი ჯამაგარია. ამიტომ შრომის სამინისტროდან მოეწყო მუშათა მაგიდა,რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ურიგებს სურსათ-სანოვაგეს ძალიან იაფ ფასებში, ე.ი. ჯამაგირის ნაწილს ყველა მუშა-მოსამსახურეებს ურიგებს სურსათ-სანოვაგეს ძალიან იაფ ფასებში, ე.ი. ჯამაგირის ნაწილს ყველა მუშა-მოსამსახურე იღებს ნატურით სახელმწიფოსაგან. ამ პირობებში ფასების ზრდას იმდენი გავლენა აღარა აქვს მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტზედ. სამწუხაროდ, სახელმწიფოს დახმარებით სარგებლობს მხოლოდ თფილისის და ზოგიერთ სხვა ქალაქების მუშა-მოსამსახურენი. დაბა-სოფლებში მცხოვრები სახელმწიფო მოსამსახურენი

კი მოკლებულნი არიან ასეთ დახმარებას და მათ არც ჯამაგარი ემატებათ. ასეთ პირობებშია მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა. მუშათა მაგიდას არ შეუძლია მიაწოდოს მათ დახმარება ისე, როგორც ეს ქალაქებში მოეწყო. სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირი იმდენს ეცადა, რომ მოახერხა და ამ 4-5 თვის განმავლობაში ერთხელ დაურიგა მასწავლებლებს ცოტაოდენი ფართალი, შაქარი და ბრინჯი. კავშირის საბჭოს რომ საამისო თანხა ჰქონებოდა, მას შეეძლო ყოველთვიურად მოეწოდებია წევრთათვის ხვედრი რაციონი ერთი-ნახევარი მილიონი მანეთის სურსათ-სანოვაგე, რომელიც დაურიგდა მასწავლებლებს, გამოვიტანეთ მუშათა მაგიდისაგან ნისიათ ერთი თვის ვადით განათ. სამინისტროს გარანტიით. მიუხედავათ იმისა, რომ ამას ძალიან ბევრი დრო და ხარჯები უნდა (საქონლის წასაღებათ ჩამოსულ ამხანაგებს უხდებათ თფილისში ცდა 10-15 დღე), დღეიდან ესეც შეუძლებელი ხდება. ნისიათ სურსათის მიღება და საამისო გარანტიის გამოტანა საიდანაც ჯერ არს გასჭირდა. ყოველივე ეს გაითვალისწინა სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭომ და გასულ კონფერენციას წარუდგინა მასწავლებელთა კოოპერატივის პროექტი, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. ამ პროექტით თფილისში არსდება მთავარი საწყობი, საიდანაც პროვინციელ ორგანიზაციებს სისტემატიურად დაურიგდება მუშათა მაგიდიდან, მომარაგების სამინისტროსაგან, თუ კერძო ფირმებისაგან შეძენილი სურსათ-სანოვაგე. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივს ექნება 3-4 მილიონი თანხა. ეს კი შესაძლებელია, თუ მასწავლებლები მოისურვებენ. მთავრობამ გადასწყვიტა მიეცეს მუშა-მოსამსახურეებს ერთდროული დახმარება 3,000 მანეთამდე. აი ამით უნდა ვისარგებლოთ მასწავლებლებმა და უცბად შევქმნათ საჭირო თანხა. ამისათვის აუცილებელია სამაზრო და საქალაქო კავშირთა გამგეობებმა სთხოვონ

დეპეშით განათლების სამინისტროს, რომ ამ ერთდროული დახმარებიდან დაუჭიროს ყოველ მასწავლებლებს 1000 მან. და გადასცეს ის სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს. დეპეშა უნდა გამოიგზავნოს განათლების სამინისტროს სახელზე დაუყონებლივ, სანამ სამინისტრო კრედიტს გაუხსნიდეს ერობებს და ქალაქებს, ე.ი. 20-25 ივნისამდის. ამ ათასი მანეთიდან 500 მან. გადაირიცხება მასწავლებელთა კოოპერატივის საპაიო თანხად. მეორე 500 მანეთი კი იქნება ავანსი და იმით შეძენილი სურსათ-სანოვაგე დაუყონებლივ დაურიგდება წევრებს უფასოთ. საპაიო თანხით შეძენილი საქონელი კი რა თქმა უნდა, გაიყიდება წევრებზე არა უმეტეს 5 პროც. მოგებით, რაც მოუნდება ამ დიდი საქმის მოწყობას და გაძღოლას.

მართალია, 1000 მან. გაღება ერთ-დროულად ღარიბი მასწავლებლებისათვის ძალიან ძნელია, მაგრამ სხვა გზა არ არის. ვისაც უფრო უჭირს, ის უმალ უნდა დათანხმდეს ამაზე.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ იმ მაზრის და ქალაქის მასწავლებლებმა, საიდანაც ზემოდ ნაჩვენები შინაარსის დეპეშა არ მოუვა სამინისტროს, შეიძლება აწი ვერავითარი სურსათ-სანოვაგე ვეღარ მიიღონ.

სრ. საქ. მასწ. საბჭოს **აღმასრულებელი ბიურო**

30.04.1920

N96

მასწავლებლის დღე (გვ.3)

საქართველოს მასწავლებლობა ჯერ კიდევ ვერ დარაზმულა ჯეროვნად პროფესიონალურ კავშირებში. თუმცა თითქმის ყველა კუთხეებში არის მასწავლებელთა ადგილობრივი კავშირები და აგრეთვე სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ერთი მთლიანი კავშირიც,

მაგრამ ამ კავშირებში მუშაობა სასურველად ვერ სწარმოებს. წევრთა გულგრილობა და კავშირთა გამგეობების მოდუნებული საქმიანობა, ეს ყველა მათი დამახასიათებელი თვისებაა. თითქოს ყველა ჩვენგანი ემდურის მასწავლებლის უფლებრივ და ნივთიერ მდგომარეობას, მაგრამ მაინც უმოქმედოთ და პასიურათ ვართ. ბევრი ჩვენგანი ასეთ ჩვენს მდგომარეობას განსაკუთრებით საზოგადოებისა და მთავრობის უყურადღებობით ხსნის, მაგრამ ეს მოვლენა, ჩვენის აზრით, უფრო იმ ჩვენი უმოქმედობითა და გულგრილობით აიხსნება, რომელიც ჩვენი კავშირების თითქმის ყოველი წევრთაგანის თვისებად გადაქცეულა.

მასწავლებელთა კავშირების აღმასრულებელი ორგანოები, თუ კი ამოძრავდებიან, მრავალი საშვალება შეუძლიანთ გამონახონ, რომ აამაღლონ მასწავლებლის პიროვნება საზოგადოების თვალში, ანგარიში გაუწიონ მას სხვა დარგის მომუშავეებმა, საზოგადოებამ და თვით მთავრობამაც. კავშირის ორგანოებს შეუძლიანთ გამონახონ წყარო, რომელიც ნივთიერად გააძლიერებს კავშირებს და შეძლებას მისცემს მათ დაიარსონ კასები, კოოპერატივები და ამ გვარად გააუმჯობესონ მასწავლებლის მდგომარეობა.

იმ ბოლო დროს საქართველოს მასწავლებელთა კავშირის თაოსნობით უკვე შეუდგნენ ადგილობრივი კავშირები საპროცენტო გადასახადების შემოღებას ზემო აღნიშნულ მიზნებისთვის მაგრამ ეს იმდენად ვერ გვიშველის, თუ სხვა საშუალებაც არ გამოვნახეთ. ერთ-ერთ ასეთ საშუალებათ ჩვენი კავშირების ნივთიერად გაღონიერებისათვის მიგვაჩნია „მასწავლებლის დღის“ დაწესება. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი პროფესიონალური კავშირი თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასადიდებლად აწესებს წელიწადში ერთ დღეს თავის სადღესასწულოდ და ამ დღეს სხვადასხვა საშუალებით აგროვებს თანხებს და ამავე დროს

აცნობს მთელს ხალხს თავის პროფესიის დანიშნულებას. მაგალ. ასეთი დღეები შემოიღეს მსახიობებმა - „ქართველი მსახიობის დღე“, მწერლებმა - „პოეზიის დღე“, სტუდენტებმა - ქართველი სტუდენტის დღე“ და სხვ.

ჩვენის აზრით საქართველოს მასწავლებლობამ და ეროვნულმა სკოლამ უსათუოდ უნდა დააწესოს წელიწადში ერთი თავის სადღესასწაულო დღე მთელ საქართველოში, ამ დღეს მასწავლებლის, სკოლისა და საერთოდ განათლების მნიშვნელობაზე უნდა იყოს ღაღადისი. ამ დღისთვის საგანგებოდ გამოიცემა ჟურნალი ან გაზეთი. სასწავლებლებში შუადღემდის მოწაფეთათვის რეფერატები უნდა იკითხებოდეს, ხოლო შუადღიდან კი ჩვენი აურაცხელი ჯარი - მოწაფეობა ქალაქად თუ სოფლად მოეფინება ქუჩებს სიმღერითა და მუსიკით; იგინივე ამ დღეს სიხარულით დაურიგებენ ხალხს საგანგებო მომზადებულ წიგნებს და ჟურნალ გაზეთებს და მოაგროვებენ ფულთ თუნუქებით საქართველოს ყველა კუთხეში.

მართლაც, ვის ჰყავს იმდენი თანამშრომელი, როგორც მასწავლებელს, თავისი საყვარელი მოწაფეების სახით ურიცხვი მოწაფეობა და რამდენიმე ათასი მასწავლებელი - ყველა ერთ საქმეში იქნება ჩაბმული ამ დღეს. ამავე დღეს საღამოს ყველა ქალაქებში და სოფლებში, საცა კი მოხერხდება, უნდა გაიმართოს წარმოდგენები, საღამოები, სეირნობა და სხვა. უმთავრესად მასწავლებლობისა და მოწაფეების მონაწილეობით.

ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ თუ ასეთი დღე შემოიღო მასწავლებლობამ და ენერგიულად მოჰკიდა ხელი მის მოწყობას, იგი დიდ მუდმივ საზეიმო დღედ გადაიქცევა.

აღმოს. საქ. საშ. სკ. მასწავლებელთა კავშირის გამგეობა.

11.05.1920

N104

პოეზიის დღე (გვ.2)

ქართული პოეზიის მოყვარულნი ცუდ გუნებაზე დააყენა 7 მაისის გამართულმა „პოეზიის დღემ“. მწერალთა კავშირს ამ დღეს უნდა გამოეჩინა თავისი შემოქმედებითი უნარი, ფაქიზი გემოვნება, რომელიც პოეზიის აუცილებელს თვისებას შეადგენს, მშვენიერების გრძნობა და სხვა მხარეები, რაც მოეთხოვება თითოეულ პოეტს და მით უმეტეს მათ კავშირს. საზოგადოებას უფლება ჰქონდა ამის მოლოდინში ყოფილიყო. რამდენსამე თეატრში იყო გამართული პოეზიის საღამო. არ ვიცი, სხვა თეატრებში როგორ ჩატარდა ის, მაგრამ სახელმწიფო თეატრში მწერალთა კავშირმა ვერავითარი შემოქმედებითი ნიჭი და ესთეტიკური გემოვნება ვერ აჩვენა საზოგადოებას.

საუკეთესო ნომრები ქართულ პოეზიის საღამოზე შესრულებულ იყო არაქართველთა მიერ. ჭეშმარიტი ესთეტიკური სიტკბოება დამსწრეთ განაცდევინეს ქართველმა პოეტებმა კი არა, არამედ მოწვეულმა კაჩალოვმა, მოწვეულმა გერმანოვამ. თვით მოდღესასწაულეთა ნომრებში არ იყო არც ერთი იმისთანა, რასაც შეეძლო გული აეტოკებინა მსმენელთათვის და მათი არსება ერთის წამითაც არ შეეპყრო იმ წმინდა განცდათ, რომელიც თან სდევს მშვენიერებას.

საღამოს პროგრამა ურიგოთ არ იყო შედგენილი, მაგრამ მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება არ გამოდგა დღევანდელ ქართულ პოეზიის სასარგებლოდ.

მსმენელთა წინაშე ორი პარალელი გატარდა. პირველი პარალელი ერთმანეთს პირის პირ უყენებდა ჩვენს წარსულს და ჩვენს დღევანდელ პოეზიას. ბარათაშვილი, რაფაელ ერისთავი, გრ. ორბელიანი, ევდოშვილი

წარმოდგნენ ჩვენ თვალწინ და წარმოსთქვეს თავისი ლექსები. თვით ეს ნომერი-არტისტების გამოყვანა გარდაცვლილ პოეტების გრიმით - არაფერს არ გვეუბნება საღამოს გამმართველთა ფაქიზ გემოვნებაზე; მაგრამ ჩვენ მოვისმინეთ გენიოსობით აღბეჭდილი „მერანი“, უტყუარი ნიჭით დაწერილი, „სამშობლო ხევსურისა“, გულწრფელ გრძნობით გამთბარი „ფსალმუნი“ და დემოკრატიულ კვეთებით სავსე „მეგობრებო წინ, წინ გასწით!“ ყველა ჩვენი საუკეთესო კლასიკოსები არ იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ როდესაც მათ ლექსებს წაკითხვასთან ერთად ახალი პოეტები თავის ლექსებით წარმოადგენ, მაყურებელმა მაინც იგრძნო ის, რითაც ჩვენი წარსული პოეზია განსხვავდებოდა დღევანდელისაგან და ამან აღუძრა მას მწარე ფიქრები.

მეორე პარალელი იყო ჩვენსა და უცხოს შუა, ჩვენსა და რუსულ პოეზიას შუა. ჩვენი პოეტები, მეტადრე ახალგაზრდები, წარმოდგნენ მსმენელთა წინაშე მეტად დიდ პრეტენზიებით და მეტად მცირე ძალებით. მათი ლექსები უმთავრესად „მე“-ზე აშენებული და თავის თავის ქება და თავის ნიჭის გაზვიადებას შეიცავს. რაც შეიძლება მეტად არაჩვეულებრივი, რაც შეიძლება მეტად ცხოვრებას დაშორებული, რაც შეიძლება მეტად გაუგებარი, რაც შეიძლება მეტად უჩვეულო, ახალი, უხმარი სიტყვები, რუსიციზმები, ევროპეიზმები, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანური გრძნობა, აი მათი ლექსების განსაკუთრებული თვისებები. ლექსის წაკითხვის მანერასაც ატყვია დიდი პრეტენზიები და პატარა ძალა: ლექსს კითხულობენ არაჩვეულებრივის კილოთი, - არა ისე, როგორც უბრალო მომაკვდავნი ლაპარაკობენ, არა იმ კილოთი, რომელსაც მიზნად აქვს ნამდვილ გრძნობის გადაცემა, არამედ „ზე კაცურად“, ამაღლებულ და „შმაგი“ კილოთი, სიტყვების გაგრძელება გატყლარჭვით აღგზნებული ხმით. და მათ შემდეგ გამოდის ქ. გერმანოვა, რომელიც გულში წარწერით,

ჭეშმარიტათ ადამიანურ გრძნობით კითხულობს ჩვენივე ბარათაშვილის უბრალო მარტივ სიტყვით დაწერილ ლექსებს „მიყვარს მიყვარს მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის“ და „მწყემსო კეთილო“ რუსულ თარგმანს. თარგმანი უხეირო იყო, მაგრამ მსახიობმა მაინც განაცდევინა მსმენელთ ბარათაშვილის გულწრფელი სევდა და ღრმა გრძნობა. გამოდის ბ. კაჩალოვი და ზე-აღმტაცი ხელოვნებით, მაგრამ უბრალოდ, მარტივად, კითხულობს „მერანს“, კითხულობს ისე, რომ მსმენელებს იპყრობს ის უძირო სასოწარკვეთილება, რომლითაც თვით ბარათაშვილი იყო შეპყრობილი და რომელიც ასეთის არტისტიულის ზედმიწევნით იგრძნო დეკლამატორმა. შემდეგ იგი კითხულობს პუშკინის ლექსს... ლირიკის ჭეშმარიტს მაგალითს, რომელშიაც გენიოსურად არის შეზავებული ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობის სიღრმე, გულწრფელობა ამ სიმარტივის მეოხებით მართლაც ლექსს ატყვია ბეჭედი იმ „მზიურობისა“, რომელზედაც ასე ხშირად უყვართ ლაპარაკი ჩვენი პოეტებს, რომელთაც ლამის არის პოეზიის მზის სხივები მთლად დაუხშონ ქართულ საზოგადოებას.

არ ვიცი, განგებ ჩაიდინა ეს ს. კაჩალოვმა, თუ უნებურად, მაგრამ პარალელი გამოდგა მეტად მეტყველი და მწარე ქართულ პოეზიის მოყვარულთათვის. ბარათაშვილის და პუშკინის ლექსების წაკითხვით ბ. კაჩალოვს და ქ. გერმანოვას თითქოს უნდოდათ ჩვენი პოეტებისთვის ეთქვათ: თქვენ გზას ასე დაინახავთ; ტყუილად იჭაჭებით და წელებზე ფეხს იდგამთ; ადამიანურ გრძნობას და აზრს თუ გაურბიხართ, გაურბიხართ პოეზიას და ხელოვნებას; უბრალო, მარტივი, მაგრამ გულწრფელი ადამიანური გრძნობა - აი პოეზიის ჭეშმარიტი წყარო; რაც უფრო მეტად გასაგები იქნება ლექსი, რაც უფრო მეტად მისაწვდომი იქნება დეკლამაცია, რაც უფრო მეტ ხალხის გულში გამოიწვევს

ნაწარმოებში საპასუხო გამოხმობას, მით უფრო მაღალ შემოქმედების მაჩვენებელია იგი. თქვენ გზა დაგკარგვიათ, მაგრამ თქვენი მდგომარეობა უიმედო არ არის: თქვენ გყავთ მისაბაძი მაგალითები უცხო პოეტებში; თქვენ გყავთ საკუთარი პოეტებიც. უკან - პუშკინთან და ბარათაშვილთან!

24.07.1920

N165

ქართველი სტუდენტობისათვის (გვ.3)

(მოწოდება გერმანიიდან)

რუსეთში ანარქიის გამეფების, სასწავლებელთა არა ნორმალური მუშაობის და სამიმოსვლო საშუალებათა მოსპობის გამო, ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მრავალი ასეული ქართველი მოსწავლე ახალგაზრდა საშუალება მოკლებული დარჩა დაწყებული სწავლა რუსეთშივე გაეგრძელებია.

ერთმა ნაწილმა თფილისში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს შეაფარა თავი, ნაწილი ნივთიერი საშუალებათა სივიწროვის გამო სრულებით შეჩერდა, ხოლო მცირედმა ნაწილმა დასავლეთ ევროპას მიაშურა.

რუსეთში შიმშილ-წყურვილს დაჩვეულმა, ათასგვარ გაჭირვებაში გამორეულმა მოსწავლე ახალგაზრდობამ იმ იმედით, რომ ევროპაში თავისი შრომით შესძლებდა თავის რჩენას, როგორც ეს რუსეთის სინამდვილეში ხშირათ ხდებოდა, თავი გადასდო სწავლის შესაძენათ, უკანასკნელი გროშებით სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დაიწყო.

ამ იმედით გამომგზავრებული ამ ჟამად გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში იმყოფება რამოდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი, რომელთა იმედი თავისი შრომით არსებობის შესახებ გერმანიის

სინამდვილემ სრულიად გააქარწყლა. უცხოელთათვის სამუშაოს მიწოდება და დახმარების აღმოჩენაზედ გერმანიაში დღეს-დღეობით ფიქრიც არ შეიძლება, ვინაიდან რამოდენიმე ათეული ასიათასი თვით გერმანელი უმუშევარი იმყოფება სახელმწიფოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებში და საგრძნობელი ნაწილი თვით გერმანიის ხალხისა დღეს შიმშილს განიცდის.

ასეთ პირობებში რა დარჩენიათ მათ, ვისაც მშობელთა და ნათესავთა დახმარებაზედ ოცნებაც კი არ შეუძლიათ? ხელცარიელი საქართველოში უკან დაბრუნება, დასახულ მიზანთა გაქარწყლება, გაცამტვერება.

ზოგიერთი მათგანი ორი წელია აქ იმყოფება, მათ შუაგზაზედ უნდა შესწყვიტონ ძლივ-ძლივობით, საშინელი გაჭირვებით განვლილი წლების მუშაობა. საქართველოს დემოკრატიამ, მისმა მთავრობამ დღევანდელ საზღაპრო პირობებში, როდესაც ჩვენი ვალიუტა მეტისმეტად დაცემულია,როდესაც შინაური ეკონომიური ცხოვრება დიდ კრიზისს განიცდის, შესძლო 75 მოსწავლის ევროპაში გამოგზავნა. ამით მან თავისი ვალი ღირსეულათ მოიხადა... მაგრამ მიუხედავათ ამისა, მიუხედავათ საშინელი გაჭირვებისა, მაშინ, როდესაც გორი დანგრეულ-განადგურებულია, რამოდენიმე ათეული ასი ოჯახი დასტირის თავიანთ განადგურებულ კერას, შეხიზნულია თავიანთ მოძმეთა ოჯახებში, და ყოველ მხრიდან მომდგარი ხმალ ამოღებული მტერი ახლად აღორძინებულ დემოკრატიულ საქართველოს სხეულის გაკვეთას ლამობს, ჩვენ ვკადნიერდებით და მივმართავთ ქართველ გულშემატკივარ საზოგადოებას თხოვნით, შევიდეს გაჭირვებულ მოსწავლეთა მდგომარეობაში, რომელთა მომავალი მტლად დაედება საქართველოს კეთილდღეობას, და თავისი წვლილით ხელი შეუწყოს მათ მიერ სწავლის გაგრძელებას.

ყოველივე საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირებს ვსთხოვთ ყურად იღონ ჩვენი მიმართვა და თავისი წვლილით ხელი შეუწყონ საქართველოს მერმისის შემქმნელს, დღეს ევროპის კულტურას დაწაფებულ ახალთაობის აღზრდას.

ყოველივე წვლილი უღრმესი მადლობით მიიღება საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით ბერლინის ელჩის ვლადიმერ გიორგის ძე ახმეტელაშვილის სახელზედ.

კომისიის წევრები: ი.ნარსია(თავჯდომარე), მ. ახმეტელაშვილი(თავჯდომარის ამხ.), მ.იმნაიშვილი, ნ. იმნაიშვილი, ა. წულაძე, შ. შიმშელაშვილი, ი. გველესიანი(მდივანი)

07.10.1920

N227

„სპეციალისტი მასწავლებლები“ (გვ.4)

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა N124. მიღება 3-6 ს. (31081-1-1)

11.11.1920

N257

“ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტი“

7 ნოემბერს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებამ დაიწყო თავისი მოქმედება. ამ დღეს მოიყარა თავი ავლაბარში არსებულმა მუშათა, კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და შარშანდელი სამოსწავლო წლის მსმენელებმა. კრება გახსნა ავლაბრის მუშათა კლუბის თავმჯდომარემ ი. ხუციშვილმა, რომელმაც მუშათა კლუბის სახელით სალამი უძღვნა მსმენელთ.

სახალხო უნივერსიტეტის მთავარ გამგეობის სახელით სიტყვით მიმართა მსმენელებს ინსტრუქტორმა გრ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც

მკაფიოდ გაუმარტა დამსწრეთ ევროპის მუშათა მოძრაობა სახალხო უნივერსიტეტის გარშემო. მისასალმებელი სიტყვით აღნიშნეს ეს დღე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ამხ. მ. წივწივაძემ, ნ. სხედეხიამ იოს, ბ. რამაშვილმა, მეტრეველმა, ავლაბრის სცენის მოყვარეთა ჯგუფიდან ე. კულულაშვილმა და სხვ.

შემუშავდა გეგმა მომავალი მუშაობისა. პირველი ლექცია დაინიშნა პარასკევს, 12 ნოემბერს საღ. 5 საათზე, ლექცია წაიკითხება ქართულ და სომხურ ენებზე კვირაში თითოჯერ. თუ მსმენელთა საკმაო რიცხვი აღმოჩნდა წაკითხული იქნება რუსულ ენაზედაც.

ვერხვი.

12.11.1920

N252

„ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებელში“ (გვ4)

1,2,3,4,5,6,7 კლასში შესასვლელად ვამზადებ ყველა საგნებში. ვასწორებ მათემათიკაში და ენებში ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ.N25, (შესავალი ალექსის ქ.5) 9-12 საათი.

4-5 მაჩაიძის ბინა. (3627 5-3)

20.11.1920

N265

„ახალი სხივი“ (გვ.2)

მ. ხაევისკენ?

ჭაღარამ მოინდომა თავის გამართლება და გამოუვიდა რაღაც იმერული „რეჩის“ მსგავსი. მაგრამ მოულოდნელათ გამოესარჩლა უფრო დიდი ამხანაგი, რომელმაც მთელი რედაქციის სახელით მიიღო თავის თავზე მთელი პასუხისმგებლობა. ამხ. კიკნაძემ პირი დაბანა ჭაღარა, თმა დაუვარცხნა, გააღრმავა და ვითომ, გამოაკეთა მისი აზრი. ჭაღარამ, რომ

ჩაიხედოს ამ სარკეში, გაუკვირდება, იტყვის, - მე თვითონ არ ვიცოდი, თუ ასე კარგი ვიყავიო.

მე, მართალი გითხრათ, მეგონა, რომ ჭაღარას წერილი შემთხვევით მოხვდა გაზეთის ფურცლებზე. ყოველ რედაქციას შეემთხვევა ეს. გამოჩნდა კი, რომ აქ „ახ. სხივს“ ქონებია ერთგვარი „სისტემა“ და ჭაღარა ყოფილა ამ სისტემის გამომხატველი. ძნელი დასაჯერებელი იყო, როცა ამბობდენ, - ეგ გაზეთი მუშებს ამხედრებს ინტელიგენციის წინააღმდეგო. როცა კ. ნინიძის წერილი წაიკითხა, ვიფიქრე, რომ ეს არ ყოფილა დაუჯერებელი. –„მუშათა კლასმა იბრძოლა, სისხლი დაღვარა მაგრამ ნივთიერ უთანასწორობას მაინც ვერ დააღწია თავი. ჩვენ შედარებით, ტანზედ უკეთესად გვაცვია, ბინაც უკეთესი გვაქვს და საზრდოც. და ეს უთანასწორობა მუდამ იქნება, სანამ კაპიტალისტური წყობილება არსებობს. ეს საკითხი ძალზე აინტერესებს მუშათა კლასს და ის წყალ წაღებული იქნებოდა,რომ ყველაფერზე თვალი დაეხუჭაო“, - სწერს თავის დიდ წერილში ვ.ნინიძე.

რა გამოდის აქედან?

გამოდის შემდეგი: მუშათა კლასი ცუდათ ცხოვრობს, თუმცა ის იყო რევოლუციისთვის მებრძოლი. გაცილებით უკეთ სცხოვრობს ინტელიგენცია. ეს უთანასწორობა იქნება, სანამ არსებობს კაპიტალიზმი. აქედან აუცილებელია დასკვნა, - ჩვენ, ე.ი. სოციალ დემოკრატიული ინტელიგენცია ვეკუთვნით კაპიტალისტურ კლასს, ვსარგებლობთ მუშათა კლასის გაკეთებული საქმით, თვითონ ეს კლასი კი აუტანელ პირობებში გვყავს ჩაყენებული.

აქ არის არა მარტო პრინციპიალური უთანხმოება, აქ არის ისეთი უფსკრული, რომელიც ერთ საზოგადოებრივ კლასს აშორებს მეორისაგან, ეს ის უფსკრულია, რომელზედაც რამდენიმე წლის წინეთ ლაპარაკობდა

ცნობილი მახაევი. ისიც მუშათა კლასს ამხედრებდა სოციალისტური ინტელიგენციის წინააღმდეგ. „ახ. სხივი“ კ. ნინიძის პირით ავრცელებს დღეს მახაევის აზროვნობას, დიდი ხნის მონელებულს და ისტორიულ არხივში გადასულს.

არა მგონია, რომ საზოგადოთ ეს პატივცემული ამხანაგი მომხრე იყოს ამისთანა აზროვნების. ეს გამოუვიდა მხოლოდ იმ კერძო შემთხვევაში, როცა იკისრა უიმედო საქმის დაცვა, ჭაღარას გამართლება.

„ახ. სხივი“ გვეკითხება, გვაძლევთ თუ არა გარანტიას, რომ „ერთობა“- ფურცლებზე ჩვენი აზრი გამოვსთქვათ ხოლმეო. პირადათ ვფიქრობ, რომ ამ გაზეთში ადგილი ვერ მიეცემა „ჭაღარა“- მახაევის აზრებს. ამისთანა წერილი ვერ დაიბეჭდება აქ. ადგილი, ჩემის აზრით უნდა მიეცეს კრიტიკას, და არა როგორც რუსულათ იტყვიან Брюзжанйе-ს. მე არ შევდგომივარ „ახ. სხიველების“ განქიქებას, როგორც ამას მაწერენ. პირიქით, სულ შეთანხმებაზე ვლაპარაკობ. კ.ნინიძის კილოს ეტყობა, რომ ის არ ფიქრობს შეთანხმებაზე, ის შეუძლებლათ ხდის შეთანხმებას. მე მომხრე ვარ ცალკე გაზეთის ლიკვიდაციის და არა რომელიმე მიმართულების. არ მესმის ის მიმართულება, რომელიც ლაპარაკობს ქურდებზე, მექრთამეებზე და ამის მეტი არაფერი აქვს სათქმელი.

საიდან გაიგეთ, რომ ჩვენ ვებრძვით მხოლოდ პირებს და არა სისტემასო, - მეკითხებიან. ეს მე გავიგე თვითონ „ახ. სხივიდან“. სისტემა ვერ ვიპოვნე იქ. გაზეთი, როგორც გავს, მოითხოვს სხვანაირ სისტემას საერთო პროგრამის და პრინციპების ცხოვრებაში გატარების დროს. ის ებრძვის მთავრობის პრაქტიკას და არა თეორიას. ვერ გავიგეთ კი როგორი უნდა იყოს ეს პრაქტიკული სისტემა. „ახ. სხივს“ აქ უნდა წამოეყენებია დადებითი პროგრამა. ის მარტო უარჰყოფს. უარჰყოფს შეთავსებას პარტიულ და სახელმწიფოებრივ ორგანოებში, უარჰყოფს ნათესაობას და

შენ ჩემიანობას დაწესებულებებში. უარჰყოფს ბოროტ-მოქმედებას, მექრთამეობას, ქურდობას და სხვა. ეს ჩვენ არ მიგვაჩნია სისტემათ. უარყოფით მოვლენებს ადგილი ექნება იმ შემთხვევაშიაც, როცა საკონტროლო და აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა ერთმანეთში არ გაითქვიფება. ეს ჩვენ ვსთქვით რამდენჯერმე. „ახ. სხივს“ არ დაურღვევია ეს აზრი. გერმანიის მაგალითი არ არის სავსებით მოსაყვანი. იქ, მართალია პარტიულ ყრილობაზე დაადგინეს მინისტრი აღარ უნდა იქნეს ცენტრალური კომიტეტის წევრიო და პირიქით, მაგრამ დადგენილებაში ნათქვამია, რესპუბლიკის და პრუსიის მთავრობათა მიმართ „ფორშტანდს“ (ცენტ. კომიტეტს) ხელი თავისუფალი უნდა ქონდესო.

ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს „თავისუფალი ხელი“ აქვს ჩვენი მთავრობის „მიმართ“, თუმცა მთავრობის წევრები შედიან ცენტრალურ კომიტეტში შეთავსება ხელს არ უშლის კრიტიკას. გერმანიაში მთავრობა და ს. დ. ცენტრალური კომიტეტი ისე ახლოს არ დგანან ერთმანეთთან, როგორც საქართველოში. დაუშვებელი იქნებოდა შეთავსება, რომ მთავრობა ერთ პოლიტიკურ ხაზზე იდგეს და პარტია მეორეზე.

რაც შეეხება სხვა უარყოფით მოვლენებს „ახ. სხივი“ თუ შემოიხედავს ხოლმე ცენტრალურ კომიტეტში, გაიგებს, რამდენათ აფარებენ აქ ხელს ამ მოვლენებს.

ვამბობ კიდევ და უკანასკნელათ: „ახ. სხ-ვი“ ცალკე არსებობას არ აქვს პრინციპიალური სარჩული. ის არის მხოლოდ უკმაყოფილების გამომხატველი. უკმაყოფილო ვართ დღეს სხვადასხვა მიზეზების გამო ყველა, მაგრამ ჩვენ ვიცით ამა თუ იმ ნაკლის ახსნა. ეს არ იცის შუათანა ადამიანმა. ეს მხოლოდ სჩივის, საყვედურობს, ამას მხოლოდ გული ერევა. „ახ. სხივი“ ემსახურება ამ შუათანას, მისი სულისკვეთების

გამომხატველია ის. ამისთანა ოპოზიცია ვერ შეიტანს პარტიაში სუფთა ჰაერს. კ. ნინიძისთანა ამხანაგებს, მე მგონია, შეეძლოთ უკეთესი ოპოზიციის წარმომადგენლობა.

ს. დევდარიანი

27.11.1920

N271

სახალხო უნივერსიტეტის საჭიროებანი (გვ.1)

სახალხო უნივერსიტეტის საქმეების სათანადო დონეზე დაყენება არ არის ადვილი საქმე, განსაკუთრებით, თუ გავცილდით იმ პაწია ფარგალს, რომელშიც ჩვენ ვაწარმოებდით ამ საქმეს რევოლუციამდის. მაშინ თვით უნივერსიტეტის ორგანიზაციას საფუძველათ ქველმოქმედება ედვა. ინტელიგენციის ის ნაწილი,რომელიც მაშინდელ მთავრობის კლანჭებისაგან თავისუფალი იყო და რომელსაც მაინც სურდა თავის წვლილი შეეტენა ხალხის განათლების საქმეში,რომ მომავალ მშენებლობაში იმასაც რაიმე მონაწილეობა ჰქონოდა, თავისუფალ დროს კვირაში თუ თვეში ერთ-ორ საათს სწირავდა ამ საქმეს. საქმე მეტათ ვიწრო ფარგლებში იყო მოთავსებული, მაგრამ სამაგიეროთ, მართალი უნდა ვთქვათ, მაშინდელი მუშაკი მსხვერპლის გაღების სურვილით მჭიდროთ იყვნენ შეკავშირებულნი ერთმანეთში. არავითარ ანგარებას, არავითარ ანგარიშს ამ საქმეში ადგილი არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, მსხვერპლი კარგი რაც არის, მაგრამ ეხლა ამ დონეზე საქმის დაწყება არ შეიძლება, რადგანაც თვით უნივერსიტეტსაც ფართო ასპარეზი აქვს და მშრომელ მასასაც კარი ღია აქვს მეცნიერების ტაძარში შესასვლელათ. ამიტომ-თანამედროვე სიძვირე და გაჭირვებაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, - მაინც საქმე შრომის დაჯილდოვების ნიადაგზე უნდა იყოს დაწყობილი.

მართლაც და ძველ დროს თუ ლექტორი ორიოდე თავისუფალ და საღ აზრს გაუზიარებდა მსმენელს, ესეც დიდი საქმე იყო, ვინაიდან მათ ეს აზრები არსად არ ესმოდათ. ეხლა კი ამითი ლექციის ამოწურვა არ შეიძლება. ეხლა საჭიროა ფართო და ღრმა ცოდნა ყოველი საგნისა, მასალის ზედმიწევნით შესწავლაზე დაფუძნებული. ამას კი გულდადებული, სერიოზული მომზადება სჭირდება ლექტორის მიერ.

მართალია, სახალხო უნივერსიტეტი არ არის უმაღლესი სასწავლებელი და ამ ორ დაწესებულებაში მუშაობის გეგმები სულ სხვა და სხვაა, მაგრამ არც ის იქნება მართალი, როგორც ზოგსა ჰგონია, თუ ვიტყვით, რომ სახალხო უნივერსიტეტი თავისი გეგმით საშუალო სასწავლებელს უნდა გაუთანასწორდესო.

არც ფაქტიურად და არც არსებითათ ეს აზრი სწორი არ არის. რაც უნდა იყოს სახალხო უნივერსიტეტს საქმე აქვს უკვე ცხოვრებაში გამოსულ და ჩახედულ, ხშირათ ცხოვრებაში გამოცდილ და დატანჯულ ხალხთან. ცხოვრების ავკარგი მათ უკვე იციან. ამიტომ ყოველი ცოდნა მათ შეურჩევლათ შეიძლება მიაწოდოს ლექტორმა. ამიტომ სახალხო უნივერსიტეტის ლექციებში უნდა ამოწურული იყოს უმაღლესი მეცნიერება მისი მრთელი სიღრმე მოცულობით.

მაგრამ ამასთანავე სახალხო უნივერსიტეტის მსმენელი განსწავლული არ არის და ამიტომ ყოველი მასალა ცოდნის - მას უნდა მიეცეს მარტივი, მდაბიო ენით. პრაქტიკულ ცხოვრებასთან შეფარდებით და მასალის უაღრეს კონკრეტიზაციით. ამ მხრივ სახალხო უნივერსიტეტის ლექტორობა ერთი მხრით რომ მეცნიურ მომზადებას მოითხოვს, მეორე მხრით განსაკუთრებულ ხელოვნებასაც წარმოადგენს, ხელოვნებას, რომელიც გაირჩევა უმაღლეს სასწავლებლის პროფესორობისაგანაც და საშუალო და დაბალი სკოლის

მასწავლებლობისგანაც. ამას მაშასადამე გარდა მომზადებისა, თავისებური გამოცდილება და პრაქტიკაც ესაჭიროება.

რა თქმა უნდა ყველაზე უკეთესად ამ საქმისთვის უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი გამოდგება, ვინაიდან მას მეცნიერული მომზადება უკვე აქვს და პრაქტიკას მალე შეიძენს, ვინაიდან ლექციების კითხვაში გამოცდილება და აუდიტორიასთან შეთვისების და შეწყობის უნარი უნდა უკვე შეძენილი ჰქონდეს. მეორე გიმნაზიის მასწავლებლები, მხოლოდ საუკეთესონი მომზადებისა და ცოდნის მხრივ თავის საგანში. აქედან აშკარაა, რომ ამგვარი ხალხის შრომა, განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში საქმის სირთულეს,უნდა სათანადოთაც დაფასდეს.

მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ ამჟამად იმდენად თვით ლექციის წაკითხვის დაფასებაზედ არ უნდა ვილაპარაკოთ, რამდენადაც იმ აუარებელ დაბრკოლებებზე და სიძნელეებზე, რომლის დაძლევაც უხდება თვითოეულ ლექტორს ცალკე და სახალხო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთ საზოგადოთ. არავინ, ვინც კი სახალხო უნივერსიტეტთან ძლიერ დაახლოვებული არ არის, არ იცის, თუ რა პირობებში უხდება ლექტორს განაპირა უბნებში სიარული, ისეთ უბნებში, სადაც არც სინათლეა, არც ქუჩებია მოკირწყლული, არც ტროტუარებია, არც ტრამვაი-საბურთალოში, ერთობის უბანში, ორთაჭალაში. ვერავითარი სასყიდელი ვერ აუნაზღაურებს ლექტორთა ენერგიას, რომელსაც ის დახარჯავს ამ რაიონებში სიარულს დროს და ვერც ენა მოგიტრიალდება საყვედურისთვის, თუ ლექტორი უარს იტყვის იქ წასვლაზე.

ამიტომ თუ ერთის მხრით სახალხო უნივერსიტეტის ლექტორობა არა თუ კვალიფიკაციური შრომაა, არამედ თავისებური პროფესიაც, რომელსაც განსაკუთრებული გამოცდილება, განსწავლა პრაქტიკა

სჭირდება, მეორე მხრივ ლექტორს აქვს ისეთი სრულიად ელემენტარი საჭიროება, რომელსაც სხვა დარგის მუშაკისათვის და სხვა პირობებში განცხრომად და ფუფუნებად ჩაითვლება, ეს გახლავთ ეტლებით სიარული.

თუ გსურთ, რომ ლექციები პერიოდულად იკითხებოდეს განაპირა უბნებში, არა თუ სისტემატიურად, სახალხო უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ეტლი და ამ ეტლით უნდა ატაროს თავისი ლექტორები ისეთ განაპირა უბნებში, სადაც ტრამვაი არ მიდის. ვიმეორებ ეს ისეთივე ელემენტარი საჭიროებაა სახალხო უნივერსიტეტისათვის, როგორც მაგიდა, როგორც წიგნი ყოველი ინტელიგენტი მუშაკისათვის.

გარდა ამისა, თვით ის გარემოება, რომ საქმის სირთულით სახალხო უნივერსიტეტი, როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, არ ჩამოუვარდება თვით უმაღლეს სასწავლებელს, ამისდაგვარი ბინაც სჭირდება მას, თუ გვინდა, რომ რიგიანად იყოს მოწყობილი. დღემდის სახალხო უნივერსიტეტზე ისეთი წარმოდგენაა ჩვენში გავრცელებული, ვითომდა მას სჭირდებოდეს ერთი, ან ორი აუდიტორია, შეიძლება უკეთეს შემთხვევაში მიეცეს კიდევ ერთი ოთახი გამგეობისა და კანცელარიისთვის და კმარა. ეს აზრი გავრცელებულია იმ მიზეზით, რომ სახალხო უნივერსიტეტის მეტის-მეტი დიდი მნიშვნელობა ხალხისა და სახელმწიფოსათვის, დაახლოებითაც კი არა გვაქვს შეგნებული. სიტყვით ბევრგან გაიგონებთ, რომ სახალხო უნივერსიტეტი დიდი საქმეაო, დიდად საჭიროაო, მაგრამ საქმით კი მართლაც მისი დიდი საჭიროება ძლიერ და ძლიერ ცოტასა აქვს შეგნებული, ეს რომ ასე არ იყოს, ყველას ეცოდინებოდა, რომ სახალხო უნივერსიტეტს ისევე, როგორც სახელმწიფოს, სჭირდება ლაბორატორიები, კაბინეტები და ამას გარდა სახელოსნოები, ოთახები პრაქტიკული ვარჯიშობისათვის და სხ.

საზოგადო გეგმა სახალხო უნივერსიტეტში მეცადინეობისა ამას აუცილებლივ მოითხოვს, ვინაიდან, თუ დაახლოებით ოთხ სემესტრზე გავანაწილეთ მთელი კურსი, პირველი ორი სემესტრი დასჭირდება საზოგადო საგნების მოსმენას და აუდიტორიების რიცხვი დამოკიდებული იქნება ფაკულტეტთა რაოდენობაზე (ამ ჟამად ორი ფაკულტეტია მხოლოდ ბინისა, ფულის და ძალების უქონლობის გამო). მეორე კურსზე კი ჩვენი გეგმით მრავალი ახალ ახალი დარგი შემოდის: ჯერ ერთი იმდენივე ფაკულტეტი რჩება, რამდენიც პირველ ორ სემესტრეზე, განსხვავება კი მხოლოდ იმაშია, რომ ახლა ერთი მხრივ რთულ მეცნიერებათა შესწავლა იწარმოებს და მეორე მხრივ სპეციალური საკითხებისა. ამას მიემატება ამავ კურსზე სპეციალური დარგების კურსები, რომელთა რიცხვიც დამოკიდებულია ცხოვრებაში გავრცელებულ ხელობათა დარგების რიცხვზე და სახალხო უნივერსიტეტის ნივთიერ და სხვა სახსარზე. საკოოპერაციო კურსები, სამეურნო, სატეხნოლოგიო, სამუსიკო-კონსერვატორია და მრავალი სხვა - ყველა ეს სახალხო უნივერსიტეტში უნდა იყოს გახსნილი, თუ გვინდა, რომ ეს დაწესებულება მართლაც შეეფერებოდეს ცხოვრების მიერ წამოყენებულ მშრომელი დემოკრატიის საჭიროებას: ამის მიხედვით რომ ვივარაუდოთ, სახალხო უნივერსიტეტს ბინაც დიდი და ფართო დასჭირდება, მეტადრე თუ არ დავივიწყეთ, რომ უნივერსიტეტს თავისი წიგნთსაცავი და სამკითხველოცა აქვს, რომელიც უნდა გაფართოვდეს, მსმენელთა კლუბის დაარსებაც დასჭირდება, რომელსაც ცალკე ბინა დასჭირდება. ყველა ზემოდ ნათქვამი მკრთალი სურათია იმის, რაც უნდა იყოს სახალხო უნივერსიტეტი.

აქედან ცხადად სჩანს, რა დიდი დაწესებულებაა ეს რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას და რა დიდი შრომა სჭირდება მის მოვლას.

მანამდის კი სახალხო უნივერსიტეტი ისეთ საცოდავ მდგომარეობაში იარსებებს, რომელშიაც ეხლა არსებობს ორიოდე მასზე გულშემატკივარი ადამიანის სინაბარად.

11.12.1920

N283

„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო“ (გვ.3)

დემოკრატიულ რესპუბლიკაში სასამართლოც დემოკრატიული უნდა იყოს, ესე იგი, ყველასათვის ხელმისაწვდომი. მაგრამ, სამწუხაროდ,დღეს ეს ასე არაა. თუ შეგიცდა ფეხი სასამართლოში, საქმის დაბოლოვებას ვეღარ ეღირსები. რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებელი საბუთები მრავალია, მაგრამ აქ მხოლოდ ერთს მოვიყვან, რომელიც თვითონ მე გადამხდა და, ჩემის აზრით, ესეც საკმარისია ზემოთ ნათქვამის დასამტკიცებლად.

მე ვუჩივლე ჩემს მდგმურს ბ-ნს ალექსანდრე სოსელიას, რომელიც, მიუხედავათ იმისა, რომ ბინა მუქთათ ეჭირა, „4 ოთახი 50 მან.თვეში) ქირას მაინც არ მაძლევდა, არ იცავდა სანიტარულ წესებს და ბატებს და ქათმებს წინა აივანზე აბამდა, და სხ. ეს საქმე და ამის საწინააღმდეგოთ აღძრული საჩივარი მოწინააღმდეგის მიერ, - 9 ჯერ მომრიგებელ მოსამართლესთან გაირჩა, სამჯერ ყრილობაზე, ერთხელ სენატში და ახლა ისევ ყრილობაზე ირჩევა. ერთი საქმე ექვსჯერ გადიდვა, მხოლოდ იმისთვის, რომ უწყება ვერ ჩააბარეს. რატომ მოხდა ეს? ვის შეუძლია ამ ლაბირინტში გზა გაიკვლიოს და სიმართლეს მიწვდეს?! ამაზე იტყვიან: „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარეო“.

ვ. რუხაძე.

12. 01.1921

N7

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა (გვ.3)

2 დღე

წინადადება შემოდის მისალმების დეპეშების გაგზავნის შესახებ მთავრობის თავჯდომარის, განათლების მინისტრის, ჯარის და გვარდიის სახელზე. წინადადება უკამათოდ იქნა მიღებული. ტექსტის შედგენა პრეზიდიუმს მიენდო. დღის წესრიგშია მოხსენებები კავშირის საბჭოს და სარევიზიო კომისიისა. მოხსენების მოსმენამდე რიგ გარეშე სიტყვა ეძლევა გერმანიიდან ახლად დაბრუნებულ საქართ. მისიის წევრს კ. გამსახურდიას, რომელმაც წაიკითხა ვრცელი მოხსენება ჰუმანიტარული და იდეალისტური განათლების შესახებ გერმანიაში. მოხსენება შინაარსიანი და დამაკმაყოფილებელი იყო კრებისთვის. ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს საბჭოს თავჯდომარე ვ. ბურჯანაძე საბჭოს მოქმედების შესახებ, რომელიც დაწვრილებით შეეხო და აღნიშნა ის საგნები, რომელზედაც უზრუნვია საბჭოს, სახელდობრ, საბჭოს მიუღია ყოველგვარი ზომები კავშირებისათვის სახლის შეძენის შესახებ, პედაგოგიურ გამომცემლობისათვის, კოოპერატივის დაარსებაში, აგარაკების შეძენაში, მაღაზიის დაარსებაში, დამხმარე დამზღვევი კასის დაარსებაში, პენსიის საკითხში, საანკეტო ფურცლების გამოცემაში და მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვაში. შეკითხვების შემდეგ კრებამ მოისმინა მეორე მოხსენება კავშირის შემოსავალ გასავლის შესახებ. მოხსენებას აკეთებს საბჭოს წევრი ევ. ოდიშარია. გამოირკვა, რომ კავშირს სხვადასხვა შემოსავლის წყაროებიდან შემოსვლია 13,587 მან 43 კაპ. გასავალია 13,550 მან 93ჯ; ამ ჟამად კასაში არის 3.697,054 მან.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა საერთოდ საბჭოს ენერგიული და უანგარო მუშაობა, ზოგიერთ დეფექტების გამოკლებით. ყველა ამ მოხსენებების შემდეგ გაიმართა არსებითად კამათი, რომლის დროს აღმოჩნდა ორი მიმდინარეობა: ერთი არ ცნობდა დამაკმაყოფილებლად საბჭოს მოქმედებას უმთავრესად ეკონომიურ და უფლებრივ საკითხების დაცვაში, მეორე კი აღნიშნავდა ზოგიერთ დეფექტების და მუშაობას კი საერთოდ სცნობდა დამაკმაყოფილებლად. კამათიდან გამოირკვა, რომ საბჭოს თუ ეშლებოდა ხელი, ეს იმ მიმართულების წევრების წყალობით, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ორჯელ თუ სამჯელ მეტად არ დასწრებია კრებებს და მთელი მუშაობის სიმძიმე თავზე აწვა მხოლოდ საბჭოს რამდენიმე წევრებს. ეს ნათლად დაასურათეს საბჭოს წევრებმა თავის საპასუხო სიტყვებში. კამათის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი იქნა ორი რეზოლუცია, პირველი სცნობდა საბჭოს მოქმედებას დამაკმაყოფილებლად, მეორე კი არა. კენჭის ყრის დროს პირველმა მიიღო 34 ხმა 24-ს წინააღმდეგ. მეორემ 31 33 წინააღმდეგ. ამნაირად მიღებულ იქნა პირველი რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს შემდეგს.

„საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მეორე ყრილობამ მოისმინა რა ანგარიში საბჭოს მოქმედების შესახებ, ამტკიცებს(....) ზოგიერთ დეფექტებს. საყვედურს უცხადებს საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც სისტემატიურად არ ესწრებოდენ სხდომებს და გადადის მორიგ საკითხებზე“.

ნოდე.

13.01.1921

N 8

ბერი თუ ერი? (გვ.3)

„დამიფარე მე, ღმერთო, ამბოხისაგან უკეთურთასა და სიმრავლისაგან მოქმედთა სიცრუისათა“ (ფსალმ.63-2)

ჩვენმა ისტორიამ დანამდვილებით იცის, რომ მეფე ვახტანგის მიერ დაბეჭდილი „ვეფხის ტყაოსნის“ რამდენიმე ცალი მე-18-ტე საუკუნეში ანტონ 1-მა,საქართველოს კათოლიკოსმა, დააწვევინა, როგორც მავნე და გამრყვნელი შინაარსის წიგნი. საფიქრებელია, რომ ამ ჯალათობა, ამ უაღრესად შეუსაბამო საქციელს ჩვენის ეკლესიის მაშინდელი ყველა წარმომადგენელი არ თანაუგრძნობდა, მაგრამ ხმის ამოღება „შიშისთვის ურიათასა“ ვერავინ გაბედა, და ამიტომაც არის, რომ ამ სამარცხვინო საქმემ საქართველოს სამღვდელოებას ერთბაშად უვიცობისა და ველურობის შავ ბნელი ლაქა დასდო.

ჩვენის ერის ამ განახლებისა და აღორძინების დროს, როცა ესოდენ საჭიროა, რომ

მოხუცი თუ ახალგაზრდა

ერის კაცი თუ სამღვდელოება

ყველა ერთმხრივ მივიწევდეთ,

ერთი გვქონდეს ყველას ლელო,

შეიძლება იგივე განმეორდეს, თუ თავის დროზე ხმა არ ავიმაღლეთ საქართველოს სამღვდელოების იმ ნაწილმა, რომელსაც სარწმუნოება და ცრუმორწმუნეობა ერთმანეთში არ აურევია, რომელიც კლერიკალურ უკეთურ ზრახვებს არ შეუპყრია და რომლისთვისაც ეროვნულ წარმატებას, ეროვნულ სიმტკიცესა და ძლიერობას ფასი და ღირებულება არ დაუკარგავს. დიახ, ახლავე საჭიროა გავიმიჯნოთ და განვისსაზღვროთ

თავისთავიცა და ჩვენი მოქმედებაც ყოვლისავე იმისგან, რაც მაცხოვრის ჭეშმარიტ მოძღვრებისაგან ანკარად და დაბრკოლებულად არ მომდინარეობს და რასაც შეუძლია მომავალში ჩვენი სახელი მოაყივნოს.

მკითხველი, ალბად, მიხვდა,რომ ეს წერილი გამოწვეულია პატრიარქ კათალიკოზის ლეონიდეს მიზან შეწონილი და უალაგო ნაბიჯით, რომლის გადადგმაც კეთილ ინება მისმა უწმინდესობამ ჩვენის დემოკრატიული მთავრობის საწინააღმდეგოდ და რომელიც იმავე დროს, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენის დემოკრატიის წინააღმდეგ იქნა გადადგმული.

ვის უნდა ეკუთვნოდეს ის განძი, ის სიმდიდრე, რაც „ჟამთა სიავეს“ გადაურჩა და ჩვენს ტაძრებსა და მონასტრებშია დაცული? ეს არის მთავარი ღერძი სადაო საკითხისა, და დავაც ამ ღერძის გარშემო უნდა იქნას გაშუქებული, გაშუქებული ქრისტიანული თვალსაზრისით და არა ბერული ჟინიანობით.

მიეცით კეისარსა კეისრისა და ღმრთისა ღმერთსაო.

ასე გვიმოძღვრა ღვთაებრივმა მასწავლებელმა. ღმერთი ოქრო-ვერცხლსა, ლალ მარგალიტსა და ასეთ ნივთიერსა და წარმავალს მორწმუნეთაგან არ მოითხოვს, რადგანაც სულ არს ღმერთი და თაყვანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა არს თაყვანისცემა (სახ.იოანესი 4-24)

მაშასადამე, ყოველივე ეს სიმდიდრე უდავოდ და ხელშეუვალად ეკუთვნის კეისარს, რომლის კანონიერ მემკვიდრედ და მოადგილედ, ჩვენდა საბედნიეროდ, მთელი ჩვენი ერი გახდა. ერმა თვითონ იცის როგორადაც მოუვლის და გამოიყენებს მას: სამეცნიეროს მეცნიერებისათვის დაიცავს, ხოლო საფასურში ფასს აიღებს და საერთო კეთილდღეობას მოახმარს.

ამ შემთხვევაში არავითარი დანაშაული, არავითარი ნასახი დანაშაულისა ჩვენის სარწმუნოებისა და მორწმუნეთა გრძნობის წინაშე არ იქნება ჩადენილი. ერმა შექმნა ის სიმდიდრე თავის ოფლითა და სისხლით, თავგანწირვითა და თავდადებით და არა რომელმამე მეფე-დედოფალმა, გინა რომელმამე ფეოდალმა და მისმა თანამეცხედრემ, გინა რომელმამე კათალიკოსმა და მისმა ხელქვეითმა სამღვდელოებამ, როგორც ეს ჩვეულებრივად ხატებზედ არის წარწერილი. განა არ ვიცით, გარდა გულუბრყვილოთა და გულუბრყვილოდ თავის მაჩვენებელთა, რომ ეს განძეულობა ან ნადავლის ნაწილია, ე.ი. სათარეშო ომის ნაყოფი, ანდა მცირედი ნაკადია იმ ცოდვილი მდინარისა, რასაც ტყვის გაყიდვა ეწოდებოდა! მერე ვინ იყო ომის უმთავრესი და უმრავლესი მსხვერპლი, თუ არ ჩვენი მდაბიო ხალხი, წინაპარი ჩვენის ახლანდელი დემოკრატიისა? ვინ იყიდებოდა საზღვარგარეთის შორეულ ბაზარებზედ, როგორც საკლავი პირუტყვი, თუ არ ჩვენი მდაბიო ხალხი, იგივე მამა-პაპა ჩვენის დემოკრატიისა?

ისიც ხომ იყო, სამწუხაროთ და სამარცხვინოდ ჩვენდა, რომ ზოგი დიდი მონასტრის გამოჩენილნი წინამძღვარნიც კი, მწყემს-მთავრობის უფლებით აღჭურვილნი და ამ უფლების წინაშე მოვალეობის უდებმყოფელნი, ტყვეთა გაყიდვას არ უკადრისობდნენ და მათ თანამედროვე ფეოდალებს ამ „ქრისტიანულ“ მოღვაწეობაში არ ჩამოუვარდებოდნენ!

ნუღა ვიკითხავთ იმისას, თუ რა ლოღიკითა და ნამუსით უთანხმდებოდნენ და უთავსებდნენ ეს უებრო „მართლმორწმუნენი“ ამ „საღამოთი“ მოქმედებას, ერთის მხრით და მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მხსნელის მოძღვრებას, მეორეს მხრით.

ამ რიგად, როცა ხატებზედ წარწერას ამოვიკითხავთ: ჩვენის წარსაგებლითა და საფასით მოვაჭედინეთ და შევამკობინეთ ხატი ესეო, - არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამ ვითომდა ღვთის სასიამოვნო და ქრისტიანულ საქმეში სხვა არა რა წარსაგებელი ყოფილა, გარდა ჩვენის დემოკრატიის სიცოცხლისა და არა რა სხვა საფასე, გარდა ჩვენის დემოკრატიის სისხლისა.

აქვე უნდა გავიხსენოთ და მოწიწებით და პატივისცემით მოვიხსენიო ჩვენ თვალწინ მომხთარი ამბავი, რომ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობაც მოვლენილია იმ გზით, რომელიც მორწყულია ჩვენის დემოკრატიის სისხლით და მოფენილია ჩვენი დემოკრატიის ძვლებით. მართალია, მაშინდელ მის ყოვლად უსამღვდელურობას და ახლანდელ მის უწმინდესობას ლეონიდეს ავტოკეფალიის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის, მაგრამ ისიც მართალია, რომ ავკოტეფალობა და ავტოლეონიდობა ერთი და იგივე არ არის...

ყოვლისავე ამის შემდეგ, საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს სადავო უნჯი-ერსა თუ ბევრს - გარკვეულად და გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს.

ქრისტიანულად მოაზროვნესა და ქრისტიანულად მოქმედ საქართველოს სამღვდელოებას ისღა დარჩენია, რომ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას მიულოცოს და მოუწონოს ის საშვალება, რასაც ამ შემთხვევაში მან მიჰმართა და რითაც შეუძლია ხელი შეუწყოს ამ საშუალების ჩქარა და სავსებით განხორციელებას. აქ ყველაფერი ცხადი და საჩინო უნდა იყოს. „უბირ მღვდელივით“ ღობე ყორეს არავინ არ უნდა ამოეფაროს. მოციქულები ფსევდონიმს ქვეშ არ ჰქადაგებდნენ და არც ნიღაბჩამოფარებულნი მოღვაწეობდნენ. მხილება პირდაპირ, მიზანშეწონილი და მკვეთრი, რის მაგალითიც შეგვიძლია დავესესხოთ

გიორგი მთაწმინდელს, ამ უბადლო ბერსა და იმავე დროს სწორუპოვარ მოქალაქეს; თორემ **„აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთაას ჰსძეს; ყოველმან ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“ (სახ. მათ. 3-10).**

მღ. ლავრენტი წულაძე.

14.01.1921

N9

„საქართველო უცხოეთის პრესაში“

(ჟან მარტენის წერილი „ჟურნალ დე ჟენევ“-ში)

საქართველო განსხვავდება საუცხოვო მცენარეულებით და შესანიშნავი ჰავით, რომელიც ხმელთა შუა ზღვის ჰავას მოგვაგონებს. აქ ულამაზეს ტყეებთან ერთად იზრდება საუცხოვო მუხა. კაკლის ხე, ბამბუკი, მაგნოლია, ყველგან ვენახებია. აქაურ მდიდარ ნიადაგზე მოჰყავთ აგრეთვე ჩაი, შესაძლებელია ჩაის კულტურის უაღრესათ განვითარება, თუ ამისთვის საჭირო კაპიტალი იქნება დაბანდებული.

საქართველომ შესძლო თავის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის ხორბლეულობით დათესვა. თუ ქართველ გლეხობას მიეცემა საშვალება ისარგებლოს გაუმჯობესებული იარაღებით, საქართველო შესძლებს თავის მოთხოვნილების თავისივე პურით დაკმაყოფილებას. ეს არის საქმე მომავლისა, ეხლა კი მას სჭირდება აღიარება იურიდიულათ, სწრაფი სახელმწიფოებრივი ამშენებლობა და დახმარება იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებს შინაურ და გარეშე მტრებთან. როგორ ასრულებს თავის მიზნებს საქართველოს სახელმწიფოებრივობა, ეს სჩანს ბათომის მაგალითიდან, სადაც ყველა ქვეყნის ლტოლვილია თავმოყრილი. აქ ისეთი სერიოზული მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ ევროპაში ხმებიც კი გავრცელდა ბათომის ნავთსადგურში შესვლის საშიშროების შესახებ,

მაგრამ ეს საშიშროება უსაფუძვლო აღმოჩნდა იმ ენერგიის გამო, რომელიც მიიღო საქართველოს მთავრობამ.

დამახასიათებელია საქართველოსთვის ძველი და ახალი საქართველოს სიმტკიცე თანამშრომლობა. სწორეთ ამ გაერთიანებამ მისცა საშუალება რესპუბლიკას შეენახა თავის დამოუკიდებლობა ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო არევ დარევის დროს. რომ საქართველოს არ ქონოდა ეს გრძნობა პატრიოტიზმისა, ის დაიღუპებოდა 1918-1920 წლებში ოსმალეთისა, რუსეთისა და განსაკუთრებით ბალშევიზმის თავდასხმის გამო. ქართველი ხალხი ერთი უძველესი ერია, რომელიც კვლავ აღსდგა თავისუფალ ცხოვრებისათვის და შეეუთვისდა ახალ პირობებს. საქართველომ გაიარა ორი მძიმე წელი და, რასაკვირველია, წარმოუდგენელია, რომ მომავალშიც არ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. ქართველ ხალხში იმდენათ ძლიერი სასიცოცხლო ენერგია, რომ იგი არასდროს არ მოისპობა.

16. 01.1921

N11

„თფილისის საერთო განათლების კურსებზე“

თებერვალ მაისის სემესტრში სამეცადინოთ შემოსასვლელი თხოვნები მიიღება ყოველ დღე, იანვრის 25 მდე, საღამოს 5-8 საათამდე, კურსების კანცელარიაში (რეალ. სასწავლებლის შენობა) აქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება.

(193-1-1)

გამოყენებული ლიტერატურა:

გაბუნია, კ. (2014). ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, *საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისთვის.* https://multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/150425115249.pdf

გაბუნია, კ., ეზუგბაია, ლ., & ქირია ჭ. (2010), *ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში.* გამომცემლობა „საიმედო“.

გაფრინდაშვილი, ვ. (1919) შენიშვნები ლირიკაზე ჟურნალი მეოცნებე ნიამორები. ქუთაისი.

კიკნაძე, ზ., *(*2015) ევროპა აზიაში თუ აზია ევროპაში. https://apinazhi.ge/journal/407--.html

მანჯგალაძე, მ., & ინწკირველი, ქ. (2018). *განათლების სისტემა და ენობრივი პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წ.წ.).* სამეცნიერო შრომების კრებული. კავკასიის უნივერსიტეტი.

მამარდაშვილი, მ. (2013) *ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში.* ქართული ბიოგრაფიული ცენტრი

მამარდაშვილი, მ. (2015) *საუბრები ფილოსოფიაზე.* თბილისი. https://www.scribd.com/document/357198660/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94

საღინაძე, რ. (2011) *ქართული პერიოდიკისა და პრესის ენა.* თბილისი: გამომცემლობა“ „გაზეთ საქართველოს მაცნე“.

ტაბიძე, მ., (2005). *ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები.* თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

ტაბიძე, ნ., (2011) *პუბლიცისტიკის საკითხები.*თბილისი: უნივერსალი.

ტაბიძე, ნ., (1997) *ტენდენციის გამყლავნების ხერხები პუბლიცისტიკაში.* თბილისი: საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის შრომები.

ჭანიშვილი, ხ. (2014) *გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკა.* თბილისი: მერიდიანი.

ჟორდანია, ნ. (1900) *ქართული პრესა გუშინ, დღეს, ხვალ.* თბილისი.

ჟორდანია, ნ. (1900) *ქართული პრესა გუშინ, დღეს, ხვალ.* თბილისი.

ჯორბენაძე, ბ. (1997). *ენა და კულტურა.* თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

Brown, K., & Miller, J. (2013). *The Cambridge Dictionary of Linguistics. In The Cambridge Dictionary of Linguistics (pp. I-Ii)*. Cambridge: Cambridge University Press.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი. (2018), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. https://digitallibrary.tsu.ge/book/2019/wignebi/sakartvelos-damoukidebeli-respublikis-entsiklopedia.pdf

საქართველოს ეროვნული არქივი. https://archive.gov.ge/ge

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. https://www.nplg.gov.ge/geo/home

განმარტებითი ლექსიკონი https://www.nplg.gov.ge/geo/home